ქართველი და აფხაზი ხალხების დიდმა შვილებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და გიორგი შერვაშიძემ ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის კლასიკური მაგალითები გვიჩვენეს XIX საუკუნეში, ისევე როგორც სერგო ორჯონიძემ და ნესტორ ლაკობამ, გალაკტიონ ტაბიძემ და დიმიტრი გულიამ და სხვებმა XX საუკუნეში.

ისტორიის ასეთი გაცეთილებით უნდა ვსწავლობდეთ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების მეცნიერებასა და ხელოვნებას.

დიდი ზეიმი — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი — აფხაზი ხალხის ზეიმიც არის. ეს დიდ რუს ხალხთან ქართველი და აფხაზი ძმების საუკუნო დამოყვრების დღესასწაულიცაა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ჰყვავის და ვითარდება აჭარა, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოა და რომლის შექმნა, საქართველოს რუსეთთან შეერთება რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან საქართველოს უძველესი მიწა-წყლის — აჭარის განათავსებელი უცხოელ დამპყრობთაგან მხოლოდ ძლევაშიაღლი რუსული იარაღისა და არმიის ძალით მოხერხდა. ეს ერთი. მეორე. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შეიქმნა აჭარის ასსრ, რათა ამ ძირძველ ქართულ მხარეს რაც შეეძლება ადრე დაეძლია ძალად თავსმოხვეული ფეოდალური ჩამორჩენილობა, მისთვის უცხო ადამ-წყესები, და სწრაფად დაემთავრებინა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი, დაქტარებულად განეთარებელიყო მურერნობა და კულტურა.

აჭარის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის მიღწევები დღეს საყოველთაოდ ცნობილია.

სიმბოლურია, რომ აჭარა თითქმის ერთდროულად ზეიმიბს უცხოელ დამპყრობთაგან განთავისუფლების 100 და გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავს. აყვავებული აჭარა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა სიკეთე მოუტანა ქართველ ხალხს დიდ რუს ხალხთან ძმობამ და მეგობრობამ.

საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში სრულყოფილიანი ავტონომიური ფორმირება სამხრეთ ისეთის ავტონომიური ოლქი.

ქართველი და ოსი ხალხების ძმობისა და მეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.



ჩრდილოეთმა ოსეთმა საქართველოზე აღ-
რე დაუქვეშა თვისი ზედი რუსეთს.
ქართველი ხალხი დიდი პატივისცემით ეპ-
ყრობა სამშობლოს დასაცავად მრავალსაუ-
კუნოვან ომებში გამობრძედილი, მამაცი,
თავისუფლებისმოყვარე, მშრომელი და ნი-
ჭიერი ის ხალხის ისტორიას, კულტურას,
კოსტა ზეთავურების ხალხთან მშობასა და
მეგობრობას.

ხალხთა მეგობრობის მზის ქვეშ ჰყავის
და იღურჩქნება საბჭოთა ირისთონი, დიდი
რევოლუციური, შრომითი და ინტერნაცი-
ონალური ტრადიციების მხარე, უდრო-
როგორც კავკასიის მთები, პერიოდული, რი-
გორც ნართების ებოსი. ოს ხალხს უხსოვარი
დროიდან აკავშირებს ქართულ ხალხთან ეთ-
ნიკური, პოლიტიკური, კულტურული და
ეკონომიკური ურთიერთობა, რამაც თავისი
ასახვა პოვა ქართულ და ოსურ ისტორიო-
წყაროებში, მეცნიერებაში, ლიტერატურასა
და ხელოვნებაში.

სოციალიზმმა შეასხა ფრთა ოსი ხალხის
ყველა ოცნებას. ოსი ხალხი რუსი და ქარ-
თველი, ყველა მოძმე ხალხის ძმური თანა-
დგომითა და დახმარებით აშენებს ნათელ
მომავალს.

გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის-
თავი რესპუბლიკის სამივე ავტონომიური
ფორმირების — აფხაზეთის ასსრ, აჭარის
ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის
მშრომელთა ერთიანი და ინტერნაციონალ-
ური ზეიმით არის, ერთი და განუყოფელი
საერთო-სახალხო დღესასწაულია.

„მუდმივი, თავისი მნიშვნელობით წარუ-
ვალი ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა ადა-
მიანები აღზარდონ ქვეყნის ყველა ერისა
და ეროვნების ურთიერთპატივისცემისა და
მეგობრობის, თავისი დიდი საბჭოთა სამ-
შობლოს სიყვარულს, ინტერნაციონალიზმის,
სხვა ქვეყნების მშრომელბთან სოლიდა-
რობის სულისკვეთებით, — აღნიშნა ი. ჟ-
ანდროპოვმა, — ეს ამოცანა უნდა გადაწყ-
ვიყოთ ყველა პარტიულმა და კომპაგნიო-
ლმა ორგანიზაციამ, საბჭოებმა და პროფ-
კავშირებმა, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებ-
მა, რომლებიც მუდამ იყო ინტერნაციონალ-
იზმის ყარგი სკოლა. ეს უნდა გახდეს
ქვეყნის ყველა სასწავლებლის ყოველდღი-
ურა საზრუნავი“.

საბჭოთა არმია და ფლოტი, ამიერკავკა-
სიის წითელდროშოვანი სახმედრო და სასა-
ზღვრო ოლქების მეომართა და ამიერკავკა-
სიის ხალხთა თანამშრომლობა, მხარდაჭერა
და სოლიდარობა მასების ინტერნაციონალ-
ური აღზრდის სკოლა გახდა.

ქართველმა ხალხმა, ამიერკავკასიის ხალ-
ხებმა იციან, რომ საუკუნეების მანძილზე
ძლეველსოღმა რუსულმა იარაღმა, რუსმა
ჯარისკაცმა, რუსეთის არმიამ ხსნა ისინი
ქატსტროფისაგან.
ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ XI

არმია მოვიდა ამიერკავკასიის ხალხების და-
სახმარებლად. აზერბაიჯანში, სომხეთში, საქ-
ართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მათ
მყარებისა და განმტკიცების ერთ-ერთი მთა-
ვარი ფაქტორი და გარანტია XI რევოლუ-
ციური არმია იყო. XI არმიის რევოლუცი-
ური, ინტერნაციონალური და საბრძოლო
ტრადიციების პირდაპირი მემკვიდრენი არ-
იან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამ-
ხედრო და სასაზღვრო ოლქების მეომრები.
დღეს ისინი მტკიცედ დგანან საბჭოთა
ხალხსა და ხალხმწიფო. უმშრომობის,
მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჟოზე.

ჩვენ კვლავც უნდა განვაძრკოთ არმი-
ისა და ხალხის ერთიანობა საბჭოთა პარტი-
ოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციო-
ნალიზმის საფუძველზე, ლენინიზმის უცვლადი
იდეების საფუძველზე. ეს მით უფრო საჭი-
როა ჩვენში, რადგანაც ჩვენ ნატოს ქვეყნე-
ბის საზღვრისპირა რესპუბლიკა ვართ, სა-
პიროა მასების პოლიტიკური სიფხიზლის
ამაღლება, რომ თვალისჩინივით დავიკვათ
ოქტომბრის რევოლუციის ყველა მონაპოვარ-
ი, მთ შორის კაცობრიობის ისტორიაში
ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა
ლენინური მეგობრობა.

ამავე დროს ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენს
მეზობელ თურქ ხალხთან, ისევე როგორც
ირანულ ხალხთან ქართველ ხალხს, მთელ
საბჭოთა ხალხს სურს მეგობრობა და თა-
ნამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის
ლენინური პრინციპების საფუძველზე. ჩვენი
ხალხი მხურვალედ მიესალმება თავის დროზე
ირანელი და თურქი ხალხების მიერ შაი-
ხა და სულთნის რეაქციული რეჟიმების დამ-
ხობას.

რუსეთმა მშვიდობა დაამკვირა მრავალ-
ვირანულ და ათასჯაზს ომგადახდილ საქა-
რთველოში.

თითქმის ორი საუკუნეა მშვიდობა სუფევს
ქართულ მიწაზე.

მშვიდობისადმი მისწრაფება ყველა ხალ-
ხისა და ყველა ეპოქის კეთილი ნების ადა-
მიანების სანუკარი ოცნებაა. მშვიდობისათ-
ვის ბრძოლა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთა-
ვარი ამოცანაა. სხვა აღტრიალებული კამბ-
ორობას არ ვაჩინია: ან გლობალური ატო-
მური კატასტროფა, ან მშვიდობა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-
ტიის ლენინური საგარეო პოლიტიკა მშვი-
დობიანი თანაარსებობის პოლიტიკაა. ამხა-
ნაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის
ცნობილ განცხადებაში ეს ღრმად არგუმენ-
ტირებულად, თვალნათლივ, ცხადად არის ჩა-
მოყალიბებული.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს
მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ თავს მოგვახ-
ვიონ თავიანთი ექსტრემისტული, არარეა-
ლური გადაწყვეტილებანი. და ესეც ასევე
დაბეჭედივით არის დამტკიცებული გაზეთ



„პრადის“ კითხვებზე ამხანაგ ი. ანდროპოვის გეშინწინდელ პასუხებში.

საბჭოთა საქართველოს მშრომლები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების ადამიანები მზურკავლედ უპირველმხარს ლენინური კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის მიერ შემუშავებული მშვიდობიანი შეტყვის, მშრომლობის დაცვის პროგრამას, საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში მათ მიერ შემოქმედებით შრომით, დისკომუნის განმტკიცებით, პოლიტიკური სიფხიზლი ამოღლებით შეტანილი წვლილი ამავე დროს მშვიდობის დაცვის საქმეში შეტანილი წვლილიც არის.

დღეს საქართველოში, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, შექმნილია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. საბჭოთა საქართველო ერთგული თავისი პარტიოტული და ინტერნაციონალური მისიის ხალხთა ლენინური, სოციალისტური ოჯახის წინაშე.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლი იდეებია აცისკროვნებს ჩვენი ხალხის გზას მომავლისაკენ.

ლენინი და ლენინიზმი იყო, არის და იქნება საბჭოთა საქართველოს მშრომლების ყველა გამარჯვების საწინდარი.

ლენინი და საქართველო ამოუწერავი თემაა. ვადაფურცლეთ ლენინის თხზულებათა პირველ ტომებში. თქვენ იქ იპოვით ჰაბუკრევილი-სომხურის ვლადიმერ ულიანოვის გენიალურ ნახევრებს საქართველოზე. ვადაფურცლეთ ლენინის უკანასკნელი თხზულებანი. თქვენ იქ ნახათ მსოფლიო რევოლუციური აზრის ტიტანის, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ დაწერილ უკანასკნელ სტრეოტონებს... ისინი საქართველოს ეძღვნება.

სოციალისტური უკანასკნელ დღეებში დიდი ლენინი საქართველოზე ფიქრობდა... რაოდენ ამაღლებულია და მრავალსმეტყველი ეს ისტორიული ფაქტი!

საბჭოთა საქართველო ლენინის იდეების ერთგული იქნება მარად.

საქართველოს მშრომლებმა წარმატებით შეასრულეს მეცხრე და მეთექვსმეტე ხუთწლიანი დავალებებიც.

სკკ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიამ უზრუნველყო რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვანი დაჩქარება. საქართველოს მიღწევებს იხილავსევა ხაზი სკკ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე.

სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბ-

ლიკის, მათ შორის საბჭოთა საქართველოს ისტორიული გამოცდილება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ერების ნამდვილი აყვავება შეიძლება მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ძმურ სოციალისტურ ოჯახში და არა ეროვნული კარნაკეილობისა და განაცალკევების გზით.

უკანასკნელ 10-11 წელიწადში, როგორც აღვნიშნეთ, სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიღი უფნდამეტური დადგენილება მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების, საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ და მთელრიგ სხვა კარდინალურ საკითხებზე. მათ ახალი ეტაპი შექმნეს საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის ისტორიაში.

ამ ეტაპმა თავისი მიმართულება მისცა როგორც მატერიალური წარმოების, ასევე სულიერ ღირებულებათა სფეროს, როგორც განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზის მშენებლობას, ასევე სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურში გადაზრდასა და ახალი ადამიანის — კომუნისმის მშენებელი ადამიანის აღზრდას.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობის სიკეთეს ყოველდღე გრძობს რესპუბლიკის თითოეული მშრომელი.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად ორმოცე მეტმა საკავშირო საინისტრამ და უწყებამ გამოსცა ბრძანებები და მიიღო კოლეგიის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა. ეს უპრეცედენტო მოვლენა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში.

რესპუბლიკის ყველა მშრომელი დიდ მადლობას უძღვნის სკკ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტიბურს, სსრ კავშირის მთავრობას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე ლენინური ზრუნვისათვის.

დიდი იღვერ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომელიც თბილისში გაიმართა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა. სესიამ შეაქამა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ორსაუკუნოვანი გზა.

მეტად მნიშვნელოვანი და მასშტაბური მოვლენები უძღოდა წინ ჩვენს დღევანდელ დღესასწაულს. ეს გახალავთ მიმდინარე წლის იულისში ჩატარებული საქართველოს ოცდარატურისა და ზელოვნების დღეები რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ახლახან დაითარებული რუსეთის ლიტერატურისა



და ხელოვნების დღეები საქართველოში. ეს ორი ღირსშესანიშნავი ღონისძიება უთოოდ ჯეროვან ადგილს დაიკავეს მთელი საბჭოთა კულტურის მატიაწეში, როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი გამოვლინება, როგორც ზემოთ კემშარბიტი, მაღალი ხელოვნებისა.

ქართული კულტურის მოღვაწეებს გულწრფელი სიხარულითა და მხურვალი ტაშით ეგებებოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში, ოქტომბრის რევოლუციის ქალაქში — ლენინგრადში, ურალის ინდუსტრიის ცენტრში — სვერდლოვსკში, მრავალსაუკუნოვან ვლადიმირში, ჩვენს მუხობლად მღებარე სტავროპოლში, რომლის მახლობლად ვიორგის ციხეში ხელმოწერილ იქნა ისტორიული ტრაქტატი.

თავის მხრივ აღფრთოვანებით შეხედნენ რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების საქვეყნოდ ცნობილ ოსტატებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

ასეთი დღეები დაუვიწყარია, ვინაიდან მეგობრობა, ძმობა, შემოქმედება უღვეთ მყარ, შეურყეველ საფუძვლად და ეს საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმს შეეძლო შეექმნა.

იუბილესიოების მზადების დღეებში ხალხთა მეგობრობის ძველად იქცა საქართველოს სამხედრო გზა, ერის მხსნელი გზა.

ჩვენ ვეცით, რომ საბჭოთა საქართველოს ყველა მიღწევა ეკონომიკასა და კულტურაში შესაძლებელი გახდა იმ დიდი ისტორიული გზის შედეგად, რომელიც საქართველომ განვლო გეორგიევსკის ტრაქტატის მიღების დღიდან, იმ სიკეთეთა შედეგად, რომლებსაც რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის პირველმა მანიფესტმა აზა-

რა საქართველო ისტორიის უკანასკნელ წინაშე

ორი საუკუნის მანძილზე. ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ თქვა გენიალურმა შოთა რუსთაველმა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, ეს აფორიზმი ქართველი ხალხის ეროვნული მრწამსის გამოხატულებაა.

1783 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსი და ქართველი ხალხების სამარადისო, ურღვევ მშობას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე საბოლოოდ დაეკავშირა ერთმანეთს სსრ კავშირის ასზე მეტი ერისა და ეროვნების ისტორიული ბედი, რომლის ლოკიკური შედეგია ახალი ისტორიული, სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. ამ ერთობის განუყოფელი, ორგანული ნაწილია ქართველი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა საქართველო დღეს თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში აშენებს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სამართლიან საზოგადოებას — კომუნისმს.

ყველა გამარჯვებას იგი უმადლის დიდი ლენინის პარტიას, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველისმძღვე მოძღვრებას, ხალხთა მეგობრობას, პროლეტარულ, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს.


დაე, მზად აცისკროვნებდეს ჩვენს გზას მომავლისაკენ ხალხთა ლინიური მეგობრობის უკვდავი იღებები!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

უფრო მაღლა ავიწიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა!

ბ. რევაზიშვილი

პლაკატი



მარაღუჯამს ერთან!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სსდომა

აზხანაზ 3. 3. გრიშინის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

მპროფასო აზხანაზავაძე!

დღეს საქართველოს მშრომელები და მათთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავსა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩვენი სამშობლოს უმაღლესი ჭილღოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისაღმებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მთავრობისადმი მზურვალედ მიულოცეს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავი იუბილედ და ლენინის ორდენით დაჯილდოება, შეაჯამეს საქართველოს ხალხთა ისტორიული ზღვის შედეგები, მაღალი შეფასება მისცეს მათს მიღწევებს.

ამ საზეიმო დღეს დიდ კმაყოფილებას მანიჭებს, შევასრულო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის აზხანაზ ი. ვ. ანდროპოვის დავალება, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, კომუნისტებსა და ყველა მშრომელს გული-

თადად მიველოცო იუბილედ და სამშობლოს საპატიო ჭილღო, ვუსურვო ახალი დიდი წარმატებანი, ჭანმრთელობა და ბედნიერება საქართველოს თითოეულ ოჯახს, ყველა ხალხს.

ამ სურვილებთან ერთად ი. ვ. ანდროპოვმა გამოთქვარწმინა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც აქტიურად და ნაყოფიერად იმუშავენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტიანთის, ამრავლებენ თავიანთ წვლილს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ პროტენციად.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულწრფელად გილოცავენ იუბილეს და ახალ წარმატებებს გისურვებენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭო, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მშრომელები.

ქვირფასო აზხანაზავაძე!

გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებამ ახალი ეპოქა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში, რუსეთისა და საქართველოს ერთიანობამ გაუძლო დროის გამოცდას და სრული ძალით გამოავლიან თავისი პროგრესული როლი. მასში აისახა კანონზომიერებანი და ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს სსრ კავშირის ბევ-

რი ხალხის ბედს. თანამედროვეობის თვალსაზრისით უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება წარსულის ამბები, უფრო ნათლად ჩანს ამა თუ იმ არჩევანის შედეგები და მნიშვნელობა. მთელი თავისი ახლანდელი დღით, თავისი აღმავრენითა და აუვაკებით საბჭოთა საქართველო დამაჩრებლად ადისტურებს წინაპართა დიად სიბრძნეს, რომელმაც მოახდინეს ერთადერთი სწორი, ისტორიულად საჭირო არჩევანი რუს ხალხთან კავშირის სასარგებლოდ.

გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებამ უცხოელთა გამაჩანაგებელი შემოწვევებით გაწმენილ ხალხს მისცა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა, ხელი შეუწყო საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქართველი ხალხის თავისთავადი კულტურის აღორძინებას. ამ ნაბიჯმა კულტურაუფიერი პირობები შექმნა ქართველი და რუსი ხალხების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის, ამიერკავკასიაში იმ პროგრესული იდეების განხორციელებისათვის, რომლებიც აქ რუსეთის მოწინავე ადამიანებს მოჰქონდათ.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია განუწყრვლად არის დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ ისტორიასთან. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს მრავალტოვანი მუშათა კლასი ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის რევოლუციურ მსხვეთან ერთად თავდადებით იბრძოდა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დღმა ზეიტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ, ჩვენი პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო გზა მისცეს ჩვენი ქვეყნის უველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს. საბჭოთა ზანასთან არის დაკავშირებული რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიის უველამე მკაფიო ფურტლები. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა საბჭოთა რუსეთმა, რომელიც ახორციელებდა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების დაჩქარებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პარტიის მიერ დასახულ კურსს, საყოთარი სიძინელებისა და გაქორთვის მიუხედავად, დახმარების ხელი გაუწოდა მოძმე ხალხებს. სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოს შესვლამ გადაწყვეტი რომლი შესარულა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ განვითარებაში, მის სულიერ პროგრესში. ისტორიულად მოკლე ვადაში საქართველო გახდა მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიის, მხხვილი მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესპუბლიკა. აღიზარდნენ მუშათა კლასისა და ინტელექტუალის კვალიფიციური ეროვნული კადრები, ყოველმხრივ განვითარდა საქართველოს მეცნიერება, ლიტერატურა და ზელოვნება.

საბჭოთა ხალხების ოქანის შემადგენლებელი კავში-

რის სიმტკიცემ გაუძლო მკაცრ შემოწმებებს დიდი სამაშულო ომის წლებში, მარტო ფრონტზე ჩვენი სოციალისტური სამშრომლო უველა ეროვნების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს 700 ათასზე მეტი გმირი შვილი.

სახალხო მეურნეობის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმა ომისშემდგომ პერიოდში.

ახლა, მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ეს გიგანტური კომპლექსი, როგორც ხაზგასმით აღნიშნა პარტიის ვიდეჩანთა წინაშე გამოსვლისას ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, გადავაკციო შეუფერხებლად მომუშავე, კარგად გამართულ მექანიზმად, ავსააღლოთ მთელი სამეურნეო, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რელიეზმი, გერგოლიანობა, ჩვენი განვითარების კონკრეტული — უახლოესი და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტისათვის მზადყოფნა განსაზღვრავს პარტიის პრაქტიკულ გეგმს, რომელიც შეიმუშავეს სსკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებმა. მათ დადასტურეს, რომ ჩვენს პარტიას გადაწყვეტილი აქვს კვლავაც მტკიცედ და განუხრულად იაროს სსკ XXVI ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსით.

სსკ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების უყვე მოაქვს დადებითი შედეგები. ამას მოწმობს 1983 წლის 9 თვის გეგმის შესრულების შედეგები. შესამჩნევად უმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები. სრულდება სამრეწველო პროდუქციის გამშვების დავალებანი. უმჯობესდება კონიგზის ტრანსპორტის მუშაობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი სწარმოო ობიექტი, საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. წარმატებით მთავრდება მოსავლის აღება და მარცვლეულის, კარტოფლის, ბოსტნულის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

სასამოვნო: აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარების დინამიკობით, სერეთო-საკავშირო სახალხო მეურნეობაში თავისი წვლილის ზრდის ტემპით წლითიწლობით აკავებს მოწინავე მოზიციებს. ამგვარი ტრენდებიცაა შენარჩუნებულია მომდინარე ზეოწმელებში.

საქართველოს კომუნისტური პარტია დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რათა მშრომელები დაზარზმოს სსკ XXVI ყრილობის, სსკ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებათა და მიითვებთა შესრულებისათვის. შრომის კლექტივებში რლიერდება სოციალისტური შექიბრება პროდუქციის წარმოების ეფექტიანო-

ბისა და ხარისხის ამაღლებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის, ზღვრის ზრდასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატესი შედეგისათვის. ჩვენი პარტია თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების საკითხებს განიხილავს ერთგვანაა შრომის ურთიერთობის საკითხებთან კონტაქტით. მრავალეროვანი საბჭოთა სექტორების ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და სახალხო-სამეურნეო სისტემა. სწორედ ამიტომაც იღვწის სკკპ ცენტრალური კომიტეტი ქვეყნის უაღრესად უყვალ რესპუბლიკისა და ოქციის პარამონული განვითარებისათვის. უწყრადღებებს არ ეკლებს მათში წამოკრილ არც ერთ პრობლემას. ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის მიერ მიღებულ დადგენილებებს მოკვარ კავსიონის ქედლა საუღელტეხილო რკინიგზის შემენებლობისა და მეოთხეტი ხუთწილდასა და ორი ათას წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების შესახებ არა მარტო უდიდესი სახალხო-სამეურნეო, არამედ სოციალური მნიშვნელობა აქვს.

განვითარებული სოციალიზმის პრობლემაში უღრესად იზრდება მომწივებული პრობლემების გადაწყვეტილადში შემოქმედებითი, ინციკატვიანი მიდგომის მნიშვნელობა. ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითი მრავალმხრივ საგულისხმოა. რესპუბლიკა დღეს გველენება თავისებურ შემოქმედებითს ლაბორატორიად, სადაც ავლენენ და ცდიან საქმის გაძლიების ახალ ფეკტიან საშუალებებს, იქნება ეს მართვის სფერო, მეცნიერებისა და წარმოების კონტაქტები თუ შრომის სტიმულირება. მშრომელთა უფართოების მონაწილეობით თანამიმდევრულად ხორციელდება უყვალად და უყვალფეროში წესრიგის დამყარების, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის, პასუხისმგებლობისა და ორგანიზაციის ამაღლების პოლიტიკა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის პარტია დამაქრებლად მოწმობს სოციალური და ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მზარდ როლს. საქართველოს კომისიტები, რომლებიც აქტიურად, შემოქმედებითად იყენებენ ქვეყანაში შექმნილ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებასა და ახალ ფორმებს, უზრუნველყოფენ ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელი და სამეურნეო მუშაობის მჭიდრო ერთიანობას, აქტიურად ახალგაზრდობის პარტიკულ და ინტერნაციონალურ აღზრდას, ამასთან ფართოდ იყენებენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა ცოდნასა და გამოცდილებას.

ერთი სიტყვით, ორგანიზატორულ, იდეურ-აღმზრდელი მუშაობისა და სამეურნეო მუშაობაში შექმნილი თქვენი გამოცდილება მეტად საუარადღებოა. და გვიდა მთელი სულითა და გულით გისურვობ, რომ ეს გამოცდილება ნიადაგ მრავალდობდეს და მიღიდდებოდეს საზოგადოებრივი განვითარების გართულებული ამოცანების შესაბამისად, ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.

მჭირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სსრ მშრომელთა წარმატებანი განუარღლად არის დაკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხის მიღწევებთან. ჩვენი ქვეყნის ხალხების ერთსულვან ოქანში წარმატებით იზრდება ჩვენი საშრომლოს დედაქალაქი — მოსკოვი. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოსკოველები წარმატებით შრომებენ პარტიის XXVI ურთობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, მეტრომეტე ხუთწილდის დაჯილდათა შესრულებისათვის. ისინი ძირითად შეცადინეობას ამხარენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების უყვალ სფეროში დისცილინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. უზრუნველყოფილია ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1982 წლების გეგმის ვადამდე შესრულება. წარმატებით ხორციელდება მიმდინარე წლის დაჯილდანიც.

მოსკოველები თქვენთან ერთად აღნიშნავენ გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს. ამ მოვლენის გამო მოსკოვში ბოლშევიკი გრუზინსკიას ქუჩაზე დიდი რუსთაველის ძეგლის მახლობლად აიგო და გაიხსნა მონუმენტი „სამარადამო მეგობრობა“, რომელიც მიმდინარე ქართული და რუსი ხალხების ისტორიულ კავშირს.

„რა ბედნიერებაა, რა არსებობს ასეთი კავშირი გულთა შორის!“ — გულკითონ ტაბიძის ეს სიტყვები ამოკეთილია მონუმენტულ ლემონტოვისა და წერეთლის, ცხენინისა და ჩიქვანის, იმ სხვა პოეტების სიტყვების გარდათ, რომლებმაც ხობდა შეახსენ ჩვენს ერთიანობას.

მოსკოვს საქართველოსთან მტკიცე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებს. ბევრი საწარმოო კოლექტივებს დადებული აქვს შრომითი თანამეგობრობის ხელშეკრულებანი. მოსკოველები მონაწილეობენ რესპუბლიკაში ელექტროსადგურების, საწარმოების, თილისის მეტროპოლიტენის დაპროექტებასა და მშენებლობაში, ამაღლებენ კადრებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის, ერთიანობის მათიო დადასტურება გახდა რუსეთის სსრ რესპუბლიკისა საქართველოს სს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტის 200 წლისთავს მიეძღვნა. ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრმა მოსკოველმა მოღვაწემ წარმატებით წარმოადგინა რუსეთის ფედერაციის კულტურა ქართულ მიწა-წყალზე რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების დროს.

ორი ხალხის — რუსი და ქართველი ხალხების შრომითა და ერთად დაღვრილი სისხლით შედუღებული კავშირი განახლებრებს უოველივე საუკეთესოს, რაც მოსდგამს საბჭოთა ხალხების მშრო ოქანს. მათი მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდამხარება ჩვენი უფიჯრფასიანი მონაპოვარი, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია.

და გასიკვარი არ არის, რომ სოციალიზმის მტრები ასე გააფთრებით ცდილობენ ზიანი მიაყენონ ჩვენი

ქვეყნის ხალხების მეგობრობას, შეიარაღებულ საბჭოთა ადამიანების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება. ამ მიზნებს ემსახურება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იმპერიალისტური პროპაგანდის მიერ გაიღებულ უპირველდროესო იდეურ-ფსიქოლოგიური ომი. ამასთან შეგნებულად ამხინჯენ ან უფულებელყოფენ ისტორიკოსა და თანამედროვეობის თვალსაზრისით და ფართოდ ცნობილ ფაქტებს, იმედს აშუალებენ ობიექტულ შეგნებაზე. აღმზრდელიობის მუშაობაში დაშვებულ შეცდომებსზე. იმპერიალიზმი და, უწინაარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, ამწვავებს ბრძოლას არა მარტო იდეოლოგიის სფეროში. იგი ამწვავებს მთლიანად საერთაშორისო ვითარებას, ახორციელებს აგრესიასა და უსაფრთხო პოლიტიკას, აფართოებს თავის შეიარაღებულ ყოფნას ყველგან, რათა ჩაეროს იმ ქვეყნების საქმეებში, რომლებიც უარყოფენ ვაშინგტონის დიქტატს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა თავიანთი შეიარაღებული აგრესია პატარა სუვერენული სახელმწიფოს გრენადის წინააღმდეგ, გამოუცხადებელი ომი გაჩაღა ნიკარაგუასა და ხალვადორის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, შეიარაღებული ძალები ჰყავს ლიბანში, სადაც იარაღის ძალით ცდილობს თავს მოახვიოს ლიბანელებს მისთვის სასურველი წესები. იგი სხვა მრავალ დანაშაულსაც სჩადის მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ახორციელებს მილიტარისტულ კაცობრივ პოლიტიკას, რომელიც ბირთვული კატასტროფით ემუქრება მსოფლიოს. ვაშინგტონის მმართველი წრეები, რომლებიც ცდილობენ, რადაც უნდა დაუჭიროთ კოალიციონ უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით, დასავლეთ ევროპას თავს მოახვიონ თავიანთი „აეროინგები“ და ფრთოსანი რაკეტები, სიცრუესა და ფაქტების დამახინჯებას მიმართავენ. ბოლო რამდენიმე ვტარა მონაღომებით უწევს რეკლამას, წარმოადგენენ ამერიკის მხარის მოჩვენებითს მოქნილობას, რომელსაც დაეინებოთ ამტკიცებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი დაახლოებული პირნი, რეკლამას უწევენ მოჩვენებითს დათმობებს, და ეს ყველაფერი ერთ მიზანს ისახავს: საკუთარი უაღრესი შეიარაღების გაძლიერებით ჩვენს ქვეყანას წაართვან შესაბამისი თავდაცვითი პოტენციალის კანონიერი უფლება, გვაძლიერონ ცალმხრივად განვიარაღდეთ.

უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც აქტიურად ემზადება დასავლეთ ევროპაში პირველი დარტყმის იარაღის განლაგებისათვის, აქცევს რა მის ხალხებს თავის მძევლებად. შეყურებოლია იმ ზრახვით, რომ ახალი გეგანური სარბიელი შეუქმნას ჰართვლ მეტოქეობას კოსმოსში. ესეც იმავ მიზნით — არსებული სახელმწიფო-სტრატეგიული პოლიტიკის თავის სახარვეზოდ დარღვევის მიზნით ხდება.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული ავანტიურისტული მოქმედება მთელ მსოფლიოში დიდ გულსწყრომასა და პროტესტებს იწვევს.

სხვადასხვა ქვეყანაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს ვაშინგტონის აგრესიასა და უკანონობის შეწყვეტას, ილაშქრებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მიერ დამპყლობისა და სახელმწიფო ისტორიის გაწმენვის წინააღმდეგ, ევროპაში ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ, მტკიცედ გამოთქვამს თავის მისწრაფებას მშვიდობისადმი, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლისადმი.

კაცობრიობისათვის, მთელი მსოფლიოსათვის ამ მშფოთვარდ დღეებში მოსკოვიდან ჩვენი პარტიისაგან, ჩვენი სახელმწიფოსაგან გაისმის ნამდვილი კონსტრუქციული, ბირთვული უფუნურების აღმკვეთი ინიციატივები. საბჭოთა მხარე აუცილებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების არსებულმა გადაჭრის მკაფიო პროგრამას, ავლენს პოლიტიკურ ნებასა და მზადყოფნას — მიადნოს მორაგებობას მხარეთა თანასწორობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საფუძველზე. კონკრეტული მოქმედების პროგრამა კაცობრიობისადმი შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა მეცადინეობის გაერთიანების მძლავრი სტიმული გახდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის განცხადება, მისი პასუხი „პრავდის“ კოლხვებზე, რომლებმაც მსოფლიოში უფართოესი რეზონანსი გამოიწვია.

საბჭოთა კავშირი, როგორც კიდევ ერთხელ ხაზი გაესხა ამ უმდიდრეს მნიშვნელობის დოკუმენტებში, მასობრივი მოსახლის იარაღის წარმოება და დაგროვებაში შეიზღუბების პრინციპული წინააღმდეგაა. ამასთან ჩვენი ქვეყნის კეთილი ნება, მისი სურვილი — პატიოსნად ეძებოს ურთიერთმისაღები, ორივე მხარის კანონიერი ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებანი. არავინ არ უნდა მიიჩნიოს ჩვენი სისხლის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო-სტრატეგიული ბალანსის დარღვევის ყველა ცდას საბჭოთა კავშირის შესაბამისი პასუხი მოქმედება და ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ჭვირფასო მკვნიანებო! ჩვენი ხალხი ერთსულოვანად იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ყოველი საბჭოთა ადამიანი სათვის ცხადი და გასაგებია მისი უპირველესი პარტიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა: აამაღლოს სიხშირედ, თავისი შრომით აწარავლოს საშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, განამტკიცოს სსრ კავშირის ყველა ერთი და ერთგვების მეგობრობა და ძმობა, ჩვენა ხალხის ერთიანობა, მკიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ნება მიზოდეთ, რეკლამა ამხანაგებო, ერთხელ კიდევ ვუსურვო საქართველოს სსრესპუბლიკის მშრომელებს ახალი წარმატებანი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, საბჭოთა საქართველოს შემდგომი აუჯვრის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი აღმაშობლისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიდ მოკანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის წვლილის განარავლებისათვის ბრძოლაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულ-
ტურის მუშაკებო! გარდა ატარებთ კომუნისტური იდეურ-
ბის, პარტიულობისა და ხალხურობის დროსა!
შეამხენით ჩვენი დიადი საზოგადოებრივი ღირსი ნაწარ-
მოებები!

საკვ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან
დიდი მადლობის სიტყვებითი რეპორტები.
ის 66 წლისთავისათვის



კინოეპოპეა

ნოდარ გურაბანიძე

საბალევიჩიო ჰრავალსერიანი მხატვრული
ფილმი „წიგნი ფიცისა“. სცენარის ავტორი —
ანდრე სალუჟავა; დამდგმელი რეჟისორი —
ბიბა ლორთქიფანიძე; დამდგმელი რეჟისორი
— ლევან ნაგბალაშვილი; დამდგმელი მხატვარი
— კახი ხუციშვილი; კომპოზიტორი — გიგინა
კვარნაძე; კოსტუმების მხატვარი — მ. კოჩიაკი-
ძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკაიაძე, ვ. ვიზაძე.
კონსულტანტი — ისტორიულ მემკვიდრეობათა კან-
დიდატი ნოდარ ასათიანი.

„წიგნი ფიცისა“ კინოეპოპეა, კინო-
ეპოსი, რომელიც, როგორც ამ ჟანრის ნა-
წარმოებს შეეფერება, გადმოგვცემს ქვეყნის
ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს მომენტს.
იმ კულმინაციას, რომლის შემდეგ მთელი
ერის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი
იწყება. ამ ისტორიულ, გარდამტეხ მოვლე-
ნებს ეხება ეს ფილმიც. ამის შესაბამისია
მისი მრავალსიმოცველი მასშტაბი — ქრის-
ტიანული და მუსლიმანური ქვეყნები, ამის
შესაბამისია დროც, რომელსაც იგი მოიცავს

— თითქმის ორი საუკუნე. შეუძლებელია ამ
მართლმართლი დისტანციის თანაბრად გავლა...
სამყარო, რომელსაც ფილმი ასახავს, დასაწ-
ლებულია სხვადასხვა სოციალური ფენის და
ეროვნების წარმომადგენლებით, ისტორი-
ული პიროვნებების გვერდით ცხოვრობენ
ხალხის წაიღიდან გამოსული უბრალო გლე-
ხები, მეომრები, მკედლები, ვაჭრები, მეფე-
ებს, თავადებს, სარდლებს, სასახლას კარას-
კაცებს ენაცვლებიან ბერები, თავზნეულადე-
ბული მოთარეშენი, გლახაკნი და უპოვარნი,



აქვე არიან თითქოსდა ხალხური ეპოსიდან გამოსული გმირები, რომელთაც ლეგენდარულ-ო შარავანდელი დასდგომით თავს, თუმც სავსებით რეალური არიან.

ამგვარად, ასევე ვრცელია ფილმის სოციალური პანორამა. ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური დრამა აქ გადახარაშულია ქვეყნის ტრაგიკულ ბედთან, პიროვნული ინტერესებისა და ენებებს შეგახებებს ვნაცულება არმიათა შეტაკებანი, ხოლო ადამიანის თავგადასავალს — ქვეყნის ისტორია.

ასევე მრავალფეროვანია ლანდშაფტიც: მოქმედების ადგილია საქართველოს მწვერვალთა შემოსილი მთა-ველი, ირანის მცხუნვარე ქვიშნარი, რუსეთის ტრამალები... ეს პეიზაჟები შეიცავენ არა მხოლოდ ვიზუალურ, არამედ აზრობრივ კონტრასტებსაც.

სცენარისტ ა. სალუქვაძისა და რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის წინაშე იდგა ამოცანა მთელი ეს მრავალფეროვანი სამყარო ერთიანობაში წარმოესახათ („ნახტომების“ ვარეშე), რომელიც მოძრაობს განვითარების შინაგანი კანონის მიხედვით და არა ფილმის ავტორების დიქტატიითა და კანონით. რასაკვირველია, აქ გამოირჩეული არ არის სუბიექტური მომენტი, მაგრამ ისტორიული მოვლენების მხატვრული გააზრება და წარმო-სახვა გულსნამობდა ობიექტურობას, მიითუმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია ისტორიული წარსულიც და მისგან წამოსული მოელი ცხოვრება, საქართველოსთან დაკავშირებული ქვეყნების შემდგომი ბედიც და მათი დღევანდელი ვითარებაც. სირთულე აქ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორები უნდა „დარჩენილიყვნენ“ ისტორიულ წარსულში, იმ ეპოქურებით ეცხოვრათ, ერთის სიტყვით, გაეთავისებინათ წარსული, იქ გადასახლებულიყვნენ, გარდასულიყვნენ და „იქიდან“ დროს იმ სულისკვეთების გათვალისწინებით განეკუთრათ ისტორიული პერსპექტივა და ამავე დროს, როგორც ჩვენს თანამედროვეებს, რომელთათვისაც ყველა პერიპეტია ცნობილია, დღევანდლობიდან დაენახათ წარსული. ისინი ერთდროულად ისტორიის ვიზიონერებიც უნდა ყოფილიყვნენ და ანალიტიკოსებიც. შემოქმედის ემოციები ისტორიის „ალკებრიით“ შემოწმდებიან. ამ ორი პოზიციიდან შესედ-ვა, ანუ — ისტორიიდან თანამედროვეობაში და დღევანდლობიდან წარსულში — აუცი-ლებლად მოითხოვდა ერთიანი თვალსაზრისის

გამომუშავებას, რომელსაც წინ უსწრებდა სხვადასხვა ასპექტის შეხვედრა ვევა.

მეჩვიდმეტე საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდია ქართველი ერის ცხოვრებაში. კატასტროფის პირას იყო მისული ქვეყნის ცხოვრების ყოველი სფერო. ეროვნული მთლიანობის იდეა, ეროვნული ფსიქიკა ღრმა კრიზისს მოეცვა. ქვეყნის დაქსაქსულობამ, პარტიკულიარიზმმა წარმოშვა იმგვარი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა საკუთარი ფიზიონომის შენარჩუნებისათვის ბრძოლას. სამშობლოსა და ქრისტიანობის იდენტურობის იდეას შემამუდოებელი ნაპრალები გაუჩნდა. შემაკავშირებელი იდეალებისათვის წინადავი არამყარი იყო. ჩვენი ისტორიული ქრონიკებიდან თუ ლიტერატურული წყაროებიდან შემარჩენი სურათები წარმოსდგებიან. უცხოური წყაროებიც ასევე ამბავებენ შექმნილ ვითარებას. პატრი არქანჯელო ლამბერტის აღბომის ფურცლებიდან უსიამოდ დაღმეჭილი სახეები გვიმზერენ, თითქოს ჯოჯოხეთის ალეგორიული გამომეტყველებანი გვეცნალებიან. მაგრამ ამ მიმე, ტრაგიზმი სავსე დროშიაც ერის სულიერი ძალები მთლად არ დაზარტილან. ხალხის წიაღში, ქვეყნის მოწინავე ადამიანების სულში კი აფობდა იმედის სხეი, კრთება წმინდა სანთლის ალი, რომელმაც ძალა უნდა მოიკრიფოს, გაჰლიერდეს და სამომავლო გზა გაანათოს. ეს არის ერთადერთი ალტერნატივა ამ ბნელით მოსილ სამყაროში. მაგრამ საკითხთა საკითხი იყო თუ საით წარიმართებოდა ეს სამომავლო გზა, რასთან და ვისთან დააკავშირებდა ქვეყნის დამზრალ სხეულს. ამ ყოვლისმომცველ, გლობალურ კითხვაზე პასუხის გაუქმისას ფილმის ავტორებს უნდა დაეცვათ როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული სიმართლე. აქაც არსებობს ერთგვარი საშიშროება. შეიძლება დაიცვა ისტორიული სიმართლე და მხატვრულად იცრუო და პირიქით, მხატვრულად მართალი იყო და იცრუო ისტორიული სინამდვილის წინაშე. ეს სირთულე, რაც ამ ორი უმნიშვნელოვანესი მომენტის მთლიანობაში მდგომარეობს, უეჭველად წარმატებით არის დაძლეული ამ ფილმში. აქ იღებს სათავეს აგრეთვე ფილმის ორი პლასტი — ანალიტიკური (რაც ეფუძნება ქრონიკალურ-დოკუმენტურ მონაცემებს) და სათავგადასავ-



ლო. თუ პირველ შემთხვევაში რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე უპირატესობას აძლევს პორტრეტულ გამოსახულებას, მსხვილ პლანებს და ამ დროს ანელებს რიტმს, „აჩერებს“ კადრს, მეორე შემთხვევაში სკარბობს დინამიურბად, მძაფრი რიტმი, ჰლანების ცვლა, მასობრივი სცენები და მოქმედება. ფილმის მთელ ამ სტრუქტურას შინაგანად ანათებს ქართული ხალხური ფოლკლორიდან ამოსული სულისკვეთება. ეს არის პაპაის სახე და მთლიანად მასთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზი, აგრეთვე მოხუცი ბერისა და ნანილის სახეები. ერთის შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ფშაური ლექსები იმისათვისაა აქ მოხმობილი, რომ პოეტურად აამბლოს, „გაალამაზოს“ მოქმედება, რომელიც სქემატურად ფოლკლორში მოთხრობილ ამბავს მიჰყვება. ამ ამბავის განვითარებას კი ამთავრებს, აჯანბნებს, როგორც მისი კონტრესტია, კადრის მიღმიდან „ამოსროლილი“ ლექსი. თუ დავეყვრდებით, ეს ასე არაა. იმდენად უჩვეულოა რეალური ამბავი, იმდენად ფანტასტიკური და დაუჭერებელია ხალხიდან წამოსული გმირის საქციელი, რომ იგა სინამდვილეს და ფანტაზიას შორისაა. ასეთ დროს ხალხი ქმნის პოეტურ ლეგენდას, სადაც ცოცხალი გმირი პოეტურ გამოწავონში კიდევ უფრო ივსება და იზრდება. კადრის მიღმიდან ისინი ეს ლექსები და ეკრანზე ვხვდებით ფიქრით, ტანჯვით, ვარაობით სავსე გმირთა სახეებს, მათ თვალებში გადატანილი დრამა რეიტხება, სახის ყოველი კუნთი დაძაბულობისაგან გაქვავებულია და ამ წუთში ისინი საქრეთელით გამოკვეთილს გვანან (ასეთ დროს ოპერატორ ლ. ნამგალაშვილის ხელოვნება უზადოა), თითქოს ეს ტანჯვა მარადიულია. ამიტომაც პაპაის სახეს პოეტური სივლის სული შეაქვს მთელ ამ ამბავში. და მე, მაგალითად, სრულიადაც არ გამოვირდებოდა, რომ პაპაი ფილმის ბოლო ორ სერიაშიც გამოჩენილიყო (თუმცა ამბავი საუუუუნუნახევრის მანძილზეა განზიდული) რადგან ეს სავსებით რეალური გმირი, ხალხის უყვადვი სულის ემანაციაა. პაპაის ამ მხატვრულ სახეს მომდევნო სერიაში ერთგვარად ეხმაურება ხვარაშხესა და სუდიას სახეები, თუმცა მხოლოდ ეხმაურება, რადგან მათ აკლიათ ის, რაც აქვს პაპაის — პოეტური ზოგადობა და ამავ დროს, აქტიური, ქმედითი ფუნქცია.

რის იდეას შეიცავენ მოხუცი ბერი და ქმნიკ ვაზრდილი ნანილი. ეს ბერი ყოველმხედველია, ხალხის მეხსიერებაა, ხალხის თვალა. არა მარტო ისტორიული კატაკლიზმების მსიღველი, არამედ ყოველდღიური ამბების მონაწილე, ყოველი კაცის ქირის და უხედურების გამწხიარებელი. ცხოვრებისგან დაღლილი და მრავლისმნახელი მოხუცი თვალეები და ბავშვის ანგელოზივით უმანკო თვალეები ერთსადაიმავე ამბებს სკვრეტენ. აქაც ხალხის მეხსიერების უწყვეტობის იდეაა ნაგულისხმები. მაგრამ, შემდეგ ნანილი ქრება ფილმიდან, მასთან ერთად ქრება პოეტური სული, თითქოს იგი წამიერი მოლანდება ყოფილიყოს, კლდის პირას ამოსული ალბური ყვავილი, რომელიც თოვლის ზეაქმა დამარბა. ნანილის ამ „გაქრობის“ გამო, მე პირადად, შემექმნა შთაბეჭდილება ერთგვარი პოეტური სამკაულისა, რომელიც უკვე საქროო აღარ არის.

ფილმის გმირების ცხოვრების, მოქმედებისა და ბრძოლის სამყარო ძალიან ზუსტადაა შერჩეული. მე მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ინტერიერები, ანუ ჩაკეტილი გარემო, არამედ გაშლილი, პაერით, ფერებით, ათასნაირი კონტურით სავსე ლანდშაფტი. არაჩვეულებრივად ლამაზია ამ ფილმის საქართველო, სუნთქვაშემკვერელია მისი დათოვლილი მთების სიმაღლე, ხეობების და ველების მშვენიერება. მაგრამ „წიგნი ფიციისას“ ავტორები შორს დგანან რაიმე ესთეტიზაციისაგან. აქ საგანგებო აზრია ჩაქსოვილი. ეს ბუნების გარე სახე კი არ არის მხოლოდ, არამედ ქართველი ხალხის პატრიოტული გრძნობის აღმძვრელი. იგი ხატია მშვენიერების, მას აქვს მგრძნობიარე სული და ისტორიული სიტუაციის ტრაგიზმი იმავე მდგომარეობს, რომ აი, ასეთი ქვეყანა, ასეთი უიშვიათესი პეიზაჟები უნდა მოისპას. გავეულოდრდეს, გადავავრდეს. რა შეიძლება იყოს უფრო მძიმე განცდა, ვიდრე ამ მოსალოდნელი კატასტროფის განცდაა?! აქ მაგონდება გერონტი ქიქოძის სიტყვები, რომ ქართველ ერს „სამშობლოს ნათელმა და მაღალმა ცამ სიცოცხლე განსაკუთრებით შეაყვარა, ხოლო ტრაგიკულმა ისტორიამ ღრმა ჩაფიქრების თემები მისცა. ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა ასეთი ბედნიერი გეოგრაფია ასეთ შავბედით ისტორიასთან იყოს დაკავშირებული. ბრმა ბედისწერა და მის წინააღმდეგ



კადრი ფილმიდან

ბრძოლა მთელი კაცობრიობის უკვდავი თემა, ქართველი ერისათვის კი ის განსაკუთრებით ახლობელია.“

ზომიერების გრძობა გ. ლორთქიფანიძეს არ ღალატობს მშვენიერების ანტიპოდის — სიმახინჯის, სისასტიკის ჩვენებისას. უღამში, სადაც ამდენი სისხლი იღვრება, სადაც ნაჩვენებია ყაჩაღური თავდასხმები, ადამიანთა მოტაცება, შეთქმულება, ღალატი და ბოლოს ლაშქრების ბრძოლა, ცხადია, ყოველთვის ჭარბად არის სისასტიკის ელემენტები. მაგრამ ფილმის კადრებში ყოველივე ეს ნაჩვენებია იმდენ ხანს და იმ ზომით, რომ მაყურებელში ანტიესთეტიკურმა გრძობამ არ გააღვიძოს. გავიხსენოთ თუნდაც ის მომენტი, როცა მეფე ალექსანდრე სასახლის მოძღვარს უჩვენებს ქართველი მეომრების წაკვეთილ თავებს, რომლებიც თივაზე დაულაგებიან. ეს შემაზრზენი სურათი, რომელიც აპოკალიფსური გამოცხადება უფროა, მხოლოდ წამიერად გაილევის, მაგრამ გამოავნებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

იგივე შეიძლება ითქვას შეთქმულთა ძელზე გასმისა და განსაკუთრებით ქეიფვან დედოფლის წამების ამსახველ კადრებზე, სადაც, ვიდრე დედოფლის მკერდს ვახურებულნი შანთი შეეხებოდეს, თითქოს ქვევინდან ამოვარდება ცეცხლის ალი და „მშვიინვარე ფარდა“ დაფარავს გამოსახულებას. ჩვე-

ნი წარმოსახვა ისეა დაქიპული, რომ იგი ზედმეტ დეტალიზაციას აღარ საჭიროებს, ისევე როგორც ჩვენს განცდას და თანაღმობას აღარ სჭირდება კიდევ ერთი იმპულსი. საკმარისი იყო ოდნავი ზედმეტობა და დედოფლის წამება გადაიქცეოდა სისასტიკის მახინჯ ხატად, ხოლო ისტორიული სიმაართე — მხატვრულ სიცრუედ.

ფილმის უმთავრესი ღირსება ისტორიული დრამის მასშტაბური განცდა, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის მრავალი სპექტრის ჩვენება, ეპიზოდების იმგვარი თანამიმდევრობით განლაგება, რომელსაც ბუნებრივად მივყავართ ერთადერთ და უმთავრეს აზრთან: — ყველა გზა მოჭრილია, საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება თანაბრად ტრაგიკულია, დარჩენილია ერთადერთი ალტერნატივა — ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის შეკვრა და ამ გზით ქვეყნისა და ხალხის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. ეს არის ამ ფილმის მთავარი გმირების პოლიტიკური ორიენტაცია. იგი არ არის წილნაყარი მარტოოდენ ისტორიის აუცილებელ მომენტთან, არამედ ამოზრდილია სიმაართლის იმ გრძნობისაგან, რომელსაც ხშირად ინტუიციაც ისევე სწორად განსაზღვრავს, როგორც ყველა ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთის შემამტყიცებელი არგუმენტის ანალიზი.



მთელი ეს პროცესი ნაჩვენებია ადამიანთა და საზოგადოებრივ, სოციალურ ფენათა ურთიერთობის, კერძო და ზოგად ინტერესთა გადახლართვის რთულ კომპლექსში, რომელიც ხშირად მძაფრი დრამის ელფერს იღებდა. დღეს ყოველმა ქართველმა იცის, რომ რუსეთთან შეერთების იდეას იმდროინდელ საქართველოში ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია. ეს აიხსნება არა მხოლოდ თავდაზნაურული პარტიკულარიზმით, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული სიტუაციითაც. თვით ისინიც კი, ვინც სამეფო ტახტის განმტკიცებას ელტვოდნენ, ხშირად ამ კავშირის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ისინი შორს იდგნენ კერძო ინტერესებისაგან და იდეალად ერთიანი დამოუკიდებელი საქართველო წარმოესახათ, რაც, არსებითად, ფიქცია იყო. ამის განკვეთა მხოლოდ უჭკვიანეს ადამიანებს შეეძლოთ. ფილმი ამ მომენტს საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მომენტი, რომელიც ასევე სარწმუნოდაა ნაჩვენები: თვით რუსეთის სამეფო კარზე არ სუფევდა ერთსულოვნება ამ კავშირის თაობაზე. უზარმაზარი სახელმწიფოს წინაშე გლობალური საკითხი იდგა, იგი ითვალისწინებდა პოლიტიკურ ვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა მასშტაბით. ასეთ დროს, რუსეთის მრავალი პოლიტიკური მოღვაწის თვალში საქართველოს საკითხი უფროცაა პანორამის უმცირესი მონაკვეთი იყო. აი, რატომ გახანგრძლივდა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროცესი (რაც საქართველოსთვის ეგზომ მძიმე აღმოჩნდა). აი, რატომ იყო სავსე დრამატიზმით ამ კავშირისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ზოგჯერ გულგრილობაც და არათანამიმდევრობაც ახლდა. აქ საქმე, მართოტოტლებენში და მის ღალატში როდია. ტოტლებენისათვის არც რუსეთი იყო აღთქმული ქვეყანა და მითუქტეს არც საქართველო. საკითხის არსი უფრო ღრმავა: ბუნებრივია, რუსეთის სამეფო კარი პირველ რიგში საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი იყო და რამდენადაც ამა თუ იმ პოლიტიკური სიტუაციის გამო ამ ინტერესების სფეროში არ შედიოდა ხოლომე საქართველოსთან სამარადჟამო კავშირის შეკვრა, იმდენად უფრო შორს იწევდა საბოლოო, დამავიგრძინებელი პაქტის შეკვრა.

თუ საქართველოს მოვებრუნდებოდეთ, საუკარო ისაა, რომ მიუხედავად მსხვერპლთა ამისა, მიუხედავად საზინელი კატაკლიზმებისა, ქვეყნის წარმართველი ძალები გულს არ იტებდნენ, უარს არ ამბობდნენ თავიანთ რეალბზე და შესაშური თანამიმდევრობით მიელტვოდნენ რუსეთთან კავშირს. ეს ურთულესი ვითარბაც, ვიმეორბ, ფილმში დამაჯერბლად არის ნაჩვენები, რადგან იგი ისტორიული სინამდვილეა.

ფილმში მოთხრობილი ამბების (ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, რადგან ეპიკური ეანრის ბუნება ეკრანიზაციულ თხრობასაც მოითხვს) ორგანული ნაწილია ხალხის ცხოვრბა, მისი ქირ-ვარამი, სახალხო გმირბის თავდადების მთელი პერიოტიები. რასაკვირველია, აქ არ არის გაუბრალოებული, დამდაბლებული ის როლი, რომელიც ერის ღიდებებს მიუძღვით ქვეყნის ისტორიაში საერთოდ და კონკრეტულ ვითარბაში განსაკუთრბით. პირიქით, ალექსანდრე მეფის ტრაგიკულ ბედში მთელი კახეთის სამეფოს ტრაგიკული ისტორია იკითხება. პირველმა მან მიიღო მომაკვდინებელი დარტყმები, პირველმა დააყენა თავისი ყოფნა-არყოფნა საბედისწერო განსაცდელის წინ. არცერთ იმდროინდელი ქართველის ცხოვრბა არ ყოფილა ესოდენ მკმუნვარე და არც ერთ ქართველს არ გაუღია იმდენი მსხვერპლი საქართველოსთვის, რამდენიც მან გაიღო. და, მაინც, ღირსეული ადგილი მიაკუთვნეს ფილმის ავტორბმა უბრალო ხალხის შვილების ღვაწლს ქვეყნის ხსნისათვის ბრძოლაში. მეტიც — გვიჩვენეს, რომ ხშირად ხალხის განწყობილება, მისი თავდადება მრავალმხრივ განაპირობებდა სამეფო კარის მიერ კარდინალური გადაწყვეტილებების მიღბას. ზემოქმედბას ახდენდა ისეთ დროს, როცა ეს სასულიად აუცილებელი ჩანდა. ხალხი არა მარტო იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, მსხვერპლად ეწირბოდა, არამედ აზროვნებდა, განსჯიდა და მოქმედბას გონიერბას უწონიდა. ამას განსაკუთრბული სიცხადით ადასტურბს პაპისა და მისი თერთმეტი ვაჟი-შვილის ისტორია, აგრეთვე ხვარამხესთან დაკავშირბული სიუჟეტური მოტივი. ერთ-მორწმუნე ქრისტიანი ქართველობა ქრისტიან მეფეში ხედავდა თავისი ოცნების, ღტოლის განსახიერბას, ამიტომაც ფილმის გმირბის ალექსანდრე მეფისა და ერეკლე მე-



ორის ყოველ მოქმედებას ახლავს ხალხის მხარდაჭერა ქვეყნისა და რჯულის გადარჩენისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ხალხს თავისი ყოფის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია განუწყვეტელი ბრძოლა შემოსული მტრის წინააღმდეგ. ეს საქმე მისთვის ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც მიწის დამუშავება, თიბვა თუ ტყის ჭრა. სიკვდილიც, მიუხედავად შთელი თავისი საშინალოებისა, ყოფიერების უკიდურესს, მაგრამ ასევე აუცილებელი გამოვლენაა. ამიტომაც, ის კადრები, სადაც ასახულია თუში ქალების მიერ შვილებისა და ქმრების გაცილება ბრძოლაში, სავსეა შინაგანი ღირსების გრძობით, ეპიური სიმშვიდით. ამ ქალების სახეზე უმაღლესი სიამაყეა გამოსახული, ვიდრე ძროლა მოსალოდნელი ტრაგედიის წინაშე. მათ ცნობიერებაში გამკლარია იმის შეგნება, რომ შვილი უპირველესად მამულისათვის გაზარდეს, რომ მისი სიცოცხლე ქვეყანას ეკუთვნის და არა მხოლოდ ოჯახს და სოფელს. ასევე დიდი თავშეკავებით, შინაგანი დამაბულობითაა ნაჩვენები პაპაის ენითუთქმელი ტანჯვა თერთმეტი ვაჟიშვილის დაღუპვის გამო: არც ერთი სენტიმენტალური დეტალი, მწუხარების არავითარი ეგზალტიაცია — ისევე ტრაგიკული ამბის შინაგანი განცდა და ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვა.

ფილმის ავტორები სადად, პირდაპირ ამბობენ იმას, რაც მათი ხანგრძლივი და სერიოზული განსჯის შედეგია. ამიტომაც ვერძებნიან ფილმის სტილისტიკის გადატვირთვას, მის გართულებას მეტაფორული სახეებით, სიმბოლური მინიშნებებით: ამბავი იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ იგი თითქოსდა თავისთავად ითხოვს გამოცემის უბრალოებას, რაც სრულიად არ გამოიციხავს ეპოსისათვის დამახასიათებელ ამაღლებულ ტონალობას, პოეტურ სულისკვეთებას. მთელი ფილმის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული მეტაფორული სახე და იგი ღრმა მნიშვნელობითა და აზრითაა სავსე. ეს არის ჩამოხსნილი ზარის „გაცოცხლების“ მოტივი. ფილმის პირველსავე კადრებში ვხვდებით, რომ ეს უზარმაზარი ზარი თავს დაამხეს ქართველ ბერს. შემდეგ ცეცხლი შეუნთეს მას და შიგ გამოგულდეს. ამით ჯერ მხოლოდ ისაა ნაჩვენები, რომ ქრისტიანობის ქართველი მსახურნი ისე

ეწამებოდნენ ქვეყნისათვის, როგორც ჩვეულებრივი მამულიშვილნი. ეს ძირს დაგმობილი ზარი აღარ ჩანს პირველი მსახურის ატყვრთ სერიაში და მხოლოდ მეორე ფილმში (ანუ „კინემატოგრაფიული დროის“ საუკუნუნახვერის შემდეგ) გადმოაბრუნებენ ქართველი მეომრები ამ ზარს. ამ დროს კინემატოგრაფიული შორი პლანით ვერჩვენებს გამოსახულებას: ჩვენ ვხვდებით მოშავო ფხვიერ მიწაზე გამოსახულ ჯვარს. ჩვენს წარმოსახვაში ამ წუთში უცნაური აზრი იბადება. თითქოს დამწვარი ბერის ფერფლმა, რაღაც სასწაულებრივი ძალის წყალობით ჯვარი გამოსახა: დასწევს ბერი დამზობილ ზარში, მაგრამ ვერ დასწევს მისი რწმენა, მისი სული, რომელიც თითქოს სამუდამოდ „გარდაისახა“ ჯვარად. შემდეგ კამერა უფრო ახლოს მიდის ზართან და ვხვდებით, რომ ფერფლზე ავდია ჩვეულებრივი თითბერის ჯვარი და სხვა ყველაფერი ჩვენი წამიერი წარმოსახვის შედეგი ყოფილა... ზარი მალა აიწვეს, სულს ჩაიდგამს, „გაცოცხლება“: საუკუნეობრივი მღუმარების შემდეგ პირველად ახმინდება. მასთან ერთად თითქოს ცოცხდება ბერის სულიც (რწმენა), რომელიც საუკუნის მანძილზე დაგანებული ყოფილა დამზობილი ზარის ქვეშ. აქ არა მარტო რწმენის სიმტკიცე იგულისხმება, არამედ საუკუნეთა გადაძახილიც, დაწყებული საქმის გავრცელების აუცილებლობა, განვლილი საუკუნე მომდევნოს მოქმედების უძლიერეს იმპულსებს უტოვებს...

და მართლაც, იდეის, დაწყებული საქმის მემკვიდრეობითი უწყვეტობა კარგად არის ნაჩვენები. ეს გამოხატულია არა მარტო ფილმის აზრობრივ სიღრმეებში, არამედ თვით გარეგნულ, სახიერ მომენტებში. ამ იდეამ თითქოს, გენეტიკური ძალა შეიძინა და გავრცელდა მთელს თაობებზე. პირადად მე, რეჟისორის შესანიშნავ მიგნებად მიმაჩნია ალექსანდრე მეფისა და ერეკლე მეორეს როლების შესრულება ერთი მსახიობის — თ. არჩვაძის მიერ. აქ არა მარტო გარეგნული მსგავსებაა შენარჩუნებული, არამედ სულის, აზრის ერთიანობაც. თუმცე ორივე მეფე ფილმში ამავე დროს სავსებით ინდივიდუალური გმირები არიან, ხასიათით, ქცევით თუ ტემპერამენტით. მაგრამ მაყურებელს არ სტოვებს იმის შეგრძნება, თითქოს ალექსანდრე მეფის ხატება მას მაინც ეცხადება.

ამ გრანდიოზული პანორამის ყოველი დეტალი გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით, მაგრამ ეს პირდაპირ როდია მოწოდებული, ან დელარირებული. მხოლოდ გმირთა მოქმედებაში მელაგნდება მათი პატრიოტიზმი და ასეთ დროს ისინი თითქმის არასოდეს არ მიმართავენ მალაღმარდოვან სიტყვებს, პათეტიკურ ანტის, თუმცა ფილმი, მიუხედავად ამისა, არ არის ასეთ დროს აუცილებელ პათეტიკას მოკლებული.

ფეოდალური საქართველას შინაგანი წინააღმდეგობა, შეურიგებელი კონფლიქტები თავისთავად ბადებდნენ ტრაგიკულ სიტუაციებს, როცა ერთმანეთს არა მხოლოდ სხვადასხვა სოციალური ფენები უპირისპირდებოდნენ, არამედ, როცა შვალი მამას ებრძოდა, ძმას — ძმა, თავადი — თავადს. ხშირად ეს კონფლიქტი არა მხოლოდ პარტიკულარიზმის გამოხატულება იყო, არამედ პოლიტიკური ორიენტაციის, ერის სამომავლო ცხოვრების გზის არჩევისა. ეს კარგად ჩანს, არა მხოლოდ ალექსანდრე მეფისა და კონსტანტინე მირზას შეურიგებელ, ტრაგიკულ კონფლიქტში, როცა პოლიტიკურ ორიენტაციას ამძაფრებს ხელისუფლების დაუფლების დაუოკებელი წყურვილი. არამედ ალექსანდრე მეფის მემკვიდრეების — გიორგისა (მსახიობი ე. გიორგობიანი) და დავითის (მსახიობი ქ. მარდაშვილი) წინააღმდეგობანი, რომელიც თავისუფალი ადამიანის ქვენა

გრძნობებისაგან, რადგან იგი საეკლესიო, პოზიციათა გარკვეულობით და აბსოლუტური პოლარულობით.

ორივეს პოზიცია, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ზნეობრივად სწორია. ორივე გმირი თავისი ზნეობრივი ადელის დამკვიდრებასავე მიისწრაფის, და რამდენადაც ეს ზნეობრივი იდეალები ერთმანეთს გამოირიცხავენ, კონფლიქტი ტრაგიკულ ფინალში კპოვებს დასასრულს. უფლისწულ დავითს სჯერა, რომ საქართველოს ხსნა აღმოსავლეთის ორ გიგანტურ სახელმწიფოსთან მეგობრობაშია, რომ ხალხს მოსვენება სჭირდება, ქვეყანას — მშვიდობა და მოვლა-პატრონობა. უფლისწული დავითი აშკარად უპირისპირდება მამამისის, მეფე ალექსანდრეს პოზიციას, რომელიც დასავლეთისაკენ მკვეთრ ორიენტაციაში გამოიხატებოდა. უპირისპირდებოდა მამამისს, მაგრამ მამამისის მოლაპტე არ იყო. სხვა პოლიტიკურ კურსს ადგა, მაგრამ სამშობლოს მოლაპტე არ იყო.

მთელი სიმძაფრე იმაშია, რომ თვით შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ, ობიექტურმა სინამდვილემ აქცია დავითი ერისა და მამის მოლაპტედ. იგი უეჭველად ტრაგიკული პიროვნებაა, რადგან თავისი სუბიექტური სიმართლე სწამს (მაშინ როცა ეს არ არის ობიექტური სიმართლე) და მისი დამკვიდრებისათვის იბრძვის. ამიტომ, რომ ფილმში ალექსანდრე მეფის, გიორგი უფლისწულის, ერ-

კადრი ფილმიდან





თის მხრივ, და დავით ალექსანდრის ძის, მეორეს მხრივ, დაპირისპირება ასეთ მძაფრ ელერადობას იძენს.

საუკუნენახევრის შემდეგ ისტორია იმეორებს ამ ნაცნობ სიუჟეტს, რომელსაც, მართალია, ტრაგიკულს ვერ ვუწოდებთ, სამაგიეროდ, მას არ აკლია დრამატული სიმძაფრე — მხედველობაში მაქვს ფილმის პერსონაჟების მეფე ერეკლესა და ალექსანდრე მილახვარის შეუროგებელი წინააღმდეგობა. იგი ტრაგედიაში არ გადაიზარდა, რადგან ამისათვის აუცილებელია საკუთარი ზნეობრივი და პოლიტიკური პოზიციის დამკვიდრებისათვის ბრძოლა და არა იმ პოზიციის თუ იდეალის დეკლარირება (ამილახვარი). ვიმეორებ, ამ დაპირისპირებას უშუალო ტრაგიკული ფინალი არ მოჰყოლია, მაგრამ პოლიტიკური სცენის სხვა, მეორე გმირი შეიწირა. ეს ვახლავთ ერეკლეს ვაჟი — ლევან ბატონიშვილი (მსახიობი გ. ბურჯანიძე), რომლის გლოვა-დატირება ჰუმანიტური სიდიადითა და უბედურებითაა გადმოცემული.

ვფიქრობ, რომ ქართულ კინემატოგრაფს, რომელსაც არც კოსტუმირებული და მაინც-დამაინც არც ისტორიულ სიუჟეტებზე აგებული ფილმების შექმნის ტრადიცია აქვს (ცხადია, ამ ტრადიციას ორიოდ კინოფილმი ვერ შექმნიდა), ამ სურათმა ე. წ. „სუპერფილმის“ გამოცდილება შესძინა, მასთან დაკავშირებული მთელი კომპონენტებით; დაიხატა და შეიქმნა ასობით კოსტუმი („სამეფლის“ და ვეკუაფურების ესკიზების მიხედვით). აიგო მრავალი ინტერიერი, დარბაზი თუ სახლი (მხატვარი კ. ხუციშვილი), აღიჭურვა და შეიმოსა უამრავი მოქმედი პირი და მთელი ლაშქრები, გაიმართა რამდენიმე ბატალური თუ სახალხო სცენა, ქვეითი მეომრების თუ მხედრების, ხალხის, მეფეების, მხედართუფროსების მონაწილეობით, დამზღვდა ათასობით რეკვიზიტი, ბუტაფორული საგნები, იარაღები, საჭურაველი, სამკაულები, შეიქმნა ყოფის უამრავი რეალია და ბოლოს გადაღების გეოგრაფიამ მოიკცა რამდენიმე ათასი კილომეტრის მასშტაბი. ცხადია, ამ დროს ფილმის ავტორები უამრავ სიძნელეს წააწყდნენ — როგორც ორგანიზაციულს, ასევე შემოქმედებითს. ყოველ შემთხვევაში, ეს ფილმი იმის რწმენასაც გვიწერავს, რომ ქართველ კინემატოგრაფისტებს შესწევთ ნებისმიერი მასშტაბის ფილმის გადაღებას უნარი და ნი-

ჭი. რასაკვირველია, ფილმში, რომელიც თითქმის შვიდ საათს გრძელდება, არ შეიძლება არ იყოს მხატვრულად სუსტი ეპიზოდები: ბატალურ სცენებს მაინც ეტყობა ბუტაფორულობა, ერთგვარი ხელოვნურობა და შტამპიკი კი, ზოგჯერ აშკარაა „დადგმოით“, „დაყენებული“ მიზანსცენები, რეპლიკების თეატრალური განაწილება მოქმედ პირთა შორის (როცა ისინი რიგრიგობით, დარიგებულოვით ლაპარაკობენ), ზოგჯერ მოქმედ პირებს აკლიათ კინემატოგრაფიული ბუნებრიობა, ზოგიერთი კადრი თავისი სტილისტიკით და ტონალობით ძალზე უცხო სხეულად, ვიტყვოდი, პაროდიულად მოჩანს (განსაკუთრებით მსახიობი ა. ხიდაშვილის კონსტანტინე მირზა და მასთან დაკავშირებული მთელი სიუჟეტური ხაზის პლასტიკური გამოსახვა), ზოგიერთი ე. წ. სათავგადასავლო ეპიზოდით ხედმეტიც მეჩვენა, მაგრამ, ვიმეორებ, დაწლებულია ამ დიდი მასშტაბის ისტორიული ტილოს შექმნის წარმოუდგენელი სირთულე და მიღწეულია უმთავრესი: ფილმი თავისი შინაგანი არსით მართალია, არადებული როგორც ზნეობრივ, ასევე პოლიტიკურ კონიუნქტურას. მე, სრულიად არ ვიზიარებ ჩვენს კინემატოგრაფიულ (ნაწილობრივ თეატრალურ) წრეებში გავრცელებულ მოსახურებას ფილმის არაკინემატოგრაფიულობის გამო, თითქოსდა მასში სპარბოზს თეატრალური ესთეტიკის ელემენტები, რომ იგი მოკლებულია მოქმედების დინამიზმს. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლევა მთავარი გმირების სწორი პორტრეტული ჩვენება, მოქმედების საფუძვლიანი განვითარება.

მასსოვს, „დათა თუთაშხიას“ კნო-სერიალის გამოც გაისმოდა ამგვარი ხმები, არაკინემატოგრაფიულიაო, მისი კნოსტილისტიკა სიახლით არ გამოირჩევაო. პირადად მე გულწრფელად ვუსურვებდი ასეთ საყოველთაო წარმატებას თვით ყველაზე კინემატოგრაფიულ ქართულ ფილმს. მეორეც, ყოველი ლიტერატურული მასალა გამოსახვის თავის ხერხებს მოითხოვს, შინაგანი არსით, სტრუქტურით განპირობებულს. აუცილებელია თვით შემოქმედის ხედვითი თავისებურების გათვალისწინება. ყოველივე ამისგან მოწყვეტილად არ არსებობს არც კინოს გამომსახველი საშუალებანი და არც საერთოდ კინოსტილისტიკა.

გ. ლორთქიფანიძე ზუსტად გრძნობს ქან-

რის ჯუნებას, ლიტერატურული ნაწარმოებ-
სათვის შესატყვის ფორმას. რეჟისორის
უტყუარი შემოქმედებითი ალღოს დადასტუ-
რებაა თუნდაც ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა
მიხედვით შექმნილი მასი დადგმები, რამაც
განპირობა მწერლის გმირების ხელახალი
ცხოვრება სულ სხვა სივრცეში და განზომი-
ლებითაა.

თუ დავაკვირდებით „წიგნი ფიცის“ სტი-
ლისტიკა, რასაკვირველია, ა. სალუქვაძის სცე-
ნარის თვისებების სრულა გთვალისწინე-
ბით, ბუნებრივად აგრძელებს „დათა თუთაშ-
ხას“ ეკრანიზაციის დროს შექმნილ გამომ-
სახველობითი ხერხების მთელ სისტემას.
აქაც ე. წ. შენელებულ, ზოგჯერ „გაჩერე-
ბულ“ კადრებს ენაცვლება მოქმედებითა და
დინამიზით სავსე კადრები, აქაც, საფუძვლი-
ანადაა გადმოცემული ამბის განვითარება. გ.
ლორთქიფანიძე, როგორც ვთქვი, ეპიკური
ჟანრის კინემატოგრაფს ქმნის და ამ დროს
იგი მიმართავს ამ ჟანრისათვის ბუნებრივ
ხერხებს — შენელებას, ამბავის ფუნდამენ-
ტურ გადმოცემას, ვრცელ დიალოგებს,
მსჯელობას. ასეთ დროს შინაგანი აუცილებ-
ლობით არის განპირობებული მთავარი გმი-
რების სახის გამომეტყველების „ახლოს მო-
წვევა“, მათი ე. წ. „მსხვილი პლანი“ ჩვე-
ნება. აქ, ასეთ კადრებში მიმდინარეობს დი-
დი, დაძაბული ბრძოლა გმირებს შორის, ეს
არის არა იმდენად ხასიათების („წიგნი ფიცის“
), არამედნადა იდეების დაპირისპირება. ორი
განსხვავებული ხეობრივი, პოლიტიკური,
იდეურა პოზიცია ეჯახება ერთმანეთს. თვი-
თეული ეს პოზიცია ასევე ზოგად მომენტსაც
შეიცავს, რადგან იგი ერთი პიროვნების რწმე-
ნას კი არ გამოხატავს მხოლოდ, არამედ გარკ-
ვეული საზოგადოებრივი განწყობილების და
სოციალური ფენების ირგვლივ შექმნილ ვითა-
რებასაც. უნდა გადაწყდეს საკითხი, რომელიც
უნება ერთს ყოფნა-არყოფნას, მის არსებო-
ბას ისტორიის სივრცეში. ცხოვრების ასეთი
უწინშეწველოვანესი მომენტები გ. ლორთქი-
ფანიძეს წინა პლანზე გამოაქვს. სურს მაქსი-
მალურა სისავით მიაწოდოს მაყურებელს
როგორც დაპირისპირებულ იდეათა მთელი
არსი, ისე ამ იდეებისაგან, ამ რწმენისაგან
აღძრული განცდები, რომლებიც თავის კვალს
სტოვებენ გმირთა სახეებზე. ამგვარად, რე-
ჟისორის ალელეებს უმთავრესი — რაც შე-
იძლება ღრმად ჩაითრიოს მაყურებელი დაპი-

რისპირებულ იდეათა და ხასიათთა მოთქმე-
ში, აქციოს იგი ამ დაძაბულა პოლემიკის მო-
ნაწილედ. და ამ დროს იგი სრულად დასაბუ-
ნდება სწუხს მიზანზე, კინემატოგრაფიულია თუ თეა-
ტრალური მისი ხერხები! იგი შეგნებულად
ირჩევს გამოსახვის ამგვარ ფორმას. თუ
სათქმელი სრულად არის თქმული, თუ იგი
ალელეებს და აფიქრებს მაყურებელს, თუ
იგი მხატვრულად დამაჯერებელია, მაშასადა-
მე, მიზანი მიღწეულია, ამიტომაც არის ეს
ფილმი განრიდებული ყოველგვარ ესთეტი-
ზაციას. მოქმედების სადად გადმოცემა,
სრულიადაც არ ნიშნავს რაიმე გაუბრალოე-
ბას, გაშიშვლებას. პირიქით, აქ მრავალი კომ-
პონენტია გამოყენებული, და ყოველი მათ-
განი თავის ადგილზეა: ზუსტად არის შერჩე-
ული მოქმედების ადგილი, ყოველთვის ბუნ-
ნებრივია ის სივრცე, სადაც გმირები მოქმე-
დებენ, სწორედ იქ გაისმის ბ. კვერანძის მუ-
სიკა, სადაც ეს აუცილებელია (არა ფონისა-
თვის, არამედ დრამატიზმის გადმოცემისათ-
ვის) და იმდენხანს, რამდენიც საჭიროა. აქ
უბრალო სინქრონულობასთან არა გვაქვს
საქმე. ეს მუსიკა, ეპიზოდის „სულია“ და ბ.
კვერანძე „უსიმენს“ ამ სულის მოძრაობას.
შესანიშნავად იცის, რომელ ეპიზოდს გაამ-
ჯღრებს ადამიანის ხმა, რომელს — ერთი
რამელიმ ინსტრუმენტის მიერ გადმოცემუ-
ლი მელოდია, რომელს — მთელი ორკესტრი.
გავიხსენოთ თუნდაც „ზარის თემა“, რომელ-
საც მოთქმის გაბმული ხმით გადმოსცემს შე-
სანიშნავი მომღერალი ჰ. გონაშვილი, ანდა —
ჩონგურზე ჩამოკრული უბრალო მელო-
დია, სადაც შავი ჭირისაგან სასიკვდილოდ
განწირული ადამიანის გლოვა ისმის; უფ-
ლისწული კონსტანტინეს ირანისაკენ მგზავ-
რობის დროს დარხეული ხმები, რომლებიც
სამშობლოს განცდასთან არის დაკავშირე-
ბული და იგივე ხმები, რომლებიც, უკვე ოდ-
ნავ სახეცვლილი აღსდგებიან უკვე ჭაბუკი
კონსტანტინეს, შაჰის კარზე აღზრდილი ჭა-
ბუკის მესხიერებაში და ბალოს „ტოტლე-
ბენის მარში“ — სავსე ფუყე სიდიადით და
გვირგვინით.

ასევე ზუსტია მხატვარ კ. ხუციშვილის
მიერ შერჩეული ნატურა თუ მოქმედების
ნებისმიერი ადგილი. განსაკუთრებით რთული
იყო ქართველ მეფეთა და დიდებულთა სა-
სახლეების თუ საცხოვრებლების ინტერიე-
რების შექმნა. ჩვენს საერო არქიტექტურაზე



კადრი ფილმიდან

მხოლოდ მცირე რეალები და რამოდენიმე ჩანახატი თუ არსებობს. თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია უწიოდა სამხედრო, სასულიერო თუ საერისკაცო ცხოვრების დეტალების, ტერმინების, სახელწოდებების უქმარობას ჩვენს ქრონიკებში თუ „ქართლის ცხოვრებაში“. ფილმის ავტორებს ფაქტიურად ახალი ისტორიულ-მატერიალური გარემოს შექმნა მოუწიათ. ჩვენ არ ვიცით როგორი იყო მეფეების სამუშაო, საძინებელი, სასტუმრო თუ სხვა დანიშნულების ოთახები, არ ვიცით როგორი იყო იქ განლაგებული რეკვიზიტი. მხატვარმა ტაქტიკა და გემოვნებით შექმნა ყოველივე ეს და ზეენ მათს ისტორიულ ნამდვილობაში ეჭვი არ გვეპარება. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს გმირთა მოქმედების ბუნებრივი გარემო. მისი კოლორიტი. დააკვირდით, რა შესანიშნავია მთის კლდეან თხემზე ამოკრილი ქვაბულების კონტურები, როგორ მოგვაგონებს იგი ქართული არქიტექტურის ყველაზე დამახასიათებელ დეტალებს, რა მშვენიერ ადგილზე დგას ხვარამზეს ქოხი, რომელიც ლანდშაფტის კომპოზიციას აგვირგვინებს. აქაც ძველი ქართველი ხუროთმოძღვრების თვალი ჩანს. ასეთ გარემოში კინოკამერა ბუნებრივად მოძრაობს და საერთო სივრცისა და პერსპექტივის აბსოლუტურ შეგრძნებას ბადებს... „სამეფლის“ კონტუმებიც სისადავითა და სიზუსტით გამოირ-

ჩევიან. განსაკუთრებით კარგად გრძნობენ მხატვრები ფერების გამას, მათ კონტრასტს და კოლორიტის მთლიანობას. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ამ თვალსაზრისით რუსი და ქართველი მხედრების შეხვედრის დროს კონტუმების ფერების ერთმანეთში „შეჭრა“. როცა ეს აუცილებელია, მხატვრებს კონტუმების ერთფეროვანებაში მოულოდნელად შეაჩვთ მკლერი ფერი, რომელიც საერთო ფონს აცოცხლებს.

ამ ფილმის თვალსაჩინო ღირსებაა მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლი. თუ უამრავ ეპიზოდურ როლს არ ჩავაგლით, ფილმის ხუთ სერიაში ორმოცდაათზე მეტი მნიშვნელოვანი როლია, რომელსაც გარკვეული ფუნქცია აკისრია სიუჟეტის განვითარებაში.

გ. ლორთქიფანიძის ნიჟის ერთი თვისება ისიცაა (აღარას ვამბობ შემოქმედებითი ჯგუფის შერჩევაზე და ურთულესი ტექნიკური ორგანიზაციული სიმძლეების დაძლევაზე), რომ იგი ზუსტად გრძნობს მსახიობის შესაძლებლობებს, მის თავისებურებებს. გარდა ინტუიციისა, აქ დიდ როლს თამაშობს დიდი გამოცდილება და მსახიობ-როლის ნიუანსების ანალიტიკური წვდომის ნიჟიც. ქართველ მსახიობთა მთელ თაობებს კარგად იცნობს რეჟისორი და არ გვეკვირს ამ სამყაროში მისი სწორი ორიენტაციისა, საოცარი ისაა, რომ „გარედან“ მოწვეული მსახიობ-

ბი ასე ზედმიწევნით მიესადაგნენ თავიანთ როლებს.

პირველ რიგში დავასახელებდი ა. პეტრენკოსა და სოს სარქისიანს.

ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანა, რასაკვირველია, თ. არჩვაძის წინაშე იდგა. ალექსანდრე მეფე ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. მის გამჭირვალე გონებას და სიმამაცეს დიდი გამოცდა მოუწყო ბედისწერამ თუ ისტორიამ. თ. არჩვაძე გვიჩვენებს ალექსანდრეს შინაგან სიმტკიცეს, დიდ სულიერ მხნეობას. თვით ყველაზე მძიმე წუთებშიაც კი მას არ სტოვებს ქვეყნის პირველი კაცისათვის შესაფერი თავდაპყრილობა, ემოციების ალაგმვის უნარი. ერისკაცობა უპირველესად თავგანწირვაა, პიროვნული სისუსტეების ჩახშობა. მხოლოდ წამიერად გადაივლის ხოლმე მსახიობის სახეზე მწუხარების ჩრდილი და ენით უთქმელი ტკივილისაგან გამოწვეული მკვლევარება. ჩვენ ამ დროს ვგრძნობთ თუ რა ჯოჯობეთის ალი სწევას მთელს მის შინაგან არსებას, რა ძალის ფასად უჯდება თავშეკავება. შეუძლებელია აღელვების გარეშე უცქირო მსახიობის თვალბში არეკილ გრძობათა იმ გამას, როცა იგი შესცქერის საკურთხევლის წინ დამდგარ მცირეწლოვან უფლისწულებს, რომელთაგან ერთი, კონსტანტინე, სამძევლოდაა განწირული. ანდა ის კადრები, როცა იგი თანაგრძობისგან

მთლად გაქვავებული ქართველ ^{კაპიტალი} წაყვეთილ თავებს დაჰყურებს. მხოლოდ ალენაე გაბზარული ხმა თუ ამხელს მის მწუხარებას. მან თავის თავს ყოველი გრძობის გამხელის საშუალება მოუსპო, მაგრამ მსახიობი მოუხელებელი ნიუანსებით გვაგრძნობინებს თავისი გმირის სიყვარულს შვილებისადმი, მოყვასისადმი. ფილმის ავტორები არ ერიდებიან იმის ჩვენებას, რომ ქვეყნის მმართველი პიროვნულად ხშირად უფრო უბედური და გაუხარელია, ვიდრე ტრაგიკულ განსაცდელში ჩაგარდნილი მისი ქვეშევრდომი. რასაკვირველია, საქართველო ხალხმა, გლეხობამ შეინარჩუნა, მაგრამ ალექსანდრეს მსგავსი პიროვნების თავდადება რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი სულისკვეთების გამომუშავება. ალექსანდრეს ტრაგედია ამავ დროს ხალხის ტრაგედიაცაა და პირუტყუ. ასეა გადაკუდობილი პიროვნებისა და ხალხის ბედი ამ ფილმში. ფილმის მსგელობის მანძილზე ალექსანდრე ჩვენს თვალწინ იცვლება. მის სახეს ღრმა ნაოჭები ფარავს, მისი გამომეტყველება უფრო პირქუში ხდება, ვგრძნობთ, რომ მხოლოდ უკანასკნელი, თითქმის დაშრეტილი ძალების მობილიზაციით დგას ფეხზე. საოცარია, როგორ შეიძლება, რომ ბედმაც და მტერმაც მხოლოდ ერთი კაცისათვის მოიცალოს. ალექსანდრე ინარჩუნებს ვაკეკატურ იერს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ახლოა აღსასრულიც.

კადრი ფილმიდან





შესანიშნავია განდგომილი, ბერად შემდგარი ალექსანდრეს ყოფის ამსახველი კადრები. ცხოვრების ქარიშხლებისაგან თითქოსდა დასვენებული ალექსანდრეს სახეს ტრაგიკული ნიღაბი ჩამოსცილება, მისი სახის მკაცრი ხაზები თითქოს დარბილებულან — ახლა იგი ღრმად მისცემია სულის ჩხრეკვას, კეშმარიტებაზე ფიქრს. ამ ფიქრს დაუწყენდია მისი სახე. მაგრამ არა იმდენად, რომ მასში ქვეყნის ბედზე მზრუნველი კარისკაცის ტანჯვა არ ამოვიკითხოთ. ეს უბრალო ბერი, რომელიც ფეხშიშველი დააბიჯებს ქვის იატაკზე, დიდებულია თავისი უბრალოებით და სულიერი აზოვანებით. მის სიმარტოვეში ქართველი მარტოვლების საერთო ბედი იკითხება. საკუთარი თავში ჩაღრმავებას, სულის სიწმინდისათვის ზრუნვას მწუხარე კეთილშობილებით შეუმოსავს მისი სახე. მაგრამ დგება მომენტი, როცა ქრისტიანული სიწმინდისა და ქვეყნის მერმისისათვის ფიქრი აიძულებს კვლავ აიღოს ხელში მახვილი, ბერის შავი ანაფორა ისევ სარდლის სამოსელით შესცვალოს. ამ დროს თ. არჩვაძის ალექსანდრე მესიანური იერით დამშვენებულ რაინდს ჰგავს. საშინელი სიკვდილით კვდება მეფე ალექსანდრეს, საკუთარი შვილი — კონსტანტინე მირზა მუცელში აძვრებს მახვილს. თ. არჩვაძის თვალეში არც ვაოცება იკითხება და არც სამდურავი: თითქოს ეს სასტიკი ბედის კაცი სხვაანირად არც უნდა მომკვდარიყო. ტრაგიკულ პიროვნებებს ცხოვრება სულისმოთქმის საშუალებას არ აძლევს, შეღავათი აქ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ წინა უბედურება მომდევნოზე შედარებით ნაკლებად საშინელი იყოს. მეფე ალექსანდრეს ცხოვრების ფინალი, როგორც ყველაზე დიდი ტრაგედია, ავგირგვირებს ტრაგიკულ განცდათა მთელ ჯაჭვს, ჰკრავს და ასრულებს მას.

როგორც ვთქვით, მომდევნო სერიებში ერეკლე მეფის როლსაც თ. არჩვაძე ასრულებს. ალექსანდრესაგან მკვეთრად განსხვავებული პორტრეტის შექმნა არ დაუსახავს მიზნად მსახიობს. მისი მთავარი ამოცანაა ერეკლეს ხასიათის მთლიანობის, მისი მიზანსწრაფული ბუნების ჩვენება, აშკარად იგრძნობა, რომ ერეკლე მეფის ყოველ მოქმედებას ქვეყნის მთელი ისტორიული გამოცდილება უდევს საფუძვლად. ფილმის ავტორები არ ცდილობენ ქართველი ხალხისა-

თვის ეგზომ საყვარელი მეფის თვისებების იდეალიზაციას. ეკრანზე ვხვდებით მხოლოდ ზოგჯერ სასტიკ პოლიტიკოსს, რომელიც შეუპოვრად მიიწევს მიზნისაკენ. იგი ამისათვის არც მსხვერპლს ერიდება და არც მოწინააღმდეგეთა დასჯას. აქ იგი შეუვალაია, რადგან ღრმად სწამს არჩეული გზის სისწორე. ბევრჯერ გაწილდა, მრავალგზის მოეცარა ხელი. მაგრამ ამას მისი სიმტკიცე არ შეუღალავს. მთელი ამ სერიის საუკეთესო კადრია ერეკლე მეფისა და ტოტლებენის შეხვედრა. აქ თ. არჩვაძე გმირის განწყობილების, მისი დრამატული ვანცდების სრულქმნილ გამოხატვას აღწევს. ერეკლე მზადაა თავისი მავთული ღირსება დასთმოს, ოღონდ ქვეყანა შევდისწერო განსაძღვლს აარიდოს ან ტოტლებენს ხელი ააღებინოს რუსეთის არმიის უკან გაბრუნებაზე. რა არ იხატება ამ დროს მსახიობის სახეზე — შირისხანება, შეზავებული თხოვნასთან, ზიზლი ამ მხდელი გენერლის მიმართ, წუხილი იმის გამო, რომ თავს იმცირებს, სურვილი იმისა, რომ დაიყოლიოს გენერალი, ხმაში, რომელსაც ბზარი ეპარება, მუქარა და ვედრება ერთდროულად ისმის. ყველაფერი უკიდურეს ზღვრამდეა მისული, საცაა უნდა გაწყდეს მოთმინების ძაფი, მაგრამ აი, აქ იკავება თავს მეფე, რა-თა თავისი შირისხანებით საჭმე არ წააჩინოს. ამ დროს მეფის სხეული მთლად დამაბულია, მაგრამ ვგრძნობთ, როგორ იბრძვის მის ასეუბაში ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები, როგორ ფეთქდებიან და ისევ ქრებიან მოქმედების იმპულსები.

ხალხური უბრალოების, ძალის, მისი დაუდგრომელი მებრძოლი სულის და გონიერების გამოხმატველთა ზ. ქაფიანიძის — პაპაი. ეს შესანიშნავი კინომსახიობი, რომელმაც უკვე მრავალი საგულისხმო სახე შექმნა ქართულ კინემატოგრაფიაში, ახლა თავისი შემოქმედებითი ძალები სრულ გაფურჩქნას განიცდის. ეს როლი საუკეთესოა მის ბოგრაფიაში. მთელის არსებით პაპაი მიწინაა ამოზრდილი, ხალხის შვილია, რთული და ტრაგიკული პიროვნებაა. მის ყოველ მოქმედებაში ბუნების ძალები ავლენენ თავს. მისი გამოუთქმელი, უსიტყუო გლოვა დაღუპული შვილების გამო, გამოაგნებელია. სასიკვდილოდ დაპირილი ლომივით წევს იგი ბნელ ქოხში და მის ცრემლით სავსე თვალეში უსაზღვრო მწუხარებაა გამოვლენილი. ამ



წაქეულ ვაჟაკში იგრძნობა ტრაგიკული გმირის სიდიადე. მის განმარტოებაში არის ბედისწერასთან შეურიგებელი ანტიკური გმირების მშვენიერება. ისევე, როგორც თვით საშინელი კატაკლიზმების დროსაც კი არ შეიძლება მოკვდეს ბუნება, ისე არ შეიძლება პაპის არსებაში საბოლოოდ დამორჩილს სასიკაცხოლო ძალები და ამ შავი მწუხარების სარეცელიდან წამომდგარი გმირის მოქმედებაში ჩვენ ვგრძნობთ, რომ არის ძალა, რომელიც ყველაზე დიდ მწუხარებასაც სძლევა — ეს არის სამშობლოსადმი სიყვარული.

არის ანალოგია განდგომილი, მონასტრის ცივ კედლებს შეფარებული ალექსანდრე მეფესა და ბნელ ქოხში შეკეტილი პაპის მწუხარებას შორის: ერთის მხრივ მეფისა და მეორეს მხრივ ხალხის ყველაზე ღირსეული შვილის ტრაგედია ურთიერთსაა გადაჭრადი. ისინი თანაბრად იზიარებენ ქვეყნის იავარქმნისაგან წარმოქმნილ უბედურებას, მათ თანაბრად ეხებათ ცხოვრების თვით ყველაზე მოულოდნელი შემობრუნებისაგან წარმოქმნილი ჭირ-ვარამი.

ამგვარადაა ნაჩვენები ფილმში ხალხის წილში შობილი გმირის სიდიადე; მას ჰკლავენ და ვერ მოუკლავთ, მას სტანჯავენ, მოუშუშებელ კრილობებს აყენებენ, მაგრამ იგი ყველაფერს სძლევა — ერევა როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის ჭირ-ვარამს. ასეა წარმოდგენილი ხალხის — ფილმის ამ მთავარი გმირის — მარადიული ლტოლვა თავისუფლებისა და თავისთავადობისაკენ: მას დაუქციეს სახლ-კარი, აუჭრეს ვაზი, მოსტაცეს მარჩენალი საქონელი, დაუშხეს სალოცავეები, ტყვედ წაასხეს მისი ულამაზესი შვილები — ის კი მაინც დგას — შრომობს, აშენებს, ქმნის მატერიალურ და სულიერ კულტურას. როგორც ვთქვით, ფილმში ნაჩვენებია საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტები, რომელიც ჩვენს მიერ განიცდება, როგორც ესთეტიკური, ასევე პატრიოტული ფენომენი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ულამაზესი ქვეყანა ასევე ლამაზი და ვაჟაკური ხალხითაა დასახლებული. ფილმში უარყოფილია ე. წ. „ტიპაის“ პრინციპი, რომლის მიმდევარი ებრძვიან ქართული სახეების ესთეტიზაციას და ხშირად უკიდურესობაში ვარდებიან: გვიჩვენებენ მკვეთრად გამოხატულ, ხშირად ულამაზო, მაგრამ მეტყველ სახეებს. გ. ლორთქიფანიძემ დაგვიმო-

ტყიყა, რომ, თურმე, შეიძლება აჩვენოთ თველი ვაჟაკების და ქალწულგაზაფხულის გარეგნული მომხიბვლელობა, ფიზიკური და სულიერი სილამაზის პარამონია ისე, რომ ყალბ „დაშაქრულ ესთეტიკას“ ვანიერიდო. ეს მომენტი ღრმა აზრის შემცველია — განადგურება და იავარქმნა ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს მშვენიერ, გასულდგმულბულ ქვეყანას, არამედ ასევე მშვენიერ ხალხს. არ შეიძლება ამის შემყურეს ტკივილებისგან სული არ შეგებუთოს და ამავე დროს სიამაყით არ აივსო იმის გამო, რომ ხედავ შენს მშობელ ერს — დაუძლეველს, მხნეს, მუდამ მშრომელსა და მებრძოლს. დაუჯივრდით: მთელი ფინალის მანძილზე ფილმის ავტორები არ იღიმიებიან და მათი გმირების სახეზე სიცილი არ გადაივლის (გამონაკლისია, მხოლოდ მეფე ერეკლე-სა და ხუდაის შეხვედრის ეპიზოდი). მართალია, იუმორი ყოველთვის იყო ქართველი ხალხის მხსნელი კრისტალი და თავდატეხილი განსაცდელბიდან ხშირად იუმორის, ხალხის წყალობით იხსნიდა თავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საბედისწერო ყაპია ნაჩვენები. ყველაფერი იმ ზომამდეა დაძაბული, რომ არავინ არ აძლევს თავს უფლებას იუმორით შეიმსუბუქოს მდგომარეობა, სული მოითქვას.

ცხადია, ფილმის ერთ-ერთი ძირითადი თემაა ხალხთა მეგობრობა, მათი ურთიერთკავშირი. ეს კარგადაა ნაჩვენები უბრალო ადამიანების ურთიერთობაში.

არსებითი მომენტია რუს ხალხთან მეგობრობა, ამ დიდ ერთან ერთიანობის იდეა. მაგრამ ფილმის ავტორებს არ ავიწყლებათ ისიც, რომ რაც უნდა იზოლირებული ყოფილიყო საქართველო, თუნდაც მარტო დარჩენილიყო ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში, მას ყოველთვის თანაუგრძობდნენ მეზობელი სომეხი ხალხის შვილები, მასთან იყვნენ ჩერქეზები, ოსები და სხვა მცირე ერები. ეს იყო არა მხოლოდ ოდესღაც ძლიერი საქართველოსკენ იმანენტური ლტოლვის ინერცია, არამედ შინაგანი აუცილებლობაც, რადგან საქართველოს ბედზე ხშირად სხვა ერების ბედიც ეკიდა. ამიტომაც, ბუნებრივად შემოდის ფილმის სამყაროში სომეხი მოვსესი, ჩერქეზი ყურმიტი (მსახიობი ლ. ფილფანი), ლეკი მუსაბეკი, რომლებმაც თავისი ცხოვრება საქართველოს ბრძოლებთან



დააკავშირეს. ქართველი კაცის ტოლერანტული ბუნება თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ფილმში არსად არ იგრძნობა უცხო რელიგიის წრეგადასული შეურაცხყოფა. ავტორები უმეტესად აღადგენენ ისტორიის ატმოსფეროს და არა უშუალოდ თვით ისტორიას. ისევე როგორც ქართველის შეგნებაში ქრისტიანობა გაიგივებული იყო სამშობლოს ცნებასთან, ასევე ისლამი მის თვალში განასახიერებდა ირანისა თუ ოსმალეთის ძალმომრეობას. ამიტომ, ამ ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტიურად იყო ავრეთვე ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა. სწორედ ამ თვალსაზრისით არის გამოხატული ფილმში უცხო რელიგიასთან დამოკიდებულება, ამიტომ საყვედური იმის გამო, რომ ფილმში, თითქოს, უადრესად პირქუშ ფერებშია წარმოდგენილი ისლამური რელიგია, უმართებულოდ მიმჩნია. თუ მთელი ფილმის კონტექსტს მოვწყვეტთ ამ საკითხს, შეიძლება, მართლაც ასე გვეჩვენოს, მაგრამ, ვიმეორებ, ისლამისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება, მტრის დიელოჯიისადმი ბუნებრივი დამოკიდებულების კვიტესენციაა.

ფილმში მონაწილე მსახიობთა ანსამბლის ერთ-ერთი საუკეთესო როლია ა. პეტრენკოს ტოტლებენი. ჩვენს წინა თავის თვეში უზომოდ შეყვარებული, პატივმოყვარე, საკუთარ ღირსებებში ღრმად დარწმუნებული ადამიანი. მსახიობის მიერ შექმნილი სახის ყოველი დეტალი აზრითა და მნიშვნელობითაა სავსე. თავისი პიროვნების სიმალლიდან დასცქერის იგი ბარბაროს ქართველობას. თითქოს დიდი მოწყალება გაიღო იმით, რომ საქართველოში ჩამოსულ კორპუსს უსარდალა. შეუძლებელია ამ კაცის სულის სიღრმეში შეღწევა. ყველაფერი უძღურია პატივმოყვარეობის ჭაფუნის გასარღვევად — აქ ვერ აღწევს ვერც გონიერება და ვერც ადამიანური სიკეთე. თვით უბრალო დეტალში — სანამ სასმისს შესვამს, გულმოდგინედ სწმენდს კიქას — ჩანს, რომ მას იმდენად პათოლოგიურად უყვარს სისუფთავე და საკუთარი თავი, რამდენადაც სძულს ყველაფერი ის, რაც სხვამ ხელი შეახო. ერეკლესა და ტოტლებენის ჩვენს მიერ მოხსენებული კადრების ცქერისას პირდაპირ ტკივლებისაგან გული გეკუმშება, როცა შესცქერი ერეკლეს ვედრებით სავსე სახეს და ტოტლებენის ცივ, შეუვალ, უაზრო სიამაყით გაბადრულ სახეს,

სადაც სიცოცხლის არც ერთი ნერვია არ კრთის. იმის სურვილი გიპყრობს, სწამს გეძინებაზიდან ხმა მიაწვდინო ერეკლე მეფეს — „დაანებე თავი ამ გენერალს, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ყველაფერი ამაოა მის პირისპირ. ვერ დასძლევ ამ უპიროვნობის შეუვალ კედლებს“. გინდა ხმა მიაწვდინო, რადგან ერეკლესთან ერთად შენც ღრმადა ხარ შეურაცხყოფილი. ტოტლებენის ამ ფუყე იმპოზანტურობის ფონზე უფრო რელიეფურად მოსჩანს რუსი ოფიცრების კეთილშობილური სახეები, მათი გულწრფელი სიყვარული დაჩაგრული, მუდმივ ომებში გაბმული ხალხისადმი. ეს ოფიცრები იმათი წინამორბედნი არიან, ვინც შემდგომ სენატის მოედანზე დაანთხიეს სისხლი.

მრავალი მსახიობი ამ ფილმში განსაკუთრებული სიროთულის წინაშე იდგა. არა მარტო იმიტომ, რომ ისტორიულ პიროვნებებს თამაშობენ, რადგან არსებობს როგორც შესრულების (ვთქვათ, ერეკლე მეფე, შაჰ-აბასი), ასევე ჩვენი წარმოდგენების სტერეოტიპი. ვისაც შაჰ-აბასის პორტრეტი უნახავს, დამეთანხმება, რომ შაჰარსეთის ამ გამოჩენილი და გამპირახი პოლიტიკოსის სახე—ერთგვარად გროტესკულ-კომიკურს თუ არა, ერთობ სახასიათო იერს ატარებს (გადმოქაჩული თვალები, ორივე მხარეს გაფარჩხული, უზარმაზარი უღვაშები, რომლის მსგავსს მხოლოდ თეატრალურ სამყაროში თუ შეხვდებით). აკაკი ვასაძემ „გიორგი სააკაძეში“ უპირატესად შესრულების მკვეთრად სახასიათო მანერა არჩია და თავისი დიდი ოსტატობის წყალობით შესძლო საინტერესო სახის შექმნა (თუმცა, არც მას აკლდა ერთგვარი კომიკური იერი). ამ ფილმის რეჟისურა და კაკასაძე კი სხვა გზას დაადგენ — აქ შაჰ-აბასის ყოველი ექსტი გაზომილია, გაწონასწორებული, ეგზალტაციას მოკლებული. მისი მოქმედება ფარული აზრითაა სავსე, საუბარი ქვეტექსტების შემცველია, გამოხედვა ორაზროვანია. ასეთ კაცს ალერსით შეუძელია ადამიანის დახრჩობა. ამავე დროს ჩანს მისი გონიერება, შეუპოვრობა და პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი მოქნილობა. მაინც, ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა ქეთევან დედოფლის როლის შემსრულებლის ქ. კიკნაძის წინაშე იდგა. არა იმიტომ, რომ როლი მაინც სქემატურია და ძნელია მისი ხორცშესხმა, არამედ უპირატესად, იმის გა-

მო, რომ დღევანდელმა მაყურებელმა კარგად იცის, ვინ იყო ქეთევანი, რა ტრაგედია გადახდა თავს, როგორ ეწამა, იცის, თუ რისთვის შერაცხა „ქეთევან წამებული“ ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა შორის. ბუნებრივია, ყოველივე ამის ცოდნა განაპირობებს მაყურებლის თავისებურ ფსიქოლოგიურ განწყობას. იგი ელის დიდ ტრაგიკულ განცდებს, გრძნობის, რწმენის მძაფრ კულმინაციებს. მაგრამ ფილმის ავტორებს და როლის შემსრულებელს არ ღალატობთ ზომიერების გრძნობა — მათ იციან, რომ ფილმს ქმნიან მთლიანად საქართველოს დრამატულ ცხოვრებაზე, სადაც ცალკეული გმირის (თუნდაც ისტორიულად ყველაზე ნებისყოფიანისა და უბედურის) ცხოვრება მხოლოდ ეპიზოდია. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ ტაქტიკითა და თავშეკავებით შესრულებულ როლს, უეჭველი შინაგანი ღირსებებით სავსეს. მე მაინც გამოყოფდი ქეთევან დედოფლის საუბარს ისლამ ყული-ხანთან, სადაც იგი ყოველგვარი გარეგნული პათეტიკის გარეშე წარმოსთქვამს ფრაზას ქრისტიანობისა და სამშობლოს ცნების ერთგვარობაზე და წარმოსთქვამს იმგვარად, რომ ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება მის გულწრფელობაში და იმ სიმტკიცეში, რომელიც შემდეგ მან წამების დროს გამოიჩინა. ჩვენს წინაშე ღვთისმოსავი დედოფალი კი არ არის ამ წუთში, არამედ ქვეყნის პირველი ქალი, რომელსაც მთელი ქართველობა შესცქერის.

მოუხედავად როლის სიმცირისა, ო. მეღვინეთხუცესმა შექმნა შაჰის უპირველესი კარისკაცის ისლამ ყული-ხანის, წარმოშობით ქართველის, დასრულებული პორტრეტი. დიდი ძალა და გონიერება იგრძნობა ამ კაცში. საკუთარი ღირსებისა და დამსახურების შეგრძნება მას მნიშვნელოვან ფიგურად აქცევს. შესანიშნავია ქეთევანთან დამოკიდებულების ე. წ. მეორე პლანი. მომხიბლავი თავანთანობის და ერთგვარი ოფიციალურობის მიღმა შეიცნობა მისი თანაგრძობა ქეთევან დედოფლის მიმართ. არსად ეს მკვეთრად არ არის გამოვლენილი, ყველაფერს ამას ქმნის ნიუანსი, მოზომილი ჟესტი, გამოხედვა. თუმცა მისთვის, რომელიც გონიერებას უმორჩილებს ყოველივეს, გაუგებარია ქეთევანის „უგონო“ საქციელი, ლოგიკას მოკლებული უკომპრომისობა, სულის სიღრმეებში მაინც იღვიძებს ალტაცების მაგვარი გრძნობა.

შეუძლებელია ფილმში მონაწილე ყველა მსახიობის თამაშის ანალიზი, მაგრამ აქ შევნიშნავთ მხოლოდ არ მოვიხსენიო ლ. ბაღვაშიძის ხვარამზე, მომხიბლავი უბრალოებითა და ბუნებრივობით შესრულებული. ამ როლში ერთდროულად ცოცხლობს ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი ძალა და სირბილე, უშუალობა და სინაზე; გ. გეგეჭკორის ანტონ კათალიკოსი — გონიერების, განსწავლულობის და ქრისტიანული სათნოების განსახიერება; ზ. ყიფშიძის მუდამ შემართული, ნერვულად დაძაბული, ფეთქებადი, თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული ალექსანდრე ამილახვარი, ს. სარქიანიანის მოცესი — ჭკვიანი, მამაცი სომეხი ვაჭარი, რბილი, ინტელიგენტური, შინაგანი ცეცხლით გაცისკროვნებული რ. ჩხიკვიშვილის გაიოზ რეჟიორი და ბოლოს, გ. ჩუგუაშვილი — რუსმაშეკის როლის შემსრულებელი, რომლის სახე თითქოს მოქანდაკის საკრეფელითაა გამოკვეთილი. მსახიობი ძალიან კარგად გადმოგვცემს მუსამბეკის ვაჟკაცურ ბუნებას, უსაზღვრო სიყვარულიდან უსაზღვრო სასოწარკვეთილებამდე გადასვლას. არა მგონია შევცდე, თუ ვიტყვი, რომ ეს მსახიობი ქართველი კინემატოგრაფის (განსაკუთრებით!) და ქართული თეატრის მხრივ მეტ ყურადღებას იმსახურებს. მისი სახის მკვეთრი, ვაჟკაცური იერი, ენერგიული ნაკეთობი და პლასტიკა, ბუნებრივი ტემპერამენტი, დარწმუნებული ვარ, თავის საკუთარ ადგილს აპოვინებებს ხელოვნებაში.

შეიძლება არსებობდეს განსხვავებული აზრი მსახიობთა შესრულებაზე, რეჟისურაზე თუ ფილმის სხვა კომპონენტებზე. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ფილმი „წიგნი ფიცისა“ მნიშვნელოვანი მხატვრული მოვლენაა. მასში სიმართლით, საქართველოს ისტორიის პერიპეტეებში ღრმა წვდომით, დღევანდელი რეალობის მთელი მასშტაბის გათვალისწინებით, რაიმე კონიუნქტურისა თუ შინაგანი კომპრომისის გარეშე გადმოცემულია საქართველოს დაუცხრომელი მისწრაფება ერთმორწმუნე რუსეთთან სამარადეამო, ძმური კავშირისაკენ, ნაჩვენებია ის რთული, დრამატული წინააღმდეგობებით სავსე გზა, რაც ქართველმა ხალხმა გაიარა, ვიდრე საბოლოოდ არ გაფორმდებოდა „გეორგიევსკის ტრაქტატი“ — ძმობისა და მეგობრობის შეუღალი დოკუმენტი.

თანამედროვე გულგრილი საკომპოზიტორო

სკოლის სთავაზობა

ია ხუციძე

გულგრილი საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბების პროცესი დაკავშირებულია პანჩო ვლადიგეროვის (1888—1879) სახელთან. დიდი მისი ღვაწლი მშობლიური კულტურის წინაშე. მან აიყვანა ეროვნული პროფესიული მუსიკა მაღალ დონეზე.

პ. ვლადიგეროვის შემოქმედება ცარიელ ადგილზე არ დაბადებულა. მას წინ უძღვოდა უფროსი თაობის კომპოზიტორთა მოღვაწეობა, რომელშიც ჩაისახა გზა მიმართული ხალხური ფასეულობებისა და ევროპული მუსიკის მიღწევათა ათვისებისაკენ.

ბულგარული კულტურა XIX-XX ს. მიჯნაზე, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების (1878 წ.) შემდეგ, განიცდის სწრაფ განვითარებას. ეროვნული ხელოვნება ცდილობს აინაზღაუროს ის დიდი დანაკარგი, რომელსაც იგი განიცდიდა თურქეთის ბატონობის დროს. უცხოელ დამპყრობთა ქვეშევრდომობამ მძიმე დაღი დასვა ბულგარეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მხატვრები, პოეტები, კომპოზიტორები აყენებენ ზნეობრივ პრობლემებს, მღელვარედ ეძებენ პატრიოტული იდეების ხორცშესხმის გზებს. ბულგარული თეატრის მკვლევარის კონსტანტინე ღერკეიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხელოვნებას ახალსა და ძვირფას მასალას აძლევდა თვით ცხოვრება, აღბეჭდილი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სოციალური ძვრებით. ლიტერატურისა და დრამატურგიის წინაშე ახალ თემებს სახავდნენ ქალაქსა და სოფელში წამო-

ჭრილი სოციალური და ყოფითი კონფლიქტები, საზოგადოებრივი და კერძო მორალის პრობლემები, დიფერენციაცია ისეთი ძველი ცნებების, როგორცაა „პატრიოტიზმი“, „თავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“ და ა. შ. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მსოფლშეგრძნებისათვის დამახასიათებელი „კრიზისები“, ყოველივე ეს აისახება ცნობილი ბულგარული პოეტებისა და დრამატურგების ი. ვაზოვის, ზ. სტოიანოვის, ლ. კარაგელოვისა და სხვათა შემოქმედებაში, სადაც ამავდროულად აღინიშნება აღორძინების დროინდელი ლიტერატურული ტრადიციების განვითარება. ამ ტრადიციების შემწეობით ბულგარულ ლიტერატურაში შეიჭრა ეროვნული თვითდამკვიდრების პათოსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები.

ასევე აქტიურად მოღვაწეობენ იმდროინდელი მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ეროვნული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. ხალხური ყოფა, უძველესი ცეკვები და წესჩვეულებანი, სამხედრო თემატიკასთან ერთად, მსჭვალავენ მ. მირკოვიჩკას, ი. ვეშინის, ა. მიტოვის ტილოებს, შ. სპირიდონოვისა და ბ. შატცის ქანდაკებებს.

XIX საუკუნის დამლევს საფუძველი ეყრება ბულგარულ პროფესიულ მუსიკას. კომპოზიტორთა პირველი თაობა — ე. მანლოვი, პ. პიპკოვი, ა. კრისტევი, გ. ათანასოვი, დ. ქრისტოვი და სხვა თავიანთ ნაწარმოებებს ძირითადად ქმნიდნენ სამხედრო სასულე ორ-

კესტრებისა და თვითმოქმედი საბავშვო, საგუნდო კოლექტივებისათვის. შესაძლოა, იმიტომ, რომ ბულგარეთში იმ ხანად პროფესიული კოლექტივები არ არსებობდა.

მთავარია ის, რომ უკვე ამ ეტაპზე ბულგარული საკომპოზიტორო სკოლა ყალიბდებოდა, როგორც ქეშმარიტად ეროვნული სკოლა, რადგან კომპოზიტორთა პირველი თაობის შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროს, ძირითადად, ხალხური სიმღერა წარმოადგენდა. იგი მსკვალავდა არა მარტო სოლო და საგუნდო სიმღერებს, არამედ უფრო რთულ ფორმებს, როგორცია ოპერა და ინსტრუმენტული მუსიკა.

როგორც ვ. კრისტოვი აღნიშნავს „სიმღერა იქცა პირველ მუსიკალურ მოღვაწეთა პროფესიულ შემოქმედებად, ამასთან, არა მარტო წამყვან ქანადად, არამედ ისეთად, რომელმაც განსაზღვრა ამ კომპოზიტორთა ინსტრუმენტული და თეატრალურ-სცენური ნაწარმოებების სტილისტური, სტრუქტურული თავისებურებანი“.

ბულგარული პროფესიული მუსიკის ფორმირება დაიწყო ყველა ახალგაზრდა ეროვნული სკოლისათვის დამახასიათებელი ეტაპით, ხალხური სიმღერის დამუშავებით, ვოკალური მუსიკის — სოლო და საგუნდო სიმღერების შექმნით. ამ ქანრების ფორმირებაში აღსანიშნავია გამოჩენილი ბულგარული კომპოზიტორისა და ფოლკლორისტის, პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის დობრი ქრისტოვის (1875—1941) წვლილი. მისმა საგუნდო ქმნილებებმა „ბალკანური სიმღერები“, „პატრიოტული სიმღერების კრებულმა „შენ მუდამ ჩემთან ხარ, სამშობლო მხარე“, „რუჩენიცა“, საბავშვო სიმღერების კრებულმა „წყარო მღერის“, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის სოლო სიმღერებმა (მაგ. უპიკური „ტატუნჩო“, ისტორიული „ჩიტები ჟღერტულენ“, ლირიკულ-დრამატული „განმიფანტე ჭადოსნობა“ და სხვ.) ხელი შეუწყვეს ამ ქანრის ფართო გავრცელებას ბულგარულ პროფესიულ მუსიკაში. დ. ქრისტოვის სიმღერებმა, აგრეთვე სხვადასხვა ავტორების (ე. მანდლოვის, ა. ბუკურშტოლიევის, ა. კრისტოვის, პ. პუკოვის) მიერ დამუშავებულმა ხალხურმა სიმღერებმა, განაპირობეს ხალხური სიმღერის გამოტანა ფართო საკონცერტო ესტრადაზე. მათ შორის საუკეთესო-

ნი დღესაც გვხვდება ბულგარეთის საგუნდო კოლექტივებისა და სასულიერო ორკესტრების რეპერტუარში.

ბულგარული მუსიკის სხვადასხვა ქანრის ფორმირების პერიოდში პირველი თაობის კომპოზიტორები ცდილობენ თავიანთ ნაწარმოებებს შესძინონ ეროვნული შინაარსი, აღავსონ ისინი ხალხური ხელოვნებიდან მომდინარე მუსიკალური სახეებით. თუმცა, ამ ეტაპზე ჭერ კიდევ არ არის გამოუმუშავებული პროფესიულ მუსიკალურ ხერხებთან ფოლკლორის შერწყმის ჩვევები და ამ ხერხების შერჩევის პრინციპი. ფოლკლორის დამუშავების მსხვილი ფორმის ნაწარმოებებში მისი ჩართვის გზების ძიება მხოლოდ საწყის სტადიაშია. სწორედ ამით აიხსნება დიდი ფორმის ნაწარმოებთა არასრულყოფილება.

პირველ სიმფონიურ თხზულებებში სათანადოდ არ იყო გამოყენებული ორკესტრის მდიდარი შესაძლებლობანი, მუსიკალური გამომსახველების თანამედროვე ხერხები, ხშირად დამაჯერებლობა აკლდა სიმფონიურ ციკლსა და ფორმას. ამიტომ ამ ნიმუშების მაგალითზე ნაადრევია ქეშმარიტ სიმფონიზმზე ლაპარაკი, მაგრამ ამ ეტაპს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარული მუსიკის მომავლისათვის. დიდი სიმანქეების მიუხედავად ბულგარელმა მუსიკოსებმა შეძლეს უმოკლეს დროში შეეძინათ პროფესიული ჩვევები, გაცნობოდნენ დასავლეთ-ევროპული მუსიკის მიღწევებს, დაუფლენდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქანრებს და პირველი მხატვრული ნიმუშებიც შეექმნათ.

დ. ქრისტოვი ასე განმარტავდა თავისი თაობის კომპოზიტორთა წვლილს: „...მე ბულგარეთისათვის არც მუსორგსკი ვარ, არც ჩაიკოვსკი და არც გლინკა. ისინი რუსული შემოქმედებითი სულის გოლიათები არიან. მათ გაჩენამდე რუსეთში უთვალავი მშრომელი იღვწოდა. ჩემი ადგილი დღესაც ჩემს სამშობლოში მომუშავე ასეთ მოღვაწეთა შორისაა. 50-100 წლის შემდეგ ისინი წარმოქმნიან მეტროპოლითა და მოღვაწეთა მთელ ლაშქარს, რომლის მხრებზეც ბულგარეთის მუსიკალური კულტურა აღმოცენდება“.

ბულგარული კულტურის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან, როგორც იყო 1923 წლის სექტემბრის ანტიფაშისტური მოძრაობა,


რომელსაც ხელოვნებაში იდეური გარდატეხა და ხალხთან კავშირის აღორძინება მოყვა.

ბულგარელ კომპოზიტორთა მეორე თაობა — პ. ვლადიგეროვი, ლ. პიპკოვი, პ. სტაინოვი, მ. გოლემინოვი, ს. ობრეტენოვი, ე. სტილიანოვი, ფ. კუტევი და სხვ., — რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე სწორედ 20-იანი წლების დასაწყისში გამოდის და დიდ ინტერესს იჩენს ახალი სოციალური სინამდვილისა და რევოლუციური პროცესებისადმი. ცხოვრების თანამედროვე პულსის ასახვამ, სოციალური გაზრდასწრაფების ხორცშესხმისაკენ სწრაფვამ ამ კომპოზიტორთა შემოქმედებაში მხატვრულ სახეთა გამდიდრება, მუსიკალური ენის განახლება გამოიწვია. გარდატეხა ხდებოდა თვით მუსიკალურ აზროვნებაში, რაც ახალგაზრდა ეროვნული სკოლის იდეურ და სოციალურ ზრდაზე მეტყველებდა.

1933 წლის იანვარში პ. სტაინოვის ხელმძღვანელობით იქმნება ახალგაზრდა ბულგარელ კომპოზიტორთა საზოგადოება სახელწოდებით „თანამედროვე მუსიკა“. როგორც ვ. კრისტევი აღნიშნავდა, ორგანიზაციის წევრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ხალხური სასიმღერო შემოქმედების საფუძველზე „ბულგარული ეროვნული სტილის შექმნა“. მეორე თაობის კომპოზიტორები ამ პრობლემას სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ. მათი შემოქმედებითი პოზიციები სისტემატურად შექდებოდა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, სადაც ისინი გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ეროვნული სტილის შესახებ, აანალიზებდნენ მის თავისებურებებს, განიხილავდნენ მის ისტორიულ მნიშვნელობას.

ლ. პიპკოვი სტატიაში „ბულგარული მუსიკალური სტილი“, წერდა: „ბულგარულმა კომპოზიტორებმა უნდა გაიგონ, რომ ჩვენი მუსიკალური სტილი დამყარებულია სინამდვილეზე, ხალხის აზროვნებასა და გრძნობებზე. ყოველივე ეს კი უზაღოდაა გადმოცემული ხალხურ სიმღერაში“. ამასთან პიპკოვი ილაშქრებს ხალხური მასალის მექანიკური გამოყენების წინააღმდეგ და მოითხოვს „...იმ ეტაპის გადალახვას, როდესაც ნაწარმოებში ეროვნულის გამოხატვა დაყვანილია ხალხური სიმღერის გამოყენებაზე“.

ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია. სსრკ — ბულგარეთის სიმპოზიუმზე, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 25



პანჩო ვლადიგეროვი

წლისთვის მიემდენა. პ. სტაინოვმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მრავალი წლის წინ გამოთქმული აზრი: „მუსიკის ეროვნული ხასიათი და მისი დემოკრატიული არსი ყოველთვის იქნება ბულგარული მუსიკის უმთავრესი პრობლემა. დაარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მუსიკა მხოლოდ ეროვნული ხასიათის წყალობით მიაღწევს ინტერნაციონალურ ქლერადობას, თუმცა, ხალხური სიმღერის გამოყენება ნაწარმოების თემად, როგორც ორიგინალურიც არ უნდა იყოს იგი, არ აქცევს მას ბულგარულად. მთავარია ნაწარმოების მთელი წყობა — ის, თუ როგორ დაამუშავებს კომპოზიტორი ამ თემას, როგორ ახალ მელოდიურ, რიტმულ ფორმას შესძენს მას, როგორ ჰარმონიულ ატმოსფეროში მოათავსებს“.

მუსიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ რთული კილოური კოლორიტის მქონე ხალხური მელოდიკა ვერ შეეგუებოდა მაჟორ-მინორის ფუნქციონალურ სისტემას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ისინი ფუნქციონალური ჰარმონიის ნორმებისაგან გადახრის, გამომსახველობითი ხერხების თავისებური ვაზრების, პოლიფონიის ახლებური გამოყენების საშუალებით ეძებდნენ ამ წინააღმდეგობრივ გამოსავალს. ბულგარელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში დიდი



ადგილი ეთმობოდა იმ პერიოდის ფართოდ გავრცელებულ აკორდებს შესუსტებული დომინანტური და ტონიკური მიზიდულობებით, სამხმვიანებებს გამოტოვებული ტერციით, კვარტა — კვინტურ ჰარმონიებს, ნატურალურ კილოებს, არათანაბარ მეტრებს. ამ ხერხების საშუალებით ბულგარელი კომპოზიტორები ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნული ატმოსფერო, აღევსოთ ღრმა ფსიქოლოგიზმით.

მეორე თაობის კომპოზიტორთა შემოქმედება ახალ ეტაპს წარმოადგენდა, არა მარტო მუსიკალური პალიტრის გაფართოვებით, არამედ ისეთი ელემენტების ათვისებითაც, როგორცაა სიმფონია, კონცერტი, კამერული მუსიკის ელემენტები და სხვა, რომლებიც მანამდე ან არ არსებობდნენ, ანდა სუსტად იყვნენ წარმოდგენილი პირველი თაობის კომპოზიტორთა შემოქმედებაში, სადაც აღინიშნებოდა ფოლკლორული პრინციპების მექანიკური გადმოტანა. იმხანად ყველაზე განვითარებული ინსტრუმენტული ელემენტები იყო სიუიტა და პროგრამული უვერტიურა.

ამიტომაც, 20—30-იან წლებში დღის წესრიგში მწვავედ იდგა როგორც მუსიკალური ენისა და სტილის, ისე ჰეგემონიად სიმფონიური აზროვნების განვითარების ამოცანა, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო თანამედროვე სინამდვილის ასახვა.

ბუნებრივია, რომ ბულგარელი კომპოზიტორები იყენებდნენ თანამედროვე ევროპული მუსიკის მიღწევებს. როგორც ი. ხლეპაროვი აღნიშნავს, „ეროვნული ტრადიციების უქონლობის გამო ახალგაზრდა კომპოზიტორები მიმართავდნენ უცხოურ ნიმუშებს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უფროსი თაობის კომპოზიტორთა აზროვნებისათვის დამახასიათებელი ინერტულობის დაძლევაში და ხელი შეუწყო აზროვნების დისციპლინის გამომუშავებას“. მეორე თაობის ბევრმა ბულგარელმა კომპოზიტორმა განათლება დასავლეთ ევროპაში მიიღო (პიპკოვმა, იკონომოვმა — პარიზში, გოლემინოვმა — მიუნჰენში, ვლადიგეროვმა — ბერლინში და სხვ). იქ შეძენილი პროფესიული გამოცდილება დაეხმარა მათ გადაეწყვიტათ ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორცაა ეროვნულ ნიდაგზე თანამედროვე ჰარმონიისა და პოლიფონიის დაწერვა. ბულგარული ხალხური სიმღერის ორიგინალური კილოური, მეტრო-რიტმული

და სტრუქტურული თავისებურებების გამოვლინება და მათ საფუძველზე სიმფონიის, ინსტრუმენტული კონცერტის, კვარტეტის ტრიოს აგება.

მეორე თაობის კომპოზიტორთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სიმფონიური პოემა, რომლის ნიმუშები თითქმის ყველა კომპოზიტორმა შექმნა (სტანიოვის „ლევანდა“, გოლემინოვის პოემა „სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთში“, კუტევის პოემა „გერმანი“ და სხვა). დიდი ადგილი ეთმობოდა საცეკვაო სიუიტასაც, რომელიც უახლოვდებოდა პირველი თაობის კომპოზიტორთა პროგრამულ-საცეკვაო სიუიტებს (შეზღუდული თემატური დამუშავება, იმპროვიზაციულობა). ამ ელემენტების განვითარება შედარებით ახალ ეტაპს წარმოადგენდა — პროგრამულობის უარყოფა, ფოლკლორზე დაყრდნობა.

სიუიტისათვის ახლოს დგანან ერთნაწილიანი სიმფონიური ნაწარმოებები, კერძოდ, რაც-სოდიები, რომლის ავტორები პ. ვლადიგეროვი, ფ. კუტევი, ი. ნენოვი ფოლკლორზე დაყრდნობით აწარმოებდნენ რაფსოდის სტრუქტურული თავისებურებების სიმფონიზაციას.

დიდი ხნის მანძილზე ბულგარელ კომპოზიტორთა ყურადღების მიღმა რჩებოდა ინსტრუმენტული კონცერტის ელემენტი, რომელმაც მხოლოდ 40-იან წლებში ჰპოვა ფართო განვითარება. მანამდე ამ ელემენტის მიმართავდნენ მხოლოდ პ. ვლადიგეროვი, რომელმაც სამი საფორტეპიანო და ერთი სავიოლინო კონცერტი შექმნა და ვ. სტოიანოვი — ერთი საფორტეპიანო კონცერტის ავტორი. ამ კონცერტების ძირითად თვისებას წარმოადგენდა ეროვნული კოლორიტი, რომელიც მკაფიო გამოხატულებას აღწევდა ნაწარმოებთა ფინალებში, სადაც გამოყენებულია ხალხური საცეკვაო მასალა. ამასთან, ფოლკლორული პლასტების შერწყმა ზოგად-ევროპულ მელოდიურ, ჰარმონიულ და რიტმულ მოდელებთან ზოგჯერ არღვევდა ფორმის მთლიანობას, იწვევდა სტილისტურ სიკრულს.

დიდი სიმძლეებით იკავავდა გზას სიმფონიური ელემენტი. იმ პერიოდისათვის ბულგარული მუსიკის არსენალში იყო მხოლოდ ნ. ათანასოვის სიმფონიები (პირველი სიმფონია — 1913 წ., მეორე სიმფონია — 1922 წელს),



რომლებიც ეყრდნობოდნენ პოპულარულ ქალაქურ სიმღერებს, რაც თავისი დროისათვის დიდი მიღწევა იყო.

ამ ჟანრის მიღწევები დაკავშირებულია მეორე თაობის კომპოზიტორებთან — ვლადიგეროვის, პიკოვის, ნენოვის და სხვათა შემოქმედებასთან. ამრიგად, 20—30 წლებში მოხდა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბება, მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრის ფორმირება და განვითარება, მისი მიახლოება მსოფლიო მუსიკალური კულტურის მხატვრულ დონესთან. ყოველივე ამაში უპირველად დიდია პანჩო ვლადიგეროვის წვლილი.

ვლადიგეროვი დაიბადა ციურისში 1899 წელს. ბავშვობა გაატარა ბატარა ქალაქ შუმენში (დღეს კოლაროგრადი), სადაც პირველად ეზიარა მუსიკას. თავის ძმასთან, შემდეგში ცნობილ მევილიონესთან ლუბენ ვლადიგეროვთან ერთად, იგი მეცადინეობდა პიანისტ ბავლა ვაიშან-ჟეკოვასთან. აქვე შედგა ძმების პირველი საჯარო გამოსვლა.

1910 წლიდან ვლადიგეროვი სოფიაში მეცადინეობდა გამოჩენილი ბულგარელი კომპოზიტორისა და თეორეტიკოსის დობრი ქრისტოვის ხელმძღვანელობით. მასთან მკითხველი კონტაქტმა უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა კომპოზიტორის საკომპოზიტორო ფორმირებაზე. ვლადიგეროვის საკომპოზიტორო ტალანტი ძალიან ადრე გამოვლინდა. 13 წლის ასაკში მას დაწერილი ჰქონდა 20-მდე ნაწარმოები, რომლებიც შემდეგ შევიდნენ „კომპოზიციის ალბომში“.

ვლადიგეროვმა მუსიკალური განათლება სრულყო ბერლინის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაში, სადაც იგი 1912-15 წლებში სწავლობდა პ. იუნონთან (კომპოზიცია), გ. ბარდთან (ფ-ნო), შემდეგ კი (1915-18) გერმანიის ხელოვნების აკადემიაში ფ. გერსხაიმიანთან და გ. შუმანთან (კომპოზიცია), ი. კრეიციერთან (ფორტეპიანო). ბერლინის მდიდარი მუსიკალური ცხოვრება, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის მიმდინარეობათა გაცნობა, გამოჩენილ კომპოზიტორებთან, დირიჟორებთან, მსახიობებთან ურთიერთობა ხელს უწყობდა ახალგაზრდა კომპოზიტორის მხატვრული მსოფლმხედველობის გაფართოებას.

ბერლინის პერიოდის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური სტი-

ლის ძიება, მცირე ფორმათა ფარგლებში, მუშაობა სხვადასხვა ჟანრში.²

„ექვსი ლირიკული სიმღერა“ დორა გაბეს ლექსებზე (1917) და პირველი საფორტეპიანო კონცერტი (1917—1918) გერმანული აკადემიის მიერ აღინიშნა მენდელსონის პრემიით. ამ ნაწარმოებებში იგრძნობა, ერთის მხრივ, იმპრესიონიზმისა და, მეორეს მხრივ, გვიანდელი რომანტიზმის გავლენა, ამავე დროს გამოვლინდა ის თვისებები, რომლებიც მომავალში საფუძვლად დაედება პ. ვლადიგეროვის შემოქმედებით სტილს.

ვლადიგეროვის ცხოვრებაში, მისი მხატვრული მისწრაფებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გამოჩენილმა გერმანელმა რეჟისორმა ნაქს რეინჰარდტმა (1873—1943), რომელთანაც კომპოზიტორი თანამშრომლობდა 12 წლის მანძილზე. როგორც ცნობილია, რეინჰარდტმა შექმნა ე. წ. „სინთეტური თეატრის“ მოდელი, რომელშიაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მუსიკას ეთმობოდა. რეინჰარდტი თანამშრომლობდა გამოჩენილ მწერლებთან და კომპოზიტორებთან—ს. ცვეიგთან, პ. ჰოფმანსტალთან, რ. შტრაუსთან და სხვ. რეინჰარდტმა ზოგიერთი სპექტაკლის მუსიკალური საფორმება ანდო ახალგაზრდა ვლადიგეროვს, რომელსაც კარგად იცნობდნენ ბერლინის მუსიკალურ წრეებში. ვლადიგეროვის თეატრალურ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია მუსიკა სამი სპექტაკლისათვის: „ოცნების თამაში“ (1921), „ცარცის წრე“ (1925) და „მეთორმეტე ღამე“ (1931).

ვლადიგეროვის შემოქმედებითა ენერჯიამ გამოხატულება პპოვა მთელ რიგ ნაწარმოებებში, რომელთა შორის აღსანიშნავია „ბულგარული სიუიტი“ ორკესტრისათვის, „მეორე საფ-ნო კონცერტი“, „შვიდი ბულგარული სიმღერები და ცეკვები ფორტეპიანოსათვის“, საფორტეპიანო ციკლები „ექვსი ეგზოტიკური პრელუდია“, „კლასიკური“ და „რომანტიკული“ და სხვა. ამავე პერიოდშია შექმნილი მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები — რაფსოდია „ვარდარი“.

ამ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ვლადიგეროვის საფორტეპიანო ქმნილებებს. ეს არც არის შემთხვევითი, რადგან იგი იყო ნიჭიერი პიანისტი, კლასიკური და მშობლიური საფორტეპიანო

ნო მუსიკის შესანიშნავი ინტერპრეტატორი, საკუთარი ნაწარმოებების ჩინებული შემსრულებელი. ვლადიგეროვი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ვლადიგეროვის საშემსრულებლო ოსტატობის მოწმე გახლდათ საბჭოთა მსმენელი სსრკ-ში მისი გასტროლების დროს (1947, 1948, 1952, 1958, 1965, 1972 წწ.).

ვლადიგეროვი ბულგარული საფორტეპიანო მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ამ უნარში ჰპოვებს გამოხატულებას მისი შემოქმედებითი ევოლუცია. იგი 70-მდე საფორტეპიანო პიესის, 5 კონცერტისა და 9 საორკესტრო ნაწარმოების ტრანსკრიპციის ავტორია. ვლადიგეროვი მთელი ცხოვრების მანძილზე მიმართავდა ამ ინსტრუმენტს და ქმნიდა მხატვრული თვითმყოფადობით აღბეჭდილ ნაწარმოებებს.

კომპოზიტორის საფორტეპიანო მუსიკაში შეინიშნება ორი ხაზი, რომლებიც ავსებენ და ხშირად ერწყმიან კიდევ ერთმანეთს. ერთი ხაზი დაკავშირებულია ლირიკულ, სუბიექტურ საწყისთან (ცუკლი „შთაბეჭდილებანი“, ოთხი პიესა ფორტეპიანოსათვის ოსხ. 10 და სხვა), მეორე ხაზი უნარულ-ახასიათო წარმოშობისაა და სათავე უდევს ხალხურ სიმღერას და ცეკვას. ასეთი ტიპის პიესებია „სოფლური ცეკვა“, „რუჩინი-ცები“, „სიტონ ქორო“, „საშემოდგომო ელევია“ და სხვ. ორივე შემთხვევაში იგი ღრმად ეროვნულ შემოქმედად რჩება.

გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებისთანავე ვლადიგეროვი სამშობლოში მიემგზავრება, სადაც ცხოვრობს სიცოცხლის ბოლომდე.

ვლადიგეროვი აქტიურად ჩაერთო თავისი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფლის მუსიკალურ აკადემიაში, გამოდიოდა როგორც სოლისტი-პიანისტი, მონაწილეობდა ბულგარელი კომპოზიტორების პირველი შემოქმედებითი კავშირის „თანამედროვე მუსიკა“ შექმნაში. ვლადიგეროვი დაადგა ეროვნული ფოლკლორის ათვისების გზას და თავის ნაწარმოებებში განავითარა მისი საუკეთესო ნიშან-თვისებები, ხალხური სიმღერა მსუველავს ამ პერიოდში შექმნილ მის ყველა პარტიტურას. აქ ვხვდებით ბულგარული ფოლკლორის სხვადასხვა დიალექტის

(როდოპის, მაკედონიისა და სხვათა) ელემენტებს. ვლადიგეროვი მიმართავს რთულ ციტრების, ისე ფოლკლორის მხარს და მამულებს დამუშავების ხერხებს. კომპოზიტორმა შეძლო ჩასწვდომოდა ბულგარული ხალხური მუსიკის პოეტური სულის, მის მელოდიურ სიმღერებს, განუმეორებლად რიტმიკასა და თავისებურ კილოურ სტრუქტურას. მრავალ ნაწარმოებში იგრძნობა ვლადიგეროვის კავშირი ბულგარულ საფერხულო სიმღერასთან.

ერთი სიტყვით, ვლადიგეროვმა მიაღწია ხალხური და პროფესიული მუსიკის პრინციპების ღრმა სინთეზს, რის გამოც მან მოიპოვა ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი. მის შემოქმედებაში ჩამოყალიბდა არა მარტო ეროვნული საფორტეპიანო მუსიკა, არამედ სავიოლინო სონატა, საფორტეპიანო ტრიო, ინსტრუმენტული კონცერტი და სხვა ტიპები. იგი მიმართავდა მუსიკალურ დრამასაც. მას ეკუთვნის ისტორიული ოპერა „მეფე კალიოანი“ (1935-36) და ბალეტი „ლეგენდა ტაზუ“ (1946). ეს არაა რეფორმატორული ნაწარმოებები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ტექსტისა და მუსიკის ერთიანობა, ეროვნული ხასიათი, სიმფონიზმის პრინციპების, ლაიტმოტივური სისტემის გამოყენება და სხვა. მათ მყარი ნიადაგი შეუქმნეს ეროვნულ საოპერო და საბალეტო ხელოვნებას, დასახეს ამ უნარების შემდგომი განვითარების გზები.

ვლადიგეროვის მელოდიკისათვის დამახასიათებელია სასიმღერო ხასიათი, მისი შერწყმა მკაცრ რიტმულ პულსაციასთან, რომელსაც კომპოზიტორი აკისრებს ფორმის შემქმნელ-როლს. ვლადიგეროვის სტილისათვის დამახასიათებელია მელოდიური ხაზისა და აკორდული ვერტიკალის ერთიანობა.

ვლადიგეროვის პარმონიული ენის საფუძველს წარმოადგენს დიატონიკა, გამდიდრებული და გაფართოებული შემოკრებული ინტერვალებით, იგი იყენებს მთელტონიან გამებსა და მრავალფეროვან ხალხურ კილოებს, მიმართავს ქორმატიზაციას ტონალური ცენტრის შენარჩუნებით, ტერციული და კვარტული სტრუქტურის მრავალხმიან აკორდულ კომპლექსებს, ლაიტპარმონიას, საორგანო პუნქტს, აკორდულ პარალელიზმებს. მის პარმონიას ახასიათებს პოლიკილოურობა და ბიფუნქციონალობა. ხშირად იყენებს იგი



მიტაცეური და კონტრასტული პოლიფონი-ის ხერხებსაც, უაღრესად დიდ მნიშვნელო-ბას ანიჭებს კოლორიტს, რომელიც, სხვა ელემენტებთან ერთად, ემსახურება ფორმის მთლიანობის შექმნას. ვლადიგეროვის შემო-ქმედებაში პარალელურად ვითარდება ორი ხაზი. ერთი დაკავშირებულია პროგრამულ-ობასთან, მეორე — წმინდა მუსიკის სფერო-სთან. ვლადიგეროვი ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორი იყო, რომელიც ფართოდ გა-მოეხმარა სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც მოხდა 1944 წლის 9 სექტემბერს და გაათავისუფლა ბულგარეთი კაპიტალიზ-მისა და ფაშისტური უღლისაგან.

ახალი ცხოვრება დაიწყო მხატვრული შე-მოქმედების ყველა სფეროში, მათ შორის მუსიკალურშიც.

თანამედროვეობის სუნთქვა სულ უფრო მძაფრად ისმის ვლადიგეროვის შემოქმედე-ბაში. ეს მისწრაფება მთელი სისასხით გა-მოიკვეთა ომის შემდგომ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში. თანამედროვე თემატიკამ მისი შემოქმედება აავსო ახალი შინაარსი-თა და აზრით, კომპოზიტორმა რევოლუცი-ურ ბრძოლას, ანტიფაშისტურ მოძრაობასა და სოციალისტური საზოგადოების მშენებ-ლობას მიუძღვნა თვალსაჩინო პროგრამული თხზულებები — „მისის სიმფონია“, „ღრა-მატული პოემა“, მასობრივი სიმღერები „ეზ-რატული პოემა“, პეროიკული უვერტურა „9 სექტემბერი“ და სხვა.

ამავდროულად ვლადიგეროვი ქმნის წმი-ნდა მუსიკის ნიმუშებსაც. მეოთხე და მე-ხუთე საფორტეპიანო კონცერტებს, მეორე სავიოლინო კონცერტს და ა. შ.

ვლადიგეროვის მუსიკა, უპირველეს ყოვ-ლისა, ყურადღებას იპყრობს ოპტიმიზმით, დაუშრეტელი ენერგიითა და სიცოცხლის სიყვარულით. მაგრამ ეს არ გამოირჩევა მისი მუსიკის სიღრმესა და მრავალფეროვ-ნებას. საინტერესო დახასიათებას აძლევს ვლადიგეროვის შემოქმედებას კ. განევი, რომელიც წერს: „გასაკვირია ის, რომ ნაღვ-ლიანი და სევდიანი სახეები გამსჭვალულია დაუშრეტელი სიცოცხლისუნარიანობითა და ოპტიმიზმით. მის მუსიკაში პესიმიზმის, გა-მოუვალი მდგომარეობის, უძლურების კვა-ლიც კი არ ჩანს. მისი ნაწარმოების საერთო კონცეფციაში ელემენტური და თხრობითი განწყობილება გამოხატულია როგორც გარი-

ნდება, რომლის შემდეგ კვლავ ამოტრიალენ-დება ნათელი, სიცოცხლის სიხარული და სიყვარ-სე სტიქია. ეს ორი სამყარო ერთმანთს ავ-სებს და ქმნის ვლადიგეროვის მუსიკის ყრ-თთან იდეურ-ესთეტიკურ სახეს“. მართლაც, ვლადიგეროვის სისსლასავსე და რელიეფური მუსიკალური სახეები ყველასათვის გასაგე-ბად გადმოსცემს ადამიანის გრძობებსა და აზრებს. ამას განაპირობებს მუსიკალური შინაარსისა და ფორმის შესატყვისობა. კომ-პოზიტორი ხშირად იყენებს „თავისუფალ“ ფორმას, რომელიც თემატური მასალის იმ-პროვიზაციული განვითარების საშუალებას იძლევა.

ვლადიგეროვის შემოქმედებამ ბიძგი მის-ცა ბულგარულ კომპოზიტორთა პროფესიული ოსტატობის განვითარებას. მანამდე არავინ აქტევედა ასეთ დიდ ყურადღებას მხატვრულ ფორმას, პარმონიას, ხალხურ წყაროებს, მუსიკალური გამომსახველობის სხვა კომ-პონენტებს.

პ. ვლადიგეროვი ეწეოდა აქტიურ საზო-გადოებრივ მოღვაწეობას. წლების მანძილზე იგი იყო მრავალი ფესტივალისა და კონკურ-სის ეიურის წევრი, მონაწილეობდა კონფე-რენციებში და კონგრესებზე.

1968 წელს ვენის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა ჰერდერის პრემია მუსიკალურ ხე-ლოვნებაში დიდი მიღწევებისათვის. ვლადი-გეროვის ღვაწლი სათანადოდ იქნა დაფასე-ბული. 1949 წელს მას მიენიჭა ბულგარე-თის სახალხო არტისტის წოდება, ორჯერ მი-ეკუთვნა დიმიტროვის სახელობის პრემია, (1950, 1953) და სხვა ჯილდოები.

ფასდაუდებელია პ. ვლადიგეროვის წვლი-ლი ბულგარეთის მუსიკალური კულტურის განვითარებაში. დღეს ამ გამოჩენილ მუსი-კოსს მიერ დაფუძნებულ რეაგისტურ ტრადიციებს წარმატებით ანვითარებენ კომ-პოზიტორთა თაობები.

შენიშვნები:

1 1947 წ. საზოგადოება „თანამედროვე მუსიკა“ გარ-დაიქმნა ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირად.
2 სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის: ოთხ., 1, (1914), 4 პიესა ფორტეპიანოსათვის ოთხ., 2 (1914), სა-ფორტეპიანო ვარიაციები ბულგარული ხალხური სიმღე-რის „საყვარელო სამშობლოს“ თემაზე (1915), ჭრიო ვი-ოლინოს, ვიოლინოლოსა და ფორტეპიანოსათვის (1916), „პოემა“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1918), ბალადა „ლულ გილია“ სლავიკოვას ლექსებზე.

სიცოცხლე ხელოვნებაში

ეთერ შავგულიძე

სომეხი მხატვრის — გეორქ გრიგორიანისა და ქართველი ქალის — დიანა უკლებას ოჯახური ცხოვრების გზა ამ ნახევარი საუკუნის წინ, თბილისში დაიწყო. ალბათ ისიც კანონზომიერია, რომ მათი, როგორც შემოქმედთა პირველი საჯარო შეხვედრაც ასევე თბილისში შედგა: ამასწინათ მხატვრის სახლის ვრცელ დარბაზებში გაიმართა ორი, — პროფესიონალი და თვითნასწავლი მხატვრის პირველი ერთობლივი გამოფენა.

ხანგრძლივი აღმოჩნდა კვლავდაბრუნების გზა სომეხი მხატვრისათვის, მაგრამ დღეს იგი ხელდაშვენებული წარსდგა მშობლიური ქალაქის წინაშე და თბილისშიც იცნო, სიყვარულით მიიღო თავისი პირველი, რომელმაც დაბადებიდან 66 წელი ქართული ცის ქვეშ გაატარა.

გეორქ გრიგორიანი (ჯოტო) თბილისელ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ჩვენი

მლელვარე ეპოქის ავ-კარგი. დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილის, პეტრე ოცხელის, კირილე ზდანევიჩის, ვალენტინ შერპილოვის, ალექსანდრე ბაქბუქუძე-მელიქიანის და მრავალ სხვადასხვა ეროვნების ხელოვანთა გვერდით გეორქ გრიგორიანმაც ვანგლო იმედგაცრუებისა და გამარჯვების, უარყოფისა და აღზევების, მძიმე ცხოვრებისეული კოლიზიებით სავსე შემოქმედებითი გზა.

აი, რას წერს გ. გრიგორიანის ნაწარმოებთა ალბომის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი პ. აიტაიანი: „იმ წლებში ტფილისის სომხური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, გეორქ გრიგორიანი ყოველდღიურად დადიოდა „აიარტუნში“ (სომხური ხელოვნების მუშაქათა სახლი), სადაც ხედებოდა ო. თუმანიანს, ალ. შირვანზადეს, დ. დემირჩიანს, ე. ჩარენცს, პირადად იცნობდა ე. თათევოსიანს, მ. სარიანს, მ. შარბაბჩიანს, ალ. ბაქბუქუძე-


ლიქიანს, ე. ქოჩარს და სხვებს. ეს ნაყოფიერი შემოქმედებითი ატმოსფერო მასთვის პატარა უნივერსიტეტი გახდა“.

ასეთივე მკიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ჯოტოს სხვა ეროვნების მხატვრებთანაც. სწორედ ამიტომ მისი ხელოვნება სტილისტური, მხატვრულ-მეთოდოლოგიური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით იმ პერიოდში გაბატონებულ შემოქმედებით ტენდენციათა უშუალო ასახვასაც წარმოადგენს და, ამასთანავე, სომხურ-ეროვნული სულისკვეთებითაც არის გაჯერებული. ეს ორი არსებითი ფაქტორი განსაზღვრავს გვეორქ გრიგორიანის ხელოვნების მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას და, რაც მთავარია, ღირებულებას, როგორც სომხური, ისე ქართული კულტურის ისტორიაში.


სიცოცხლის უკანასკნელი წლები (1963-1976 წწ) გვეორქ გრიგორიანმა ერევანში გაატარა. ეს იყო შემოქმედებითი აქტივობის პერიოდი, როცა ინტენსიურად მუშაობდა, ხშირად იფინებოდა და ბევრიც იწერებოდა მისი ხელოვნების შესახებ. მაგრამ თავდაპირველი შემოქმედებითი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატნია, პირიქით, ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა მხატვრული ტრადიციების გათავისებობისკენ მისი სწრაფვა და როგორც საერთოდ ჩვევია ნოსტალგიის გრძნობას, ჯოტოს მხატვრობაში თბილისურ მოტივებთან ერთად შემოდის ნათელი პალიტრა — სევდანაწვევი წარსული რაღაც იდუმალ-მისტიკურ ქღერადობას იძენს და დაუვიწყარ, ნათელ მოგონებად რჩება, თუმცა საქართველო სომეხი მხატვრისათვის

მხოლოდ მოგონება არ ყოფილა, რადგან ყოველთვის და ყველგან მის გვერდით იყო მშვენიერი ქართველი ქალი — დიანა უკლება, როგორც ერთგულების, კეთილშობილების და მარადიული სიყვარულის სიმბოლო.

სოფელ კურსების მკვიდრს, ქვისმთელის ქალიშვილს დიანა უკლებას დაწყებითი განათლებაც კი არ მიუღია, მაგრამ განსაკუთრებული გამონაკლისის სახით მაინც ჩარიცხული იქნა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მასწავლებლები საინტერესო შემოქმედებით მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია — დატოვა აკადემია და საკუთარი შემოქმედებითი ძალები უანგაროდ შესწირა მეუღლის მხატვრული ნიჭის გამოვლინება-აყვავების საქმეს. მისთვის ამზადებდა ჩარჩოებსა და ჭიმავდა ტილოს, ყიდულობდა საღებავებს, ფუნჯებს და მძიმე შრომის დანაზოგით შექმნილ ამ მატერიალურ საშუალებებთან ერთად თავისი თბილი, მშვიდი და უსაყვედურო არსებობით ქმნიდა შემოქმედის მუშაობისათვის აუცილებელ სულიერ ატმოსფეროსაც. და ამიტომაც არ განიცდიდა დიანა მხატვრული მოღვაწეობის უკმაყოფილებას. მხოლოდ მეუღლის სიკვდილის შემდეგ დაეუფლა ეს გრძნობა — სევდით სავსე სიყარიელე და 68 წლის ასაკში დიანა უკლება კვლავ დაუბრუნდა მოლბურტს. ჩვეული გარეგნული სიმშვიდით შეუღდა მღელვარე შინაგან განცდათა ტილოზე გადატანასა და პოეზიის ფორმით გადმოცემას, ამიტომ მისი ყოველი ფერწერული ნამუშევარი თუ ლექსი თავისებურ ავტობორტრეტს წარ-




დ. უკლება-გრიგორიანი
უკანასკნელი შემოხედვა
(ვევორქ გრიგორიანის
პორტრეტი)
გ. გრიგორიანი
კომიტასის პორტრეტი
გ. გრიგორიანი
სამი მხატვარი



მოადგენს: პეიზაჟებში ბუჩქებს
წმინდაა, პირველქმნილნი
რმორტები ფარული მღელვარე-
ბითა და ფაქიზი განცდებითაა
დამუხტული, პორტრეტები —
გულუბრყვილო და უშუალოა.

ყოველ ტილოს შეიძლება მო-
უვებნოთ მისივე, ადექვატური
ელერადობის ლექსი — თითქოს
ფერწერის სათქმელს ლექსი გა-
ნამტყიცებს, ხოლო ლექსის მხა-
ტერული იდეა ფერწერაში
პოულობს ხორცშესხმას. თრი-
ვეს ერთად კი დიანა უკლებას
სულიერ სამყაროში შევეყვართ
და მიუხედავად იმისა, რომ ეს
სამყარო ჯოტოს ხელოვნებისაგან
თვისობრივად სრულიად განსხვავ-
ებულ შემოქმედებას წარმო-
შობს, მაინც შეუძლებელია ამ
ორი მხატვრის ერთბუნებოვანე-
ბის უარყოფა. ხელოვნების ჯა-
დონსური სარკე თავად წარმოა-
ჩენს მათი ერთიანობის პირველ-
წყაროს — ქართული მიწის მად-
ლსა და სიყვარულს.

ჯოტოსთან, როგორც პროფე-
სიონალ მხატვართან, ეს მომენტი
უფრო რთულ, სიღრმისეულ მხა-
ტერულ ნიუანსებში იჩენს თავს,
მაცრამ სერიოზული შემოქმედე-
ბითი ანალიზის შედეგად ნათელი
ხდება, თუ რაოდენ მჭიდროდაა



იგი დაკავშირებული ქართულ საწყისებთან — ჯოტოს ხელოვნება ხომ ნათლად აღადგენს მისი თანადროული თბილისის ძიებებითა და ექსპერიმენტებით სავსე მხატვრული სამყაროს რეტროსპექტულ სურათს.

დიანა უკლება კი თვითნასწავლი მხატვრის გულწრფელობით თითქოს ხელისგულზე გიდებთ თავის სატკივარს და დიანა — შემოქმედის მიღმა ხედავთ სამშობლოს ჰიყვარულით, მისი მონატრების გრძნობით სავსე ქართველი ქალის კეთილშობილ პიროვნებას, რომელიც ბოლომდე მეუღლის ერთგული რჩება, — ახლა მოვლა-პატრონობას და ზრუნვას არ აკლებს ჯოტოს მხატვრულ მემკვიდრეობას. მეურვეობს მის სახლ-მუზეუმს, ეწევა მისი ხელოვნების პოპულარიზაციას, აწყობს შემოქმედებით საღამოებს, გამოფენებს და ფიქრობს იმ ბედნიერ დღეზე, როცა შესძლებს საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებას. მანამ კი ნოსტალგიის მწვავე გრძნობას ლექსების წერითა და ფერწერულ-გრაფიკულ ნამუშევრების შექმნით იურჩევს.

აქ გრძელდება ორი მხატვრის ერთი ცხოვრება ხელოვნებაში.

გ. გრიგორიანი

დ. უკლება-გრიგორიანი.

დ. უკლება-გრიგორიანი.

დაპირილი მუსა

ნატურმორტი

დღღობა



5. „საბჭოთა ხელოვნება“ № 11, 1983.

XVIII საუკუნის რუსულ-ქართული წყაროები ერთი უკველესი ქართული ნეს-ჩვეულების შესახებ

მზია იაშვილი

რუსეთ-საპართიველონს ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის რთულ პოლიტიკურ ხვეულებში, იკითხება ამ ორი ერის კულტურულ, კერძოდ, მუსიკალურ ურთიერთობათა მატრიანის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც წმინდა სამუსიკისმცოდნეო ინტერპრეტაციას საჭიროებენ.

მხედველობაში მათგან XVIII საუკუნის რუსულსა და ქართულ ისტორიულ ანალებში ჩვენს მიერ მიკვლეული წმინდა სამუსიკისმცოდნეო, უფრო ზუსტად, ფოლკლორული მასალის ფიქსირების ის მაგალითებიც, რომლებიც ძველი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ყოფის უკანასკნელი წლების მუსიკალურ სინამდვილეს ესოდენ სიერცობრივად და მთელი თავისი პირველქმნილებით წარმოგვიდგენენ.

ცნობები, რომლებიც ქვემოთკომენტირებულ რუსულ-ქართულ წყაროებში გვაქვს მოძიებული, ამ პირველქმნილი სიწმინდის უცილობელი საბუთები გახლავთ სიწმინდისა, ზოგადსაკაცობრიო ნიშნადობას რომ გულისხმობს, რამეთუ, ქართული ხალხური სიმღერა, უფრო ფართოდ — ძველი ქართული პროფესიული მუსიკა (თავის შესანიშნავ განვითარებას რომ კვოვებს თანამედროვე შემოქმედებაში (გვულისხმობ როგორც ქართულ მუსიკალურ კლასიკას, ისე საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებასაც), თავის ორსავე განზომილებაში, — ე. ი. ხალხურ-სასიმღეროშიც და პროფესიულ ტრადიციულშიც (თავის მხრივ ათასწლოვანი ხანდაზმუ-

ლობისა) — ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენია.

სიმპტომატურია, რომ XVIII ს. რუსო ავტორი (რომლის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი), ქართული მუსიკისმცოდნეობისათვის ესოდენ ღირებულ მასალას რომ გვაწვდას, ძველი ქართული მუსიკალური ტრადიციის ფაქტებს სწორედ ამ თვალთახედვით, ე. ი. ზოგადსაკაცობრიო კულტურულ ფასეულობათა ასპექტში განჭვრეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ მიუჩენდა ადგილს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციებში.

ლაპარაკია აკადემიკოს პეტრე გრაგოლის ძე ბუტკოვის ფუნდამენტურ სამტომეულზე — „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722 წლიდან 1803 წლის ჩათვლით“, რომელშიც ჩართულია ესოდენ თავისებური „ლირიკული გადახვევა“.

XVIII ს. დასასრულის რუსულ-ქართული პოლიტიკური კონტრაქტების დიდ მოვლენებზე პროეცირების პირობებში ბუტკოვის ფოლკლორული ცნობა მისი შრომის საერთო არქიტექტონიკაში არც თუ ისე შემთხვევითი გახლავთ, მით უფრო რომ, როგორც ამ გამოკვლევის წინასიტყვაობის ავტორი ლორან ბროსე გვაუწყებს, იგი დაფუძნებულია „წყაროებსა და უპირატესად, რუსეთის მთავრობის ოფიციალურ მიმოწერაზე“, ამასთან, შედგენილია „იმ პიროვნების მეორე, რომელიც ახლო იცნობდა რუსეთის ინტერე-

სებს კავკასიაში და ამ მხარეში ორომეტტი წლის განმავლობაში ყოფნის შედეგად პირადი მოწმე იყო იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომელთაც გადაწყვიტეს მისი პოლიტიკური ბედი¹.

ერთი სიტყვით, როგორც ბუტკოვის მიერ მოტანილი ცნობის ხასიათი გვიჩვენებს, რუს მეცნიერს სრული საფუძველი ჰქონდა ეს უკანასკნელი განეკუთვნებინა იმ „უმნიშვნელოვანეს მოვლენათა“ რიგისათვის, რომელთა პირადი მოწმეც აღმოჩნდა სამსახურებრივი მოვალეობის წყალობით².

მაშ ასე... 1798 წლის იანვარი... ბედის ძალით, თუ პირდაპირი სამსახურებრივი ვალდებულების გამო, ბუტკოვი, იმ დროისათვის კავკასიის ინსპექციის უკვე მაღალი თანამდებობის პირი³, დატარების უძველესი ქართული წესჩვეულების, ე. ი. „ზარის“ წესის თვითმხილველი და უშუალო მონაწილე ხდება, სანახაობისა, რომელიც განსაკუთრებულ მასშტაბებს „დიდთა საქმეთა“ ქმნით სახელგანთქმული, საყოველთაო სახალხო სიყვარულით გარემოცული, პიროვნების გარდაცვალების შემთხვევაში იღებდა.

ბუტკოვ-მეცნიერს ბედმა გაუღიმა... მან ამ ტიპის სანახაობიდან, არსებითად ყველაზე გრანდიოზული „საგლოველი ქმედება“ იხილა. გასაგებია არის... ლაპარაკი ხომ ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი შვილის, დიდი მხედართმთავრისა და სახელმწიფოს მესაქის, თავისი ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურის — მეფე ერეკლე II გარდაცვალებით გამოწვეულ საერთო სახალხო კლოვას ეხება, სამშობლოს მომავალზე ფიქრით აღძრული იმ დიდი მოქალაქისა, გეორგიევსკის ტრაქტატით (1783) რომ საუკუნო კავშირი შეჰკრა რუსეთთან და ამით თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების ახალი ზეგები გარდახსნა.

„ი, თვით ბუტკოვის ცნობაც“:

„შესაძლოა შემდგომ შეუძლებელი გახდეს ქართველ მეფეთა დატარების წესჩვეულების ცოდნა და ამიტომ, იმას აღწერთ, რაც მეფე ერეკლეს დარქაძელისას ვახლდათ.

მეფე ერეკლეს გარდაცვალებისთანავე, დარეჯან დედოფალმა⁴, საყოველთაო წერილით აუწყა რა, თავადნი და აზნაურნი ცხედრის გამოსვენებაზე დაიწვიო. ყოველ ჩამოსულს უღუფა და სამგლოვიარო სამოსი დედოფლის ხარჯიდან ეძლეოდა. სამგლოვიარო

სამოსს შეადგენდა შავი ნარმა ან ზამბეკის სქელი ქსოვილი: თითოეულს ეძლეოდა მხოლოდ ზედა ხიფთანი, — ასევე ქალებსაც⁵. თელავში განსაკუთრებით დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ისე რომ, ლამის გასათევი აღარსად იყო; ცხოვრობდნენ ჩალურებში, ბალებში, მანდორაში.

ცხედარი თელავთან ახლო მდებარე მონასტერში ესვენა... სამღვდლოება მთელ ამ 6 კვირას წართქვამდა ფსალმუნთ და სხვათ.

თელავის სასახლის ეზოში ჩარდახი იყო დადგმული. მასში დაფენილი გახლდათ ყველაზე ძვირფასი სპარსული ხალიჩები, რომლებზეც სამეფო ნიშანი და სამოსელი ეწყო. საომარი აღკუთრებიდან: ჯაქვის პერანგი, მუზარადი, სამკლავურები, ხმლები, შუბები და უნაგირები; 3 ქართული დროშა...

აქვე, ხალიჩებს შორის, თელავში ახლად ჩამოსული მეფის ძის ან სახელმწიფოეკილი თავადის მობრძანების შემთხვევისათვის, — ეყენა ერეკლეს ორი უსაყვარელი... ულაცი, ერთი წაბლა, მეორე — თეთრონი, ნიშნად მათი დაობლებისა...⁶ თითოეული ცხენი სრულ მდიდრულ... აღკაზმულობაშია, შავ საძაგრავ გადაფარებული⁷.

თელავის სასახლის ოთახთა კედლებსა, ისევე როგორც გარე კედლებზე, შავი ნარმა იყო ჩამოშვებული, იატაკი კი ძვირფასი სპარსული ხალიჩებით დაფენილი.

როდესაც თელავში ახლადჩამოსული მეფის ძეთაგან რომელიმე, ან თავადი მობრძანდებოდა (თავადნი კი იმერეთიდანაც ჩამოდიოდნენ⁸), დარეჯან დედოფალი ყოველი მათგანისაგან სამძიმარს სასახლის ვრცელ საგლოველ დარბაზში იღებდა. ასეთ შემთხვევებში, აქ, ჩვეულებრივ, აუარება ქალი და მამაკაცი იყრიდა თავს. დარეჯან დედოფალი საგანგებოდ დაფენილ ხალიჩებზე ჯდებოდა... მისგან ორივე მხრით, უფროს-უმცროსობისდა მიხედვით, სხდებოდნენ მეფის ძენი და ასულნი. შემდეგ, იმგვარავე (მასსადამე, წოდებრიობის რიგით, — მ. ი.) მღვდელთმთავარნი, თავადნი და სხვანი, ქალნი, ხანდაზმულნიც და ყმაწვილნიც, — ყველა ლეჩაქმობდლი, თმაგაშლილი... ბევრს სახე დაკაწრული აქვს (ყურადღება მოაქციეთ: ზმნა კვლავ აწყყო დროშია დასმული! — მ. ი.).

ახლადჩამოსულს გამოჩენისთანავე ესიტყვებოდა ქალთა და მამრთა მწუხარე ლაღი-



სი (განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდეთ ამ დეტალს: როგორც ჩვენი შემდგომი განსჯა გვიჩვენებს, ე. ი. „ზარის“, ანუ გლოვის წესის მუსიკალურ-დრამატურგიული განწყვილება, — ეს მომენტი წმინდა საღუნდო ასპექტში გარდატყდება, — მ. ი.). თვით დედოფალი ხომ განსაკუთრებულად მოთქვამდა (ეს უქანასკნელი გულისხმობს „მოთქმა-გოდებას“, ე. ი. რეჩიტატიას, — მ. ი.).

განსაკუთრებული სანახაობა ზღვებოდა მით უფრო, მეფის ძის — მირიანის დახვედრისას, რომელიც საქართველოში არა ყოფილა 1783 თუ 1784 წლიდან (როგორც ყოველთვის, ბუტკოვი აქაც ზუსტია. მეფის ძე მირიან საქართველოში, მართლაც არა ყოფილა 1784 წლიდან, რამეთუ, გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, პეტერბურგს გახლდათ საქართველოს საელჩოსთან ერთად, — მ. ი.). როდესაც იგი თელავს უახლოვდებოდა, გზა მთელ 7 ვერსზე ხალხით იყო წყობილი, ქალი და კაცი. — ყველა საგლოველ სამოსში, მოქვითინენი (კვლავ, წმინდა მუსიკალური ნიუანსი ბუტკოვის მიერ წარმოსახული „ქმედებისა“ — მონუმენტური მრავალმნიანი საგუნდო პლასტიკი, „ზარის“ ბგერითი ნაკადის ზრდის გარკვეული საფეხურის შესატყვისისა რომ გახლავთ, მოცემულ შემთხვევაში — სანახაობისა, კეშმარიტად გრანდიოზულ მასშტაბებში რომ არის გაშლილი, და, ცხადია, ემოციური ზემოქმედების შესატყვისი ძალასაც გულისხმობს, — მ. ი.). მეფის ძე მირიან ქვეითად მოდიოდა. მისი თელავში შემოსვლისას, ყოველი წინ მდგომი ქალი, თუ მამაკაცი, თიბს. იკლუჯდა და სახეს იკაწრავდა რა, ზამამალა გოდებდა: „დავკარგეთ მეფე და მამა ჩვენი“.

აი, კეშმარიტად, სად გავონდება „ზარის“ კიდევ ერთი მონუმენტური სურათი — „ვადება ფარსმან მეფისა“, „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებიდან რომ წარმოდგება და ტრაგიკულ პლანში ბგერწერილი, აღნიშნული საწესჩვეულებო „ქმედების“ ე. ი. გლოვის წესის ყველაზე უძველეს აღწერას რომ წარმოადგენს. ლეონტი მროველთან (XI ს) დამოწმებული, მაგრამ II საუკუნის ფაქტის წარმომჩენი ეს ცნობა, უფრო ზუსტად, მასში აღბეჭდილი რიტუალის დრამატურგიული ფორმა იმდენად ადექვატურია ჩვენს მიერ განსახილველი გლოვის სურათისა, რომ მიზანწეონილად მიგვაჩნია მისი ვრცლად ცი-

ტირება: „მაშინ იქმნა გლოვა და ტრაგედია და ტყება ყოველთა ქართველთა, მტრეწესი ჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთამდე. და იტყებდეს თავთა მათი, და ყოველთა შინა ქალაქთა, უბანთა და დაბათა დასხდიან მგოს [ანი გლოვი] სანი, და შეკრბიან ყოველნი, და იგესენებდიან სიმძნესა და სიჭუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა, და იტყოდეს ესრეთ: „ვაა ჩუენდა, მოგქმნა ჩუენ სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისა მიერ კსნილ ვიყვენით მონეზისაგან მტერთათა, და მოიკლა იგი კაცთა გრძნულთაგან, და აწ მივეციენით ჩუენ წარტყუენებად უცხოთა ნათესავთა“¹¹.

ერთი სიტყვით, სახეზეა სამგლოვიარო ცერემონიის იგივე მასშტაბები და ბგერითი მთელის კონსტრუირების იგივე დრამატურგიული პრინციპები (ქორალური ტიპის საგუნდო სტრუქტურებისა და უნისონური გუნდას ფონზე წართქმული რეჩიტატივის მონაცვლეობა), ესოდენ დამახასიათებელი ეპიკურ პლანში გაშლილი ამ ტრაგიკულ ციკლისათვის.

სხვათა შორის, გლოვის წესის ტრადიციას მემკვდრეობითობის თვალსაზრისით და, ცხადია, თვით რიტუალის ხანდაზმულობის თვალსაზრისითაც, ინტერესსმოკლებული არ გახლავთ თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობასდმი მიმართვაც, მით უფრო, რომ იგი სწორედ მეფე ერეკლე II გლოვის გრანდიოზული სურათის ბგერით ატმოსფეროს წარმოსახეს. აღნიშნული ცნობა განსაკუთრებული ღირებულებისაა, რამეთუ, ისევე როგორც ბუტკოვისა, აღწერალი ფაქტის თვითმზილველისა და უშუალო მონაწილის მიერ არის მოწოდებული. აი, როგორ მოგვითხრობს მეფის ძე თეიმურაზი თავისი სახელოვანი პაპის გარდაცვალებით გამოწვეულ საერთო სახალხო გლოვაზე: „იქნა უკუღ მას ეამსა შინა დიდი მგლოვიარება სახლსა შინა სამეფოსა და ყოველთა ერთა შორის საქართველომასთა, ესრეთ ტყება და მწუხარება, რომელ ყოველი უქანასკნელიცა მცხოვრებთაგანი საქართველომასა იგლოვდა უმეტეს ყოველთა მახლობელთაგან თვისთა... იგონებდეს მოხუცებულნი სახელოვანთა და გმირულთა საქმეთა მისთა, კაბუენი ჰორნახულისა და კეთილისა და სამამაცოთა ზნითა და უხვისა მოწყალებითა აღზრდასა მათსა, ერნი ზოგად



ნარადის ქველის საქმეთა მართლმსაჯულება-
თა და მარადის ხსნისათვის მამულისა ზავისა
თჰსისა მსხვერპლებსა მეფისაგან. და ლაღ-
დება მათი აღიწევოდა ვიდრე კამდე¹²...

მართლიც, რა დიდი ძალა ტრადიციისა,
რომელიც გვაჩვენებს არა მარტო ზემოაღნიშ-
ნულ წყაროთა ფაქტობრივ, უფრო სწორედ,
წარმოსახული ქმედების დრამატურაგოლო
ფორმის დამთხვევას, არამედ თვით გაღმოცე-
ნის სიტყვიერი ფორმის იგივეობასაც.

მაგრამ ისევ ბუტკოვის ცნობას დაკუბ-
რუნდეთ და განვავარძოთ მისი ციტირება:

„ამიდან (ე. ი. მეფის ძე მირიანის ჩამოს-
ვლიდან — მ. ი.) მესამე დღეს (განავრძობის
ბუტკოვი — მ. ი.), ზემო ქართლიდან მოვი-
და სარდალი ციკოშვილი¹³, 80 წელსდად-
ცილებული მოხუცი, ერეკლეს ინდოეთში წა-
დირ-შაათან ერთად ლაშქრობისას რომ ახ-
ლდა თან. ეზოში შემოსვლისთანავე იგი მე-
ფის სპარსულ უნაგირს გარდაეკდო, ჩაეჭვია
ამ უკანასკნელს და იწყო ერეკლეს ლაშქრო-
ბათა გარდათვლა [სახეზეა ვრცელი მონოლო-
გური სცენა, მოცემული „მოთქმით ტირი-
ლის“ პლანში, მაშასადამე, უნისონური სა-
გუნდო ფონისა (როგორც წესი VII—I სა-
კანონო საქვეზე მობრუნებას რომ გულის-
ხმობს) და სოლისტის რეჩიტატივის „კონტ-
რაპუნქტულ“ გადაკვეთაში].

ქართულმა ხალხურმა მუსიკალურმა შე-
ნოქმედებამ ამგვარი სტრუქტურის „დატო-
რებათა“, ე. ი. „მოთქმით ტირილის“ არაერთ-
თი ნიმუში შემოგვინახა ერთ-ერთი ასეთი,
ამასთან, სწორედ „მეფე ერეკლეს დატორე-
ბა“, შეტანილია გრ. ჩხიკვაძის მიერ შედგე-
ნილ კრებულში — „ქართული ხალხური სიმ-
ღერა“¹⁴. ვფიქრობთ, აქ ზედმეტი არ იქნება
ნოვიყვანოთ თ. ბაგრატიონის კიდევ ერთი
უწყება, სწორედ აღნიშნულ ხალხურ-სასიმ-
ღერო მასალას რომ ეხება, მაშასადამე, ჩვე-
ნამდგ მოაღწეულ ერთ-ერთ ფრაგმენტს იმ
„მუსიკალური პარტიტურისა“, ბუტკოვის
მიერ რომ გავსავთ წარმოსახული: „ხოლო
მოვიდა დედაკაცი ვინმე მაშინ ქიზიყისა
მცხოვრებთაგანი, ქვრივი, მოხუცებულობა-
სა ასაკსა მიწვეწული. თუმცაღა იყო იგი
ნიდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მე-
ფეთა მიერ და შეწყნარებულ კარსა ზედა
მეფისასა. იწყო ამან ზმითა მალლითა ტირი-
ლად და ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა
ტირილსა მას შინა მოიღებდა თჰთოველთა

ღირსსახსოვართა საქმეთა მეფისასა, სიტყვებითა
მით უმეტეს ლომობიერ იქმნებოდნენ და სიტყვითა
როდეს გოდებოთა დიდითა, და ყოველთა მი-
ეკურათ ყური მისსა მიმართ და განუკრდებო-
დათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედა-
კაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დატი-
რა გვამი დიდებულისა მეფისა“¹⁵.

მაგრამ დავებრუნდეთ კვლავ ბუტკოვის და
შთაბუღილების სისრულისათვის მოვიტანოთ
მისი ცნობის დასკვნითი ნაწილიც:

„როდესაც დადგა დაქობილის დღე, კათა-
ლიკოსმა ანტონმა, მთელ სამღვდელთაგან-
თან ერთად, მიცვალებულს წესი აუღო იმ
მონასტერში, საღაც იგი იყო დასვენებული
(მაშასადამე, ბუტკოვი „საგლოვოვი ქმედ-
ბის“ კვლეა წმინდა მუსიკალურ-დრამატურ-
გიულ დეტალს უსვამს ხაზს. ამჯერად, თა-
ვის „უფლებებში“ შედის „საგალობელი“,
ერთი სიტყვით, ვაშლილი ციკლური მთელი
— „ლიტურგია“, — მ. ი.). ცხედარი გამოას-
ვენეს ქვემეხთა და თოფის გრიალში ქარ-
თველთა ჯარისა, რომელიც აქ შეიკრიბა 20
ათას კაცამდე და რომლის უდიდესი ნაწი-
ლიც 2 ქვემეხის თანხლებით, მცხეთისაკენ
ბიზავალ გზას გაუდგა ცხედრის ვადასასვენებ-
ლად... კუბო ხელით მიჰქონდათ... გზაში 3
დღე იღუნენ“¹⁶.

ასეთია ბუტკოვის მიერ დახატული სურა-
თი გლოვის წესისა, ამ უძველეს ქართუ-
ლი საწესჩვეულებო ქმედებისა, ათასწლეულ-
თა სიღრმიდან რომ წარმომავლობს. სხვათა
შორის, „ზარის“ ბუტკოვისეული აღწერა შე-
იცავს მრავალ ისეთ დეტალს, რომლებიც
ზემოთმოთითებულ „პარალელურ“ ქართულ
წყაროებში არ მოიპოვება.

სამაგიეროდ, ქართული ანალები შესაძ-
ლებლობას გვაძლევენ განვავარძოთ ბუტკო-
ვის მიერ მოწოდებული ცნობის მუსიკალუ-
რი ნიუანსირების საზღვრები. ზემოთაღნიშ-
ნულ წერილობით წყაროთა გარდა, აქ მზღ-
ველობაში გვაქვს კიდევ ერთი ძველი ქარ-
თული წერილობითი ძეგლი, ესოდენ საჭირო
„ზარის“, ანუ გლოვის წესის დრამატურგი-
ული კადრიების პრინციპის შესამეცნებლად,
მაშასადამე, ამ მონუმენტური თეატრალიზე-
ბული სანახაობის „კადრებდ გათვლის“ რი-
გის დასადგენადაც, სხვათა შორის, ბუტკოვის
ფოლკლორული ჩანახატის ერთგვარად განმ-
მარტებელი (ვგულისხმობთ, განვრცობას, კო-
მენტირებას — მ. ი.), ეს უკანასკნელი კიდევ



ერთხელ მიგვანიშნებს რუსი ავტორის დაკვირვებათა დიდ სიზუსტესა და წმინდა მუსიკალური ინტუიციის სიღრმეზე, ესოდენ ნათლად რომ წარმოაჩინა ძველი ქართული საწესჩვეულებო ქმედების მსხვილი შტრახებით დახატულმა ეპიკურმა სურათმა.

იგივე ეპიკური სუნთქვა და სიცოცხლიობა, იგივე მასშტაბები ტრაგიკულის ასახვისა, რაც ბუტკოვის მიერ დახატულ თეატრალიზებულ სანახაობაშია, გვანცვიფრებს ქართველი ავტორის ქვემოთმოყვანილ ცნობაშიც, უფრო სწორედ, ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტში, მეფე ერეკლე II საერთო-სახალხო გლოვის რიტუალს რომ განაკუთვნიება. მხედველობაში გვაქვს სპეციალური „ცირკულარი“ ანუ „განჩინება“ — „ცერემონია წარღებასა ზედა ცხედრისასა“, დარეჯან დედოფლისა და პატრიარქ ანტონ II ბექდებით რომ არის დამტკიცებული. იგი შედგენილია დავით ალექსი-მესხიშვილის, ერეკლე II-ის ეპოქის ცნობილი სწავლულის, თელავის სემინარიის რექტორის მიერ, ოომელიც დედოფლისა და პატრიარქის 1798 წლის 10 იანვრის განსაკუთრებული ბრძანებით სამგლოვიარო მსვლელობის ცერემონიისტრად დაინიშნა. ასე რომ, ბუტკოვის ცნობა და „განჩინება“ — „ცერემონია წარღებასა ზედა ცხედრისასა“, სინქრონულნი გახლავთ დროის მხრივ, შედგენილია ერთსა და იმავე დღეებში.

ცხადია, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ორივე შემთხვევაში ე. ი. ბუტკოვის მიერ, თუ „განჩინებაში“ წარმოსახული ეპიკური ტილოების დრამატურგიულ, უფრო სწორედ, მუსიკალურ-დრამატურგაულ პრინციპთა განჩხრეკისას, თვალში გვხვდება ამ უკანასკნელთა სწორედ იგივეობა, მაშასადამე, „ზარის“ დრამატურგიული ფორმის წარმოსახვის სიზუსტე, თუმც კი იმ განსხვავებთ, რომ „განჩინებაში“ — „ცერემონია წარღებასა ზედა ცხედრისასა“, როგორც ოფიციალურ „ცირკულარში“, ქმედება უფრო დეტალურად არის კადრირებული. ერთი სიტყვით, საზეზე გვაქვს მონუმენტური სანახაობითი კომპოზიციის სრული რეჟისორული და საკუთრივ „მუსიკალური პარტიტურა“, გლოვის წესის უძველესი ქართული ტრადიციის მიხედვით რომ არის გათვლილი.

სხვათა შორის, გლოვის წესის, როგორც დრამატურგიული მთელის კადრირების პრინციპზე ანუ კადრებად გათვლის რეგულაციარი სიზუსტით მიგვანიშნებს კიდევ ერთი წერილობითი წყარო, კერძოდ, „ზარის“ წესის ის აღწერა, რომელსაც დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი იძლევა თავის შესანიშნავ ქმნილებაში — „ელგუჯა“. ეს უკანასკნელი, როგორც ჯერ კიდევ ჩვენს წიგნში — „ქართული მრავალხმიანობის შესახებ“ ვუჩვენეთ (აღნიშნული შრომა ქართული მრავალხმიანობის საწყისთა კვლევის ეძღვნება), საოცრად პირველქმნილია თავის ფოლკლორულ არსში¹⁸. აღნიშნული ცნობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, თავს ნებას მივცემთ საკმაოდ ვრცელი ციტატა მოვიტანოთ ალ. ყაზბეგის დასახელებული ნაწარმოებიდან, მით უფრო, რომ მასში ასახული სურათი ესოდენ ადეკვატურია ჩვენს მიერ განსახილველი გლოვის წესისა. უფრო მეტიც... თ. ბაგრატიონის ცნობით, ამგვარი სახის სანახაობის აღსრულებას ადგილი ჰქონია თვით მეფე ერეკლე II დატირების შემთხვევაშიც. ამის დასტური ვახლავთ მეფის ძის შემდეგი სიტყვები: „ყოველნი თვითოეულნი გვარნი მცხოვრებნი ქართველნი კაცკასიისა მათაგანნი და თათართაგან საქართველოჲსათა და სხვათა ყოველთაგან ადგილთა მოვიდოდინ და ჰყოფდეს გლოვა-სა წესისამებრ მათისა¹⁹. სრულიად საქართველთა თაემუყრის ამ მიწუხარე ჟამს, ცხადია, მოხუცეთა ხმაც უნდა შერთვოდა საერთო სახალხო გოდებას, ე. ი. დარიალის ხეობის ქართველთაც უნდა დაეტირებინათ ერის „საზოგადო მამა“ „წესისამებრ მათისა“.

რომ „ზარის“ ზემოთგანხილულ ვარიანტთაგან (რომელთა დრამატურგიული გათვლისას კონსტრუქციული პრინციპების, მაშასადამე, ფორმის ქმნადობის პრინციპების სრულ იგივეობაზე უკვე მივუთითეთ) თავისი საოცარი პირველქმნილებით გლოვის წესის სწორედ ეს მოხუცური „მოსაბარნი“ გამოირჩევა, ამაზე, ვფიქრობთ, თვით ალ. ყაზბეგის მიერ ბეგერწერილი ეპიკური ტილოც მიგვანიშნებს. აი, გლოვის ეს ვრცელი სურათი:

„გათენდა მეორე დღე და სვიმონის სიკვდილის ხმა მთელს მთას მოედო (ლაპარაკია ხევის ბატონის — სვიმონ ჩოფიკაშვილის გარდაცვალებაზე, — მ. ი.). დაიძრა ხალხი და ყოველი კუთხიდან სატირლად მოესწრაფებოდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა,



შინ აღარავინ რჩებოდა... მიცვალებული... საკაცით „სამყოფო სახლში“ დაასვენეს. ჰირა-სუფაღნი და მგლოვიარე ნათესავ-მოკეთონ სამის მხრით გარს შემოეხვივნენ, მხოლოდ ისე მოშორებით კი დადგნენ, რომ მოტირალთა და ცხედარს შუა კაცის გასაველი ადგილი დარჩენილიყო... ესენი განსაკუთრებით ქალები და დედაკაცები იყვნენ, რომელთაც თავშალეები მოეხდათ და დამკლავებულნი სატირლად მომზადებულიყვნენ.

განუწყვეტლევ თითო და თითო სოფლის დედაკაცები ჯგუფ-ჯგუფად სამყოფო სახლის დერეფანზედ გროვდებოდნენ და ცალკ-ცალკე უგუნდებად, მათში შემოიღებულნი თავისებურის ტირილით შემოდიოდნენ.

ამგვარად შემსვლელები, კარებშივე ერთი მეორის უკან დამწყვიტდებოდნენ და წინ უეჭველად უფროსს გამოიძლოლებდნენ. მოწინავე წყნარად და მწყურხარეს ხმით დაიძახებდა: „დადაი“ და ლოყებში ცემით სხვები ბანს მისცემდნენ და პატარა ნაბიჯის ვადდგმით წინ წაიწევდნენ. ამათ ლოყებშივე შემოკვრით და სიტყვებით „დადაი“, ცხედართან მყოფი ჰირისუფლები უპასუხებდნენ... სანამ ერთი სოფლის დედაკაცები ამგვარ ლიტანიას²⁰ არ გაათავებდნენ, მეორე სოფლის დედაკაცები დერეფანში ელოდნენ და მხოლოდ მაშინ დაიძახებდნენ „დადაის“, როდესაც პირველები დაიშლებოდნენ.

ამბავი სრული შვიდი დღე გრძელდებოდა, რადგან სვიმონი, ეს სახელოვანი კაცი, პირველი გვარიშვილი იყო...

ხანდახან, როდესაც მოსულნი მთლად შემოიკრიბებოდნენ და დერეფანში არავინ ელოდა, სახლში მყოფი რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხადრებას ხალხს მოუთხრობდა. მთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოჰყვებოდნენ შემაწუხებელის ხმით, ზარით ტირილსა...

სამყოფი სახლის კარებთან რამდენიმე ყმაწვილი კაცი შეჯგუფდა, მოისმა რაღაც ტკაცუნნი და ხალხი იქით გაეშურა.

— მათრახებით მოდიან, მათრახებით! — დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული. რამდენიმე დედაკაცი ჰირისუფალთაგან გამოერჩია, წა-

ვიდა კარებში მოგროვილი ბიჭებისაგან და მათ მწყრივად უკან მიუღდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც დედაკაცმა კენესით და ხნის კანკალით წარმოსთქვა: „ავაი!“ და სახლში დარჩენილთაგან პასუხად მიიღო: „ავ-დადაი“.

ყმაწვილი ბიჭები, მწყრივად დაწყობილნი, საკინძ-ჩამოწყვეტილნი და გულგადაღულილნი, წყნარის ნაბიჯით წამოვიდნენ: ყველას მარცხენა ხელი შუბლზე ჰქონდა მიფარებული და მარჯვენაში კი, განსაკუთრებით ამგვარი შემთხვევისათვის გაკეთებული მათრახი ეჭრა... ყოველი „ავ-დადაის“ წარმოიქმისთანავე შემოიკრავდნენ მათრახებს... მათ უკან მოდიოდნენ დამკლავებული დედაკაცი და მათრახის შემოკვრასთან ერთად ისინიც ლოყებში იცემდნენ...²¹

აი, როგორი გაბლავთ „ზარის“ წესის მოხვეური „მოსაბრუნი“, აღსრულებული, თ. ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „წესისამებრ მათისა“.

ძნელი არ არის მიხედვით, რომ სახებზე გვაქვს მკვიდრად გათვლილი დრამატურგიული მთელი, წარმოსახული ათასწლოვანი ტრადიციის ღრმა ცოდნით და მისი შინაგანი ექსპრესიის საოცარი შეგრძნებით. სამუსიკის-მცოდნეო მიმოქცევაში ალ. ყაზბეგის ცნობის პირველად შემოტანისთანავე, ე. ი. ჩვენს წიგნში „ქართული მრავალხმიანობის შესახებ“, აღნიშნული ცნობა მისი სწორედ სინკრეტული არსიდან გამომდინარე გაბლავთ განხილული²². აქედან, ა. ყაზბეგის მიერ წარმოსახული ქმედების „მწყობრის“ ანუ დერეფლის იმ არქაული სახის დრამატურგიული პრინციპებით განვითარება, ჩვენ რომ მივაკვლიოთ „საფერხლო ქმედებათა“ ტიპების კლასიფიკაციის პროცესში, გამოვლინარე ამ უკანასკნელთა (ცხადია, სინკრეტულთა თავისი ბუნებით) ქორეოგრაფიული ნახატიდან, მაშასადამე, მათი ქორეოგრაფიული სპეციფიკიდან²⁴.

ერთი სიტყვით, ჩვენი კვლევის საგნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის წარმოჩენას, რომ „მწყობრი“, მონუმენტურ „საფერხლო ქმედებად“ რომ წარმოგვიდგება, „დადაი მეტრის რიტმული სვლის“ სახით არის განწყვილული.

როგორც ზემოთგანხილულ წერილობით წყაროთა ანალიზმა გვიჩვენა, „ზარის“ ანუ

გლოვის წესის დრამატურგიული განწონილება ამ სამწიფილიანი კომპოზიციური მთელის კონსტრუირებისას სწორედ „მწყობრის“ პრინციპიდან წარმომავლობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მონუმენტური ბგერითი მთელის მძლავრი რიტმული დინამიკა შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს წარმოქმნის:

1) ანტიფონური გუნდი, „მწყობრის“ ანუ „დიადი მეტრის რიტმული სვლის“ ფონზე რომ გახლავთ მოცემული.

2) სოლისტის რეჩიტატივი უნისონური გუნდის ფონზე (როგორც წესი, ეს უკანასკნელი ჩაერთვის საკიდანსო საქცევზე — VII-ქ.)

3) კვლავ „დიადი მეტრის რიტმული სვლა, ნოცემული დინამიკური ზრდის ზღვრიულ წერტილებზე“²⁵.

სხვათა შორის, ბუტკოვის მახვილმა მუსიკალურმა ინტუიციამ შესანიშნავად დაიკირა ყველა ეს ნიუანსი, ე. ი. დრამატურგიულ სიჩქარეთა ვადართვის მომენტები, უფრო ზუსტად, „ზარის“ — ამ მრავალპლანიან, მრავალწახანაგოვანი მოქმედების სხვადასხვა სიბრტყეთა ვერტიკალში გადაკვეთის ანუ კონტრასტულად, შეყოვლების ნიშნის ქვეშ მიმდინარე ქმედების ფორმისქმნადობის ურთულესი პრინციპები.

გლოვის წესის, როგორც ციკლური მთელის ბგერითი კონსტრუქცია, ცხადია, მრავალხმიან საგუნდო პლასტებზე (იგულისხმება როგორც აკორდულ-ქორალური, ისე ჰომოფონურ-პოლიფონიური „ბგერითი რიგები“), ასე ვთქვათ, თავისებურ „საგუნდო ოსტინატოზე“, მაშასადამე, გამკვეთ თემატიზმზეა დაფუძნებული.

მარბა... დავუბრუნდეთ „განჩინების“ — „ცერემონია წარლებასა ზედა ცხედრისასა...“ სხვათა შორის, მასში, როგორც ჩვენი შემდგომი მსჯელობა გვიჩვენებს, „ზარის“, ე. ი. მონუმენტური თეატრალიზებული სანაპაზის დრამატურგიული განვითარების სწორედ კულმინაციური საფეხურია წარმოდგენილი, მაშასადამე, ბგერითი კონსტრუქციის შესამერებარიზული ნაწილი, აღნიშნულ სინკრეტულ ქმედებაში დინამიკური დაძაბულების ზღვარზე მოცემული „დიადი მეტრის რიტმულ სვლაში“, ანუ „მწყობრში“ რომ გახლავთ გარდასახული. ამის დადასტურებაა, სამგლო-

ვიარო სვლის ის რიგი, რომელიც ზემოაღნიშნული „ციკლური“ ანუ „განჩინების“ არის განსაზღვრული. 39 პუნქტის შემოკლებული ეს ვრცელი სახელმწიფო დოკუმენტი, უაღრესად საყურადღებო გახლავთ ისტორიული, სამუსიკისმცოდნეო, სამართლებრივი, სამხედრო და სხვა მეცნიერებათა თვალსაზრისით. ჩვენთვის კი, ცხადია, პირველყოვლისა, სამუსიკისმცოდნეო თვალსაზრისით, — მაშასადამე, მუსიკის როგორც საზოგადოებრივი ფუნქციის, ისე ხალხურ-სასიმღერო და მკველი ქართული პროფესიული მუსიკის ტრადიციებადმი მისი მიმართების თვალსაზრისით.

ამ კულტურის მაღალი დონე წარმოდგება „ცერემონიის“... განჩინების ამ წესის ყოველი ნიუანსიდან, ბგერითი მთელის კონსტრუირების ათასწლეულებში დახვეწილ შემოაღნიშნულ პრინციპებს რომ მისდევს.

მაშ ასე... გლოვის წესის კულმინაციური ტალის — „დიადი მეტრის რიტმული სვლის“, ანუ „მწყობრის“ კადრებად გათვლა თვის „ციკლურის“ — „ცერემონია წარლებასა ზედა ცხედრისას“ პუნქტების მიხედვით²⁶:

1) პუნქტი № 4: „წინ თოფხანა, ზარბახენები... თავისი დროშით და თავისი ამალით ვაწყობილნი, აგრეთვე ბალაბანჩიკები და სალამურთა დამკურელნი, წესდგომით (ე. ი. ხარისხის მიხედვით, — მ. ი.). ...ბალაბანჩიკები და სალამურთ მკმობელნი უნდა უკრავდენ საგოდებელისა და სალამობიერის კმითა... პირველად მოვიდეს თოფხანის გამგებელი... სამეფოს ცხედართან, მესაკრავენი მოჰყუნენ, ბალაბანდი მდაბლად დაჰკრან, უკანასკნელი ბატივი მისკენ, ცრემლით იტრონი (მხედველობაშია საგუნდო პლასტი. — მ. ი.)... მოზარენი მოსვლასა ზედა ორ-ხოროდ (ე. ი. ანტიფონურად, — მ. ი.) წინ უძლოდეს“²⁷.

2) პუნქტი № 5: „შემდგომად ამისა მოვიდნენ მეწინავე სარდლები²⁸... ორნივე სწორად, თავისი სამკედროთი. თჰსნი დროშანი მოუძლოდესო წინ, დროშასთან ორ-ხოროდ უძლოდენ მოზარენი... მეფის ცხედართან იტირონ (ყურადღება მიაქციეთ მონუმენტური საგუნდო პლასტებისა და საკუთრივ „ამით ტირილის“, ე. ი. უნისონური გუნდის ფონზე დაშენებული სოლისტის რეჩიტატივის მონაცვლეობას, — მ. ი.)²⁹.



3) პუნქტი № 6: „შემდგომად ამისა მოვიდნენ ქართლისა და კახეთის შემარჯვენე სარდლები, ორნივე თანასწორად, თავისის სამკედრო დასით. წინ თჳსნი დროშანი მოუძღოდნენ, ამით წინ ორ-ხოროდ მოზარენი მგალობელნი... მოვიდნენ ცხედათან, მდაბლისა კმითა ცრემლით იტირონ (რავისი დრამატურგიული ცუქციით ეს მოწინეტი ანალოგიურთა მიცვალებულის დტირების დასავლეთ-ევროპული წესის ანუ „რევერის“, იმ დინამიური პლასტისა, რომელსაც „Lacrymosa, რუსულად «Слезная» ჰქვია, — მ. ი.) თვთა და თვთა (დროშათაცა ცხედარს თავი მოუხარონ ცლავ მკვეთრი გადართვა დრამატურგიულ სიჩქარეთა, მაშასადამე, ტემბრული ნიუანსირებაც, წმინდარიტმულ-დინამიკური თვალსაზრისით ძურებასაც რომ ვულისხმობს, — მ. ი.)³⁰.

ერთი სიტყვით, „მოწმენი“ ზნდებით გრანდოზული სამგლოვიარო სვლისა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ რიგის მიხედვით, ანუ ძველი საქართველოს, „საცერემონიებისტროკოდექსის“ (ესოდენ უძველესისა ქართველთა სახელმწიფოში, — მ. ი.) მიხედვით რომ არის გათვლილი.³¹

აჲ, წოდებრიობისა და „სამოხელეო ხარისხის“ მიხედვით, როგორც „ციტრულარის“ მომდევნო პუნქტები გვიჩვენებენ, სამგლოვიარო მწყობრში წარვლენ: ქართული მხედრობის მემარცხენე ფრთის სარდალნი და თვით „სამხედრო გუნდნი“; ერეკლესეული ორი ულავი — წაბლა და თეთრონი (ცხადია, ამილახორისა და მეჩინებეთა საპატიო თანხლებით, ამასთან, უნაგირებზე მეფის საკურავლით), საკურავლისმტვირთველნი, შინაგანო სამსახურის მოხელენი, სახელმწიფო ბექლის მკველნი, სამხედრო მემბტიანენი, ფინანსთა უწყების მოხელენი, მდივანბეგნი (ანუ უმაღლესი მსაჯულნი) და ა. შ. ერთი სიტყვით, სახელმწიფო სამოხელეო სამსახურის ყველა უწყების: შინაგანი, საგარეო, ფინანსიური, სამართლებრივი და სხვათა წარმომადგენლები.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პუნქტი № 18, მეფისა და პატრიარქის პირადი გუნდების (ე. ი. „კაპელათა“, ორ-გუნდად ანუ ანტიფონურად გაწყობილი მგალობელთა დასების) მწყობრად წარვლის რიგს რომ ადგენს: „შემდგომად (იგულისხმება — მანდატურთუხუცესთა ჩაველის შემდეგ, — მ. ი.) ორ-

ხოროდ მგალობელნი: მარჯუნით მისის უმაღლესობის მეფის მგალობელნი მარცხნით მისის უფმოდესობის პატრიარქის მგალობელნი და იტყოდნენ გალობასა ლიბიერისა ხმითა წყნარად „წმიდაო ღმერთოსა“, და უკუეთუ პნებავს მისსა უწმიდესობასა მგალობელნი ჰგალობენ „კონდაკსა“ და „იკოსაცა“ მიცვალებულთასა. „ქუშმარიტად ამო არს“ და შემდგომთ (ე. ი. ლიტურგიით“ განსაზღვრული, — მ. ი.), — ნათქვამია ამ უკანასკნელში³².

სხვათა შორის, ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ მთელი რიგი სხვა წყაროებიდან, კერძოდ, დავით ბაგრატიონის „საქართველოს ახალი ისტორიიდან“, ავრთვე იოანე ბაგრატიონის ფართოდ ცნობილი ენციკლოპედიურ-მხატვრული ტილო „კალმასობიდან“, შესაძლებელი ხდება სამეფო „კაპელის“ ზოგიერთი მგალობლის გეარის დადგენაც. ერთ-ერთი მათგანი პაატა სულხანიშვილი გახლავთ, პაპა („დიდი პაპა“) ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსის — ნიკო სულხანიშვილისა, თავისი დროის გამოჩენილი მუსიკოსი-პროფესიონალი, ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი მცოდნე და საყოველთაოდ აღიარებული შემსრულებელი³³.

აქ იმაზეც მივუთითებთ, რომ ჩვენს მიერ მიკვლეული ფაქტები, ე. ი. გლოვის წესის ანუ „ზარის“ აღწერის შემცველი XVII საუკუნის რუსულ-ქართულ წყაროებში დატული ცნობები (სინქრონულნი დროის მხრივ და ადეკვატურნი შინაარსის თვალსაზრისით), თავის მხრივ უაღრესად წონადნი, ორმაგად ღირებულნი გახლავთ, როგორც დოკუმენტები იმ ეპოქის მუსიკალური მატინისა, მაძირკველი რომ დაუდო რუსი და ქართველი ხალხების სულიერ ერთობას.

შენიშვნები:

1. პ. ბუტკოვი, „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722 წლიდან 1803 წლის ჩათვლით“. გვ. 8.

2. თავისი სამხედრო კარიერა პ. გ. ბუტკოვმა კავკასიაში დაიწყო. 1797 წელს იგი კავკასიაში ღისლოცირებული „აბილისის მუშეკერთა პოლკს“ კაპიტანი იყო რუსეთთან საქართველოს შეერთების მოწინებლისთვის, ე. ი. 1801 წლისათვის, მან კავკასიაში ქვეითი ჯარების მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენ-



ნანტ კ. ფ. კნორინგის კანცელარიის უფროსის უაღრესად პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა. გარდაეცვალა ბუტკოვი 1857 წელს, სენატორის მაღალი მატერია მოსილი და ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის ხარისხში აღვანილი, ინფანტერიის გენერლის წოდებას რომ ეღობა და თანამედროვე ტრანზიციონალიზმით სახეობათა ქარების მარშლის რანგს გულისხმობს.

3 1798 წლისათვის ბუტკოვი კავკასიის ინსპექციის ინსპექტორთა ინსპექტორული ადიუტანტი გახლდა.

4 პ. გ. ბუტკოვი, „მასალის 1003 წლის ჩათვლით“, ტ. 11, ს. 3-ებურებურე, 1869, თავი № 215, გვ. 440-443 (გვერდებს მთლიანად აქ ვუთითებთ, რათა შემდგომ ტექსტში არ გადავიტოვოთ). აქვე მივუთითებთ: ქართულ ენაზე ბუტკოვის ეს ცნობა პირველად ქვეყნდება ამასთან — ჩვენი თარგმანით.

5 რუსულ ტექსტში ტრანსკრიპციით — დარია.

6 იგულისხმება — მამაკაცს.

7 როგორც ცნობილია, მეფე ერეკლე II დაბრუნდა 40 დღე გრძელდებოდა, აქედან, პირველი 29 დღე გრის დღი „სახოგადო მამის“ (სოლომონ ლიონიძის სიტყვები გახლავთ მისი „გლოვის სიტყვიდან“, სხვათა შორის სწორედ „მოთქმით ტირილის“ ამბეკტში რომ არის გარდატეხილი და აქი ასევე ეწოდება: „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ლერჯულეს ღირსისა“, იხ. პ. იოსელიანი, „ცხოვრება ვიოტა მეცამეტისა“, გამომც. „ფედერაცია“, 1936, გვ. 52-57) ცხელარი თელავის სასახლის საგლოველ დარბაზში იყო დასვენებული, შემდგომში 20 დღე კი — ბუტკოვის მიერ მითითებულ მონასტერში, ქართული წყაროებით, კერძოდ, თეიმურაზ ბაგრატიონის (ვიოტა XII-ის ძე, შემდგომ — რუსეთის მცენებრებათა აკადემიის სახელის წევრი) ცნობით — მონასტერი „ხელით ქმნილია ხატისა“ (იხ. თ. ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გამომც. „მეცნიერება“, 1972, გვ. 72).

8 სხვათა შორის, ბუტკოვის ცნობით, სწორედ წაბლაზე ამხედრებული იბრძოდა 75 წლის სახელოვანი გმირი კრწანისის ველზე, ქართველთათვის ტრაგიკულად დასრულებულ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ქართველი ვაჟაყვილის საარაო გმირობა რომ გვიჩვენა.

9 აქ, და ბევრ სხვა შემთხვევაშიც, ზმნა აწმყოში დგას, რაც გვაფიქრებინებს, რომ განსახილველი ცნობა „მოხსენებითი ბარათისდაგვირად“ არის შედგენილი და უმაღლეს ხელისუფალთაღმე აღრეხებული. ჩვენთვის მასში საზეზა ბუტკოვი — მეცნიერი, პოეტული საწესწვეულებო „ქმედების“ უტყველესი ხანინდან წარმომავლობა რომ შეიგრძნო და მასი არსი ესოდენ მძლავრად შეიმეცნა, მამასაღამე, ჩაწედა ამ კონკრეტული ხალხურ-სასიმიერო ტრადიციის არსს და მისი სიღრმისეული წყდომიდან გამომდინარე, გლოვის წესის ესოდენ ურცელი აღწერა მოგვეცა.

10 იგულისხმება დასავლეთ საქართველო.

11 „ქართლის ცხოვრება“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942, გვ. 33.

12 თ. ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 70.

13 ბუტკოვთან აღნიშნული გვარი რუსულ წყაროებში მოცემული — ციციანოვი.

14 გრ. ჩხიკავაძე, კრებული „ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960, გვ. 182.

15 თ. ბაგრატიონი, დ. ბაგრატიონის ისტორია, გვ. 73.

სამწუხაროდ, მატანიმ არ შემოგვიჩვენა ამ მაღალნიკერი მოზარის, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვებით — „გლოვის მგონისს“ სახელი, მაგრამ, თუ ჩვენს ვარაუდი სწორია, ამის საფუძველს კი იძლევა ივით თ. ბაგრატიონის სიტყვები: „თუმცნა იყო იგი მუბაბითა ერისაგან, მაგრამ ცნობილი მეფეთა შერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა“, იგი სწორედ ის უშიშარი პატარა გოგონა გახლავთ, თავისი ვაჟკაცების შემორული შემართებით სახელგანთქმული ქიზიყის სოფელ საქობლანს, ხის კენწეროდან მდფე ერეკლეს ქლიავი რომ დაეყარა, ჩალმის ვაფო სპარსელ მხედართმთავრად მიიჩნია რა იგი (აღნიშნული შემთხვევა, საფუძველად დაედო ი. გოგებაშვილის ცნობულ მოთხრობას — აგრეთვე მეფე და ინგლო ქალი“, სადაც პატრიოტული გზნების კიდევ უფრო გასაღვივებლად მოქმედება ქიზიყიდან სიანგლოშია გადატანილი).

როგორც ცნობილია, მეფე ერეკლე შემდგომში ნამობრე მზრუნველობას იჩენდა ამ პატრიოტი გოგონასაღმე.

16 თ. ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 73.

17 როგორც ცნობილია, მეფე ერეკლე II დაბრუნდა მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ქართველ მეფეთა საქვალე რომ არის.

18 მ. იაშვილი, „ქართული მრავალხმიანობის შესახებ“, გამომც. „განათლება“, 1975, გვ. 109-114. წიგნის ცალკეული თავები გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1969 (ეფრელი „ციხისა“, № 8), 1970 (ეფრ. „მნათობი“, № 5) და 1971 (ეფრ. „საბჭოთა: ზლოვება“, № 2) წლებში.

19 თ. ბაგრატიონი, „დავით ბაგრატიონის ისტორია“, გვ. 73.

20 ანუ შემოვლას.

21 ა. ყაზბეგი, რჩეული, გვ. 143-147 (იხ. „ჩვენი საუფე“, ტ. II, გამომც. „ნაყოფი“, 1960 წ.).

22 ვფიქრობთ, ზედმეტი არ არის იმაზე ვითთება, რომ ა. ყაზბეგის „იღუგეჯაში“ 1804 წლის სინამდვილე — მოთხრობის აქანების ფაქტია წარმოსახული, მამასაღამე, გლოვის წესის ჩვენს მიერ განხილული შემთხვევის (იგულისხმება ბუტკოვის, თ. ბაგრატიონისა და სხვა ცნობები „ზარის“ წესის შესახებ), კ. ი. 1798 წლის განსელოდან (მეფე ერეკლე II გაბრძოლებიდან) სულ რამდენიმე წლის შემდგომია ამბავი, პირველისაღმე ქრონოლოგიურად არც თუ ისე დაწორებული, და, მამასაღამე, შესრულებული რატეულის ვორმის მხრივაც იღვტურე.

23 მ. იაშვილი, ქართული მრავალხმიანობის შესახებ, გვ. 44.

24 იქვე, გვ. 113.



23 „ეკრემონია წარღმასა ზედა ცხებრისასა“-ს შეიკავს დ. ალექსი-მესხიშვილის ავტობიოგრაფიული კრებული (19-26). ჩვენს მიერ ციტირებისას ვემყარებით თ. ბაგრატიონის შრომას — „დავით ბაგრატიონის ისტორია“, გვ. 80-87.

25 თ. ბაგრატიონი, დასახელებული წიგნი, ვე. 80.

27 აქ და თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, პირი-ვნებანი მითითებული არიან სახელდებით.

28 თ. ბაგრატიონი, დასახელებული წიგნი, გვ. 80-81.

29 იქვე, გვ. 81.

30 „ხელმოწიის კარის გარიგება“, ვ. თყაშელის გამოცემა, 1929 წ. (XIV ს. პირველი ნახევარი). ლი. უქველესი ქართული „საეკრემონ-წიგნით“ ცირკულარის“ უფრო ადრინდელ ნუსხას ჩვენამდე არ მოუღწევია).

31 თ. ბაგრატიონი, „დავით ბაგრატიონის ისტორია“, გვ. 82 („დანართი“).

32 დ. ბაგრატიონი, „საქართველოს ახალი ისტორია“, 1905 წ. „წინასიტყვაობა“, გვ. 3.

33 ი. ბაგრატიონი, „კალმასობა“, გამოცემა „სახელგამი“, 1948, გვ. 212.

პანორამა

ფოლკლანდის „გმირაპი“ „რონალ კორტის“ სენანაშ

ცნობილმა ინგლისელმა დამატურგმა ტონი მარჩინტმა დაწერა პიესა „შინ დაბრუნება“, რომელიც „ტიტრ ასტაზ“-ის დასმა ჯონ ჩემპენის რეჟისორობით განახორციელა ლონდონის „როიალ კორტის“ თეატრში.

ეს პიესა აშკარად გამოირჩევა იმ პროპანდისტული, თუა პარტიოტული ნაქაღიდან. რომელმაც ლამის არის წაღვეოს ინგლისის მახობრივი კომუნიაციის საშუალებანი. ტონი მარჩინტი პიესა სრულად გამოხატავს ფოლკლენდის კუნძულებიდან დაბრუნებული ინგლისელი ჯარისკაცების აზრსა და დამოკიდებულებას ამ ომისადმი, გვიჩვენებს ინგლისური საზოგადოების სხეულზე გაჩენილ ღია კრილიობას.

პიესის მოქმედება 1982 წლის ბოლოს მიმდინარებს. საბრძოლო რაზმი, კაპრალის მეთაურობით, დაღუპული ჯარისკაცის დასაფლავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას შესდგომია. ეს ამბავი მოქცეულია პიესის ცენტრში. მარჩინტი იმგვარად ხატავს ჯარისკაცების ცხოვრების სურათებს, რომ აშკარად იგრძნობა დასაღუპავად განწირული სამყარო, რომელიც ყოველ წუთს მზადაა კომშარში გადაიზარდოს. ცოცხლად დარჩენილი ჯარისკაცები თავსარდაცემულნი, გაოგნებულნი არიან, რადგან ხედავენ თავიანთი ამხანაგის დაღუპვის სრულ უაზრობას.

მართალია, პიესაში არ არის პარდაპირი, მამხილებელი გამოთქმები, არც ტიტრების და ფოლკლენდის კუნძულებზე გაჩაღებული ომის კრიტიკა აქ, მაგრამ ავტორი პოლიტიკურ სიმაზილეს და სიმაფარეს საკმაოდ ეშმაყური გზით აღწევს. პიესის მოქმედების მანძილზე ხშირად გაისმის ტიტრების სიტყვები „მიწყევდე და სულ ადამიანთა სულთა გამო“, ისეთ მაღალ კატეგორიებზე, როგორცაა სიმაზიცი, ვეჯუცობა, სიამაყე, სიმტკიცე — ასე სრულყოფილად რომ ვლინდება დიდი ბრტანეთის საზღოვანი ისტორიის მანძილზე“ — პიესაში დაბატული რეალური სინამდვილე კი აბსოლუტურად გამოირიცხავს ამგვარ მაღალფარდოვნებას. ავტორი საზნედრო ცხოვრების ზანაღურ სიტუაციებს კი არ გვთავაზობს, არამედ უყრადღებას ამხვეული ჯარისკაცთა შიდა ურთიერთობებზე, მცირე საზნედრო რაზმის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით არმია საოცრად მგავს იმ საზოგადოებას, რომელმაც

იგი წარმოშვა. ჯარისკაცები, რომელთაც ამ ომის დროს „ერის სიამაყე“ უწოდებენ, აქ წარმოდგენილნი არიან, როგორც პოლიტიკური სისტემის ბრმა იარაღი.

პიესის ეკლენიციური მომენტია ფინალური სცენა, როცა პიესის ერთ-ერთი გმირი პოლი თავს ვერ მოეგრევა, სასოწარკვეთილი ქვითინი აუჯარღება ჯარისკაცის დაჯრძალვის დროს, რის შემდეგ კაპრალი ვერასდიდებით ვეღარ ახერხებს მის ბრძოლაში ჩაბმას. პოლი საზნედრო მოვლემობასა და ღირსებაში ახლა სრულ უაზრობას ხედავს.

ავტორი ადამიანთა სიმაზიცი კი არ დასცინის, არამედ ამხელს იმ საშიხელ უფსკრულს, რომელიც ინსტეობის ომში მონაწილე ადამიანთა ცხოვრებასა და მათი პოლიტიკური გამგებლების ცხოვრებას შორის. ბუნებრივია, პიესასა და სექტაკლს გააფრებული კრიტიკა დაატყდა თავს. „პარტიოტული“ და „ეროვნული სიამაყე“ აღსაყვე კრიტიკოსებმა აქ ინგლისის დროშისა და საზნედრო სიქველის შურთაცხუვთა დაინახეს. თუმცა, ერთ-ორ კრიტიკოსს ეყო ვაქაცობა ელიარებასა პიესაში გაღმოცემული დრამის რაღობა.

„საბრტანორონო ნებბრუალი ბაზრის ბაუმამბარნი ზვიბანი“

თავზარდამცემი შოკი და გაოგნება გამოიწვია, როგორც მთელს გერ-ში, ასევე, განსაკუთრებით, კოლნში, ყველაზე უფრო დღმა კომერციულმა გარიგებამ ხელოვნების საგნებით ვაქრობის სფეროში (ასეთი მასშტაბის გარიგება არ ახსოვს გერ-ის ისტორიას), საქმე იმისა, რომ 1983 წლის გაზაფხულზე დასავლეთ გერმანელმა მრეწველმა და ცნობილმა კოლექციონერმა პეტარ ლუდვიგმა პოლ ნეტის მუზეუმს (კალიფორნიის შტატი) მიჰყიდა თავისი საგანძურის უძვირფასესი ნაწილი: VI-XVI საუკუნეების 144 დასურათხატებული ხელნაწერი.

ეგრძე მფლობელობაში მყოფ კოლექციანთა შორის ეს განძი ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა და იგუნდა გადაქციულიყო „ლუდვიგის ფონდის“ საფუძვლად. (სხვათა შორის, ლუდვიგმა მრავალი გამოჩენილი საქმიან მხატვრის ნამუშევარი შეიძინა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დასავლეთ გერმანიის „მაღალ ენოლონებში“ — რედ.)

(გაგრძელება 83-ე გვ.)





დავანის კაბლი



ფართოდ გაშლილ პარკში, სწორფოთლოვან ხეებს შორის ამოზრდილი ეს მონუმენტი ერთი თვალის შევლებითსაიანვე ბადებს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანთან და ამადღებულთან მიახლების გრძნობას. შეცისკენ მისწრაფებული მოცულობები, — გახლეჩილი კლდის მასივებს რომ წარმოხსნავს, ამ მასივებიდან ამოფრენილი, მთელი სხეულით შეეთიკენ მსწრაფი უპაწევილის ფიგურა შთაბეჭედავად გამოხატავს ადამიანის მარადიულ ღტოლვას სამყაროს შეცნობასკენ. აზრაცოდნის დაუოკებელა წყურვილისა კონკრეტულ ხორცშესხმას ჰპოვებს უეცე ამ ქმნილების სხვა დეტალებში: ეს არის წარწერა-ეტიკეტი გახლეჩილი კლდის პიტალოებზე, ეს არის ზღაპრული „ღორჭი ფრინველის“ დარი ფოლიანტი, რომლის შუაგულიდან ეშვება-ქაქვზე დაკიდებული ზარი... ამ ზარის ხელის შევლება სწავდა ითიკოს უპაწევილს, — მისმა წკრიალმა უნდა აუწყოს ახალი ფურცლის გადაშლა, ახალი ნაბიჯის გადადგმა ცოდნის სამყაროში... ამ სამყაროს მისადგომები კი მშობლიური ენაა, მშობლიური წიგნია, ის ენაა, რომელზეც მრავალი საუკუნის მანძილზე მკვიდრად იყო დაფუძნებული ქართველი ერის არსებობა. ამ ენასთან ერთად ვითარდებოდა და ფრთებს შლიდა ხალხის შემოქმედებითი ნიჭი, ნის ბრძნულ ცხოველყოფილობაში ეტეზდნენ საზრდოს ღარიბები, იწოდდნენ სასიცოცხლო ძალებს არსებობისა და თვითდამკვიდრებისათვის.

ამაშუკეისებულ ამ ახალ ქმნილებაში ცნება დედაენისა ბუნებრივად გაიგივდა ცოდნის წყაროსთან პლასტიკურ-პოეტური, სიმბოლური გამოხსხველობის საშუალებებით, ჩვენი აზრით, საოცრად ზუსტად გამოიხატა გოგებაშვილისებული „დავანის“ საერთო იდეურ-შინაარსობრივი არსი და სტულისკვეთება. ეს „დავანის“ ხომ თვით არის მრავლისმეტყველი. ღრმა შინაარსის შემცველი ძეგლი, რომლის შექმნის ახი წლიოსავზე დაიბადა იდეა მისთვის ხელთუქმნიელი ძეგლის აგებისა. პლასტიკაში ამ თემის ხორცშესხსმელად, ვფაქრობთ, მწელი იქნებოდა უფრო შესატყვისი ფორმის მოძიება, აზრის უფრო ღრმა, უფრო ემოციური გამოხატვაროგორც ამას მიადწია ელფუკა ამაშუკელმა, — გამოცდილმა ოსტატმა და შთაგონებულმა ზელოვანმა.


ხელთუქმნელი



ბრინჯაოსაგან ჩანოსხმული და ღია ოქროსფერებით ფაქიზად ტონირებული მონუმენტი სკულპტურულად შეკრული მთლიანი კომპოზიციაა, მიუხედავად იმისა, რომ მასში, ერთი შეტევით ბევრი მხატვრული დეტალია, სწორედ ამ დეტალების აზრობრივ-პლასტიკური მთლიანობა, ურთიერთკავშირი და გარდამავლობა ადვილად წასაკითხს ხდის მონუმენტის დედაურს. ძეგლის ემოციურ აღქმაში უთუოდ თავის როლს თამაშობს მისი შეფერილობა — არა მძიმე და ჩამუქებული, არამედ ნაზი, ნათელი, მოციმციმე, რაც თვით ამ ქმნილების იდეის კეთილშობილური ელერადობის შესატყვისია. და, ბოლოს, სკულპტურული ნაწარმოების ასე დიდებულ წარმომადგენელში თავისი როლი აქვს პოსტამენტს (არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი) — ტერაკოსფერ-მეწამულ მარმარილოს მომრგვალებულ საფეხურებრივ შემადგენლობას, რომელიც ასე ესადაგება საერთო კომპოზიციას.

დედაინის ძეგლის სახით ახალი, იდეურად ძალზე მნიშვნელოვანი და ღრმად შთაბეჭედავი მონუმენტი შეემატა ჩვენს დედაქალაქს.

ლ. თაბუკაშვილი



ფერიცა და ხაზის მკაცრი ენა

ირინე მერაბიშვილი

ელგუჯა ბერძენიშვილი შემოქმედებით ასპარეზზე 1950-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და, მსგავსად მისი თაობის ახალგაზრდა მხატვრებისა, ქართულ სახვით ხელოვნებაში შემოიტანა ახალი სტილი — პოეტურად გამომსახველი და ინდივიდუალური ხელწერით, მკვდრი ფერწერულობით, კომპოზიციური აზროვნების ორიგინალობით აღბეჭდილი. მხატვრის შემოქმედება სახვით ხელოვნების არაერთ სფეროს მოიცავს: დახვეწილი და მონუმენტური ფერწერა, პლაკატი, წიგნის ილუსტრაცია, დახვეწილი გრაფიკა, თეატრალური მხატვრობა — აი, მისი მოღვაწეობის დიპლომატი და ყველა ამ სფეროში მხატვრის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივია ფერწერულ-პლასტიკური აზროვნების თავისთავადობა, სახვით საშუალებათა სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ელგუჯა ბერძენიშვილის პედაგოგები იყვნენ ვ. შერპილოვი, ს. გაბაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. ქობულაძე, რომელთაგანაც ათთვისა მყარი პლასტიკური ნახატის ხელოვნება, ფერწერული მეტყველების სპეციფიკური ენა. ამ პერიოდის მის ნამუშევრებს იმპრესიონისტებისა და პუანტელისტების შემოქმედებითი ამოცანებით გატაცების კვალი ამჩნევია. ახალგაზრდა ფერმწერს პლენერზე ფერთა

ცვალებადობის შეცნობა ინტერესებს და ქმნის ვიზუალურად მეტად საინტერესო პეიზაჟებს. ნამუშევრებში იგი, საერთო ტონალური მოლიანობის მიღწევასთან ერთად, ბუნების სურათების თავისებურ, ორიგინალურ ინტერპრეტაციას იძლევა. სწორედ ამ პირველი პერიოდის ტილოებში სათავეს იღებს ე. ბერძენიშვილის თვითმყოფადი ოსტატობა, ვლინდება მისი დეკორატიული აღზრდა და „მუსიკალური“, „მელოდიური“ ფერწერულობა, შემდგომ მეტ სრულყოფილებას და გაბედულებას რომ იძენს. უკვე სადიპლომო ნამუშევარში — ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზებში მან სცენური სივრცის აღქმის თავისებური უნარიც გამოავლინა.

თეატრალურ მხატვრობაში ე. ბერძენიშვილის შემდეგი ნამუშევარი იყო ესკიზები ოპერისათვის „დაისი“. ზ. ფალიაშვილის ეს ოპერა ბერძენიშვილისეული სცენოგრაფიით ქ. სარატოვის ოპერის თეატრში განხორციელდა.

1960 წელს ელგუჯა ბერძენიშვილი ისევ „აბესალომ და ეთერის“ ლეგენდის სიუჟეტზე მუშაობს, მაგრამ ამჯერად იგი ქმნის ფერწერულ პანოს ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმისათვის, — კვადრატულ ფორმატს უსადაგებს კომპოზიციურ წყობას და ქალ-ვა-

ქის მშვენიერ, პლასტიკურად მეტყველ ფიგურებს წარმოსახავს. მხატვარი სიუჟეტის ყველაზე დრამატულ, — აბესალომის დატორების სცენას ირჩევს. ეთერის მწუხარ ფიგურა რკალისებურად ვარს ევლება აბესალომის სტატიკურ სხეულს და კრავს კომპოზიციას. ფიგურათა ზომიერად სტილიზებული ფორმები და კლასიკურად დახვეწილი ნაკეთები სტილურ მთლიანობაშია. ეთერის სახის თბილ მოვარდისფრო ტონებს უპირისპირდება აბესალომის სახის ცივი მოთეთრო-მომწვანო ტონები. საერთო კოლორიტი ფირუზისა და ზურმუხტისფერთა წაბლისფერებთან შეხამებაზეა აგებული. ფორმების განზოგადებასთან ერთად მხატვარი ვულდასმით ხატავს ჩამყვლობის დეტალებსა და დეკორატიულ მორთულობას, რომელიც ძველი ქართული ხალხური ნაქარგობის ნიმუშებს უახლოვდება სტილიზებული მცენარეული და ორნამენტული მოტივებით. მყარი კონტურის ქვეშ მსუბუქადაა მოდელირებული მოცულობითი ფორმები. მხატვარს სწრაფვა სადა, ნათელი ფორმებისაკენ, როცა კომპოზიცია ყოველივე შემთხვევითისა და მეორეხარისხოვანისაგან თავისუფლდება, პანოს ემოციური შინაარსის გახსნას პასუხობს. მიუხედავად საერთო ექსპრესიული პლასტიკისა, ნამუშევარი მშვიდი პარმონიულობით და სევდიანი ხმოვანებით გვიხიბლავს.

ე. ბერძენიშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს მონუმენტურ ქანში. მან მონაწილეობა მიიღო კურორტ „ბიჭვინთის“ საზაფხულო კინოთეატრისა და საცურაო აუზის მხატვრულ გაფორმებაში. კინოთეატრისათვის შექმნა დეკორატიული რელიეფური კედელი (4 მ. X 2 მ. ქვა), რომლის ერთ მხარეს ამშვენებს კომპოზიცია „ქალი და შვილი“, ხოლო მეორე მხარეს „ქალ-ვაჟი“. ლდი გრაფიკული ხაზებით გამოსახავს მხატვარი უკიდურესად განზოგადებულ ფორმებს, რაც ამდაფრებს კომპოზიციის დეკორატიულ გამომსახველობას, საერთო განწყობილებით ასე პარმონიულად რომ ესადაგება არქიტექტურულ ნაგებობას, პარკის ლანდშაფტს.

მსავსე სახვით ხერხებს მიმართა ე. ბერძენიშვილმა საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ინტერიერის დეკორა-

ტიული გაფორმებისას, მხოლოდ აქ რუსი არეების ასაქვრებლად კომპოზიციაში ნაირფერი კერამიკული სფერული ბურთულები ჩართო, რომლებიც ორგანულად ავსებენ ინტერიერის საერთო მხატვრულ გადაწყვეტას.

ოკამის ღვინის ქარხნის სადგავსტაციო დარბაზისათვის ე. ბერძენიშვილმა ორი ფერწერული კომპოზიცია შეასრულა, შექმნა აგრეთვე დიდი კერამიკული პანო „პურ-მარილი“ უკრაინის ქალაქ ჭუზნეცოვსკში სავაჭრო ცენტრის ინტერიერისათვის. (5 მ. X 4 მ.). კვადრატული ფილებისაგან შედგენილ კომპოზიციაზე გამოსახულია ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სამი უკრაინელი ქალიშვილი ტრადიციული პურმარილით ხელში. პანოს კოლორიტი მკვდრი და ხალი-სიანია. ქარბობს ხასხასა ყვითელი და ლაქვარდოვანი ფერები.

სტუდენტობის წლებიდან დაწყებული, ე. ბერძენიშვილმა მხატვრულად გააფორმა არაერთი ქართველი და საზღვარგარეთელი მწერლის წიგნი. მათ შორის აღსანიშნავია ჩინელი პოეტის ბო ძიუ ი-ს ლექსების კრებული (1956 წ.), ბერძნული ეპოსი, დრამა და ლირიკა წიგნში „ელადის მუზა“, სპორტული აღმანახი „ისინდი“, ფლობერის „სალამბო“, დანტეს „ახალი ცხოვრება“, საბავშვო გამოცემები — დავითაშვილის „ჯეჯილი“, მარიკანის „ნელი ცირკში“, ზღაპარი — „კოკილი მონადირის შვილი“, აკაკის, ილიას და ვაჟას ლექსთა კრებული „გაზაფხული“ და სხვა, რომელთა სახვით განხორციელებას საფუძვლად უდევს ლიტერატურული პირველწყაროს ამომწურავი ცოდნა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ 1974 წლის ფრანგული გამოცემისათვის შექმნილი სამი კომპოზიცია. სამივე ფურცელი ნაწარმოების საკვანძო მომენტებს ასურათებს. „ქიანების მისვლა კათალიკოსთან“, „მეფის და არსაკიდის შეხვედრა“, „შორენას გასეირნება“. ყოველი პერსონაჟი ინდივიდუალური თვისებებითაა წარმოდგენილი. მხატვარი მიმართავს ხედვის რთულ კუთხეებს, მკვეთრ რაკურსებს, რაც განაპირობებს ამ დასურათებათა კომპოზიციურ სიბრტყელსა

და დრამატიზმს. ყოველი შტრიხი გულმოდგინედ, მკვირვად მოხაზავს ფიგურათა სხეულის ნახატს, მონუმენტურ ძალას ანიჭებს სახეებს, რაც ასე ესადაგება რომანის იდეურ-მხატვრულ ქსოვილს.

ელგუჯა ბერძენიშვილი არაერთი საინტერესო დაზგური გრაფიკული ფურცლისა და თეატრალური პლაკატის ავტორია, მაგრამ უმთავრესი ადგილი მის შემოქმედებაში მაინც ფერწერის უკავია. მხატვრის ტილოები დაწერილია ხან პასტოზუდად, თამამი მონასმებით, ხანაც ნატივად ნიუანსირებულია. ე. ბერძენიშვილის პოლიტირისათვის დამახასიათებელია მკაფიო ფერწერულობა და მკლერი დეკორატიულობა. ეს თვისებები კარგად გამოვლენდა ესპანეთში მოგზაურობის შობეპტილებებით შექმნილ ფერწერულ სერიაში, გამოჩნდა მხატვრის, როგორც კოლორისტის, „აბსოლუტური სმენა“, დახვეწილი და შეუცდომელი გემოვნება, უნარი შექმნას ზომიერად გაწონასწორებული ფერადოვანი გამა. „ესპანელი“, „ესპანელი ქალი და ჭუჯა“, „ფანდანკო — ესპანური ცეკვა“ — ამ ნამუშევრებში მეწამულისა და ნარინჯისფერის მომწვანო ტონებთან ვათამაშებით მხატვარი რაფინირებულ თანხმოვანებასა და ჰარმონიულობას აღწევს.

ელგუჯა ბერძენიშვილის ფერწერულ პორტრეტებში მკაფიოდ ვლინდება მხატვრის პირადი დამოკიდებულება მოდელისადმი, მისი ნატიფი, მგრძობიარე ნატურა. პორტრეტურებულთა დახასიათებისას იგი არ ისწრაფვის მათი შელამაზებისაკენ, არამედ ცდილობს წინ წაშოსწიოს ხასიათის განუმეორებელი თავისებურებანი. თავის საუკეთესო პორტრეტებში, როგორცაა — „მზია ბაქოაძის“, „ზაზა ბერძენიშვილის“, „ქეთის“, „გიული ჩოხელის“ პორტრეტები. იგი აღწევს თითოეულის მართალ და კონკრეტულ დახასიათებას.

ფერადოვანი გამის, ფერწერული ენის ცხოველყოფელობა, თვით წერის ტექნიკურ სერხებშიც რომ იხატება, განსაზღვრავს მხატვრის ნატურმოტებისა და პეიზაჟების გამომახველობას. „ქართლის“ პეიზაჟი, რომელიც წაბლისფერებისა და მუქი ხორცისფერების ჰარმონიულ მონაცვლეობაზეა აგებული, შემოდგომის ცივი ამინდის განწყობილებას გადმოსცემს. თავისებურ ტერასე-

ბად ალაგებს მხატვარი ფართო ფერადოვან პლასტებს.

შორს, პერსპექტივაში იკარგება ნაირფეროვანი პეიზაჟი. მდლოების, ბუჩქნარსა და ბორცვებს იქით ლაქვარდი ცა იხსნება და საერთო ფონზე ტანწერწეტი გაშარცკული ხეები მკვეთრ სილუეტებად გამოიკვეთება. ეპიკური სიმშვიდით სუნთქავს ბუნება, სურათი ქართლის გამოილ სივრცეებს, მის ზოგად სახეს წარმოსახავს.

კოლორისტის ოსტატად წარმოგვიდგება ე. ბერძენიშვილი ნამუშევრებში, რომლებიც შიშველ მოდლებს გამოსახავს. ფერთა სიუხვე აქ შერწყმულია ზომიერების გრძობასთან. მკლერი ფერწერულობით ხასიათდება ბოლო წლების ნატურმოტებიც, რომლებშიც კვლავ ვლინდება ავტორის პოეტური თვალი, ნათელი ხილვები.

ელგუჯა ბერძენიშვილის ახალი ნამუშევრები, ესკიზები მონუმენტური ფერწერის დარგში კვლავ ნათელყოფს მხატვრის მაძიებელ ბუნებას, რაც გამორიცხავს შტამბს, ერთხელ მიგნებულის განმეორებას. თანადროულობის შეგრძნება, ახლისაკენ სწრაფვის ძნელი გზა, მხატვარს მრავალმხრივ, ღრმად მოაზროვნე შემოქმედად წარმოგვიდგენს. ამიტომაც გვწამს, რომ ელგუჯა ბერძენიშვილის ამაღლებული, ნათელი, მშვენიერი ფერებით გასხვივსებული შემოქმედება კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი ნამუშევრით გაამდიდრებს ქართულ სახვით ხელოვნებას.

ე. ბერძენიშვილი

ნახატი სპორტული აღმანახისათვის





ე. ბერძენიშვილი
სემოლგომარჩენული
გრაფიკის
ქალის პორტრეტი










„ილუსტრაცია ფრანგული გამოცე-
მისათვის „ლილოსტატის კონსტან-
ტინეს შარჟენა“.

დილა
ნატურმორტი
პეინინგი
ნატურმორტი











„სალამოს“ ილუსტრაცია

ქართული ხალხური წიგნის
ილუსტრაცია


რ. ელანიძის მოთხრობის ილუ-
სტრაცია

ნახატი სპორტული აღმანახის
თვის



უზანური შოტივი
სარკესთან

მეზობრის ხსოვნას



რევაზ ლალიძე

როდიონ შჩედრინი

რამაზ ლალიძემ პირველად ვნახე მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც პირველად სრულდებოდა მისი სახელგანთქმული „საჭიდაო“...

რა თქმა უნდა, მანამდეც მსმენია რ. ლალიძის სახელი, ბევრი რამ სასიკეთო გამეგონა რეზოს მუსიკაზე, მის მუსიკალურ პიროვნებაზე. მაგრამ აღმოჩენის სიხარული სწორედ იმ საღამომ განმაცდევინა. ამ მზიურმა, ტემპერამენტულმა, საოცრად შთამბეჭდავმა ნაწარმოებმა გაიტაცა მთელი ორკესტრი. ეს გატაცება გადაიღო მსმენელთა საზოგადოებასაც, რომელიც ერთბაშად შთანთქა ცეცხლოვანმა რიტმებმა, ელვარე მელოდიებმა, უჩვეულო ჰარმონიულმა სვლებმა. მშვენივრად გაიჟღერა ამ ეფექტური პიესის ორკესტრობამაც.

სანგრძლივი ოვაციების შემდეგ დარბაზიდან გამოემართა „საჭიდაო“ ავტორი — მკვირივი აღნაგობის ადამიანი არწივისებური პროფილითა და ნათელი ცისფერი თვალებით. მისი გარეგნობა

საოცრად „შავდა“, ერწყმოდა რამდენიმე წუთის წინ აქლერებულ მუსიკას. კონცერტის შემდეგ არტისტების ოთახში შევედი, რათა მივსალმებოდი უცნობ კოლეგას. რეზომ შემომავება ჭართული აქცენტით წარმოთქმული გულითადი პასუხი, შუქმცენი თვალები, საიდანაც იშვიათი ადამიანური სიტბო და სიკეთე გამოკრთოდა. ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა რეზო ლალიძესთან, მის მუსიკასთან.

შემდეგში ჩვენ უკვე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს კომპოზიტორთა პლენუმებსა და ყრილობებზე, სამდივნოს სხდომებზე, ტრადიციულ ქართულ სუფრასთანაც, სადაც მას ყოველთვის თამადის საპატიო ადგილი ეკავა. რეზო ამ წმიდათაწმიდა მოვალეობას ასრულებდა ღირსეულად, შესანიშნავი იუმორით, თვითუღლი ჩვენთავანისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა.

ამ შესანიშნავი მუსიკოსის შემოქმედებით ცხოვრებას ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებ-

დი თვალყურს, მახარებდა მისი წარმატებები. ვიცოდი, რომ რეზოც გულწრფელი მეგობრობის გრძნობით იყო ჩემდამი განწყობილი. ერთმანეთისადმი სწრაფვას სულაც არ უშლიდა ჩვენს შორის არსებული ტერიტორიული მანძილი.

ბოლო წლებში კი ჩვენ ყოველ ზაფხულს ერთად ვატარებდით სოხუმის კომპოზიტორთა სახლში „ლილე“. აქ ჩვენი მეგობრობა გამოხატულებას პოულობდა ყოველდღიურ სიახლოვეში. რეზომ ბევრი რამ გამაგებინა, დამეზმარა უძველესი რიტუალებით აღბეჭდილი მრავალსაუკუნოვანი ქართული მუსიკალური ფოლკლორის, წეს-ჩვეულებების, ადამიანური ურთიერთობებისა თუ ქართული ბუნების სილამაზის აღქმაში.

რეზოს მომხიბვლელობა მჩიბდულობის უზარმაზარ ძალას ასახელებდა. სოხუმში ჩამოკადრდა თუ არა, მის გარშემო თავს იყრიდა ყველა პროფესიონალი მონადირე და მებადური, მათ ახარებდათ სიახლოვე გამოჩენილ კომპოზიტორთან, რომელიც უსაზღვროდ იყო გატაცებული ნადირობითა და თევზაობით. ამ გატაცებას მხოლოდ რეზოს ცხოვრების მთავარი ენება — მუსიკა ეცილებოდა.

ერთხელ რეზომ მათა პლასეტკაია და მე სათევზაოდ დაგვიყოლია. ეს ღონისძიება დიდი წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, თუმცა ცელოფანის პარკი მაინც აივსო თევზებით. მერე კი რეზომ თავისი ნაცრისფერი „ვოლგა“ მთებისაკენ გააქროლა. გეზი წებელდისაკენ აიღო. დიდხანს მივჭროდით სოფელ-სოფელ, ორღობეთა შორის გაყვანილ შარავზაზე. როგორც იქნა, რეზომ მანქანა შეაჩერა ერთ ჩვეულებრივ სოფელურ სახლთან, სადაც სოხუმელი მებადურის ნათესავები ეგულებოდა. უნდა გე-

ნახათ, რა დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღო ამ ოჯახმა მოულოდნელად მოვლენილი სტუმარი — ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორი, საყოველთაოდ განთქმული „თბილისოს“ ავტორი. საზეიმოდ მოიხადა მიწაში ჩამარხული ქვევერი, რეზომ სასმისს თავსმომდგარი აპკი მოაცილა და ღვინის დეგუსტაციაც მოახდინა. მსხლის დიდი ხის ქვეშ სუფრა გაიშალა, დაიწყო დიდებული ქართული პურ-მარილი.

საოცარი სიზუსტით მანსოვს რეზოსთან ვატარებელი ამ განუმეორებელი, ჯადოსნური ღდის ყოველი დეტალი. არასოდეს დამავიწყდება მის მიერ ნამღერა ხალხური სიმღერები, მის მიერ იმიტირებული ქართული დასარტყავი საკრავების ყლერადობა, მარვილოგონიერული იუმორითა და დიდი ნიჭიერებით წარმოთქმული სადღეგრძელოები.

სახლში გვიან ღამე ვბრუნდებოდით. რეზო საქვს ცალი ზელით მართავდა (მარცხენა ზელი უკვე აღარ ვმსახურებოდა), და მაინც, მანქანას საოცარი სიმსუბუქით მრავროლებდა სერპანტინივით დაკლანკლ შარავზაზე. საქვის მართვიდანაც საოცარი გრაცია, ნიჭიერება გამოსჭვიოდა.

ჩემს წარმოდგენაში რეზო ყოველთვის იყო და იქნება თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის. მისი დიდი ნიჭიერებისა და გაქანების, ხალხური მუსიკალობის ჰუმბარიტი განსახიერება. იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ასე ამყობდეს თავისი ქვეყნით, მშობლიური კულტურით, ტრადიციებით. რეზო კიდევ იმიტომაც მზიბლავდა, რომ მასში პრავმატიზმის ნიშან-წყალსაც კი ვერ აღმოაჩენდით, პრავმატიზმისა, რითაც, სამწუხაროდ, შეპყრობილნი არიან რეზოს თაობის ადამიანებიც კი.



რა დასაწინაა, რომ ასეთი ხან-
მოკლე აღმოჩნდა რევან ლალიძის
წუთისოფელი. როგორც ძველად
ამბობდნენ, მამაზეციერი ნალი-
რობასა და თევზაობაზე დახარ-
ჯულ დღეებს სთვალავში არ ავ-
დებსო. მაგრამ რევან ლალიძე
დავანვლო თავისი გზა, იცხოვ-
რა ლამაზი, მდიდარი, სავეც ცხოვ-
რებით, დაუზოგავი სიხუნეთი გას-
ცა თავისი დიდი ნიჭი, ადამიანურ
და შემოქმედებითი ძალები,
გავამდიდრა კიდევ თავისი ხე-
ლოვნებითა და პიროვნებით.

1983 წლის ზაფხულში მოსკო-
ვის კონსერვატორიის დიდ სა-
კონცერტო დარბაზში საქართვე-
ლოს სახელმწიფო სიმფონიურმა
ორკესტრმა ჯანსუღ კახიძის ხელ-

მძღვანელობით გამართა გეორგი
ვსკის ტრაქტატის 200 წლისთავის
სადმი მიძღვნილი კონცერტი
მელზეც შესრულდა ქართველი და
რუსი კომპოზიტორების ნაწარ-
მოებები. ამ საღამოზე ასრულდა
ორი არია ოპერადან „ლელა“,
რომელიც რევან ლალიძის საუ-
კეთესო ქმნილებას წარმოადგენს.
რევანს მუსიკამ მოხიბლა მსმენე-
ლი იშვიათი უშუალობითა და
ინჭრფელით. და კვლავ გავიფიქ-
რე, რომ ბედნიერი იყო რევან
ლალიძის გზა ხელოვნებაში. მას
არასოდეს უღალატია თავისი
მრწამსისა და ბუნებისაგან ნაბო-
ძები შესანიშნავი ნიჭიერებისათ-
ვის. მის ნათელ ცხოვრებას ამოღ
არ ჩაუვლია...

პანორამა

ქალაქ კოლნის იმედი ჰქონდა, რომ თანდათანობით
შეიძენდა ლუდვიგის კოლექციას. ამ მიზნით ქალაქის
ადმინისტრაცია აფინანსებდა სპეციალისტთა მრავალ-
წლიან შრომას, რაც ხელნაწერთა გამოფერასა და
ფორდის ოთხტომიანი კატალოგის გამოცემას მოხმარ-
და.

ლუდვიგმა თავი იმართლა, ძალიან გაკვირდაო
„ლუდვიგის ფონდის“ პროექტის გამო გამართული თა-
თბირებო. იგი განაწესებულა კაცის პოპში ჩადგ-
ვითომცდა მის წინააღმდეგ მომართულ „საზოგადოებ-
რივი კომპანიების“ და მუხუთუმების ზოგიერთი თანა-
მშრომლისა და თურნალისტის შეურაცხყოფილი გამო-
სვლების გამო. ამავე დროს, არც „სახელმწიფოს წარ-
მომადგენლებისაგან“ არ მიმიღიაო მადლობა და აღი-
არება, ხოლო ჩემი პროექტი ოფიციალურად არავის
არ უცნიაო. ლუდვიგისვე სიტყვებით — მისი ყოვე-
ლი ცდა — გურ-ში გაეყიდა ეს ხელნაწერები — მარ-
ცხით დამთავრდა.

1982 წელს გურ-ში ჩამოყალიბებულმა ორგანომ
„ხელოვნების საქმეთა გერმანულმა საბჭომ“ გაიცხა-
შა საუბრების ხელნაწერების სახლვარგარეთ გაუ-
დვის პრეცედენტი და ამ ფაქტს უწოდა „საქმე, რომე-
ლიც სახმართლოს ექვემდებარება“. საბჭომ გაკვირ-
ვება გამოსთქვა იმის გამო, რომ ეს კოლექცია თავის
დროზე არ იყო ხელოვნების იმ საგანმანათლებლო სიანო,
რომელთა ექსპორტი აკრძალულია და კომპეტენტურ
სახელმწიფო ინსტანციებს მოუწოდა მხგავსი მოვლე-
ნების საწინააღმდეგო ღონისძიებების გამომუშავება.

სპეციალისტების დაანგარიშებით კოლექციის ღირე-
ბულება დაახლოებით ას მილიონ მარკას შეადგენს.
ასეთი შეძენის უფლებას თავს ვერ მისცემს მსოფ-
ლიოს ვერც ერთი მუზეუმი — რომ აღარაფერი
ვთქვათ გურ-ს მუზეუმებზე — აქ გამოინაკლისია მხო-
ლოდ გეტის მუზეუმი კალფორნიასში, რომელსაც

კოლექციონერთა და ხელოვნებათმცოდნეთა შორის
უწოდებენ „საერთაშორისო მხატვრული ბაზრის გაუ-
მამლარ ზვიგენს“. ასეა თუ ისე, დასავლეთ გერმანიამ
დაკარგა ლუდვიგის კოლექციის სული და გული,
თუმც, თვით ლუდვიგს ამ კოლექციის უმთავრეს კომ-
პონენტად თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებები
მიანიჩა.

ახლა იკვლევენ ამ „კაპიტალური დანაკარგის“ გამო-
მწვევ მიზეზებს: ლუდვიგი დიდი ხნის მანძილზე
იოვლებოდა გურ-ს მხატვრული ბაზრის უგვიგვივო
მეფედ. მის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეი-
ცვალა მას შემდეგ, როცა ამ ენერგიულმა და დინა-
მიურმა მრეწველმა, ძალიან მაღლა შეჰქარა კამარა:
იგი დაბეჭივით მოითხოვდა თავისი კოლექციის
„ნაციონალურ ინსტრუქციონალიზაციას“. როგორც
ჩანს, მის პატივმოყვარეობას ჰქვებავდა ამერიკელი
მასშტაბის ნაციონალური მოდელის შექმნა. ამ დროს,
როგორც ჩანს, მან დაიფიქრა თავისი ჰქვეანის კულტურ-
ული ლანდშაფტი, რომელიც, განსხვავებით კალიფორ-
ნიის ულანოსსაგან, შედგება მრავალრიცხოვანი მი-
კროსტრუქტურისაგან, ისინი კი ორმაგ დაქვემდებარე-
ბას (კომუნალურსა და სამხარეოს) ემორჩილებიან.

ლუდვიგის „სუპერპროექტი“ უპირისპირდებოდა —
„ფრანკფურტერ ალგემიანეს“ მიმოზიხლველის ოქმიით
— კონსერვაციის იმ მუხლს, რომელიც ცალკეულ
რეგიონთა მხარეებს კულტურულ ავტონომიას ანიჭებს.
ლუდვიგმა საკუთარი თავი და საკუთარი იდეა ფაქ-
ტურად ერთმანეთს ისეთნაირად გაუთანაბრა, რომ
კომპრომისისა და უქან დაბევის გზები იმთავითვე გა-
მორიცხა. ახლა ამბობენ, ხელნაწერთა გაუიდა იმდენ-
ნად შურისძიების აქტი არაა, რამდენადაც „კულ-
ტურულ-მხარეისუფრი დემონსტრაციას“. ამ ფაქტმა



ნათელყო პრობლემების არსებობა მთელი ქვეყნის კულტურულ მეურნეობაში. საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ აუცილებელია როგორც ახალი ცვლილებების შტრანა ნაციონალური კულტურული მონაპოვრის დაცვის კანონპროექტი, ასევე საგანძურთა იმ სიეზბის დაზუსტება, რომელსაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღგენენ რეგიონალური ორგანოები.

რემისორ რომე პლანშონის კოლატი

სახელგანთქმულმა ფრანგმა რეჟისორმა რომე პლანშონმა „ეროვნული სახალხო თეატრის“ (TNP) სცენაზე დადგა პიესა „იონესკო“. ციხული მწერლის სცენიდან ჩვენება მართლაც თავისებური და უცნაური განზრახვაა.

რეჟისორს სურდა ეჩვენებინა მწერლის ფანტაზიები, მისი მშფოთვარება, სისუსტე, ოცნება, სურდა ჩასწვდომოდა მის საიდუმლოს, მის ინტიმურ სამყაროს. ერთი სიტყვით, სურდა სცენაზე ისე წარმოედგინა, როგორც „პაციენტი ფსიქონალიტიკოსის ტახტზე“ („პარანსურა“). პიესის ტექსტი თავისებური კოლაჟია, რომელიც ეყენი იონესკოს უკანასკნელ ნაწარმოებთა ფრაგმენტებს აერთიანებს (კერძოდ, „მოგზაურობა მიცვალებულებსაკენ“ 1981 წ.). რ. პლანშონის დადგმა („ფედონის სულსკვეთებით“) მკურებლის წინ გადმოშონის მწერალ-აბსურდისტის შინაგან სამყაროს. იგი, როგორც აღვსებს და აფართოებს ავტორის იმ სახეს, რომელიც ე. იონესკოს გვიანდელ ნაწარმოებებში შეიძლება ამოიცნოს კაცმა. გოდარის აზრით, რომე პლანშონის ეს სპექტაკლი არის იონესკოს „ამარკორდი“, რომელსაც იგი დაისის ქვეყანაში მიჰყავს. ე. იონესკოს პლანშონისეულ „თეატრალურ ავტობიოგრაფიაში“ ხაზგასმულია აბსურდულობა, ალოგიზმა, ეგზისტენციონალური სასოწარკვეთა. პიესის ცენტრში მოქცეულია სიკვდილის თემა, რომელსაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თვით ე. იონესკოს შემოქმედებაში. პიესის მოქმედება ძირითადად სახალხოზნ მიმდინარეობს. პლანშონის პიესაში იონესკო წარმოდგენილია სხვადასხვა რაჟურსით — ხან ყოველგვარი თანაგრძობის გარეშე, ხან სიმპათიურად, მაგრამ ყოველთვის იგრძნობა რეჟისორ-ავტორის დისტანცია მთავარი პერსონაჟისადმი. ფრანგული კრიტიკა ამ სპექტაკლს განიხილავს როგორც პლანშონის ერთგვარ რეპლიკას 1974 წელს. „ეროვნულ სახალხო თეატრის მის მიერვე დადგმული „არტურ ადამოვის“ მისამართით. ორივე ეს სპექტაკლი არის ცდა ინტელიგენტის შეუღამაზებელი პორტრეტის დახატვისა. „ის ინტელექტუალური პრობლემები, რომლებიც ეყენი იონესკო წამოჭრა, ჩემი პრობლემები არაა — ამბობს რომე პლანშონი — მაგრამ ადამოვე და იონესკოვე შექმნილი ამ ორი სპექტაკლის ერთიანობა ჩვენ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავიგოთ ის იმედები თუ ოჟი დობა, რწმენა თუ გულაყრუება, რითაც თანამედროვე მწერლების იდიო უმეტესობა ცხოვრობს. ე. იონესკოს ტექსტებზე შექმნილ ამ სპექტაკლში მე ვცდილობდი იონესკოს ეჩვენებინა თავისა სახე უგრძობად, მსგავსად იმ კაცისა, რომელიც თავის თავს სიზმარშიც ხედავს.“

თეატრმოდენი აღნიშნავენ იონესკოს სამყაროს

სცენური ვარიანტის სემანტიკურ სიმდიდრეს ქართულ პლანშონის არ უღალატინა თავისი რეჟისორული ენისთვის. მაგრამ სიმბოლოების ეს სიუჟე, რომელიც დასაწყისში საკმაოდ დამაჭერებელია, შემდეგ და შემდეგ თავს მოხვედულია, უმოტივო, ტექსტის ერთობ დამამძიმებელია. იმადემა ის აზრიც, რომ ბოლოსდაბოლოს, თვით იონესკოს პიესა უფრო მეტს ამბობს ავტორზე, ვიდრე ეს დანაწერებული აღსარებანი.

პიესის არამუარტი კონსტრუქციის მიუხედავად, სპექტაკლმა ინტერესი გამოიწვია მკურებლებში, იონესკოს როლის შემსრულებელმა ფან კარმემ — კრიტიკოსთა აღიარებით. შესწლო „ღრმა ადამიანური სიმართლის ვახსნა, გვიჩვენა „ადამიანი მარტოობაში, გვიჩვენა მისი მიუსაფარობა, სიდიადე და სიღატაკე“.

ზრანგული სპიზა ფრანგული დრამატურპიის ბარეშე

მახტურული შემოქმედების წინაშე წამოჭრილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ხელოვნების მუშაეთა ცხოვრების სინდელენი გახდა თემა ფრანგ დრამატურგების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფისტების პრესკონფერენციისა, რომელმაც ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

ერთობადა აღინიშნა, რომ თანამედროვე ფრანგულ-დრამატურგია არ არის სათანადოდ წარმოდგენილი თეატრების რეპერტუარში. თეატრები უპირატესად ეტანებიან ცნობილ უცხოურ პიესებს, რომელიც მეტწილად შემოსავალს უზრუნველყოფენ. დიდი კერძო თეატრების დირექტორები, რომლებმაც თავის დროზე ფართო მკურებლისთვის აღმოაჩინეს იონესკო და ბეჟეტ, ახლა უკვე ატეიან რისკზე, კონფერენციაზე ლაპარაკი იყო „დრამტიკ ესაიონ“-ის — „ერთი ხმის თეატრის“ გამოცდებულზე, რომელიც ახალი გამოცემული ნაწარმოებების კითხვა-განხილვას ახდენს. მაგრამ თეატრს წაითხოული პიესიდან მხოლოდ ექვსი ადიდგა სეპარტისა და ტელევიზიაში. დრამატურგთა და კომპოზიტორთა მტკიცებით, არც რადიო და არც ტელევიზია არ უთმობს ჭეკოვან ყურადღებას ახალ ნაწარმოებებს, თუმც, უკანასკნელ ხანს ფრანგულ ტელევიზიის დოქტორთა გაუდიდდა სწორად თანამედროვე ხელოვნების განვითარების მიზნით. მათი ანგარიშით, ახალი მუსიკალური და დრამატული ნაწარმოებებისათვის შეიძლება დაამატებოთ სატელევიზიო დროის 90 საათით ვარდა, სინამდვილეში თეატრის ხელოვნებისადმი მიძღვნილი პროგრამა 60 საათით შემცირდა „გასართობი ინდუსტრიაში“ ბარჯზე, ხოლო ხელშეკრულებანი დრამატურგებთან, რომლებაც ტელევიდევისთან თანამშრომლობა — 12%-ით. კინორეჟისორთა სახელით გამოსულმა რეჟისორმა ტავრნიემ აღნიშნა, რომ რეჟისორები არ დებულდენ პროცენტულ ანარქიზმებს იმ შემოსავლიდან, რასაც იძლევა მათი ფილმების დემონსტრირება კინოეკრანზე, ტელეეკრანზე, თუმცა, უიდეომაგნიტოფონებზე უკვე დაწესდა გადასახადი, მაგრამ იგი ზრდის არა ავტორთა, არამედ სახელმწიფოს მიუთვტ.

(გაგრძელება 132 გვ-ზე).

ქალაქი და ზრანსპორტი: სისვამურ- ღიადქვეყნიური მიღზომა

იური პლაშკინი

„ის, ვინც კერძო საკითხებს სწევებს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაწყვეტლად, თავისდა შეუგნებლად ყოველ ნაბიჯზე გარდუვალად „წააწყდება“ ამ ზოგად საკითხებს“.

3. ი. ლენინი


ქალაქის ავტომობილიზაციისა და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ იქმნება სიტუაცია, როცა რაოდენობრივ ძვრებს მიუყვართ თვისობრივ ცვლილებებამდე, რომლებიც იწვევენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უმთავრესი პარამეტრების შეუთანხმებლობას, არსებითად ზემოქმედებენ ქალაქის ეკოლოგიურ გარემოზე, საერთოდ ქალაქის განვითარებაზე და განსაკუთრებით — მასში ცხოვრების პირობებზე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად (საზოგადოებრივ ტრანსპორტს წარსულშიც პრიორიტეტული როლი განეკუთვნებოდა და მომავალშიც განეკუთვნება), ამაჟღად დიდი მნიშვნელობა აქვს და მით უფრო ექნება უახლოეს პერსპექტივაში მსუბუქ ავტოტრანსპორტს. კერძო მანქანების რაოდენობა სსრკ-ში ყოველწლიურად თითქმის 750 ათასით იზრდება. მხოლოდ 1971—1975 წლებში მოსახლეობის მიყვანად # მილიონამდე ავტომობილი, რაც 5,5-ჯერ აღემატება მერვე ზეოწლიდის მონაცემებს. საბჭოთა კავშირის ქალაქებში უკვე ამაჟამად 10 მილიონი ავტომობილი აღირიცხება, რაც ქვეყნის მთელი მსუბუქი ავტოპარკის დაახლოებით 85%-ს შეადგენს.

განვითარების თანამედროვე დონეზე საზოგადოებრივ ტრანსპორტს არ შეუძლია მთლიანად შეცვალოს ინდივიდუალური ტრანსპორტი, რის გამოც დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით იქ, სადაც სივრცობრივად განვითარებული ცენტრალური საქალაქო ზონაა, იქმნება სატრანსპორტო მიზიდულობის თავისებური „ეპიცენტრები“, მსუბუქი ტრანსპორტის დიდი თავმოყრის ზონები: საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებთან, სავაჭრო ცენტრებთან, სპორტულ-სანაბაობით ნაკვობებთან, კულტურულ-განმანათლებლურ დაწესებულებებთან და ა. შ. ამას იქამდე მიყვართ, რომ

საკატეგორიულად ყველა ქალაქში — ჩვენშიც და უცხოეთშიც — თავს იჩენს დაუცხრომელი ტენდენცია ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ავტოტრანსპორტის მძლავრი ნაკადების მიზიდვისა. ამ რაიონებში პიკის საათებში ზოგჯერ თავს იყრის ავტომობილთა საერთო რაოდენობის 85-90%, რომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — დაახლოებით 5-15% თუ მოძრაობს, ძირითადი მასა კი უმოძრაოდაა. ამას უნდა დამატოს ჩამოყალიბებული ქალაქების ნაკვობათა მაღალი სიმჭიდროვე და, ამავე დროს, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში, გარაყებისა და ავტოსადგომების მოსაწყობად საჭირო სარეზერვო ტერიტორიების სიმცირე.

როგორც ავტომობილიზაციის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მისი განვითარების დასაწყისი სტადიები ხასიათდება, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდუალური სარგებლობის ავტოპარკის განაწილების არათანაზომიერებით. რამდენიმე წლის წინათ, სსრკ ქალაქების გამოკვლევების მონაცემებით, მათი მსუბუქი ავტოტრანსპორტით დატვირთვის ხარისხი ფართოდ იცვლებოდა: 5-დან 50-მდე და მეტი ავტომანქანა ათას მცხოვრებზე, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, თავისებურება მოტორიზაციის ისაა, რომ მის ამ ეტაპზე შეიმჩნევა ავტოტრანსპორტის, ძირითადად უდიდეს და დიდ ქალაქებში, კონცენტრირება და სწრაფად გამრავლება, ამ შედეგებით ცოტა ხნის წინათაც კავშირის მთელ რიგ ქალაქებში ეს მარჯვენებელი #5 — #6-ჯერ აღემატებოდა მთელი ქვეყნის მარჯვენებელს, მხოლოდ უკანასკნელ ზეოწლიწადში მსუბუქი ავტოპარკი, მაგალითად, მოსკოვისა, პრაქტიკულად ორჯერ გაიზარდა საკუთარი მანქანების ხარჯზე და უკვე ამაჟამად 500 ათას ავტომანქანას შეადგენს. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრალურ ქალაქებ-



კელი (გფრ). უნივერსალის შენობა გვერდით მიშენებული გარე-ავტოსადგომით

შიც — ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ტაღინში და სხვ.

ყველა ამ მოვლენისა და პროცესის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს მკვეთრი გაზრდა მოძრაობის ინტენსიურობისა, უპირველეს ყოვლისა, ქალაქების ძირითად სატრანსპორტო არტერიებზე. მსუბუქი ავტოპარკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ქალაქდაგეგმარების წინაშე აყენებენ ახალ, უფრო მკვეთრ მოთხოვნებს, რომლებიც წინა დროთა ქალაქთშენებლობებში არ შეიძლება გათვალისწინებულიყო. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, წარმოადგენს რა დასახლებული ადგილების სტრუქტურის მიუცალიბებელ ნაწილს, განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების წესსა და რიგზე, რამეთუ ტრანსპორტის მოძრაობისა და სატრანსპორტო სისტემის მომსახურების მრავალასპექტური ორგანიზაციის პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ქალაქური გარემოს შემაღლენელი ყველა ელემენტის რაციონალურად ფორმირება. მეტიც, ტრანსპორტი გვევლინება ქალაქწარმოქმნის სტრუქტურის ერთ-ერთ ფუნქციონალურ ფაქტორად, აგრეთვე, ურბანისტული ტერიტორიების მდებარე ორგანიზაციად, რომელიც ამ ტერიტორიათა გამოყენების ეფექტურობასა და მთლიანობას განაპირობებს. ამიტომ ყველაგვარი შეუსაბამო ქალაქის აქტივტურულ-გეგმარებითი სტრუქტურისა მის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან მკვეთრად ზემოქმედებს ქალაქის განვითარებაზე მთლიანად, ქალაქის სატრანსპორტო-მშენებლობითი ინფრასტრუქტურის შემადგენელი პარამეტრების ყოველგვარი შეუსაბამოა კი, როგორც წესი, მნიშვნელოვანად ამცირებს გზა-ქუჩების ქსელის გამტარუნარიანობას. ექნება თავისებური „მანკური წრე“, ავტონაკადები ანელებენ საზოგადოებრივი ტრან-

სპორტის მოძრაობას. ამ უკანასკნელის გადატვირთულობას და ამასთან დაკავშირებული მგზავრობის პირობების დისკომფორტულობას, ბევრ შემთხვევაში (მით უფრო, თუ არჩევანის საშუალებაა), მივყავართ ამ ტრანსპორტით სარგებლობაზე უარის თქვამდე და, ამიტომ მეტი და მეტი ავტომფლობელი სარგებლობს ინდივიდუალური ავტომანქანით. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს სულ უფრო და უფრო მეტი ქალაქი აღმოჩნდა დაუცველი მასობრივი მოტორიზაციის განვითარებისა და ფართოდ გავრცელების ტრადიციული „სიურპრიზებისაგან“.

ინტენსიური ავტომობილიზაციის შედეგთა გამოვლენა არ იზღუდება, ბუნებრივია, მხოლოდ ტრანსპორტის გადატვირთვითა და კონფლიქტებით. მისი ძვრები არდევნენ, მაგალითად, ქალაქების ცენტრების ნორმალურ ფუნქციონირებას, რასაც ზშირად მივყავართ მათი პირველხაფისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაკარგვამდე და ა. შ. არანაკლებ ცხადად გვარწმუნებს ამაში ის ფაქტებიც, რომლებიც ეკუთვნის სხვა, თავისი უნივერსალური ხასიათით ინტერნაციონალურ პრობლემათა რიგს, რომლებიც გაპირობებულია გლობალური ავტომობილიზაციით და წარმოადგენენ ძალზე სპეირბოროტო პრობლემებს პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის თანამედროვე ქალაქებისთვის, განურჩევლად მათი სოციალური სტრუქტურისა. ყველაფრიდან, რაც ქალაქის ატმოსფეროს აბნძრებს ტოქსიური ნივთიერებებით, ყველაზე მთავარია ავტოპარკი. ამ მიმართულებით ტრანსპორტის, ძირითადად ავტომობილების, წვლილი საშუალოდ 40-45%-ს შეადგენს. ასე, მაგალითად, მხოლოდ აშშ-ში, ტრანსპორტის, პირველ რიგში, ავტომობილების მიერ ცოცხალი ორგანიზმებისთვის ყველაზე საშიში შენაერთების გამოწვეული ყველა სახის პაერადმანავიანებელთა საერთო

როდენობის 38,8%-ს შეადგენს.

ამ პრობლემების გადაჭრის სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობითი და სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრებით, ისევე, როგორც მათი სარჩული, ჩვენს ქვეყანაში, რასაკერაველია, პრინციპულად განსხვავებულია, ვიდრე დასავლეთში. მაგრამ მასობრივი ავტომობილიზაციის თანმხლები ბევრი პრობლემა დაკავშირებულია ზემოთ-მოყვანილ ფაქტებთან და უკვე ამჟამადვე მწვეველ დგას ჩვენს ქალაქებში.

თანამედროვე საქალაქო ცივილიზაციისთვის მრავალი არსებითი პრობლემის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე დაბეჭედებით მეტყველებს როგორც მათი გავრცელებით, „გეოგრაფია“, ისე გადაწყვეტის ძიების სახელებით. მათ სხვადასხვა ასპექტს იკვლევენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვაგანაც. მათი პრაქტიკული ხორკშეხმის აქტიური ძიებები გათვალისწინებულია როგორც სოციალისტურ, ისე მშალდგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ფართო საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისას.

ყველაზე აქტუალურ პრობლემათა შორის მათ არაერთგზის განიხილავდნენ და ღრმად განსჯიდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთაშორისო კომიტეტის (რომლის წევრიცაა საბჭოთა კავშირი) და მთლიანრიგი ავტორიტეტული რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები.

პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ ყველა ტრადიციული, ცნობილი ზერხი და საშუალება ისეთი მრავალასპექტოვანი პრობლემის გადაწყვეტისა, როგორც მოტორიზაციის თავზრუდამხვევი, „ფეთქებადი“ ზრდის პირობებში სატრანსპორტო პრობლემაა, მათი სტერეოტიპურობის გამო არაფეთქებურია. ისინი განსაზღვრავენ პერმანენტული, უკეთეს შემთხვევაში, — პალიატიური გადაწყვეტების სფეროს, როგორც სფეროს პრაქტიკული მოღვაწეობისა, სადაც კონკრეტული სიტუაციის ხარბულეებს თან ახლავს სათანადო ფუნდამენტური თეორიული ბაზის უქონლობა. ძალზე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ასეთი სტერეოტიპურობის „რეპროდუცირების“ ყველა შემთხვევაში, არსებითად, ცდილობენ მიაღწიონ სატრანსპორტო

მომსახურების საქალაქო სისტემის გაუმჯობესებას ინტერსპექციის საფუძველზე. ესე იგი, უშუალოდ სრულქმნადი სისტემის „შიგინით“ ჩაბუდებული შესაძლებლობების გამოყენების გზით. ამასთან გარკვეული ამოსავალი ნაშედეგები უცვლელია: იგი ემყარება იმას, რომ სისტემის ხანმოკლე თვისებრივი ცვლილების ვარიანტები მდებარეობენ პოტენციალური საშუალებების ფარგლებში, საშუალებებისა, რომლებიც თვით მოქმედი გარდაქმნადი სისტემის ჩარჩოებითაა განსაზღვრული.

ვერც ყველაზე ორიგინალურმა პროექტებმა, ვერც ქალაქმშენებლობის გამოჩინილ თეორეტიკოსთა წინასწარგანჭვრეტებმა, ვერც ზოგიერთი ქვეყნის მოტორიზაციის განვითარებას უშიდრესმა გამოცდილებამ ვერ დაიფარეს თანამედროვე ქალაქები ავტომობილიზაციის „ფეთქების მოუღოდნელობებისგან“ და ავტომობილიზაციასთან დაკავშირებული, ზემოთაღნიშნული ნეგატიური შედეგებისგან. უკვე ათეული წლებია სხვადასხვა ქვეყნების სულ ახალ და ახალ ქალაქებს იყარობს ამგვარი მოვლენების ციხე-სხელება.

ზემოაღნიშნულ გაემოვებთან დაკავშირებით საქალაქო გარემოს სათანადო თვისებრივი დახასიათების უზრუნველყოფა იქცა სახელმწიფო მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანად.

ასეთ პირობებში ძალზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს შექმნა საერთოქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემისა, რომელიც შედგება სპეციალიზებული ერთიანი სატრანსპორტო სისტემისა და ტრანსპორტის მოძრაობის მართვის სპეციალური საერთო საქალაქო სისტემისგან. საუბარია საქალაქო სისტემაზე, რომელსაც მსოფლიო სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობით პრაქტიკაში ანალოგი არ მოეპოვება — პოლიფუნქციონარულ, მრავალსაფეხურებრივ იერარქიულ სტრუქტურაზე, რომელიც ეკოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია, საუბარია სახელდობრ ახალი ტიპის ასეთ შერეულ ადამიანურ-მანქანურ სისტემაზე, რომლის მართვა და ფუნქციონირება დაკავშირებულია, ერთის მხრივ, თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან, საშუალებების ავტომატიზაციასთან,



სამელიცინო ცენტრის შენობა ხიუსტონში (აშშ). 1800 ავტომობილისათვის განკუთვნილი გარეჯი. წინა პლანზე — ლაი ავტოსადგომები



გამოთვლით ტექნიკასთან, ავტომატიკასა და ტელემე-
კანიკასთან და განსაკუთრებული სახის უწყვეტობის
სპეციალური არხების შექმნასთან. მეორეს მხრივ,
საუბარია სისტემაზე, რომლის ფუნქციონირებასა და
მართვაში, მართვის განსაზღვრული ფაქტორების ბლოკ-
თა ერთად, მთავარი როლი ადამიანს ავსრია, თვით
ამ სისტემის მიწანმშობრთული ფუნქციონირების ეფექ-
ტურობა კი მთლიანობაში დამოკიდებულია მთელი
რჩეი ფაქტორებისგან, რომლებსაც სტოქასტიკური
(განუსაზღვრელი) ხასიათი აქვთ და რომლებიც განი-
საზღვრება მომხმარებელთა მასის — მგზავრ-ავტომ-
ფლობელთა სახით — უშუალოდ თვით სისტემასთან
სპეციალური დამოკიდებულებით. ამ დამოკიდებულე-
ბის ხასიათი წინასწარ განისაზღვრება სპეციალური
რეგულატიორების კომპლექტით, რომელთა შორის
მთავარია ეკონომიური მომენტები.

თორიული განმარტება ზემოთ ჩამოთვლილი პრობ-
ლემების კომპლექსისა, გამოდინარე ერთიანი მეთო-
დოლოგიური პოზიციიდან, საერთოსაქალაქო კომპლექ-
სური სატრანსპორტო სისტემის ორგანიზაციის დროს,
მოითხოვს სისტემური მიდგომის საფუძველზე მთლიან-
ობაში განხილვას, აგრეთვე, იმის დატვირთვად
განსხვავებული, სულ სხვადასხვა სახის — ეკონომიუ-
რი, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ქა-
ლექსურ-შენებლობითი სატრანსპორტო ფაქტორები, არამედ
ეს ითვალისწინებს, აგრეთვე, იმის დატვირთვად
რომ თანამედროვე ქალაქის ფენომენს მივუდგეთ
როგორც მრავალდამენტირვან, პოლიკრიტიკულ, დი-
ნამიურ სისტემას, „გარეგანს“ საერთოსაქალაქო კომპ-
ლექსური სატრანსპორტო სისტემის მიმართ. ქალაქის
სისტემის მართვამ რთული სისტემების „კონტრინტუიტუ-
რი“ კმედების გაუთვალისწინებლად ქალაქი შეიძლება
ჩინოვოს მოქციოს. განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში.
როცა „... მასებისა და ნაკადების სახით გამოდინან ადა-
მიანები მათი მიწანმშობრთული მოქმედებით, სწრაფი
ადაპტაციით გარემოს ცვლილებების მიმართ, რომლებ-
შიც მუდმივად ცვლიან ერთ, უკვე თვალსაჩინო მიზნებს
სხვა, ჭერ უფრო ცუდად გააზრებული მიზნებით...“
ამიტომ ურთიერთგანსაზღვრული, საერთოსაქალაქო
კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის კვლევით,
ფორმირებით, ექსპლოატაციით, ფუნქციონირებითა და
მართვით ერთმანეთს დაკავშირების პრობლემების
გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერებაში
უახლოესი „უნივერსალური“ ინტრუმენტების მეოხე-
ბით, რომლებიც შექმნილია სისტემური ანალიზის იდეა-
თა განვითარების საფუძველზე. ეს პრობლემები, რო-
გორც საკითხთა უფართოესი სპექტრის შემკველნი
(ეს საკითხები განეკუთვნებიან ტექნიკურ, საზოგადო-
ებრივ, ეკონომიურ და ბუნებისმეტყველებით მცენიერ-
ებებს და აღმოჩნდნენ დისციპლინათაშორის მმც-
ნიერულ კვლევებში განსაკუთრებულ სფეროში),
მოითხოვენ ისეთი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური
და კონცეპტუალური ბაზისის ფორმირებას, რომელიც
საშუალებას მოგვცემდა გადავხვინიწა ამჟამად მოქმედი
საქალაქო ტრანსპორტის მომსახურების ზოგიერთი სა-
ფუძველი, მათ შორის, სატრანსპორტო მოძრაობის
ორგანიზაციისა და რეგულირების პრინციპები, სსრკ
ქალაქებში მსხობრივი ავტომობილიზაციის თანამედრო-
ვე სტადიისა და განვითარების პერსპექტივის თავიერ-
ბურებანი პრინციპულად ახალი მიდგომის პოზიციიდან
და ა. შ. მეტიც, საერთოსაქალაქო კომპლექსური სატ-

რანსპორტო სისტემის, როგორც ტერიტორიულ-კოორი-
ნაციული სისტემის, პრაქტიკული ამოცანების შესაძლებ-
ზეციის გადაწყვეტა მხოლოდ გარკვეული სატრანსპორტო-
ქალაქმშენებლობითი წანამდებრების შედეგადაა
შესაძლებელი, წანამდებრებისა, რომლებიც არსებობენ
სოციალისტური ქალაქების კონკრეტულ სინამდვილე-
ში და რომლებიც განაპრობებულა საზოგადოებრივი
განვითარების სათანადო სოციალურ-ეკონომიკური
ტენდენციებითა და გეგმარებით საწყისთან შესაძლებ-
ლებითი, ერთად, — დიდი დასახლებული ცენტრების
ფორმირების პროცესთა რეგულირებით, პერსპექტივა-
შიც უპირატესად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გან-
ვითარებით, ავტოტრანსპორტის მართვის საერთო-საკავ-
შირო ორგანოს შექმნით და ა. შ.

უკველივე ზემოთ თქმულის გამო, როცა ვიკვლევთ
საერთოსაქალაქო კომპლექსურ სატრანსპორტო სისტე-
მას, როგორც მრავალმიზნოვანი დანიშნულების პო-
ლიბიტებას, რომელიც შეიცავს თავისი ბუნებით გან-
სხვავებულ ელემენტებს — (საზოგადოებრივი, ტექნი-
კური და ბუნებისმეტყველებითი მეცნიერებების მი-
წანაზე) — უნდა გამოვიყენოთ არსებული წანამდებრე-
ბი — მეცნიერულ-ტექნიკური რეგულაციის განვითარ-
ების თანამედროვე ეტაპის შესაძლებლობები, აგრ-
ეთვე თანამედროვე მეცნიერების სამი მითითებული
მიმართულების ურთიერთშემოქმედებით მიღებული
შესაძლებლობები. პირველ რიგში — „უნივერსალურ-
რი“ შემეცნებითი საშუალებების სახით გამოკვლილი
და სინთეზირებული, საშუალებებისა, რომლებიც ითვა-
ლისწინებენ არა მხოლოდ ზემოთაღნიშნულ საგნობრივ
სპეციფიკას თვით შესასწავლო ობიექტისა და მის
ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, არა-
მედ თვით გამოკვლევის — რთული მრავალეტაპოვანი
პროცესის თავისებურებათა მთელ სპექტრს, ისეთ
სუსტსტრუქტურულად პრობლემას, რომლის გადაწყვე-
ტაც მხოლოდ პრინციპულად ახალი იდეების გარკვეუ-
ლი სიმბოზის ბაზაზე შესაძლებელი. ეს პრინციპულად
აახალი იდეები აუცილებელია არა მხოლოდ მისი,
როგორც პრობლემის, დაუცვლების თვალსაზრისით და
თვით მიღებული შედეგებით არატრივიალური სტრუქ-
ტურის ინტენტიფიკაციისა და შემდგომი კვლევისათვის,
არამედ შემეცნების ადეკატური საშუალებების შერ-



ჩვესათვის, საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის შექმნისას, წინასწარ შემუშავებული საბოლოო მიზნების წარმოქმნისას მათი ზორცშესხმის გზების მონახვისა და ფორმირებისათვის. თეორიულ ინსტრუმენტს, რომელიც სუსტად სტრუქტურირებული ამ პრობლემის ყველა შემადგენელი ნაწილის (ერთმანეთისგან განუტრეცი ნაწილების) სისტემური ანალიზის საშუალებას მოგვცეზ, წარმოადგენს, კერძოდ, ამ სტატის ავტორის მიერ შემუშავებული სპეციალური სისტემური მეთოდოლოგია. მხედველობაში ვიდებთ რა, რომ ტერმინი „სისტემური ანალიზი“ არაერთმნიშვნელოვანია, საკერძოდ მივაჯინა ხაზი გავუვებთ, რომ მისი არსი ამ შემთხვევაში იხსნება ჩვენგან შემუშავებული მიდგომის მხოლოდ ზოგიერთი თავისებურების ჩვენებით, ამ მეთოდის, როგორც აგრეთვე სისტემური გამოკვლევისა და სისტემათა ანალიზის მეთოდოლოგიის გაგებით. ეს მიდგომა ხასიათდება ნაწილობრივ მობარჯვებით ისეთი პირველად გამოყენებული ურთიერთდაკავშირებული მეთოდებისა, რომლებსაც, პირობითი ეკალიფიკაციის შესახამისა, შეგვიძლია მივაკუთვნოთ სისტემური ანალიზის მეთოდების უკიდურეს კლასებს შორის შუალედური ადგილი, ჩვენი მიდგომა შეიცავს ფორმალურებული და აღწერითი ნაწილების ელემენტებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო ორგანიზაცია განვიხილოთ როგორც პოლიფუნქციური, მიზანმიმართული სისტემა. პრობლემას ვსწავლობთ ორგანიზაციის კომპლექსური სისტემის მოდელის მეშვეობით, რომელიც შეიცავს გარეობიქტურის და შიდაობიქტურის კომპლექსური ორგანიზაციების სისტემას. ეს სისტემა წარმოდგენილია ურთიერთშემავსებელი მოდულების ბლოკის სახით, მოდულებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს თეორიულად ეკლავწარმოქმნას კვლევის ობიექტი მეტ-ნაკლები დეტალზაციით, სხვადასხვა კუთხით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, — განვითარებაში, პრობლემა შეისწავლება, აგრეთვე, ადექვატური ცნებით — კატეგორიული, ცნებით — ტერმინოლოგიური აპარატის შექმნის გზით, აპარატისა, რომელიც აუცილებელია სათანადო სისტემური კონცეფციების შექმნისა და თეორიული გამოკვლევის შინაარსობრივი ნაწილის ფორმირებისათვის. ზით უმეტეს

აშოცანის დასახვის სტადიაზე. შემუშავებული ახალი მეთოდის პრინციპულ თავისებულებათაგან ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ითვალისწინებს სხვადასხვაგვარი შესაძლებლობების გამოკვლევას თვით სრულქმნადი სისტემის შიგნითაც და გარეთაც, ანუ სისტემური ანალიზის მიმართულებით სახეცვალბადი სისტემიდან (ე. ი. სატრანსპორტო მომსახურების საქალაქო სისტემიდან) მისი გარემოცვისაკენ. სახელდობრ, უპირატესად მსტროსპეციალურ სპეციალურ დამუარებული ალტერნატივებს გამოვლენის გზით. რომლებიც თავს იჩენს როგორც საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის შიგნით, ისე მის გარეთაც. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი განსხვავება აღნიშნული მიდგომისა ისაა, რომ იგი ითვალისწინებს შემოდებს ინტეგრირირებულ პროექტივების, პირველად გამოყენებული, გარკვეული ორგანიზაციული და სათანადო ტექნიკური სიახლეების დანერგვას, აგრეთვე მათი ადექვატური, თანამედროვე ქალაქის პირობებში ეფექტური მნიშვნელობითი დონისტივების გატარებას.

ურთიერთდაკავშირებული მრავალპარამეტრული „კორექციები“ საშუალებას გვაძლევს მივალწიოთ საერთო სარგებლობის საქალაქო ტრანსპორტისა და პირადი მსუბუქი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის კოორდინირებას. ჩვენმა მიდგომამ სწორედ ასეთ სისტემურ-დიალექტიკურ საფუძველზე დამუარებით მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა თვისებრივად ახალი ინტეგრალური ცოდნა გამოკვლევის ობიექტისა — საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემისა — ეს ცოდნა შემუშავებულია მეცნიერების სპეციალურ სფეროთა და სახეობათა პროფესიული „ტიხრების“ გარეშე და ხელთა გეჰქვს სპირტო დისკიპლინარული დონის სპეციალურ შემდგომად ადექვატური მრავლობითი ინტეგრატაცია.

ასეთი მიდგომის საფუძველზე სინთეზირებული გადაწყვეტილებების ყველაზე არსებითი თავისებურებანია, ყველაზე საერთო ფორმით. კერძოდ, ამაში მდგომარეობს, ჭერ ერთი, ეს კომპლექსური გადაწყვეტილებანი ეძებენ, ნახულობენ ზემოქმედების შესაძლებლობებს — ხერხებს, გზებს, მეთოდებს, რომლებიც

მრავალსართულიანი გარეკი-ავტოსადგომი ტულუზაში (საფრანგეთი)



ახალი სავაქრო ცენტრი კოვენტრში (ინგლისი). ავტოსადგომები შენობის სახურავებზე



საშუალებებს იძლევიან ზეგავლენა მოვახდინოთ არა მარტო საქალაქო ავტოტრანსპორტის შემადგენლობაზე, არამედ ავტოსაგზაო მოძრაობის ხასიათზეც. მეორეც, ისინი არა მხოლოდ განასაზღვრვენ ამ შესაძლებლობებს, არამედ აყალიბებენ მათი კორექტულად გამოყენების დიფერენცირებულ კრიტერიუმებსაც საერთო საქალაქო პირობების სპეციფიკისა და თვის ზემოქმედების ხასიათის შესაბამისად და, ამით მათი ეფექტურად გამოსაყენებელ საზღვრებს კმნიან. მესამე თავიხებურებაა ვადაწვევტილებათა ამ კომპლექსის, როგორც მისი სისტემური არსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენის, ერთდროულ მრავალმნიშვნელოვან და „გაზომვას“ შესაძლებლობა, რისი მეობებითაც, განაპირობებენ რა საქალაქო სატრანსპორტო სისტემის დახასიათებათა სრულქმნას, განსაზღვრვენ მთელი რაიგი თანადევი ეფექტების „თვითწარმოქმნას“.

სისტემური ანალიზი მისი დღევანდელი წარმოდგენით არა მხოლოდ გარკვეული ტიპია მეცნიერული მიღვაწეობისა, რომელიც, კერძოდ, დაკავშირებულია რთული ობიექტებისა და ზერთული სისტემების კვლევასა და კონსტრუირებასთან, არამედ ესაა კულტურის, როგორც საზოგადოებრივ მოვლენათა განსაკუთრებული სფეროს კომპლექსური კვლევის (შესწავლის) მეთოდოლოგიური ინსტრუმენტიც. სისტემური ანალიზი, მისი, როგორც „...კვლევის არსებული საშუალებების ერთობლივი არსენალის გაგებით — აქვე ვგულისხმობთ სხვადასხვაგვარ ევრისტკულ შეთადებასა და ხერხებსაც, მათ შორის, მხატვრული კულტურის კვლევისთვისაც — ესაა განსაკუთრებული ტიპი ხელოვნებისა... რომელსაც გამოცდილი ოსტატის ხელში მივყავართ მნიშვნელოვან შედეგებამდე... ოღონდ იგი პრაქტიკულად უსარგებლოა მისი წმინდა მექანიკურად, არაშემოქმედებითად გამოყენების შემთხვევაში...“.

სისტემური ანალიზი, რომელიც მისი კმნადობის, ჩამოყალიბების მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანწილად ხელოვნებას წარმოადგენს, რასაკვირველია, არ

გახლავთ ერთადერთი და ყველაზე მთავარი „კერტილი“ ხელოვნების სფეროსთან იმ პრინციპული შეხებისა, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი კავშირი ხელოვნებასთან ამ მრავალწახანავანი, კომპლექსური კვლევისა არსებობს თეორიული ამოცანებისა და გამოყენებითი საქითების გააწვევების თვალსაზრისითაც სპეციალური ავტოგრაფების კომპლექტებისა და სადგომი ნაგებობების მხატვრულ-ესთეტიკური და არქიტექტურულ-სივრცითი ორგანიზაციის დროს. ამ სტატიის ჩარჩოებში არა გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით შევჩერდეთ თუნდაც ზოგიერთ (ყველაზე რომ არაფერი ვთქვათ) ასპექტზე მრავალპრობლემოვანი კვლევისა, რომელსაც საგანგებო მონოგრაფიას ვუძღვინთ, ქვემოთ განხილული დებულებები წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს ჩვენს მიერ წარმოებულ ძიებებისა. და, მაინც, საკიროდ მიგვჩანია შევქმნათ საერთო წარმოდგენა კომპლექსურ გამოკვლევაზე საერთოდ, როგორც მთლიან სისტემაზე, ეს საკიროდ მიგვჩანია, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ჯეროვნად დავასაბუთოთ ზოგიერთი მიღებული საბოლოო დასკვნა და შედეგი. ამიტომ, ქვემოთ შევჩერდებით ძიებათა შედეგად ჩამოყალიბებულ ცალკეულ დებულებებზე.

მოსკვასა და ლენინგრადში ჩატარებულ, სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის ტრანსპორტის სექციების მიერ ორგანიზებულ თათბირებზე აღინიშნა, რომ ავტოსატრანსპორტო ნაგებობათა პროექტირებასა და მშენებლობაში, აგრეთვე ამ სფეროების მეცნიერულ პროგნოზირებაში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც გამოიხატება, კერძოდ, იმით, რომ ჩვენში აგებული მრავალი ავტოსატრანსპორტო დანიშნულების ნაგებობა დაბალი ფუნქციური და მხატვრული ხასიათისაა, აგრეთვე, იშვიათობაა სატრანსპორტო კომპლექტების ანსამბლური გაშენება. ასეთი ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებდნენ ავტოსატრანსპორტო ობიექტების პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის



მრავალსართულიანი ავტოგარაჟი ვენეციაში

ქუჩისგარეთა ავტოსადგომები და სარეზერვო ტერიტორია უნივერსიტეტის უკან ბერლინში (გდრ)



საზღვარგარეთულ და სამამულო გამოცდილების არასათანადო სიღრმით შესწავლასა და განვითარებას. ამ ხარვეზების გარკვეულწილად აღმოფხვრას ემსახურება სწორედ ჩვენი მიერ შესრულებული სისტემური კვლევა.

სოციალური შინაარსით განსხვავებული არქიტექტურულ-ესთეტიკური ამოცანები, კაცმა რომ თქვას, შეიძლება გადაიპრას გარეგნულად ძალზე მსგავსი ესთეტიკურ-სტილური ფორმებით, თუმცა, დასაშვებია, რომ ამ დროს სხვადასხვა ფუნქციურ-ტექნიკური მოთხოვნებიდან და ეკონომიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სწორედ ეს გარემოება ხდის პრინციპულად შესაძლებელს პროფესიული გამოცდილების შემოქმედებით სესხებას და ამ გამოცდილების გამოყენებას ახალ, თვისებრივ-ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე. მაგრამ ასეთი შემოქმედებითი ათვისება პროფესიული გამოცდილებისა (ჩატარებული კვლევის თემატური მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით) შესაძლებელია, კერძოდ, იმ საზღვარგარეთული ქვეყნების არქიტექტურულ პრაქტიკის ათვისებით, რომლებშიც ავტომობილიზაციის მაღალი დონეა, — რუსაკვირვლია, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-იდეოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთმა საფუძველმა შეიძლება ხელი შეუწყოს არქიტექტურის აღნიშნულ სფეროში ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების სრულფასოვან და შედეგიან შესწავლას და ამ თანამედროვე გამოცდილების გამოყენებას, რაც უპასუხებს ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მეტიც, ამასთან ერთად, როგორც ჩანს, საპიროა გამოვიდეთ კონკრეტული კულტურულ-ესთეტიკური, ფუნქციურ-ტექნიკური მოთხოვნილებების კომპლექსიდან, აგრეთვე, ჩვენი სოციალისტური წყობის და ცხოვრების წესის იმანტუარული იდეოლოგიური და სოციალური მიზანდასახულებებიდან.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნილებებზე რეაგირების პირობებში მასობრივი ავტომო-

ბილიზაციის საზღვარგარეთულ ქვეყნებში შემუშავდა რიგი ქალაქმშენებლობითი, ფუნქციურ-გეგმარებითი, ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, რომლებიც საინტერესოა მათი შემოქმედებითი გააზრებისა და ახალ საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის. მაგრამ ამით განსაზღვრული ტენდენციები და მიმართულებები სულაც არ გამორიცხვენ (ხშირად კი აძლიერებენ, აღრმავებენ) მათთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობრიობას, რომელიც უკველითის როდი ვლინდება გარეგნულად თვალში-საცემად, რადგან თავს იჩენს უპირატესად სახეობრივ-ესთეტიკური არის სიღრმეებში. ამიტომ აღნიშნული მიმართულებით დაგროვილი გამოცდილების ღრმად გააზრებული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მისი მიზანწრაფული გაღაფშავების შედეგად, რაც ქმნის ჩვენი თანამედროვე სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობითი პირობების მოთხოვნილებების შესატყვისი შედეგების მიღწევის საშუალებას, რამეთუ უცხოეთის ქვეყნებში გამოყენებული მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის წოგირით ფუნქციურ-ტექნიკური ხერხისა და პრინციპის ზედპირული სესხება სერიოზულ ხარვეზებამდე მიგვიყვანს. მხედველობაში ვვაქვს არა მხოლოდ სახეობრივ-ესთეტიკური რიგის მომენტები, არამედ სხვა არანალებ მნიშვნელოვანი გამოცდილებები მათი შედეგებისა. ასე, მაგალითად, სტერეოტიპული „რეკორდული“ — საზღვარგარეთის ავტოსაგარაუო (ავტოსასადგომო) მშენებლობითის „პრესტიჟული“ მიმართულებების ხელ-აღებით მიყუდა გამოიწვევს მეორე შეცდომას — გადაწყვეტთა გაზეორებას, რაც იწვევს მოწინავე პოზიციების დაკარგვას, სტერეოტიპული, ტრადიციული ფორმების კვლავწარმოებას. მეტიც, ასეთი ფუნქციური აღნიშნულების არქიტექტურული პროექტირების საზღვარგარეთული გამოცდილებისადმი მომხმარებლური და ღრმად უტილიტარული დამოკიდებულება, მათი ანალიზისა და ღრმად შესწავლის გარეშე, მეორეოლოგიური ხასიათის შეცდომამდე მიგვიყვანს. ასეთი მომხმარებლური და უტილიტარული დამოკიდებულება ქმნის კონინტექტურულობის, არაშემოქ-



მედებითი პრაქტიციზმის განწყობილებას. ეს არის ჩვენს სფეროში არქიტექტურული გამოცდილების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ესთეტიკურ-შინაარსობრივი ანალიზის ჩატარების ხელისშემშლელი ერთ-ერთი მიზეზი.

მსუბუქი ავტორანსპორტის შენახვა-პარკირებისთვის გამოწეული სპეციალური საქალაქო ნაგებობების არქიტექტურულ-მატერიალური და სივრცით-ესთეტიკური ორგანიზების არსებითი პრინციპების მიხედვით უსაფუძვლი გამოყენებისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ამ პრინციპების, მათი სტრუქტურულ-ფუნქციური როლისა და შინაარსის კონკრეტულ-სოციალურ კონტექსტთან კავშირის პროფესიულ-კვალიფიციური ანალიზი. მხოლოდ ამ ორგანიზაციულ პრინციპების განმსაზღვრელ ფუნქციათა არსის ცხადად, ნათლად გააზრება მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, კერძოდ ნოვატორული ტენდენციებისა და მიწინავე გამოცდილების პრაქტიკულ გამოყენებამდე. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი რიგი გადაწყვეტანი და მათთან დაკავშირებული ხერხები და საშუალებები, რომლებიც „მუშაობენ“ უცხოეთში, თუ მიქანიკურად, უაზროდ გადაფენიერგეთ, არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს. ეს განსაკუთრებით შეეხება ობიექტების წმიდა გარეგნულ მხარეს, — გაიყვანეთ თუნდაც, უკანასკნელ წლებში ჩვენში ასე გავრცელებული „სახტუმრო-რესტორნული“ არქიტექტურის სტერეოტიპები. ეს ასექტი იმიტომაც უნდა გვახსოვდეს, რომ თვით წმიდა ესთეტიკური (პირველი შეხედვით) პრობლემებიც კი დასავლურ სინამდვილეში, როგორც წესი, სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრებითა და სარობებით განისაზღვრება. ეს განსაზღვრულობა ვლინდება მნიშვნელოვანი აღმზრდელი ფუნქციის მქონე არქიტექტურის იდეოლოგიური შინაარსის გამომაჰველ სახეობრივ-ესთეტიკურ სფეროშიც, რამეთუ ასეთი ფუნქციური დანიშნულების ობიექტების არქიტექტურული სახე სპონტანურად და მხოლოდ ფუნქციურ-ტექნოლოგიური, მოცულობით-გეგმარებით და კონსტრუქციულ ტექნიკური ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად როდი იქმნება, არამედ საზოგადოების და, უწინარეს ყოვლისა, კლიენტთა — მომხმარებელთა წრეების გარკვეული ადგიურ-ესთეტიკური მრწამსით ფორმირების მიზნის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ამ მრავალი თვალსაზრისით თავისებური შენობა-ნაგებობების სახეობრივ დახასიათებაში აუცილებლად ჩართულია მათი სპეციფიკური ტიპოლოგია. ესაა, უკეთავე, ისეთი კატეგორიები, როგორცაა ნაგებობების ფიზიკური ზომები და გეომეტრიული წყობები (ფორმები), რომლებიც გააზრებულად უსაყმენ ხაზს და ვიზუალურად ააქცენტირებენ მათი მატერიალური ხაზის გარკვეულ ესთეტიკურ-იდენტ მიმართულებას. ამ საშუალებათა მეოხებით შეგვიძლია იზიარებოდეთ გავაყვით დასკვნები დაწესებულების საქმიანობაზე, ტექნიკური აღჭურვილობაზე, ფორმის მდგომარეობაზე და სიმძლავრეზე, მის სოციალურ პოლიტიკაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს მარკვედ გამოყენებული არსნადი (აუცილებლობის შემთხვევაში — დაკამფუ-საქმებული) არქიტექტურული ხელოვნების გამოშ-სახველობითი საშუალებებია — განზახი თავშეკეუ-ბლობა, ფორმების სახეობობა (ხაზგასმულ თავ-

დაქერილობასთან, დემოკრატიულობასთან კონტრა-ტში), ისეთ არქიტექტურულ კატეგორიებზე, ვერაუდ-როგორცაა სიახლე და ტრადიციულობა, მსგავსებები და კარჩაკეთობა და სხვ. — გარკვეული ესთეტიკური სისტემების შეადგენული ურთიერთდაპოკიდებული ელემენტებისა, — ელემენტებისა, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული სოციალურ-იდეოლოგიური დოქტრინების მიმართულება. ეს მიმართულება პოტენციურად შეუცავს გარკვეულ ინფორმაციულ-იდეოლოგიურ დოქტრინებს, რომლებიც რეალიზდება სათანადო ობიექტის ხედვით აღქმის შესაბამისი სახეობრივ-ვიზუალური კვებქების გააზრებაში „ტრადიციონალი“ შედეგად. იმპლიციტური (არაშეკარა-ფრული) ზემოქმედება პირველ რიგში სახელდობრ ამ ელემენტებისა (შესაძლოა, ზოგჯერ, გაუნცნობიერებ-ლადაც), ისეთ წმიდა ესთეტიკურ კატეგორიებთან და სრულქმნილების კრიტერიუმებთან ერთად, როგორცაა თანახმიონება, პარმონია, სპორპოციულობა და ა. შ. განმსაზღვრელი ფაქტორები ხდება არა მხოლოდ გააზრებულად წარმართული, განზახ წინასწარ „დაპროგრამებული“ გამომსახველობისა, არამედ. — შესაბამისად, — თვით ნაგებობის (შენიშნის, კომპლექსის), როგორც ამ ობიექტის სოციალურ-იდეო-გიური შინაარსის, აღსაქმულად და შესაფასებლად.

თუკი ვაღიარებთ ზოგიერთ კულტურულ-ესთეტიკურ მთლიანობას, მავალად, არქიტექტურული ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც გარკვეულ სისტემას (კონსტანტას), მაშინ ნებისმიერი ადეკვატურად მატერიალიზირებული მოდელი (ობიექტი) ამ მთლიანობისა, პარმონიის, შეიძლება იანხილულ იქნას ამ სისტემის კონკრეტულ გამოხატულებად, — იმ პირობით, რასაკირველია, რომ ამ მოდელის სტრუქტურულ-ესთეტიკური ფორმალური მხარე სახელდობრ ამ სისტემის კანონებითა და პრინციპებით ხდება. ეს, თავის მხრივ, საფუძველს გვაძლევს, რომ ამგვარად „რეალიზებულ“ სისტემა ამ შემთხვევაში იხსნება შიგნად, რამეთუ „ლაგდება“ მისი მრავალბოთ-ტრანსფორმაციული შესაძლებლობები. და, როგორც ჩანს, მისი ხორცშესხმა (აგება) აქმაიცილებს, ერთის მხრივ, სისტემაში „ჩაგუბებულ“ კრიტერიუმებს. უწინარეს ყოვლისა, — ფსხეულ-ესთეტიკურ წარდგენებს მოცემული, რეპროდუქციონული სისტემისა, რამედ-ნადაც, სახელდობრ ეს სისტემა წარმოადგენს მის შინაგან არსს, გარეგნულად გამოხატულს „წესით“, წარმოადგენს პარადიგმას, პრინციპს, რომელთა საფუძველზეც იქმნება ეს ობიექტი. ამავე დროს, მეორე მხრივ, გვავე ობიექტი არის „წმინდური ტვიფარი“ იმავე მთლიან სახეობრივ-კრიტიკულ სისტემისა, რომელიც თავისთავად არსებობს, რადგანაც მის (ობიექტის) მიმართ ის უკვე „ფორმულიზირებულია“, — მკვეთრად ფიქსირებულია და წმიდა გარეგნულ კონტექსტს წარმოადგენს. ამის გამო იგი, უკვე აშენებულ ობიექტთან მიმართებით, თავისებურ ხელოვნურ კერძო ხასიათის პატერნს ქმნის, ამდენად, გამოდის, რომ ნაგებობის არქიტექტურულ-ესთეტიკური სახე პარადუქციულად აღმორჩლება ერთი სისტემის მეოხებით თვისებრივად განსხვავებულ მეორე სისტემაში. კერძოდ: ერთი სისტემა მატერიალიზდება — „ეხვევა“ ობიექტის ხილულ სახეში ისე, რომ შემდეგ, ამ ობიექტის პრაქტიკული ხორცშესხმისა, გამო-

ვლინდეს და კვლავ „რეალიზებული“ იქნეს უკვე მეორე, ნიშნად-სიმბოლურ სისტემაში, რომელიც მთელი თავისი წყობით აკონცენტრირებს და არეფლექსირებს (ასახავს) ყველაზე განხვავებული ხასიათის და ფართო დიაპაზონის — დაწყებული ვიზუალურად თავისუფლად აღქმულ კულტურულ-ისტორიული, ფუნქციურ-ტექნიკური და სხვა ინფორმაციებით, დამთავრებული ნიშნად-სიმბოლურ ფორმაში ჩაქსოვილებით. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განხილულ კონტექტში აკონცენტრირებს და არეფლექსირებს სოციალურ-იდეოლოგიურ ინფორმაციებს, როგორც თავისებური პირობითი კოდი — ვიზუალური-სახეობრივი სტერეოტიპი, რომელმაც მოცემული საზოგადოების ყველა წევრისთვის მისაღები „სტატუსი“ მიიღო. ეს „სტატუსი“, სხვა საზოგადოებრივ სტრუქტურაში გადატანილი, ინარჩუნებს მისში საწყისშივე ჩადებულ აზრს, სპეციფიკურად ორიენტირებულ ინფორმაციას.

ფორმალური სტრუქტურის კონკრეტული სახის ამგვარ მრავალმხრივ პირობით „მიზმას“ ნაგებობის ფუნქციურ შინაარსთან და დანიშნულებასთან თავისი გამოვლენის მეორე მხარეცა აქვს. ასეთ პირობებში გვერდაუფლელია ასეთი ობიექტების არქიტექტურული სახის ელემენტებისა და კომპოზიციური პრინციპების გადაწყვეტის სტერეოტიპურობა. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ „უცხო“ ფორმების გადმოღება ანუ ახალი, ჭერ „გაუცვეთელი არატრადიციული ფორმების გამოყენებას მიუყვართ მასობრივი მომხმარებლისაგან — ავტოსადგომ ნაგებობათა გამოყენებელი ავტომფლობელებისაგან მათ მიუღებლობამდე. საქმე იქამდეც კი მიდის ზოლში, რომ როგორც უცხოეთის ავტოსადგომი, ავტოსადგომი კომპლექსების ექსპლუატაციის პრაქტიკა ადასტურებს, ავტომფლობელები ზოგიერთ შემთხვევაში ღია ქუჩის ავტოსადგომებით სარგებლობენ და მსგავს ნაგებობებში არ აუენებენ მანქანებს. დღეს, როცა უცხოელი სტუმრები ინტენსიურად ეცნობიან ჩვენს კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას, სულიერ ფასეულობებს და თანამედროვე მიღწევებსაც, უაღრესად დიდი მხატვრულ-შემეცნებითი როლი ეკისრება ჩვენი ქალაქების თანამედროვე არქიტექტურის აღქმასა და მის წონად სოციალურ-იდეოლოგიურ ინფორმაციას. და ამასთან დაკავშირებით, ამ ასპექტით არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ნაგებობათა არქიტექტურული სახის საყოველთაოდ მისაწვდომობას, გასაგებობას, მისი სახის, ასე ვთქვათ, „ინტერნაციონალიზობას“... მის არქიტექტურულ ანსამბლში „არეკილი უნდა იყოს არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული და სხვა ტრადიციები, არამედ გააზრებულიც უნდა იყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური როლის მრავალმხრივი მნიშვნელოვანებაც, ქალაქის გარემოში მათი ჩართვის ხერხიც, თანამედროვე საქალაქო განაშენიანებაში მათი განსლაგებელი ადგილის შერჩევაც.

ამ მიმართებით განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს დიდი ნაგებობების — მრავალადგილიანი ავტოსადგომი კომპლექსების გამართვა ქალაქების ცენტრებში. ასეთ შემთხვევებში ავტოსადგომთა ორგანიზაციის სიმწელებები დიდად იზრდება ცენტრალური რაიონების არსებული განაშენიანების სპეციფიკით, განაშენიანებისა, რომელიც, როგორც წესი, ძვირ-



მრავალპარუსიანი სპირალურ-შვერილი ავტოსადგომი რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) 698 მანქანისათვის. პროექტი.

მაღლივი საცხოვრებელი შენობები ჩიკაგოში, ქვედა 19 სართულზე მოთავსებული შვერილი ავტოსადგომები 200 მანქანისათვის





ფას კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს. ასეთ პირობებში ახალ თანამედროვე ობიექტთა აგების სირობელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ისეთი სპეციფიკური ავტოსტრანსპორტო ობიექტების მშენებლობას, როგორცაა მრავალსართულიანი გარაჟ-სადგომები და მრავალსართულიანი ავტოსადგომები, შეუძლია ქალაქის ცენტრის სტრუქტურული მოდიანობის, „ქალაქის მხოლოდ მოცემული კონიონისთვის დამახასიათებელი თავისებურები, ზოგჯერ კი განუმეორებელი არქიტექტურული კოლორიტისა და სახის დარღვევა. ამიტომ ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში ამ ნაგებობათა განლაგება განისაზღვრება არა მხოლოდ (და არა იმდენად) მათი ფასდებით, რამდენადაც მთლიანი ნაგებობის მოცულობით, სხვადასხვა ასპექტითა და რაჟურით აღსაქმელი მისი „დიდი პლასტიკით“. ამასთან დაკავშირებით, არქიტექტურული ექსპერტის ფარგლებში, მიზანშეწონილად ჩაითვალა ყურადღების აქცენტირება მოცულობათა ფუნქციური დიფერენციაციების სხვადასხვა ხერხებზე, როგორც კომპლექსური ტიპის მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის გამოთხავლობის მიწვევის საშუალებასზე. ამიტომ ფოტოსურათებზე აქ ასახული საზღვარგარეთული გამოცდილება წარმოადგენს სწორედ ამ, ჩვენი ქალაქმშენებლობით-არქიტექტურული პრაქტიკისთვის შედარებით ახალი მიზანობების ილუსტრაციას. უკვე პირველი შედეგები, რომლებიც მიღებულია იმის თეორიული კვლევის პროცესში, თუ როგორია ასეთი ობიექტების გავლენა სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობით და ეკოლოგიურ სიტუაციაზე მთლიანად (განსაკუთრებით დიდ და უდიდეს ქალაქებში ავტომობილიზაციის მაღალი დონის შემთხვევაში), ნათელიყოფენ, რომ ეს გავლენა, საბოლოო ანგარიშით, უფრო რთული და მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე ივარაუდებოდა.

უმნიშვნელოვანეს ავტოსტრანსპორტო ორგანიზაციულ სისტემათა რიცხვს მიეკუთვნება სტაგნაციის (ლათინური სიტყვიდან — stagnare — უძრავად ქმნა, შეჩერება) სისტემა, რომელიც გამოიყენება არა მარტო ემპირიული მასალის თეორიულ კონცეფციამდე გარდაშვალ კონსტრუქციად, არამედ ახალი თეორიული ცოდნის ამოსაგებადაც ამ მოდელის რელევანტურ (არასქარა), ინფორმაციაზე — საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის, როგორც საკვლევი ობიექტის, რეალურ შესაძლებლობებზე, მის პოტენციურ თვისებებზე შეხებით თეორიული ცოდნის ამოსაგებადაც. ახლა უკვე ამოღებულია ვილაპარაკოთ სტაგნაციის სისტემის თეორიის საშუალებების შექმნაზე, სისტემისა, რომელშიც თვით სტაგნაციის სისტემამ საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის თეორიულ ექვივალენტად გვევლინება. ამ თეორიულ საფუძვლებში თვით პოლიმორფური სტაგნაცია — „სტაგნაციის სისტემა“ განიხილება როგორც მსუბუქი ავტოსტრანსპორტის „გაუქმრავების“ სისტემა. სიტყვა „გაუქმრავება“ იმიტომაა ბრუკვალეში ჩახშული, რომ იგი არ შეიძლება ბუკვალურად, პირდაპირი აზრით გავიგოთ. არსი მსუბუქი ავტომობილების ასეთი „სტაციონირებისა“ (რაც, შესაძლოა, ერთის შეხედვით, აბსურდულიც მოგვეჩვენოს) იმაში მდგომარეობს, რომ სტაგნაციის სისტემა სრულადაც არ ითვალისწინებს ავტოსტრანსპორტო საშუალებების მექანიკურად გაუქმრავებას.

ამ თეორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშნულია შექმნა დიდი ნაგებობებისა (გარდაღობისა) განსაკუთრებით დიდი ტევადობით კომპლექსურ-მსუბუქი ავტოსტრანსპორტის მუდმივი და დრეკებით შენახვისათვის, ესაა იდეა ფუნქციურ-მიზნობრივი დანიშნულებით დასპეციალებული რთულ-ორგანიზაციული ობიექტ-სისტემის მშენებლობისა, რომლებსაც საშუალება ექნებათ მრავალმხრივი ზემოქმედება მოახდინონ მთელი ქალაქის მასშტაბით მსუბუქი ავტომობილების ნაკადის მოძრაობასა და განლაგებაზე. საინტერესოა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახით ეს ნაგებობები, როგორც ობიექტ-სისტემები, გვევლინებიან არა თავისთავად, „წმიდა სახით“, ანუ მხედველობაში გვაქვს არა მარტო მათი, როგორც ჩვეულებრივი სადგომი ნაგებობების — მრავალსართულიანი გარაჟ-სადგომების და მრავალსართულიანი ავტოსადგომების შესაძლებლობები, არამედ ის თვისებები, რომლებსაც ისინი იძენენ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სპეციალიზებული ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შემადგენელი ელემენტები, როგორც არაჩაქაბილი, ლოკალიზირი თემითრანსპორტი სისტემები, რომლებსაც აქვთ ზემოთაღნიშნული ობიექტგარეშე კომპლექსური ორგანიზაციისა და ობიექტშიდა კომპლექსური სისტემების რთული სტრუქტურა და რომლებიც შევადგენება მხოლოდ საერთოსაქალაქო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის, როგორც მთლიანობის, ქალაქის გარემოზე ზემოქმედებისა. ამ თვისებთა გამოვლენისათვის გარკვეული იყო მათი, როგორც საქალაქო სატრანსპორტო — გვერდობითი მეტასტრუქტურის დახასიათებები, რომლებიც იძლევა ამ ნაგებობების მათი უმთავრესი ფუნქციურ-ექსპლუატაციური თვისებების მიხედვით დიფერენცირების საშუალებებს. მათმა ფუნქციონირებამ სასპეციალიზებულ ერთიან სატრანსპორტო სისტემაში, ჯერ ერთი, უნდა უზრუნველყოს ემერგენტული ეფექტი, მეორეც, ეს განაპირობებს სინერგეტიკულ ეფექტს, რომელიც ტრანსპორტო საქალაქო სამზავრო საზოგადოებრივი ციკლისპირისა და ინდივიდუალური ავტოსტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებათა ფუნქციურ-ორგანიზაციული ინტეგრაციისა და დიფერენცირების პროცესების კოორდინაციის გზით, რთულ მიღწევა ტრანსპორტის ამ სახეობათა ფუნქციონირების ეფექტურობის მკვეთრი ამაღლება სივრცესა და დროში მათი, როგორც მიზნობრივი სისტემის, ერთობლივი ექსპლუატაციის დროს. მაგრამ ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს კრებით ეფექტი, განიხილული არა როგორც უზარელო ჯამი ორი წინარესი, არამედ როგორც მულტიპლიკაციური — ესე იგი, მრავალმანიანი, მათი, როგორც მამუდგებულის, გაგებით. მისი ქმედითი გამოხატულება უნდა ვაძვინ ქალაქის ციკლური რაიონების, პირველ ყოვლისა, მისი ცენტრალური რაიონებისა და ბირთვის-ქალაქის ცენტრალური ზონის განტვირთვა მსუბუქი ავტომანქანებისგან. ამ ეფექტის გამოვლენის სხვადასხვა ფორმები საბოლოოდ თავს იჩენს, კერძოდ, „აღმაშუთებელი“ მოვლენის — ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობაზე მსუბუქი ავტომანქანების მადეზორგანიზებული ზემოქმედების თავიდან აცილებით და, იმედროულად, შიდასაქალაქო ტრანსპორტისა და პი-

რადი ავტორანსპორტის სპეციალურ „შენაწევრებულ“ მარშრუტთა რაც შეიძლება მეტად განვითარდეს. ეს იქნება შედეგი, კერძოდ, გამანაწილებელ-მარშრუტების, შემზღვევად-განმტვირთველი და სხვა ერთობლივად მოქმედი ფუნქციების აღმოჩენისა.

მსუბუქი ავტომარტის გაუმჯობესებას მისი ასეთი გაგებით კონკრეტული აზრი აქვს არა მარტო ეკოლოგიური თავლასრისი, — რამდენადაც მსუბუქი ავტომობილების ეკონომიურად მიზანშეუწონელი, ფუქი გარბენებისა და დგომის სადგომების ძენისა და თვით პარკების პროცესში) მასობრივად შემცირება დაკავშირებულია ქალაქის სპაერო აუზის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებასთან. ამასთან, ბენზინის ხარჯვის ფრიად საგრძნობი შემცირება თავისთავად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობის პირობებში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საქმეა.

ხაჯაო-ხამოძრაო ქსელისა და სატრანსპორტო სიტუაციების მოწესრიგება ქმნის რეალურ წინამდებრებს სატრანსპორტო ტრანსპორტის შემთხვევათა შემცირების ტენდენციისათვის. მარტამ ასეთი გაუმჯობესების მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ შემცირდება ტრანსპორტის ნაკადების შეფერხებებისა და დგომის დრო, რისთვისაც აუცილებელია, ექსტრემალური ხაჯაო-სატრანსპორტო სიტუაციების წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცილება, განსაკუთრებით „პიკის“ საათებში.

აუცილებელია, აგრეთვე, ხაჯანებით აღინიშნოს, რომ ასეთ უსაძრაობასთან დაკავშირებული ფუნქციებისა და ოპტიმიზირებული პარამეტრების რეალიზაციის შესაძლებლობები სატრანსპორტო მოძრაობის, დროში განაწილებისა და, იმავდროულად, ავტორანსპორტის ნაკადების ქალაქის სივრცეში განუწინის, ცენტრალური საქალკო გზების ზონირების გარკვეულ პრინციპებზე დამყარებით პირობითი ზონების შექმნის, რაც ემორჩილება ჭერ კიდევ გაუხსნელ და, ამიტომ, პრაქტიკულად აქამდე გამოუყენებულ საქალკო სატრანსპორტო მოძრაობის სივრცეგებასთან დაკავშირებული ავტონაკადების სივრცით-დროითი თვითორგანიზაციისა და სოციალურ-ეკონომიურ რეგულაციის სინტაქსური კანონზომიერებების პრაქტიკას.

თორკონული დასკვნები და შედეგები შესრულებული გამოკვლევებისა, რომელიც მეცნიერულად უპოლობელ ფაქტებსა და უფართოები მასიურ-ემპირიული მასლის დამუშავებას ემყარება, წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გლობალურ ავტომარტისა და მარტორანსპორტთან დაკავშირებული სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობითი პრობლემების მრავალწლიან გამოცდლებას, მოიცავს წარსულის ისტორიულ გაკვეთილებს, თანამედროვე პრაქტიკას და სათანადო ხანგრძლივი (სინტაქსიკული) პროგნაზების შემუშავების ცდებს. ესაა მსუბუქი ავტორანსპორტის შენახვის სპეციალური ექსპერიმენტული სისტემებისა და საქალკო ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის პროგნაზითა შემუშავებისა და თორკონული განალოზების ცდა. მიღებული შედეგები, ბუნებრივია, საპირობებენ ემპირიულ ვერსიფიკაციას — დაზუსტებას და ჩვენი რეალური პირობების პრაქტიკიდან გამომდინარე დაზუსტებას. კვლევის პროცესში გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც მოითხოვდა უფრო ღრმად და მრავალმხრე შესწავლას, და. მაინც, შეგვიძლია

თქვათ, რომ პრობლემის პრაქტიკოლოგიური და ტერმინალური ასპექტების განხილვით დადგენილია მოკლებულა შექანისა, რომელიც განაპირობებს სისტემების, როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემის ფუნქციურ-მიზნობრივ მიმართულებას. ფორმულირებულია სპეციალური ენთიანი სატრანსპორტო სისტემის, როგორც დაუზომებელი მრავალმიზნობრივი დანიშნულების პოლიისისტემის, აქტუური ექსპლოატაციისა და მულტისისტემური ორგანიზაციის კონცეფცია. გამოჩნდება და დეტალურად გახსნილია საერთოსაქალკო კომპლექსური სატრანსპორტო სისტემის, როგორც ღია „მარკო“ სისტემის, მრავალი ფუნქცია.

ამდენად, არსებითად, საქმე ვაქვს არა უბრალოდ დიდი სირთულის მრავალმხანავი პრობლემის კომპლექსურ გამოკვლევასთან, არამედ ერთიანი მოწყობიდან სპეციალურად ამ მიზნებისთვის შექმნილი სისტემური მეთოდოლოგიის და მუშავებისთან, მეთოდოლოგიისა, რომლის ქვაკუთხედსაც წარმოადგენს მატერიალური პრობლემის განვითარების თეორია. ენა პირველად შემუშავებული სისტემური გამოკვლევა, გლობალური ავტომობილიზაციის პროცესებით გაპრობებული სპეციფიკური არსებითი პრობლემების კომპლექსური სისტემური კვლევა. ამ მიზანსწრაფულ ზოგადთეორიულ „მარკო“ გამოკვლევას უშუალო, ორგანული კავშირი აქვს სკკ XXVI ყრილობაზე ტრანსპორტის, ქალაქმშენებლობის, ტრანსპორტის მოხსნობების სისტემის სრულქმნის, მოძრაობის უსაფრთხოობისა და გარემოს დაცვის პრობლემებზე დასმულ საკითხებთან, ამ პრობლემების მიმდინარე ხუთწლეულში და ახლო პერსპექტივაში გადაჭრის აუცილებლობასთან.

შენიშვნები:

- 1 Медведков Ю. В. Финансизация триниса — Мерлен П., Город. მოსკ. „პროგრესი“, 1977, გვ. 248.
- 2 მედვედოვში გვაქვს, კერძოდ, კოორდინაციული გეგმით შედგენილი საერთოსაქალკო სისტემა ტრანსპორტის მოძრაობის მართვისა „სტარტი“, რომელიც მოსკოვის პირობებისთვისაა გათვალისწინებული.
- 3 Маркрян Э. С. Теория культуры и современная наука: логико-методологический анализ. მოსკ. „მოსკ“, 1983.
- 4 Блауберг И. В., Мирский Э. М., Садовский В. Н., Системный подход и системный анализ წიგნი «Системные исследования: Методологические проблемы». Ежегодник. მოსკოვი „ნაუკა“, 1982, გვ. 55.
- 5 პატერნი შეიძლება დაეარქვათ, კერძოდ, გარკვეული სტრუქტურის ელემენტების ნებისმიერ განლაგებას, ვინცენას, კომპოზიციის ელემენტებისა, რომლებს შეგვიძლია აღვიქვათ, დავიზნოსლოთ და სხვა თანმიმდევრობებისა და დისლოკაციებისგან გამოვყოთ, შევადაროთ მათთან და გამოვარჩიოთ (ი. პლასკინი).
- 6 ამ ნაგებობათა კონკრეტული კონსტრუქციული გადაწყვეტები წარმოდგენილია გამოგონებათა დონეზე, გამოგონებათა, რომლებზეც გაკეთებულია ინდივიდუალური საავტორო მოწმობები.
- 7 დეტალური სიტყვიანი emergent — მოულოდნელად გამოვლენადი, უცნაოდ თავჩენადი.

სამეფო კმბორული პორბრეზი გარეჯის ნათლისგებლის მონასტრის მთავარ ტაძარში

ზაზა სხირტლაძე

მე ვიტყვი ფიციით: „რაც ოდენ ვიცი
რად ვინ მზარალებს ვთქვა დაკლებულად?
შენი სიშუტე რომელთა ვუქე-
ვითამც ვინ იქმნა მიბაძვებულად?
სციისკობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,
მთიენნი რად ჰყვენ განქიქებულად?
აღმომენებსა ვინ აშენებსა
მორჩსა ახალსა აღმორჩებულად?“

ჩაბრუხამ, თამბრინი

ბრეჯის მრავალმთის ერთ-ერთი უძველესი და უმ-
ნიშვნელოვანესი განშტოების — ნათლისმცემლის
მონასტრის მთავარი, კლდეში ნაკვეთი ეკლესია იოანე
წინამორბედის შობის სახელობისაა. ამ უზარმაზარი
ტაძრის ინტერიერს ოდესღაც შესანიშნავი მოხატუ-
ლობა ამკობდა. ამჟამად ფერწერული შემეუღობისა-
გან ფრაგმენტებია დარჩენილი, თუმცა თავისი მხატ-
ვრული ღირსებებით ფრესკების შედარებით მცირე
ნაშთებიც კი ტაძრად მოსულზე განუმეორებელ
შთაბეჭდილებას სტოვებს.

ქართული მონუმენტური ფერწერის ამ საყურად-
ღებო ნიმუშის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში
მხოლოდ ცნობებს თუ შევხვდებით. ბუნებრივია, არ
არსებობს ერთიანი აზრიც მოხატულობის შესრულე-
ბის პერიოდის თაობაზე. ეს საკითხი კი ნათლისმცე-
მელში საგანგებო მნიშვნელობას იძენს, რადგან მისი
გარკვევისას არსებითი მნიშვნელობა აქ შემორჩენილ
ისტორიულ პირთა პორტრეტებს, მათს იდენტიფიკა-
ციას ენიჭება. თუმც, აღნიშნული პორტრეტების მნიშ-
ვნელობა ამით როდღე ამოიწურება — მათი კვლევა
ქართული კედლის მხატვრობისა და სანოტუ-
დოლ სახვითი ხელოვნების ისტორიაში სრუ-
ლიად ახალ ფურცელს უღის.

ნათლისმცემლის მთავარ ტაძარში შესრულებული
ისტორიულ პირთა ფერწერული გამოსახულებების
შესახებ ცნობებს რამდენიმე ავტორთან ვხვდებით.
მათ შორის ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე
ადრეულია ა. მურავივის „Грузия и Армения“,
სადაც მითითებულია, რომ ეკლესიის დარბაზის მოხა-
ტულობაში «вместе с ликами Восточных от-

цов, стояли два Давида, один из числа Сир-
ских пришельцев, послуживший рассадником
инопчества в Грузии, другой же царь обно-
витель, вызвавший из развалин все ее святы-
лища. На задней стене храма, между лика-
ми царственных покровителей церкви, сох-
ранилась только внучка обновителя, царица
Тамар, везде положившая печать своей сла-
вы, с мужем своим Давидом прекрасным и
сыном Георгием».

1960 წელს ეურნალ „საბოთა ხელოვნებაში“ გა-
მოქვეყნდა ტ. შვიკაიკვას წერილი განვითარებული
ფეოდალიზმის ხანის ქართული მონუმენტური მხატვ-
რობის ორნამენტთა შესახებ. ნათლისმცემლის საკ-
რებულ ტაძრის მოხატულობაში არსებულ ორნამენ-
ტებზე მსჯელობისას ავტორი ფერწერულ დეკორს
XII ს-ის 70-იანი წლებით ათარიღებს, მიუთითებს
რა, რომ მოსაზრება აღნიშნული თარიღის შესახებ
გამოქმულები იქნა რ. შმერლინგის მიერ ქართული
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში წაითხულ მოხ-
სენებაში ნათლისმცემლის ეკლესიის მოხატულობის
სამეფო პორტრეტის თაობაზე. სამწუხაროდ, განსვე-
ნებული მკვლევარის დასახელებული მოხსენება არ
გამოქვეყნებულია; მას ვერ მივაკვლიეთ რ. შმერლინ-
გის პირად არქივშიც, რომელიც ქართული ხელოვნე-
ბის ისტორიის ინსტიტუტშია დაცული.

ნათლისმცემლის ტაძრის მოხატულობას კაკვრით
შეუბო შ. ამირანაშვილი წიგნში „ქართული ხელოვნე-
ბის ისტორია“. ავტორი მიუთითებს, რომ წარწერის
მიხედვით აქ, ჩრდილოეთ კედელზე, „წარმოადგენილი
ყოფილა დავით აღმაშენებელი („ამაჟა დემეტრე მე-

ფისიან“...), რომლის გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია ეპოთა სივრცისაგან“. იქვე მითითებულია, რომ ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია დავით აღმაშენებლის ძე დემეტრე I და მისი ძმა (sici) გიორგი III.¹

მონასტრის დიდ დარბაზულ ეკლესიაში ისტორიულ პირთა ფერწერული გამოსახულებების მთელი გალერების არსებობაზე მიუთითებს გ. ალიბეგაშვილიც². მისი აზრით, აქ უდავოდ დინასტიური პორტრეტებია შესრულებული. ავტორი იმომყვება გამოსახულებებთან შემორჩენილი ასომთავრული წარწერების ფრაგმენტთა ნაწილს.

ლიტერატურის წემოთდასახელებული ნუსხიდან ჩვენ უპირატესად ამ რამდენიმე წლის წინ ა. მურავიოვთან დამოწმებულმა ცნობამ მიიყურო. საქმე ისაა, რომ გარკვეულ მისი მოგზაურობისას ნათლისმცემელი, ლვარასთან ერთად, ჭერ კიდევ მომქმედი მონასტერი იყო სამონასტრო კომპლექსის სხვა განსტოლებებისაგან განსხვავებით. აქ კვლავ ინტენსიურად (თუმც არა ისე ძლიერ, როგორც ადრეულ საუკუნეებში) მიმდინარეობდა სამონასტრო ცხოვრება. ცხადია, გაკლებულია კარგად იყო შემონახული საეკლტო, საცხოვრებელი, საფორტიფიკაციო თუ სამეურნეო დანიშნულების სათავსებიც და, რაც მთავარია, მათი ფერწერული შემკულობა. ვფიქრობთ, ეს, უპირველეს ყვლისა, მონასტრის უმთავრეს იდურობამოწიციურ ცენტრზე, დიდ ხაერებულ ტაძარზე, მის ფრესკებზე თქმის (ხაგულისხმია, რომ ეკლესიის თაზშირის კანკელი ჭერ კიდევ XX საუკუნის ში-იან წლებში სრულიად დაუნანებელი იდგა); ამას გარდა, ნათლისმცემლის მონასტერში რამდენიმე წლის მანძილზე ჩატარებული ექსპედიციების განმავლობაში, მურავიოვისეულ აღწერაში დასახელებულ გამოსახულებათა შეჩერებამ ტაძრის ინტერიერში შემორჩენილი ისტორიული პორტრეტების ნაშთებთან ნათელი ვახდა სიმკვლეოთა მოუყარული მოგზაურის ცნობების საგულისხმოდ, სარწმუნოდ ხასიათი.

ნათლისმცემლის კლდეში ნაკეთი ეკლესიის მონახულებების ქვედა მონაკეთი XIX ს-ის მეორე ხევარში შეათვარეს. კორის თხელი ფენა ჭგუფური კტიტორული პორტრეტის ფიგურებს მკერდაძმე ზეარავს და იგი წემოდან ლურჯი შოლითა შემოსაღვრული. გვიანდელი საფარველის ქვეშედა გამოსახულებების მონახაზ და ცალკეული დეტალები ხაერდლივი დაკვირვებისას მეტწილად განიჩრევა, თუმც კორის ფენა მანც საგრძნობლად ართულებს მხეტელობას პორტრეტთა შესრულების წოვიერთი საკითხის (უფრო მეტად მათი შესამოსკლის) თაზობაზე.

1988 წლის აპრილში რესტავრატორ ამირან გოგლიძის ხელმძღვანელობით მისი ჭგუფის წევრმა სერგო სირბოლაძემ XIX ს-ის „შეკეთების“ ფენა რამდენიმე ადგილზე მოხსნა ფრესკებს. გახსნის შედეგად გამოვლინილი მასალა ფერწერული გამოსახულებების შესწავლისას დამოწმებულ დეტალებთან და თვინებურებებთან ერთად, ისტორიულ წყაროებთან მათი შეჩერებისას, ვფიქრობთ, ქართული მონუმენტური ფერწერისა და სასოგადოდ სახვითი ხელოვნების

ისტორიისთვის ერთობ საგულისხმოდ დასკვნების გაკეთების, ზოგ შემთხვევაში კი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა. წინამდებარე ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ ნათლისმცემლის ტაძრის ფრესკები, ეკრძად კტიტორული პორტრეტები ჭერ კიდევ ელის რესტავრატორის ხელს, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა — იგი გარკვის მრავალმობის ამ ერთობით უძველესი განსტოების საკრებულო ეკლესიაში შემონახულ ისტორიულ პირთა გამოსახულებების კვლევას ეძღვნება.

ისტორიულ პირთა ფერწერული პორტრეტები ნათლისმცემლის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია შესრულებული³. გამოსახულებები ძალზე დაზიანებულია და ზოგი მთავანისაგან ახლა მხოლოდ დეტალები თუ შემორჩა.

კტიტორული გამოსახულებები ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში ფერწერულ სამკილა თაღდშია მოქცეული (ასეთივე ფორმა აქვთ სცენათა მოჩარჩოების წედა ნაწილებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლის ფერწერული შექმელობის ფრაგმენტებზეც; ეს მოჩარჩოება მთლიანად კალიგრაფიულიად შესრულებული ვარდულოთა გაფორმებული). ფიგურები ცხიფერ ფონზე, საკურთხევლისაკენ სამი-მეოთხედით შებრუნებულნი და ვედრების ნიშნად მკერდს წინ ხელებდაპურობილი გამოუსახავთ. ტაძრის ამ მონაკეთეს სულ ოთხი ფიგურა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დასავლეთ კედლის სამხრეთ კუთხეში ისტორიულ პირთა პორტრეტების რიგს ემატება კიდევ სამი, ამჩერად ფრონტალური გამოსახულება — მათგან ორი ლორატულ სამეფო შესამოსვლში გამოწყობილი პირის ფიგურაა. მათ შორის მთავსებული კი ასევე შემოსილი მოზარდისა.

ჩრდილოეთ კედლის უკიდურეს აღმოსავლეთ, საკურთხეველთან მიმდებარე კუთხეში, ისტორიულ პირთა გამოსახულებების დანეწე მოჩანს ფიგურის ფრაგმენტო — ცხიფერი კვარისის ქვედა ნაწილი ოღართით (ამ უკანასკნელზე თხელი ყავისებრი ხაზებით რამებლი სახეებია შესრულებული, რომლებიც კუთხეშია დამატებითი მცირე შტრიხებით ფორმდება), აგრეთვე თუთრი ფერის მოსახსობის ნაწილები. უშაბლომ, რომ ამ ხსხულიარო შესამოსვლში გამოსახულები პირი იმოდ ხამოსახული. იგი დასავლეთისაკენ, ე. ი. კტიტორთა რეგისტრთა მიტრიალებული — ამაზე არა მხოლოდ მისი ქვედატანის დაუყენება მეტყველებს, არამედ ფიგურის მოსახსობით დაფარული მარცხენა მკლავის მოზარდობაც. გამოსახულების მარჯვენა შემორჩა სტილიზებული მცენეული მოტივი ხახის ფერწერული ბაზისი და სვეტის დეტალი; ისინი კტიტორთა რიგის მოჩარჩოებელი თაღდის ამვე ნაწილთა ანალოგიურია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ფიგურაც დეკორაციულ (ჩანს, ასევე სამკილა) თაღში იყო მოქცეული და ამ კომპოზიციური ხერხით ისტორიულ პირთა გამოსახულებების ჭგუფში გაერთიანებული.

ნათლისმცემლის ტაძრის ინტერიერში შესრულებული კტიტორული პორტრეტები შუა საუკუნეების

7. „საბჭოთა ხელოვნება“ № 11, 1983.



ქართულ ეკლესიის მხატვრობაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული კრძალიციისამებრ არის განთავსებული — მას საკულტო დანიშნულების სათავის ინტერიერის ყველაზე უკეთ აღსაქმელი ადგილი — ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი დაეთმო. ამასთან ერთად, აქ ერთი საგულისხმო კანონზომიერება შეინიშნება: გარეკის ფერწერული სკოლის X-XIII სს. ძეგლებს თუ გადაავადებთ თვალს, ვნახავთ, რომ ეკლესიის ფერწერულ შემკულობაში კტიტორის (ან ერთბაშად რამდენიმე მომგებლის) ფრესკები პორტრეტის არსებობის გარეგნულ ფერწერული მათ მონასტრის დამაარსებლის წინ, მისკენ მიმართულს გამოსახავენ; ამის საუკეთესო მაგალითს მრავალმთის სამხატვრო ცენტრის ორ მნიშვნელოვან ძეგლში ვხვდებით, კერძოდ — უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის (X ს-ის ბოლო) და ხარებისად სახელდებული ეკლესიის (1280-იანი წლები) მოხატულობებში. პირველ მრავალმთის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული პორტრების ერთი ნაწილი ვერტებების ნიშნად არის მიმართული დავით გარეჯელისადმი, „რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენილია, როგორც გარეკის მონასტრების დამაარსებელი“¹¹ (საგულისხმოა, რომ ისტორიულ პირთა სწორედ ამ ჭკუფშია გაერთიანებული მხატვრობის შემკვეთის ფიგურა ეკლესიის მოდელითურთ ხელში); დასახელებულთაგან მეორე ძეგლში კი ინტერიერის სამხრეთ კედელზე ნინოწმინდის ექსკოპოზი იოანე გამოსახული (ეკლესია მისი თარისობით იქნა ფერწერით შემკული) კვლავ მრავალმთის სამონასტრო ცხოვრების დამაშვიდებლების წინაშე¹².

აღნიშნულ საკითხს შემთხვევით არ შევხვით: ნათლისცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის ისტორიულ პირთა ფერწერულ გამოსახულებებს თუ გადავავლებთ თვალს, შევნიშნავთ, რომ აქაც ზემოთდასახელებულ კომპოზიციურ თავისებურებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, კტიტორები ჩვენს შემთხვევაში სასულიერო პირს წარუდგებიან, მისკენ არიან მიმართულნი. ბუნებრივია, შესაბამისად იხადება კითხვა, თუ ვინ უნდა გამოესახათ ნათლისცემლის ეკლესიაში მომუშავე ფერწერით ტაძრის ამ მონაკვეთზე, გადაკრიორამებს თქმა ამჟამად ძნელია, სავარაუდოდ კი, ვფიქრობთ, ორგანიზაციის მოსაზრება შეიძლება გამოითქვას:

ა) ა. სურავიციის ზემოთმხმობილ ცნობაში პირდაპირა მითითებული, რომ ტაძარში დავით გარეჯელის გამოსახულება იყო შესრულებული. ამდენად, აქ, პირველყოვლისა, სწორედ მისი გამოსახულება სავარაუდოდელი. მაგრამ ამასთან ერთად, ცნობაში ისიცაა ნათქვამი, რომ ქართული წმინდანი აღმოსავლეთის გამოჩენილ წმინდანთა (წმ. მამების) რიგში იყო წარმოდგენილი, აქ კი სასულიერო პირის ფიგურა, როგორც აღსანიშნავია, სრულიად განცალკევებულია ჩართული.

ბ) ნათლისცემლის მონასტრის დამაარსებლად დავით გარეჯელის მოწაფეს — ლუკიანეს მიიჩნევენ¹³, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოსაზრების დამადასტურებელია რამდენიმე არგუმენტი დასახელებული. მათ შორის, პირველყოვლისა, საგულისხმოა დავით გარეჯელის ცხოვრების მოკლე რედაქციის (X ს.) ცნობა: „სრბანებითავე მამისა დავითისითა აღუწმენა უდაბნო მრავალმთისა სახელისა ზედა წმიდისა იოანე ნათლისცემლისისა“¹⁴, ამ ცნობის მიხედვით მონასტერი დავითის დროსვე დაარსებული ჩანს, ამასთან

არა მის მიერ უშუალოდ, არამედ მისი „ბრძანებითავე“, ე. ი. უყოლდ მისი ერთ-ერთი მოწაფის მიერ. ასეთად კი, პირველყოვლისა, აქ დავითის უშუალო თანამდგომი და თანამოაზრე ლუკიანე უნდა ვიგულისხმოთ (გარეკის მონასტრითა დამაარსებლის მეორე მოწაფემ — დლომდ მისი ბრძანებითვე მეორე უდაბნო — დლომდ რა შეშენა). ნარბივულ წყაროებში დაცული ცნობის მიხედვით გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ა, მურავიციის მიერ ამ მონასტრშივე, წინამძღვრისაგან ჩაწერილი ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სწორედ ლუკიანე იყო იოანე წინამორბედისად სახელდებული უდაბნოს დამაარსებელი¹⁵.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ნათლისცემლის შობის ტაძრის მოხატულობის კტიტორულ რიგში ჩართული სასულიერო პირის გაიგივება ლუკიანესთან საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს — ამგვარი ვარაუდი, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულიად დასაშვებია და საბუნებისმ. დავით გარეჯელის ფერწერულ გამოსახულებას რაც შეეხება, იგი, ჩანს, ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში იყო შესრულებული, კერძოდ მის ქვედა რეგისტრში. საქმე ისაა, რომ ტაძრის ეს ნაწილი სხვათაშ შედარებით დიდიხებით სრულიად დაუნაწევრებელია და წმინდანთა ვერტკალურ ფიგურათა ჭკუფი, როგორც, ცნობის მიხედვით, შედიოდა დავითის გამოსახულებაში, მხოლოდ აქ თუ განთავსდებოდა (სამწუხაროდ, მოხატულობის თენა დასახელებულ მონაკვეთზე ფაქტურად მთლიანად არის ჩამოშლილი).

ჩრდილოეთ კედლის ცენტრალური ნაწილი ეკლესიაში ორი ფართო თაღოვანი დიდიხით — ჩრდილოეთ სათავსოში ვასახვლებულით არის დაწარმოებული (მარჯვენა მთავანი გვიანფეოდალურ ხანაში ნაწილობრივ ამოუშენებიათ); დიდიხებს შორის არსებული კედლის მონაკვეთი, კტიტორთა რიგის გამოსახულებების მსგავსად მოჩარბებაში მოქცეული, სამი მეოთხედით აღმოსავლეთით მიმართული ფიგურის დეტალები, კერძოდ, შესამოსულის ფრაგმენტები შემორჩა. ფრესკაზე გაიჩნევა კტიტორის მარცხენა მხარითან შეტრული ყავისფერი მოსახამის სხივებად გაყავალ ნაოქთა მკრთალი ნაშთები, ფიგურის შუაწელზე კი არის ფენის შემოკლების შედეგად კი გაიჩნევა — იგიც უვისსფეროა, ოღონდაც უფრო და, ამასთან ოქროსფერი ოქრის სარჩულითურთ. ევართსა და მოსახამს ფრესკაზე მწვანე ფერის ვერტკალური ზოლები გამოყოფს. შესაძლოა ეს ნაგუბის შიდაპირი კი იყოს. ფიგურის წინ, მარცხნივად მარჯვენა დიფაგონალურად ზეადმართული ინსიგნიის, როგორც ჩანს, კმპრ-მხის დაბოლოება, აგრეთვე ფერი, ამჟამად აღარ შემორჩა — მისი თეთრი ფერის აღნახვდი კვართის შედარებით მუქ ფონზე მკაფიოდ გამოიყოფა და იოლად შეინიშნება კიდევ.

ფიგურის სხეულის ზედა ნაწილი, კერძოდ, კისერი და თავი მთლიანად დაღუპულია ნაღებობის ჩამოშლის გამო. ამავე მიზეზით არ შემორჩა თანხლები განმარტებული წარწერა.

გამოსახულებასთან მოჩანს „მიწის“ მუქი მწვანე ფერის ზოლის ფრაგმენტებიც.

ამავე ეკლესიის დასავლეთ მონაკვეთზე ისტორიულ



ნახ. 1.

სსსრ კონსტრუქციული ენის ნიშნები

[...] პირველი მქმენებ/ველი ამის უღაბ/წროსაჲს

პირთა რიგში წარმოდგენილ გამოსახულებათაგან პირველი მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა, ფრესკაზე გამოსახულ კტიტორს მარცხენა ხელში გრაგნილისებრი ენქერი უჭირავს (ყურადღებას იქცევს მისი ხელის თხელი მტევანი, ნატიფი თითებიტურთ). იგი გულისპირა და სამკლავებგაფორმებული კაბით (რომელიც კისერთან მრგვალად არის ამოღებული), აგრეთვე მოციხფრო-ნაცრისფერი მოსასწამით — ქლამინდითაა შემოსილი. მისი კაბის ფერი ახლა მთლიანად დაკარგულია, ალუბლისფერ ბისონსა და ყოშებზე კი ქსოვილის სახეც კი გაირჩევა — ესაა შავი ფერის დიაგონალური, წვრილი ზაზუნისაგან შექმნილი რომბები, რომლებშიც შავითვე ოთხქიმიანი ვარსკლავებია ჩაწერილი. გულზე ირიბად (ოღენ მარცხნივ) შეკრული მისი მოსასწამიდან სხივებად გადის დრაპირების მოწითალო-ყავისფერი თხელი ზაზუნი.

კტიტორის შედარებით დაბალი, სამკუთხა თავიანი გვირგვინი მთლიანად ოქროთი ყოფილა დაფარული (ეს ფერი ახლა ალაგ-ალაგ თუ შემორჩა, ძირითადად კი აცვენილია და მხოლოდ მისი იისფერი სარჩული მოჩანს^[4]); იგი ოთხკუთხა ფორმის თეთრი და ლაქ-ვარდისფერი პატიოსანი თვლებს ორი რიგით არის შემკული. გვირგვინის ეს ტიპი კარგადაა ცნობილი შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებში და იგი სამეფო თავსაბურავის სხვა ტიპებთან ერთად ფართოდ მიღებული ჩანს (შდრ. გარეჯის მრავალმთის უღაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის კტიტორული პორტრეტები — X ს-ის მიწურული^[5], ბაგრატ IV-ის ფრესკა ატენის სიონში — XI ს-ის ბოლო^[6]).

ამ გამოსახულებაში საგანგებო ყურადღებას ისტორიული პირის შარავანი იქცევს. საქმე ისაა, რომ იგი სხვადასხვა ზომის სამი კონსტრუქციული წრისაგან შედგება, რომელნიც ოპროტი დაუშვარავს ოსტატს (ოქრო აქაც მც-რე ნაშთების სახითაა შემორჩა; ფრაგმენტებზე ჩანს, რომ იგი რომბული სა-

ხეებით იყო შედგენილი). შარავანის ფონი ამჟამად აღარ განირჩევა. მის გარე კონტურს ამ გამოსახულებაზე მარგალიტების წყება შემოუყვება (ტყვიის თეთრათი შესრულებული, ახლა ისინი გამუქებულია, გაშავებული), მარგალიტებით ნიშის გაფორმების ხერხი აქ ახვეე უჩვეულოა — თეთრი ფერის წერტილები შარავანის შემოყოლებით ორ რიგადაა დატანილი, ამასთან თუკი პირველ წყებაში მარგალიტები მიჯრითაა მიწყობილი, ზედა რიგში ისინი სამ წერტილგამოშვებითაა დასმული. ამგვარი გაფორმება ერთგვარდ ნიშის გარწმუნო მცირე ზომის სხივების შთაბეჭდილებას ქმნის.^[7]

ფრესკაზე წარმოდგენილ პირს სახე განზრახ აქვს დაზიანებული — ზეთისხილისფერ ფონზე გაირჩევა მხოლოდ ნაკეთების რადენიმე ფრაგმენტი. კტიტორული მოწითალო-ყავისფერი საღებავით მონიშნული წარბების დტალები, სახის ოვალის მარცხენა ნაწილი, მოკლე წვერის მცირე ნაშთები.

კტიტორის ფიგურის მარჯვნივ შემორჩა თეთრი ფერით ნაწერი სამსტრიქონიანი ასომთავრული ტექსტი (ნახ. I; საღებავი ახლა გაშავებულია).

სამწუხაროდ, წარწერის ტექსტი გამოსახულების მარცხენა მხარეს განზრახ არის გადაფხეკილი და აქ გამოსახული პირის სახელი და ტიტული მთლიანად დაღუპულია.

პირველი ფიგურის შემდეგ წარმოდგენილი ორი გამოსახულება ახლა ძალზე დაზიანებულია. ეს განსაკუთრებით მეორე ფიგურის შესახებ ითქმის — მისგან მხოლოდ მკვეთრი წითელი, ბროწეულის ყვავილისფერი, წელში გამოყვანილი და ოქროს ვიწრო სარტყლით შემკული კაბით მოსილი სხეულის ფრაგმენტები შემორჩა. ფიგურის შუაწელზე კირის ფენის მოხსნასა გამოვლინდა კტიტორის ინსიგნიათა ნაწილებიც, ისინი გამოსახულების მომარჩობებელ



ნახ. 2.

საქართველო... მეფეთაშეფე [...]

ვეტიკალურ ზოლსა და ფრესკაზე გამოსახული პირის ქვედატანს შორის გამოუსახავთ. მათგან ერთს ზედა ნაწილში ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს (ქვედა ნახევარი ჭერ კიდევ კარის ფენითა დაფარული). იგი ცისფერია და წვრილი შავი წერტილებით დაფარული. მისი არც თუ ძალზე ფართო მოჩარჩოების ფერი აშუამად დაკარგულია, შემორჩა მხოლოდ კონტურის მომინშნავი, ძალზე წვრილი, მოწითაღ-ყავისფერი ხაზები. ინსიგნიის მოხაზულობა, აგრეთვე მისი დეტალები გვაფიქრებინებს, რომ აქ ოსტატს შუბრი უნდა გამოესახა. მეორე ინსიგნია მახვილი უნდა იყოს. მისი ფართო, შავი ფერის ვადა ფარის ფონზეა გამოსახული; დაბლა დაშვებული მახვილი აქ დიაგონალურად არის მიმართული მარცხნიდან მარჯვნივ. მისი ვადის ზედა ნაწილში ოქროს რამდენიმე მცირე ლაქა შემორჩა.

ცისფერი კვართი და შავი ჩოხა მოხავეს. კვართზე დაფენილი ოლარის ფერი აშუამად თითქმის მთლენად წარხოცილია, თუმც შემორჩენილი ნაშთებდენი მონახსნარო იგი შავი ფერისა უფილა. საბერო შესამოსელის ეს ტიპი კარგადაა ცნობილი კედლის მხატვრობის ძეგლებში და სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მრავალჭერ უფილა დამოწმებული. მათ შორის ნათლისმცემლის ტაძრის მოხატულობაში შესრულებული პორტრეტისათვის განსაკუთრებით საგულისხმო მაგალითის გარეგნის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის¹⁹, ატენის სიონის („ქე დიდისა“, ბოლო ხანებში გიორგი ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესთან გაიგვებული)²⁰, გელათის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდრის (დავით ნარინი)²¹, საფარისა²² და ჭულეს (სარგის ათაბაგი)²³ მოხატულობათა გამოსახულებები გვაძლევს.

ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილ ისტორიულ პირთა რიგის ბოლოს, უკიდურეს დასავლეთ კუთხეში გამოსახულია შუახნის წვეროსანი მამაკაცი. მისი შარავანი პირველი კტიტორის გამოსახულებიდან განსხვავებით ბმ ორი ომბროს რაბაღითა შემკული; (შიდა რკალი შედარებით ფართოა გარეთაზე). შარავანის ფონი ფიქრუხისფერია, რომელზეც ასევე ოქროთი რომების ხადა შექმნილი, გამოსახულებად აღზღადან დაკვირვებისას ჩანს, რომ რკარკ თადა შარავანის კონტური, ისე მის ფონზე დატანილი საზე, აგრეთვე გვირგვინი, წინაწარ არის გარეგნული — ნაღესობაში ბასრი იარაღთ მოხაზული, კტიტორის ნიშმი მარგალიტების ორმაგი რი-



ნახ. 3.

საქართველო || სქ კი ზღეს

მეფეთაშეფე გიორგი ქე
დემეტრესი²⁴

მცირე ფრაგმენტები შემორჩა კტიტორთა რიგის მომდევნო, მესამე გამოსახულებისაგანაც. ამ ფიგურის თანხლები, ჩანს, შარავანის ორივე მხარეს განაწილებული ასომთავრული წარწერიდან მხოლოდ ერთადერთი სიტყვა, კერძოდ, ტექსტის დასაწყისი იკითხება, რომელიც მოჩარჩოებით შემოსაზღვრული არეს მარცხენა ნაწილში, ე. ი. ახლა წარხოცილი ფიგურის მარცხნივ არის დატანილი (ნახ. 2).

ფიგურის ზედა ნაწილი ფაქტიურად მთლიანად დაღუპულია — შემორჩა მხოლოდ შარავანის ოქროს მოჩარჩოების მცირე დეტალი გამოსახულების მარცხენა ზედა კიდესთან.

გამოსახულების ნაწილზე კარის შეთვრების მოხსნის შედეგად გაიკვია, რომ ფრესკაზე წარმოდგენილი კტიტორი შემოსაზღვრული, ბერის სამოსელში გამოსაზღვრილი გამოსახულებით; მას

გით პირველი გამოსახულების მსგავსად გაუფორმებიათ. ფრესკაზე გამოსახულ პირს ამავე რიგის ზემოთ აღწერილი ფიგურის მსგავსად ღია წითელი, ბროწეული სევაილისფერი წელში გამოყვანილი ნინია კახა მოხავეს, რომლის მომრგვალებული ფორმის საყელო (მისი ფრაგმენტი მარჯვენა მხართან მონახსნარ) ფართო (12 სმ. სიგანის) ენა, ქობა და წვრილი სარტყელი ოქროქოვილისაა. მისი საზე განზრახ დაუზანებიათ, თუმც ფრესკაზე გაიჩვენა წარბებისა და თვლების მოხაზულობის ფრაგმენტები, რომელიც მოყავისფრო ხადავით უფილა შესრულებული. შუახნის მამაკაცის ისტორიულ პირთა რიგის პირველი ფიგურის მსგავსი ფორმისა და ანალოგიურად გაფორმებული გვირგვინი მხურავს, ექვს კი ზეული, მოკლე თმა უფარავს (კულულები წვრილი, თანაბარი სისქის კალიგრაფიული, პარალელური კლაკნილი მონახმებით მოუნშნავს



ოსტატს; ახლა ეს ფერი ერთიანად არის აცვენელი და მისგან თეთრი ფერის აღნაბეჭდებილა დარჩენილი). სახის მარჯვენა ნახევარზე მოჩანს მოკლე წვერის ანალოგურად დამუშავებული ფრაგმენტები.

ტიტორის ხელში სამეფო ინსიგნია — ვერტიკალურად აღმართული გრძელკარბანი სკიპტრა უჭირავს. სკიპტრის ბუწის ფერი ახლა მთლიანად დაკარგულია (ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თეთრი აღნაბეჭდი — ნაღლისობის საღებავით დაუფრავის ვიწრო ზოლი მოჩანს), მისი დაბოლოება კი მოკრავილია და ოქროსავე მცირე ზომის ქვით უოფილა შემკულია. ქვარს გარშემო ასევე ოქროს მცირე შარავანი ევლება. ეს ინსიგნია დიდი სიგრძის გამო სცილება გამოსახულების მომწარჩობებელი თაღის ზედა ზღვარს. ჩარჩოს მარჯვენა ზედა კუთხესთან არსებულ არეში, სკიპტრის ქვრიანი ბუწის პირისპირ, წრიულ მედალიონში მოქცეული ანგელოზის ნახევარფიგურაა შესრულებული. იგი გვირგვინისანის სკიპტრას აკურთხებს.

ტიტორის შარავანდის აქეთ-იქით დატანილი წარწერის მარცხენა ნახევარი — თავად აქ გამოსახული მამაკაცის ტიტული — განზრახ არის დაზიანებული და ამდენად თითქმის მთლიანად წარბოცილია, თუმც მისი აღდგენა ფრაგმენტთა მიხედვით სიმძვინვარე წარმოადგენს. ტექსტის მარჯვენა ნაწილი კი სრული სახით შემორჩა; ქვრიანი სკიპტრის ტარი მას ორად მუფს (ნახ. 3).



წარწერის მარჯვენა ნახევარზე ჩვენს მიერ ფრაგმენტების მიხედვით აღდგენილ ტექსტს სავსებით შეესაბამება ტიტორის შესამოსელიცა და ინსიგნიაც, რომელთა მიხედვითაც იმნი უღაპროდ მმშეა ბნ უშ-ლიწწალო.

გამოსახულების ქვედა ნაწილს აშკარად კირის ფენა ერთიანად მფარავს და ამის გამო ფრესკაზე გამოსახული გვირგვინოსნის ფესვამდის ტიპის თაბაზე რაიმეს თქმა ძნელდება. საფიქრებელია, რომ X-XIV სს. ქართულ ეკლესიის მხატვრობაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ²⁵, ისინი ე. წ. მოგვები უნდა იყოს.

გიორგი დემეტრეს ძის ინსიგნია — სკიპტრა ოქროს შარავანდში მოქცეული ქვრივით სავანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ქრისტიანობის ადრეული საუკუნეებიდან მოკიდებული, ქვრის გამოსახულებით დაგვირგვინებული ეკერ-თხი სხვა რეალებთან ერთად სამეფო ძალსაუფ.

ლუბის ნიშნად იხმარება როგორც თავად შიშანტი²⁶, ისე ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონებში (ტრაპიზონის იმპერიაში, ბულგარეთში²⁷, სერბიაში)²⁷. სამეფო სკიპტრის ვერტიკალური ტრადიცია, მკვლევართა მიხედვით, V საუკუნიდან იკიდებს ფეხს²⁸. ქვარი — „მცველი და მფარველი მეფე“ სკიპტრისა²⁹, სიმბოლოა იმპერატორისა თუ მეფის მიერ უფლის რწმენისა და ერთგულებისა. ამავე დროს, ქვარისებრი სკიპტრა ქვეყნის მმართველის ხელში გამარჯვების, საზოგადოდ — ქრისტიანობის ტრიუმფის ნიშნად გვევლინება, მგულისხმობს რა მის ბატონობას მთელს მსოფლიოში³⁰.

უდავოა, ანალოგიური დანიშნულება და მნიშვნელობა ჰქონდა „ოქროითი განშუენებული“ ქვრით დაგვირგვინებულ სკიპტრას შუა საუკუნეების საქართველოშიც; ამავე პირველყოფისა ისტორიულ წყაროთა ცნობები მეტყველებს, მათთან ერთად კი სახვითი ხელოვნებისა და ნუმისმატიკის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები. ქართული მასალიდან ამ მხრივ უწინარეს უნდა დავასახელო ოქვის ტაძრის ამ რამდენიმე ხნის წინ გამოვლენილი რელიეფები დავით მაგისტროსისა და ბაგრატ ერისთავთერისთავის გამოსახულებებით (X ს-ის მესამე მეოთხედი)³²; საქართველოს სამეფო ხელისუფალთა ქვრიანი სკიპტრითურთ წარმოდგენის გაგულისხმობა მაგალითის ვხვდებით დავით აღმაშენებლის სიღლიძის ფულზე³³, აგრეთვე მონეტაზე დავით უფლსა და დავით ნარინის გამოსახულებებითურთ (მეფეებს აქ მათ შორის გამოსახულ ქვრისებრ სკიპტრაზე უკიდიათ ხელი)³⁴. ქვრისებრი სკიპტრითა წარმოდგენილი გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ფრესკაზე იმერეთის მეფე ბაგრატ III და ვაი მისი გიორგი II (XVI ს.)³⁵.

ადვილი შესაჩნევია, რომ ინსიგნიასთან ერთად ეს გამოსახულება სხვაგვარადც არის გამოყოფილი კტორთა რიგისაგან; მხედველობაში მოქვს მისკენ კურთხევის ნიშნად მიმართული ანგელოზის მცირე ზომის მედალიონში ჩასული ნახევარფიგურა, რომელიც, როგორც აღინიშნა, სამებლია მოჩარჩობის ზედა, აღმოსავლეთ კუთხესთანაა შესრულებული. შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის მხატვრობის ძველებში ამგვარი მოვლენა — ანგელოზის მიერ ისტორიული პირის კურთხევის გამოსახვის ფაქტი საკმაოდ ზშირია. ასეა ზემო კიბისი (XI ს-ის მეორე მეოთხედი, რაპის ერისთავები)³⁶, ბოკორმის (XI-XII სს. მიქნა)³⁷, მაცხვარიშის (1140 წ., დემეტრე I)³⁸, ვარძის (1184—1185 წწ., გიორგი III)³⁹, კობაჩის (XIII ს-ის მესამე მეოთხედი, ფეოდალის გამოსახულება ოჯახითურთ დასავლეთ ეკლესიის მეორე რეგისტრში)⁴⁰, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის (1280-იანი წლები, დემეტრე II)⁴¹, სორის (XIV ს., ადგილობრივი ფეოდალები)⁴² მოხატულობათა კიტრულ მორტრეტებში და ყოველთვის მსგავსი კომპოზიციური ხერხით დასახელებული რიგიდან ჩვეულებრივ უმთავრესი ფიგურა არის სავანგებოდ გამორჩეული.

ახეა ნათლისმცემლის ტაძრის მოხატულობაშიც. ამასთან ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოსახულებათა რიგში აქ პირველი ფიგურა ფაქტურად ამგვარი აქცენტირების გარეშეა დატოვებული — მისი ღირსება მხოლოდ გრადიენტისგან ენქერით — მეფის დეოთაბერის უფლებებისა და ძალაუფლების



არამუდმივობის აღმნიშვნელი ინსიგნიითაა⁴⁷ ხაზგასმული, მაშინ, როდესაც კედლის დასავლეთ კუთხეში რიგით მეოთხედ პირს ოსტატი დანარჩენთაგან მკვეთრად გამოირჩეულად წარმოადგენს. მს. ცხადში, თაძინისთავაზე მიუთითებს იმ ბარამომავალზე, რომ პორტრეტების შესრულების პერიოდისათვის (ან მის ახლო ხანაში) ფრანსუაზ წარმოადგენილი პირი — შუახანის ჰპირაჰინისანი გამაჰანი, მამუთანძვე გიორგი, ძე აღმებრძენი, სპარსთველს სხემვო კარზე სრულიად ზნასპაურებაული უშლავაგობით იყო მოხილი.

უნდა შევჩერდეთ დემეტრეს ძის შესამოსელზეც, რადგან იგი, როგორც აღინიშნა, პაპაშვილს გამოეყოფილი. სამოსის ეს ტიპი მრავალგზისა დამოწმებული ისტორიულ პირთა პორტრეტებზე შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში, ამასთან, იგი ტრადიციული როგორც მამუთან (დავით აღმაშენებელი ატენის სიონში⁴⁸, დემეტრე I მაცხვარიში⁴⁹), ისე მამუთანულს (ლამა-გიორგი უნიციისში, ბეთანიაში, ბერთუბანში — ყველა XIII ს-ის დასაწყისში⁴⁹) და აღმებრძულს (კახელა ფეოდალები გარეჯის უღაბნოს მონასტრის მთავარ ტაძარში⁴⁷, რაქის ერისთავები ზემო კრიხში⁴⁸, კტიტორი ბოქროშაში⁴⁹, რატი სურამელი ვაჩიშაში⁵⁰, მხარგრძელები ქობაძის მთავარი ტაძრის ეკლესიაში⁵¹, ხუტლუ ბუღა ჰალბატი — XIII ს-ის მიწურულში⁵², რაქის ერისთავები სორში⁵³, სახცის თაბაგები საფარის, აგრეთვე ზარზის XIII ს-ის მიწურულისა და XIV ს-ის პირველ ნახევრის მონათლუბებში⁵⁴, და მრავალი სხვა) გამოსახულებებისათვის. კახა ყველა შემოთხამოთვილი შემთხვევაში საზოგადოდ ერთი ტიპისა და ისინი მხოლოდ ცალკეულ დეტალებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამცხენიორ ლიტერატურაში საგანგებოადა აღინიშნული ამ კაბის სახეიშო სახითი, თუმც, ამავე დროს, მას სამხედრო შესამოსელის დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა⁵⁵.

დემეტრეს ძის კაბაში გამოსახვის მიზეზის თაბაზე მსჭვალისხის, ვფიქრობთ, განსაკუთრებით საგულისხმია თ. ვირსალაძის დაკვირება, რომელიც მაცხვარიშის მონათლუბაში დემეტრე I-ის გამოსახულებას უყავსმრდებ. მკლევარის მითითებით, მხატვარმა დემეტრე მეფე გამოსახა არა დადიციულ, ბიზანტიური ტიპის სამეფო შესამოსელში, არამედ სწორედ კაბაში, რთაც ეს ფაგურა უნიციისის, ბეთანიისა და ბერთუბნის ფერწერულ შემკულაბაში წარმოდგენილ ლამა-გიორგის — იმ დროისათვის ასევე უკვე მეფის — გამოსახულებებთან ჰპოლობს ანალოგიას; ამასთანავე, მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ როგორც დემეტრე, ისე ლამა-გიორგი დამოუკიდებლად არ ასულდა ტახტზე — იოსებ თანამოსალბრემ იმნან — ცხაბულნი მშობლების მერამ⁵⁶. ნათლისმცემლის ტაძრის ფრესკაზე დემეტრე I-ისა და ლამა-გიორგის მსგავსად გამოყოფილი გიორგი დემეტრეს ძის გამოსახულების იდენტოფიციისას, ცხადია, აღინიშნულ დეტალს გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ კუთხეში გამოსახულ პირთაგან პირველი ქალის ფაგურაა. იგი სამეფო შესამოსელშია გამოწყობილი — ესაა გრძელი,

ვიწრომკლავებიანი სადა ბისონი, რომელიც კიტიტორთან მრგვალად ამოკრლი გულისხმობია (ეგვიპტურ ქსოვილი, დიდი ზომის პათიოსანი თველქმული მშენებელი დაიღმით, ანუ ღორიშით არის შემკული. კტიტორის მაღალი, ღვირვასი თველბით შემკული ოქროს გვირგვინი ჰხურავს (ოქრო აქაც ალაგ-ალაგ ჩანს), რომელიც ზემოდან სამი მსხვილი კბილით არის გავსომებული (ახეთვე ფორმის გვირგვინი აქვს ზე, ეკატრინეს ზემო კრიხის ეკლესიის ფრესკაზე)⁵⁷. მისი შარავანდის ფონი — შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით წინა გამოსახულების ნიშნის მსგავსად ისიც ფიქროვსფერი — ახევე სახიანია. ეს სახე წინა გამოსახულების დარად ოქროთი უნდა ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ ფერადოვანი ფენა ახლა მთლიანად გაქარალია და შარავანდის საოღველად გამოყენებული სახე მართლად აღნაბეჭდებისა და გრაფიკული საზღვის საშუალებითაა განარჩევა. ესაა დიაგონალურად განლაგებული რომბების მწკრივებისაგან შედგენილი წვრილი მადე, რომელზეც რომბთაორისი ნარები თითო მინიატურული კადრებით ფორმდება. ნიშბი აქაც, წინა ფაგურის მსგავსად, ორმაგი ოქროს რკალისაგან შედგება. გარეთა რკალს მარგალიტების ერთი წყება შემოსდევს.

კტიტორი ქალის სახე მთლიანად არის გადაფხეკილი და სახის ნაკვეთი ფაქტურად აღარ განარჩევა. გვირგვინის ქვემოდას სახის ოვალის აქეთ-იქით ჩამოყრლი მოკლე კულულები — კავები მონათლო ყვანსფერილ სრულდება. სახის ქვედა ნაწილზე შემორჩენილ ფერწერულ ფენაზე ნიკას ქვემოთ ამემად განაცრისფერებული ვიწრო ზოლი ქალთა თავსაბურავის — ლენაქის ანუ კუბასტის ფრაგმენტი უნდა იყოს. თმის დაყენებისა და თავსაბურავის ეს ფრაგმენტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ გათხოვილი ქალია გამოსახული⁵⁸. ფრესკაზე წარმოდგენილ მანდილოსანს სხეულის წინ მარჯნიდან მარცხნივ დიაგონალურად შემართული მუქი შვინდისფერტარინი კვერთხი უჭირავს. ამ უკანასკნელის ზედა დაბოლოება ახლად აღსულია. წარმოკლია ფიგურის თანხმლები განმარტებითი წარწერაც.

კტიტორი ქალის გამოსახულების მარცხნივ ბავშვის ფაგურაა შესრულებული. იგი საერო პირთა დანარჩენ ფაგურებთან შედარებით მცირე ზომისაა. ისიც ბიზანტიულ იმპერატორთა და ქართველ მეფეთა ტრადიციულ შესამოსელშია გამოყოფილი (ესაა ბისონი და ოქროქსოვილი დაიდმა). მარცხენა ხელი მას მკერდს წინ აქვს აღმართული, ნებთ წინ. ხელის არაჩვეულებრივი ნატოფი, გრძელითოფება მტევანი აქ ერთიანად ოქროთი ყოფილა დაფარული(1).

კტიტორთა რიგში წარმოდგენილი ბავშვის სახისაგან, ნაღოსობის ჩამოსხვის გამო, დღეისთვის უნიშვნელი ნაშთი — მარცხენა დიოსის ქვედა ნაწილია შემორჩა (თანხმლები წარწერა აქაც აღარ ასხეობს); ამავე მონაკვეთზე გაირჩევა მცირეწლოვანი კტიტორის თმის შედარებით მოკლე კულულების რამდენიმე დეტალიც. ისინი წინა გამოსახულების ანალოგიურად მონათლო-ყვანსფერთაა ნაწერი და იმგვარადვე დამუშავებული. იქვე შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ მასაც ორმაგი ოქროს სალტებით შემკული შარავანდი ედგა.

ბავშვის გამოსახულების მარცხნივ მდგომი, წინა

ორი ფიგურის მსგავს საიმპერატორო შესამოსლემი გამოწყობის ფიგურებიდან ნაღესობის ჩამოშლის გამო დღეისთვის მხოლოდ სხეული შემორჩა. ფრესკაზე გამოსახულ პირს დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ კუთხეში წარმოდგენილი ქალის ფიგურის დაბრუნება უჭირავს, რომელიც ამ უკანასკნელის ინსიგნიის სიმეტრიულად. ბავშვისაქენ, ე. ი. მარჯვნივა დაავა-ნალურად მიმართული.

აღწერილი გამოსახულების ფერწერული მოჩარჩო-ვების შემდეგ ტარის დასავლეთ კედელზე რაიმე ფი-გურის კვლი არ ჩანს — აქ ნაღესობა მხოლოდ ნა-წილობრივ შემორჩა, კედლის სახბეთ კუთხეში კი წმ. შიომართა გამოსახულებების ფრესკებები განი-რჩევა. ბათქმისა და ფერწერული ფენის ძლიერი და-წიანების გამო აქამად შეთქმობელია მსჯელობა იმის თაობაზე, ისტორიულ პირთა რაგი ექვსეხიის ამ მოწვევით გრძელდებოდა კიდევ თუ არა⁵⁹.

ნათესმცემლის ტაძარში შესრულებულმა პორტრე-ტებმა ჩვენამდე ფრესკებზელი სახით მოაღწია. მი-უხედავად ამისა, ფრესკაზე წარმოდგენილ პირთა შე-სამოსელი, ინსიგნიები, ეპიგრაფიული მასალაში და-მომწვევლი ტიტულატურა ცხადყოფს, რომ ბმ სპა-ტრიმპლუს სამეფო პარის წარმომადგენელთა მითლი ბაღრბამ შემსრულებანიტ. კიტორუ-ლი რაგის ზოგიერთი ფიგურის, აქ შემორჩენილი წარწერებისა და ძველ ქართულ ნარატულ წყაროებ-ში დაყოლი ცნობების შეჭერება ამჟამად შესაძლოს ხდის ტარის ფერწერული შემკულობაში წარმოდგე-ნილი ქვეფურის ისტორიული პორტრეტის იდენტიფი-კაციას და ამის თაობაზე დაბეჭითებით, ზოგ შემთხ-ვევაში — ვარაუდის სახით, მსჯელობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საკულისხმო მასალას ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კუთხეში წარმოდგენილი სკიპ-ტროსანი მამაკაცის გამოსახულება გვაძლევს.

თანხლებ ფრესკულ წარწერაში ანგელოზის მიერ კურთხეული მს მამაკაცი — როგორც აღინიშნა, თა-ვისი დროისათვის უდავოდ საქართველოს სამეფოს უმაღლესი ხელისუფალი, მეფეთამეფე — გიორგი II-მ-მტრის ძმად იწოდება. თუკი გაითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დემეტრეს ძის შემდგომ ქალისა და ბავშვის — უთუოდ მისი ოჯახის წევრთა — გამოსა-ხულებებია შესრულებული, მის წინ წარმოდგენილი მამაკაცი, წარწერის მიხედვით დამუშავებული მემუ⁶⁰, ექვს გარეშე, მისი უშუალო წინაპარია, ის პირი, ვისგან-აც ფრესკაზე გამოსახულ სკიპტროსანს ქვეყნის მარ-თვა-გამგებობა ერგო წილად; ასეთად კი უწინარეს ყოვლისა, ცხადია მისი მამა, თავბად დემეტრე უნდა ვიგულისხმობთ.

საქართველოს ისტორიაში დემეტრეს სახელით ორი მეფეა ცნობილი. მათგან პირველს, დავით აღმაშენებ-ლის ძეს, XII ს-ის შუახანებში ეკავა სამეფო ტახტი (1125—1156 წწ.), მეორეს კი, დავით ულუს ძეს, თავ-დადებულად წოდებულს — XIII ს-ის მიწურულს (1271—1289 წწ.).

დასახელებულთაგან პირველის — დავით აღმაშე-ნებლის ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მა-ტარებებში მწირი ცნობებია დატული⁶¹. „ქრისტის მო-ყურად და მოწამეთ მოყურად“ მეფის რთულ შინაპო-ლიტიკურ ვითარებაში მოხუდა ქვეყნის მართვა, გან-საკუთრებით ბევრი უსამართლეობა დემეტრეს, როგორც

ცნობილია, მისმა უფროსმა ძემ — დავითმა მოაყენა დემეტრე უპირატესობას ვაჟთა შორის უმცროსს — გიორგის (შემდგომ გიორგი III-ს) ანიჭებდა. უფრეს ტახტის მამიებელმა უფროსმა ძემ — დავითმა (და-ვით V) მის გარეშე შემოკრებულ დიდებულთა დაჭე-ფების მხარდაჭერით 1155 წელს სძლია მამამისს⁶², ვაჟის მიერ ტახტმშობელად დემეტრე „შეიმოსა ჩოკა და სქემა“⁶³ და ბაბარჯის უღაბნოში აღნიკვეძი ბრძალ(!) დანიელს⁶⁴ ან დამიანს⁶⁵ სახელით.

შინაპოლიტიკური ვითარების სწრაფმა ცვლილებამ (დავით V-ის სიკვდილია, შესაძლოა მკვლელობამაც) მის⁶⁶ კვლავ, ამასთან სულ რაღაც ექვსი თვის მერმე დაუბრუნა სამეფო ტახტს ძველი მეფე, რომელ-მაც იმავე ხანებში თანამოსაუდრედ გაიხადა უმცროსი ვაჟი — გიორგი, „ქე ტკილი, შემგებარე მამისა“⁶⁷, ყოველივე ეს 1152—1156 წლებში მოხდა. დემეტრე მეფეს ამის შემდეგ დიხანს არ უყოცხლია — იგი მალევე გარდაიცვალა და სამეფოს სათავეში გიორგი III ჩაუდგა.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული ძრონოლოგიური მონაკვეთი ბარაჯის მრავალ-მითის საფონდებო კონკლექსს უკავშირდება, მეტიც — იგი ბმ ბარაღ იყო შემდგომი, ჩვენს ფრესკაზე კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დემეტრეს ძის წინ გამოსახული პირი სწორედ ბარის სამოს-შია ბამეფოში⁶⁸. ამ ფაქტის გათვალისწინებით დასასაღებელი ბამოსახულების განიკვივება დე-მეტრე I-თან სრულიად უამჟველი ჩანს და ს. ბანგაგო უპრადღებავსაც იმსახურებას.

მეფე დემეტრეს გამოსახულების იდენტიფიკაციი-სათვის არანალებს საკულისხმოა ლიტერატურულ პირველწყაროებს დაყოლი ცნობაც, კერძოდ, — ანტონ ბრძელის „წყობლისცევაობაში“ შემონახული მი-თითება გარეგის მრავალმითის ერთ-ერთი გამოქვეპუ-ლი მონასტრის ტაძარში მეფე დემეტრეს ფერწერული გამოსახულების არსებობის თაობაზე:

„თუკ მამისს დემეტრე 4. მემუ-ყოფილისს მონოწონისს, დავითიან ბარაბატოზანისს“⁶⁸

ესე გვხვია⁶⁹, დახატულ მონოწონისს, ბარაბატოზანისს, მონასტარ უღაბნოთს, გამოქმეულ-იყო, სტიხთა მალა-შაირთა, რომელი დღესცა მსჩანან აღწერილად სტიხნი, კაცო ბრძენ ხალმითო, რტორი პიტიკოსნი“⁶⁹.

ანტონის თხზულებიდან ამორიდებულ ამ ნაწვეტში (ხაჯანსა ჩვენია — ზ. ს.) როგორც ვხედავთ, კონკრე-ტულად მითითებულ არ არის, თუ გარეგის მრავალ-მითის რომელი მონასტრის ეკლესიაში იყო გამოსახუ-ლი შემონახუნებული დემეტრე I. პლატონ იოსელიანი დემეტრესადმი მიძღვნილი სტროფების შენიშვნაში მი-უთითებს: „ისე მისი დღესცა ჰევის კედელზედ და-ხატულად მონაშამთისს მონასტრისს ეკლესია ში-ნა“⁷⁰, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დემეტრეთა გამო-მოსახულებების აღრევა აქვს ადგილი — მონაშამთის სნუ უღაბნო მონასტარში, კერძოდ XIX საუკუ-ნის „ხარებისად“ სახელდებული მცირე ექვსეხის მოხატულობაში (1280-იანი წლები) მართლაც არის

დემეტრე მეფის ფრესკული პორტრეტი, ოღონდაც არა დემეტრე პირველისა, არამედ მეორესი, თავდადებულად წოდებულისა⁷¹.

ანტონ კათალიკოსის ცნობა გარეშე დემეტრე პირველის ფრესკის არსებობის შესახებ სრულიად სანდო ჩანს, ამის მტკიცების საფუძველს პირველყოველისა ის გარემოება გვაძლევს, რომ თავად ანტონის ცხოვრება და მოღვაწეობა მქედროდ იყო დაკავშირებული გარეგნის მრავალშობის სამონასტრო კომპლექსთან. ანტონ პირველის აღმზრდელი, მისი ნათელია, დავით გარეჯის წინამძღვარი სპირიდონი ყოფილა⁷². 1738 წელს, ნადირშაჰის შემოსევისას იგი შეიხვეწა კიდეც მრავალშობის უდაბნოს⁷³. რამდენიმე წლით გვიან, რუსებისა და დასავლეთ საქართველოში ყოფნის შემდგომ, ანტონი კვლავ უბრუნდებოდა გარეჯს — კათალიკოსის ბიოგრაფის, ა. ხანაშვილის მიხედვით, 1743 წელს იმერეთში მოყოლია ანტონმა (იგი ამ დროს გელათში წინამძღვარი იყო) დასტოვა ქუთაისი და ღამიშვილად ნათლისმცემლის ლაპარაში უბრალოდ ბერად⁷⁴.

დემეტრეს გამოსახულების შესახებ მოხმობილი ცნობის სისწორეზე მსჯელობისას უდავოდ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ანტონის თხზულებათა მკვლევარების მიხედვით, იგი არაწორ და შეუთოწმებელ ცნობებს არსად არ იძლევა⁷⁵.

დასასრულ — ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ნათლისმცემლის ტაძრის სამხრეთ ეკლესია წმ. დემეტრეს (resp. დემეტრე სოლუნელის) სახელობისაა⁷⁶.

ამრიგად, ჩვენი მსჯელობის ლოგიკური შედეგი ნათელია — ნათლისმცემლის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კუთხეში ბაზილიკის მშენებლობისას გამოყენებული მასალისა და დემეტრე I-ის, ამ დავით ალმამუნდლისა, მის უპაწევი ბიოგრაფი III, დემეტრე I-ის ტახტის მემკვიდრე ბაზილიკისა.

კტიტორთა რიგში დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის წინ გამოსახული ორი პირის გაიგივების თაობაზე ამჟამად ძირითადად ვარაუდით გვიხდება მოსაზრობა.

მათგან პირველი, როგორც აღინიშნა, შემორჩენილ ფრესკულ წარწერაში „ამის უდაბნოსა პირველ მამუნდელად“ იწოდება. პატროსანი თხზულებით მოკვიცილი მისი ოქროს ვიკრიგინი, აგრეთვე ინიანი — ენჭერი, მასთან ერთად უნდა მრავალშობის სამეფო ოქროს ზოლით შემკობისა და ამდენად, სხვათაგან ამ მხრივ საგანგებოდ გამოყოფის ფაქტი, ვფიქრობთ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფრესკულ გამოსახული ვიკრიგინისანა ბაგრატიონთა სახლის წევრთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნებაა; კტიტორულ რიგში მისი პირველი, დემეტრე მეფისა და მისი ძის წინ გამოსახვა კი მოწმობს, რომ იგი საქართველოს სამეფო დინასტიის ქრონოლოგიურად უფრო ადრეული პერიოდის წარმომადგენელია, დასახლებულ მეფეთა წინამორბედი. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ — ნათლისმცემლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ქართული მემკვიდრის დინასტიის ზეგნული პორტრეტი წარმოდგენილი.

ამგვარი დასკვნის გაკეთების შემდეგ განსაკუთრებით საგულისხმო ხდება ა. მურავიოვისა და შ. ამირანაშვილის ზემოთხსენებული მითითება ნათლის-

მცემლის საკრებულო ეკლესიის კტიტორულ პორტრეტთა შორის დავით ალმამუნდლის ეფრესკულ გამოსახულების არსებობის თაობაზე. მამუნდის (მარტირე) მეორე, შ. ამირანაშვილისეული ცნობა იმითაცაა დღეისთვის განსაკუთრებით დასველი, რომ მკვლევარს გამოსახულების თანხმობა, ამჟამად წარბოცნა წარწერაც მოჰყავს, რომელშიც დავით დემეტრე მეფის მამად იხსენიება. ნათლისმცემლის ტაძრის ისტორიულ პირთა გამოსახულებებს შორის ორს — დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის იდენტიფიკაცია, ამ ძალზე საყურადღებო ცნობისა და პორტრეტთა განთავსების პრინციპის გათვალისწინებისას, ვფიქრობთ, სრულად საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ მეფეთა მემკვიდრე დემეტრეს ფიგურის წინ წარმოვდგინოთ, ამჟამად ძალზე დაზიანებული გამოსახულება დავით ალმამუნდლის პორტრეტად მივიჩნიოთ.

დავუბრუნდეთ კტიტორული რიგის პირველ ფიგურას. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილ მეფეთა რიგში დაცული ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ეს გიორგი II-ის გამოსახულება უნდა იყოს; თუმცა რამე დამატებითი (თუნდაც ა. მურავიოვისა და შ. ამირანაშვილისეული მითითებების ანალიზით) მასალის უქონლობა, აგრეთვე ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინება ამის დაბეჭდვით მტკიცების საფუძველს არ გვაძლევს.

დასახელებული გამოსახულების იდენტიფიკაციისას საგანგებო ყურადღებას აქ შემორჩენილი ტექსტი იმსახურებს, რომლის მიხედვითაც ფრესკაზე წარმოდგენილი პირი ნათლისმცემლის უდაბნოს „პირველი მამუნდელი“ ეწოდება. „პირველი მამუნდელი“ ამ შემთხვევაში, უკვე გარეშა, უდაბნოს ცხოვრების ახალ აღორძინებას მკვლახსმობს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენამდე შემონახული ძველების, აგრეთვე წყაროთა ცნობების მიხედვით მონასტრი გერ კიდეც დავით გარეჯელისა და მისი მოწაფის — დიკანის დროს, მათი ინიციატივით უნდა იყოს დაარსებული; ჩვენი ფრესკაზე გამოსახული ვიკრიგინის ფიგურასთან ზემოთხსენებული წარწერის შესრულების ფაქტიც კი გვაფიქრებინებს, რომ იგი სამეფო კართან გარეგნის მრავალშობის კომპლექსის დაკავშირებისას მისი განსტოვების, კერძოდ, ამ შემთხვევაში — ნათლისმცემლის უდაბნოს განახლება-გაფართოვებისა და მშლერ აუჯავებზე მიგვანიშნებს.

გარეგნის მრავალშობის მონასტრითა საქართველოს სამეფო კარის ხელში გადასვლის პერიოდის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს; გ. ანაწიშვილის მიხედვით, ეს ბაგრატ III-ის მიერ კახეთ-მეგრეთის დროებით შემოერთებისას უნდა მომხდარიყო, ე. ი. 1010 წლის ახლო ხანებში⁷⁷, გ. ჩუბინაშვილისა და ბ. ლომინაძის აზრით კი სამეფო კარს გარეგნის მონასტრები XII ს-ში, დავით აღმაშენებლის მეფობისას დაუკავშირდნენ⁷⁸.

XI საუკუნე კახეთ-მეგრეთის შემოერთებისათვის სამეფო კარს ბრძოლის ცვალებადი წარმოდგენებით აღინიშნა⁷⁹, 1008—1010 წწ. ბაგრატ III-ის მიერ მცირე ხნით დაუფლებული სამეფო რამდენიმე წლის შემდეგ (1014 წ.) კვლავ ჩამოსცილდა დანარჩენ საქართველოს. ამის შემდეგ კახეთ-მეგრეთისათვის ბრძოლის ისტორია უკვე ბაგრატ IV-ის სახელთანაა დაკავში-



რებული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი განმგებლობის დასაწყისისათვის სამეფო კარის პიტიუტი ურთიერთობა ქვეყნის მონასიერ კუთხის ინტენსივად მეფესთან — კვირიკე III-სთან, რომლის მმართველობის დროს სამეფოში „სამხედრო თვალსაზრისით, აღმინისტრაციული ორგანიზაციის, სახელმწიფო და კაპიტალური მშენებლობის მხრივ უდიდესი აღმავლობით აღინიშნა“⁸⁰. მიუხედავად ამისა, შემდგომში, XI ს-ის 40-იანი წლებიდან კვირიკეს შთამომავალთა — გაგიკისა და აღსართანის მმართველობის პერიოდში ბაგრატი პოლიტიკას ტყვეობს და კახეთ-ჰერეთის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას; იგი ხანმოკლე წარმატებების მიუხედავად, კვლავ უშედეგოდ დასრულდა. ეგვევ იოქმის გიორგი II-ის მეფობის თარიღზეც, რომელმაც ქვეყნისაგან განმავარა კუთხის დაპყრობა თურქ-სელჩუკთა ლაშქრის საშუალებით სცადა⁸¹.

ნათლისმცემლის ტაძარში დავით აღმაშენებლის ფიგურის წინ გამოსახულ პირთან ზემოთმოცანელი წარწერის („პირველი მაშენებელი ამის უდაბნოდასა“) შესრულების ფაქტი, ვფიქრობთ, იმის მარვენებელია, რომ ამ მონასტრის სამეფო კარის ინიციატივით დავით IV-ის მეფობამდე გაიწვია განახლება ე. ი. კერა კიდევ XI ს-ში (ცხადია, ამ შემთხვევაში სრულიად გამორიცხვულია, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა რიგში, მათი გამოსახულებების წინ კახეთ-ჰერეთის ადგილობრივი მმართველი გამოეხატათ). კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის ბრძოლის ისტორიის გათვალისწინებით უკლებს სავარაუდოა, რომ ეს ბაგრატ III-ის ან გიორგი II-ის დროს მომხდარიყო. პირველი შემთხვევაში ამის მიზეზად სამეფოს შემომატიკების ის ძალზე მცირე ქონილოგოური მონაკვეთი უნდა დავახსენოთ, რომლის განმავლობაშიც მძინლად თუ მოხერხდებოდა ამ რეგიონში და კერძოდ, გარეჯის მრავალშობის მონასტრებში ფართო აღმშენებლობითი მოღვაწეობის გაშლა. დასახელებულითაგან მეორის მეთაობისას კი, მიუხედავად იმისა, რომ სამეფოს ხელისუფალმა აღსართან I-მა, ერთხანს კიდევ უშუშვლა გიორგი მეფესა ლიპარიტსა და სარიონოზა ზედა“⁸² კახეთ-ჰერეთი მაინც ბრძოლის ასპარეზად იქცა — თურქ-სელჩუკთა ლაშქარმა საქართველოს მეფის წინამძღოლობით სასტიკად მოაოხრა იგი, განსაკუთრებით კი ჰერეთი⁸³, ამას გარდა, გიორგი II-ის მეფობის პერიოდისათვის დიდთურქობისაგან ქვეყანა იზღვედა ვაპარტახად, რომ უპირველესს საზრუნავს მისი ფიზიკური გადარჩენა წარმოადგენდა. მემატიანე მოგვითხრობს: „მოკრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაკვლად კაცთა მტყენი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მას შინა და იყო კირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყნისა და შუესწორებელი და აღმატებული ოდესევე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულდა ოკრებათა“⁸⁴. აღნიშნული ფაქტი, ვფიქრობთ, სახეხებით გამორიცხავს იმისა, რომ აღსართანის მრავალშობის განწმენებში და კერძოდ, ნათლისმცემელში ფართო სააღმშენებლო სამუშაოების ჩატარებას, სამონასტრო ცხოვრების ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის განსაღმბა-გაფართოვების შესაძლებლობას.

ხანგამოშვებითი ბრძოლისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, კახეთის მმართველთა ურთიერთობა სამეფო კართან განსაკუთრებით ინტენსიური ბაგრატ IV-ის

პერიოდში ხდება. როგორც კვირიკე III, ისე გაგიკე და აღსართან I აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ცდილობენ კარგი ურთიერთობა დაამყარონ სამეფო ტახტის იმეამინდელ მფლობელთან. საქართველოს ეს კუთხე დასახელებულ პერიოდში (განსაკუთრებით კვირიკე III-ის დროს) ძლიერებით გამოირჩევა და მშლავ კულტურულ აღმავლობასაც განიცდის. ამასთან ერთად, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მეღმესევე კათალიკოსის „დაწერილის“ (XI ს-ის პირველი ნახევარი) მიხედვით, რომელსაც ერთად ამტკიცებენ ბაგრატ IV და კვირიკე III-ის დისწული — მეფე კახეთ-ჰერეთისა გაგიკ (ისიც კვირიკედ წოდებულნი), მცხეთის საკათალიკოსოს ამ ნაწინისათვის მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული ჰერეთში. ამ რეგიონის მოსახლეობა ქრისტიანულ მოძღვრებას ჰქადაგებს და აქ მყარი პოზიციებიც უჭირა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ეს გარემოება აშკარას ჰხდის დასახელებულ პერიოდში „ქართველთა და აფხაზთა“ მეფეების (ამ შემთხვევაში — ბაგრატ IV-ის) მიერ ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის საფუძვლის ჩაყარისას მცხეთის ე. ი. ქართლის ეკლესიის მიერ ამ პროცესისათვის კულტურული შინაგონის შექმნას⁸⁵.

გარეჯის მრავალშობის მონასტრების „ქართველთა და აფხაზთა“ მეფის განმგებლობაში გადასვლა, ჩვენი აზრით, მხოლოდ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ, ე. ი. XII ს-ის პირველ მეოთხედში იქნებოდა შესაძლებელი. უდაბნოს განწმენებებში ამაზე ადრე, XI ს-ში სამეფო კარის მიერ გაშლილ სააღმშენებლო მოღვაწეობას, კერძოდ — ნათლისმცემლის მონასტრის განახლება-გაფართოვებას რაც შეეხება, მას ჩვენ მიერ ზემოთდასახელებულ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლოდ მხოლოდ ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში თუ მივიჩნევთ. ანდრას გამომდინარე, ძმბტორთა ზემოთმხანნილულ რჩებვით უდაბნოს პირველ განმშენებლად წოდებულნი კირის ქვამლახე მძინლად წმინდან ბაგრატ IV-სთან ბიზიციზა უნდა იყოს დასაზრებნი.

ამასთან დაკავშირებით უფორედ ისიცაა საგულგნომო, რომ ნათლისმცემლის უდაბნოს სამლოცველო-საოთახთა შორის უადრესნი მის აღმოსავლეთ მასივში გამოკაფულნი (ზოგი ფერმონათაც შეუშკიან); მონასტრის ცენტრალური და დასავლეთ მონაკვეთზე მათ უფრო გვიანი ხანის ქვაბები ენაცვლება. აქედან გამომდინარე, უნდა ვფიქრობთ, რომ დავით გარეჯელის დროსვე, უპირველესი მეუდაბნოსის სახელზე დაარსებული განწმენბა საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლეთიდან დასავლეთით ვითარდებოდა. მონასტრის მთავარი კმნილება, მისი იდეურ-კომპოზიციური ცენტრი, იოანე წინამორბედის შობისად სახელდებული დიდი საკრებულო ტაძარი მრავალრიცხოვან ქვაბთა შორის წმინდედ X და XI ს-ის დასასრულს მცირე ეკლესიებს ემიჯნება; აღნიშნული გარემოება, ჩანს, იმის მიზანიშნებელია, რომ დიდი ტაძრის გამოკვეთა (უფრო საფიქრებელია, მის ადგილზე არსებული ძველის გაფართოვება) განწმენბის განახლება-აყვავებისას, ე. ი. XI ს-ის ბოლოს ან XII საუკუნისათვის უნდა ვიგულისხმებთ.

აქვე უნდა შევეხებოთ მეფეთა რიგის წინ, ჩრდილო-



საქართველო საქართველო

საქართველო საქართველო

ჩვენი:

საქართველო საქართველო
საქართველო საქართველო

საქართველო საქართველო

ეს სახეები ასე ანაზღაურდა ქრისტიანული წიგნების
ჩვენ:

ნან. 4.

საქართველო საქართველო
ჩვენი:

საქართველო საქართველო
საქართველო საქართველო

საქართველო საქართველო

ეთ კედლის ღიბობაშორის მონაკვეთზე წარმოდგენილი ისტორიული პირის იდენტიფიკაციის საკითხსაც. გამოსახულების საგრძნობი დაზიანების გამო, დღეისთვის მისი ფრაგმენტების ნაწილობრივი გახსნის შედეგად გამოვლენილი მასალა არ იძლევა რაიმე საკულისხმოს ამ კტიტორის გაიგივებისათვის. საფიქრებელია, რომ ქართველ მეფეთა პორტრეტების რიგიდან ამ პირის გამოყოფა იშვიათადეილი ან უფრო ადრეული პერიოდის სამეფოს ცხოვრებაში მისი გამორჩეული მდგომარეობით უნდა იყოს ნაქარანხები. დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის, აგრეთვე თამარის თანამედროვეთა შორის ამ მხრივ ყველაზე უფრო საგულისხმო ფიგურად აღბათ საქართველოს ეკლესიის საკეთამყარობელი, ცნობილი მოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე (დაახლ. 1150—1178 წწ.)⁶⁶ უნდა ჩავეთვალა. თუმცე ფრესკაზე გამოსახული პირის შესამოსელების სახითა ამისთვის ხელმოსაჰკიდეს არას იძლევა — იგი არც ბერის ჩოხაშია წარმოდგენილი და არც კათალიკოსის სამოსში.

კტიტორული რიგის შემდგომი კვლევა, ფრესკების სრული გახსნის შედეგად წარმოჩენილ მასალასთან ერთად მომავალში უფოლდ მოგვემსს ამ გამოსახულების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხთა უფრო ვრცლად განხილვის საშუალებას.

ნათლისმცემლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ ისტორიულ პირთა, მათ შორის განსაკუთრებით გიორგი III-ის, ფიგურის იდენტიფიკაცია რამდენადმე აიოლებს კტიტორული რიგის დანარჩენ გამოსახულებათა შესახებ მსჯელობას, მათს გაიგივებას.

ტაძრის დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ კუთხის ფიგურები, განხილულ კტიტორულ რიგში ქართველ მეფეთა ფიგურების განთავსების პრინციპის გათვალისწინებით, ცხადია, გიორგი III-ის შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ.

პირველ რიგში ეს გიორგი III-ის ფიგურის მომდევნო, ე. ი. დასავლეთ კედლის უკიდურეს ჩრდილო-

ეთ კუთხეში წარმოდგენილი, საიმპერატორო შესამოსელო გამოწყობილი გვირგვინოსანი ქალის ფიგურის შესახებ ითქმის. უდავოა, რომ ფრესკაზე დედმამსაღმარე გამოსახული. ამას გარდა, უკრადლებას იქცევის ის გარემოებაც, რომ ეკლესიის ამ მონაკვეთზე სამივე ფიგურა სამეფო პორტრეტთა გალერეის სხვა გამოსახულებებისგან განსხვავებით საიმპერატორო შესამოსელშია წარმოდგენილი და ამდენად, ერთგვარად გამოყოფილი. ეს ფაქტი, თავის მხრივ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ნათლისმცემლის ტაძრის მოხატულობა სწორედ მათი სიცოცხლის (ზეობის) პერიოდში იქნა შესრულებული. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მცირეფლოვანი კტიტორის ფიგურა, რომელიც დანარჩენთაგან საგანგებოდ გამოყოფა კიდევ, რადგან ოქროთი დაფარულია საიმპერატორო შესამოსელში გამოწყობილი ყრმის ხელის მტევნებით კი!

შემოთანიწმულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი ჩანს ვარაუდი, რომ ბა ბიორგბი III-ის მამამკვირდა — თამარის ძიითა და მუშაღმითაშორი 2.სმოსახული.

ტაძრის დასავლეთ კედლის გამოსახულებათა იდენტიფიკაციას ამგვარ მოსაზრებას სრულიად სარწმუნოს მხდის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდებში დაცული მასალა, სახელდობრ საქართველოს ეკლესიის ეგზარხოზის ევგენის მიერ ჰეტერბურჯის მეცნიერებათა აკადემიისათვის გაგზავნილი ძველი ქართული ეპიგრაფიული ნიმუშების პირები, რომლებიც 1840-იანი წლების დასაწყისშია შესრულებული [H-12 (C37; H70)]⁶⁷. აღნიშნულ ასლთა შორის მოიპოვება რამდენიმე წარწერაც გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრიდან, ეს მასალა იმითა განსაკუთრებით ფასეული, რომ იგი უპირველად ჯარ კიდევ მოხსატულ მოგვის სტარბრმბ დახინანბამამე იქნა გაღმომწერილი,



Н—12 ხელნაწერის (resp. ერთ უძველეს მოქცეული გრაფიკული პირების კრებულის) მე-10-ე გვერდზე მითითებულია: «Надпись на стене с западной стороны большой церкви, находящейся в Иоанно-Крестительской пустыне»;

მე-11-ე გვერდზე კი თვით წარწერებია მოტანილი (ნახ. 4):

მხედრული ტრანსკრიპციით — მუშეთამ მუშე თამარ: სლოლი დიდისა მუშეთი მუშისა, მუშეთამ მუშე დავითი, ძი ანათი ლასა⁸⁸.

ასომთავრული ნაწერის ქვემოთ, იმავე გვერდზე, მხედრულით შესრულებულია უნებოთა გადაშვების ტექსტი: ეს სახელმწიფო ხანა სლოლი მთავარი მუშეთამ, და ზემოთ ნაწერი ალბარა ჩნდა:

ასომთავრული განმარტებითი წარწერების ამგვარი განლაგება ახლზე (შდრ. ნახ. 4 — ორი ტექსტი ძალდა, ხოლო ერთი მათს ქვემოთ, მუშაში). ეგვი არ არის, უშუალოდ ახახავს ამ ტექსტთა ადგილს ნათლისმცემლის ტაძრის დასავლეთ კედლის კტიტორულ რაგში. ეკლესიის დასავლეთულ მონაკვეთზე შესრულებულ ფიგურათა ამ გზით ჩვენამდე მოღწეულ განმარტებით წარწერებთან შეკრებების ცხადი ხდება, რომ პაწ წარმოღობენილია თანაბრის, მისი მუშაღლის — დაპით სოსლანისა და ძის — ლაზა-გიორგის ბაგონახულებამბი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად თამარის ოთხი ფრესკული სახეა ცნობილი (ვარძია, ბეთანია, ყინცივისი, ბეთუხანი)⁸⁹. ჩვენ შიგრ მიკვლეული გამოსახულება ნაწილობრივ აკვებს ამ შვირ ნუსხას; ევავე ითქმის ლაზა-გიორგის გამოსახულების შესახებაც, რომელიც ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის გარდა ბეთანიის, ყინცივისისა და ბერთუნის მონასტრულგეგმაშია წარმოდგენილი⁹⁰. ამასთან, იგი იმითაა განსაკუთრებით ფასეული და დანარჩენთაგან გამოჩეული, რომ პაწ არა პახალგაზრდა, არამედ სრულიად ნორჩი, ჯარ კიდევ პრვა ლაზას ფიგურაბრის შესრულმავალი.

ამ გამოსახულების მნიშვნელობის გათვალისწინებით მით უფრო სამწუხაროა, რომ პორტრეტმა ჩვენამდე ფრამენებული სახითაა მოადღია. მიკირწელოვანი ლაზას სახის დაღუპვა ამ მხრივ განსაკუთრებით დასახანია.

არანაკლებ მნიშვნელოვან დანაკლისს წარმოადგენს დაპით სოსლანის პართამბრთი დღემდე ზუსტად იდენტიფიცირებული განოსახულებების საკრძობი დაზიანებაც.

დახასრული — როდის უნდა იყოს შესრულებული ნათლისმცემლის ტაძრის კტიტორული პორტრეტები? ამის დადგენა ქართველ მეფეთა გამოსახულებების ზემოთ მოცემული იდენტიფიკაციის საფუძველზე ძენი არ არის; იგი ლაზა-გიორგის პორტრეტის სახულებით საქმაოდ ზუსტად შეიძლება განისაზღვროს.

ნათლისმცემლის გამოქვაბული ეკლესიის ფრესკაზე, ლაზა, როგორც აღინიშნა, მიკირწელოვანი, 6-8 წლისა გამოუსახავით. ხოლო ხანების გამოკვლევათა მიხედვით ამჟამად უკვე ზტოცდა და დადგენილი თამარის ძის — საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის დაბადების თარიღი — 1189 წ.⁹¹ შესახებია, 6-8 წლისა და იგი 1190-იანი წლების მეორე ნახევარში უნდა ვიკვლინსხოთ. ეს კი საფუძველს გვაძლავს დასა-

კვანთ: სამეფო პორტრეტთა გალარება ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის მონასტრულგაბრ და, გაზუსტდამ, თანად ფრესკული დეკორის პირველი ფენა XII ს-ის 90-იან წლებს მიწერულს შესაძლებლად. იგი თანაბრის მუშეთის მთავარიოღის მნიშვნებას.

გარეგის ერთ-ერთი უძველესი განსტოების — იანე წინამორბედის სახეზე შექმნილი მონასტრის საკრებულო ტაძარში შესრულებული კტიტორთა ფრესკული გამოსახულებების შესწავლა მხოლოდ მათი იდენტიფიკაციით არ ამოიწერება. იგი განუყოფელი ნაწილია იმ დიდი პოზილებშია, რომელიც მრავალმის ფრესკული სკოლის, საზაგაოდ — გარეგის სამონასტრო კომპლექსისა და საქართველოს სამეფო კარის ურთიერთობას ეხება. მეორე მხრივ ამ პრობლემისაგან დამოუკიდებლადაც, ფვიკობთ, ძალზე საკულისხმოა ქართული ისტორიული პორტრეტის გაღვრვის შევსება ახალი, სრულიად უცნობი და უნიკალური მახალით, ხოლო ქართული ეკლესიის მხატვრობის ისტორიისა — ქვეყნის სამეფო კარის ინიციატივით შექმნილი, თავის დროისათვის, ალბათ, ერთ-ერთი ბრწყინვალე ფრესკული ანსამბლით, რომლის შესრულების პერიოდიც — XII ს-ის 90-იანი წლები — დღეისთვის განსაზღვრულად უნდა ჩაითვალოს.

ნათლისმცემლის ტაძრის მონასტრულგაბრ კტიტორულ პორტრეტთა ზახსნა, კონსერვაციის, სრული ფიქსაციის და მათი სტრუქტურული და-ცვა გადარმბავლი, ძალზე სასურნი საქმეა. მისი წაღობით პარტრეტული ფრამენება შესაუქმებისაგან პართული კულტურის უნიკალური ნიშნისა, ბარჯად ფრამენება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მნიშვნელებას — პართველ მუშეთამ პორტრეტების ჩანანამდე ფრამენებული სახით მოღწეულ გალარებას.

შენიშვნები:

¹ ტრასი არქიმანდრიტი, უდაბნო წმინდისა წინამორბედისა იოანესი, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, № 3, 1864, გვ. 73.

² А. Муравьев, Грузия и Армения, ч. I, СПб., 1848, გვ. 63; ნათლისმცემლის ტაძარში არსებული კტიტორული პორტრეტის შესახებ ადრეული პერიოდის ცნობებზე ყურადღება გამახვილებული აქვს გ. ჩუბინაშვილს. მკვლევარის მოთხოვნით, მაშინ ამ გამოსახულებათა მოძებნა ვერ პოხერხდა. Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тб., 1948, გვ. 80, შენ. 3.

³ ტ. შვიგაიკვა, განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართული მონუმენტური მხატვრობის ორნამენტები, „სახპოთა ხელოვნება“, № 9, 1960, გვ. 11.

⁴ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 261—262; ამავე (ოლნდაც ავტორის მიერ შედარებით ადრე, 1961 წელს გამოქვეყნებულ) ცნობას იმეორებს ბ. ლომინაძეც, იხ. მისი, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 16; იკვე ითქმის ვ. ლაზარევის ნაშრომის შესახებაც: В. Н. Лазарев, История византийской живописи, М., 1947, გვ. 328.

5 გ. ვ. ალიბეგაშვილი, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, გვ. 40—41.

6 შუაღებში გაკეთდა ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთზე გამოსახული მეორე და მესამე ფიგურის შუაწელზე, ამავე კედლის ლობთაშორის მონაკვეთზე წარმოდგენილი პირის გამოსახულებაზე. კირის ფენის ეპირთ ზოლის სახით, დიდი სიფრთხილითა და ძალზე ფაქობად მოხსნასთან ერთად კედლის მხატვრობა რამდენიმე ადგილზე გამაგრებული იქნა კიდეში.

7 ტაძარში მოხატულობა ორენქანია: ფერწერული დეკორის უმეტესი ნაწილი ავღღამირველ, შედარებით ძველ ფენას ეკუთვნის. მეორე ფენის მხატვრობა კი ინტერიერის ზედა მონაკვეთში დასტურდება. ეს უკანასკნელი ძველი ფრესკებისაგან თავისი კოლორით, შესრულების მანერით მკაფიოდ გამოიყოფა.

8 გ. ალაბეგაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30 და შუგმდ.

9 გ. აბრამიშვილი, დავით გაჩეჩელის ციცი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, გვ. 76—77, სურ. 14.

10 გ. ზუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 89; გ. ალაბეგაშვილი, უდაბნოს ხარკების ეკლესიის მოხატულობა, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, თბისები, თბ., 1951, გვ. 15—16; გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 145, სურ. 27.

11 გ. ზუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4, 31—33; ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11—12.

12 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევიითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 184.

13 მ. ბერძენიძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 68.

14 ქრისტიანული აღმოსავლეთის სახეთ ხელოვნებაში გამოსახულებაზე ოქროს დატანისას გამოყენებულ რამდენიმე ფერის წებოვან შემკერვლათაგან ნათლისმცემლის ტაძრის პორტრეტებში იისფერი სარჩელია ნახშირი.

15 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 14.

16 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, ტაბ. 18, სურ. I.

17 საგულისხმოა, რომ მარგალიტებით გაფორმების ინალაგიერ ხერხს ვხვდებით ამავე მონასტრის აღმოსავლეთ მასივში გამოკვეთილი ერთ-ერთი მცირე სამლოცველოს მოხატულობაში დედაღმრთისას შარავანღზე (გვიანი XIII ს.), აგრეთვე ქოლავიის გამოკვეთილი მონასტრის მთავარი ტაძრის ცენტრალური ნაივს ფერწერულ შემუშელობაში წარმოდგენილ რამდენიმე გამოსახულებაზე (XIII ს-ის მეორე ნახევარი).

18 ამ წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია მოწყავს გ. ალაბეგაშვილს, იხ. მისი ზემოთ დასახ. ნაშრომი, გვ. 41 (ავტორი ბოლო სიტყვას აქ კითხულობს, როგორც — „უდაბნოსია“).

19 გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 14; აქ ორი სასულეორო პირია გამოსახული მელთაგან საკტიტორო წარწერის ქვემოთ მოთავსებული ძლიერ ფრაგმენტირებულია.

20 III. Я. Амирашвили, История грузинской монументальной живописи, т. 1, Тб., 1957, ტაბ. 81; გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის მოხატულობის კტიტოროთა იდენტიფიკაცია, „საბჭოთა ხელოვნება“, № 5, 1982, სურ. 1, 2.

21 რ. მფესისაშვილი, ისტორიულ პირთა ახლად აღმოჩენილი პორტრეტი გელაიის ტაძარში, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 51, 1951; გელათი, არქიტექტურა, მოზაიკა, ერესკები, (ალბომი), თბ., 1982, ტაბ. 63.

22 გ. ხუციშვილი, ჩვეუფრო ისტორიული პორტრეტი საფარას მონასტრის წმ. ტაძარში, მაენე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1971, გვ. 95, სურ. 2.

23 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1 თბ. 1962, სურ. 2.

24 გ. ალაბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; ავტორის ამოკითხვის მხოლოდ ამე დეკრეტივსი“.

25 ნ. ჩოფეიაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI — XIV სს.), თბ., 1964 გვ. 141—142.

26 ამ მხრე მასალები განსაკუთრებით მრავლად ნემიზმატიკაში გვაქვს. შდრ. თუნდაც საქართველოში დატული ბიზანტიური მონეტების ერთ ნაწილზე არსებული გამოსახულებები (თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966. №№ 150, 151, 177-179, 255, 465 — 486, 507, 524); სახვითი ხელოვნების ძეგლებში დამოწმებული ამგვარი მაგალითები დასახელებული აქვს ვ. ჯობაძეს (W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, Byzantinische Zeitschrift, 69. Bd., april 1976, Heft 1, p. 55).

27 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაყ. 2, ტფილისი, 1929, გვ. 105—206, 6. ჩოფეიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

28 იხ. ვ. ჯობაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

29 ისტორიანი და აზმანი შარავანდელანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 38.

30 Г. Вейс, История одежды и утвари в средние века, от IV до XIV столетия, М., 1875, გვ. 65.

31 შდრ. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 38—39; თ. საყვარელიძე, XII საუკუნის ქართული კედრი ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 4—6.

32 იხ. ვ. ჯობაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 55, ტაბ. VII, XIII—XIV.

33 დ. კანანაძე, ქართული ნემიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 66, ტაბ. IV (№ 54).

34 იქვე, გვ. 92, ტაბ. VIII (№ 95, № 96).



³⁵ გელათი, (აღბომი), ტაბ. 6ა; აქვე უნდა დავასახელოთ ბრძაძორის შივრ სტელის (VI ს.) სამხრეთ წახნაგის ერთ-ერთი რელიეფი, რომელზეც ისტორიულ პირთა — ორი მამაკაცის გამოსახულებაა შესრულებული. მარცხენა მთვანეს ხელში სწორედ ჭვირსებრი გრძელბუნიანი კვერთხი უჭირავს.

ამ ინსიგნიასთან დაკავშირებით საგულისხმოა ივ. ჭავჭავაძის მიერ დაკვირვება, რომლის მიხედვითაც „XII ს. შინა ქართულ ეროვნულ დროშას თავზე ჭვირს უნდა ჰქონოდა“ (იხ. შილა, ქართული სამარ-თლის ისტორია, II, გვ. 211).

³⁶ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' v tserkvi arkhangelov sela Zemо-Krixi, „ქართული ხელოვნება“, 6-A, სურ. 2, ტაბ. 43.

³⁷ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, ნახ. 12.

³⁸ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' khudozhnika Mikaela Maglakeli v Mashvarishi, „ქართული ხელოვნება“, 4, 16., 1955, გვ. 176, ფერადი ტაბ. გვ. 176-177 შორის.

³⁹ Vardzia. History, Architecture, Wall painting, Applied arts. Compiled and introduced by Ghivi Gaprindashvili, Leningrad, 1975, pl. 80. И. Р. Драмьян, Фрески Кобайра, Ереван, 1979, таб. 34.

⁴⁰ ზ. სიბრტლაძე, XIII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის (ქობაირის სამონასტრო კომპლექსის ეკედერის ნობატულობა), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თბილისი, თბ., 1981, გვ. 31—33;

⁴¹ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—54; გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 91.

⁴² გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58, ნახ. 16.

⁴³ ნ. ჩოფიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

⁴⁴ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის..., სურ. 1, 2.

⁴⁵ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' khudozhnika Mikaela Maglakeli, გვ. 175, ფერადი ტაბ., გვ. 176-177 შორის.

⁴⁶ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23, 27, სურ. 2, 3, 4; ტაბ. 10, 21.

⁴⁷ გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი, გვ. 74, 75, სურ. 14.

⁴⁸ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' v tserkvi arkhangelov sela Zemо-Krixi, გვ. 117, სურ. 2, ტაბ. 42, 43.

⁴⁹ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 12.

⁵⁰ Vardzia, pl. 73, 78.

⁵¹ ი. ღრამბაიანი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 34.

⁵² Н. Я. Марр, Фресковане изображение Хутлубуги в Ахпате, Христианский Восток, т. I, вып. III 1912, გვ. 350—353.

⁵³ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 16.

⁵⁴ გ. ხუციშვილი, ჭკუდუფრი ისტორიული პორტრეტები... გვ. 95—97, სურ. 1; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთ-

მოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1955, ტაბ. 58; ნ. ჩოფიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

⁵⁵ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' khudozhnika Mikaela Maglakeli, გვ. 184; ამგვარ კაბაში მიფეთია და ფოდლათა გამოსახვის ფაქტზე მსჯელობს ე. პრივალოვა E. Л. Привалова, Павлиси, Тб., 1977, გვ. 49—50.

⁵⁶ იქვე, გვ. 184—185.

⁵⁷ T. B. Virsaladze, Freskoviaya rospisn' v tserkvi Arhangelov sela Zemо-Krixi, таб. 43.

⁵⁸ ბუთაიის ფრესკასთან დაკავშირებით ამ ფაქტზე მიუთითებს გ. ალიბეგაშვილი (დასახ. ნაშრომი, გვ. 22).

⁵⁹ გ. ალიბეგაშვილის ვარაუდით (იქვე, გვ. 41), ტაშრის დასავლეთ კედელზე დასახლებულ ფიგურათა გარდა სურგო პირთა სხვა გამოსახულებებაც უნდა ყოფილიყო შესრულებული.

⁶⁰ თავად წარწერაში დამოწმებული ტიტული — მეფეთა მეფეთა ამ შემთხვევაში იდენტიფიკაციისათვის ხელშეწყობის ვერას მოგვეცემს, რადგან მას ჯერაგენ II-დან მოკიდებული საქართველოს ფაქტიურად ყველა უმაღლესი ხელისუფალი ატარებდა.

⁶¹ ი. ჩუბინაშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 221.

⁶² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979, გვ. 286—287.

⁶³ ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე, ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბ., 1955, გვ. 366.

⁶⁴ ამ სახელს A — 186 ხელნაწერის (XVIII—XVIII სს, გულანი) ერთ-ერთ მოსახსენიებელში ვხვდებით — „მეფისა ალმამუნებლისა დიდისა მის მონასტრისა და მისა მათისა მეფისა დანიილ მონაზონისა საუთუნოვარს სასქენებელ და კუროსხევა მათი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A — კოლექცია, ელ. მეტრეველის რედაქციით, ტომი I, თბ., 1976, გვ. 311); საგულისხმოა, რომ ეს ხელნაწერი გიორგი აბაშიძემ დავით გარეჯის უდაბნოს შესწირა (იქვე). ზემოთ მოხმობილ ტექსტში მეფე დემეტრე-დანიილისა და მისი მამის — დავით აღმაშენებლის ერთად სხენება ვერ დაუთვნიებდა ჩვენი მონათულობის კრიტორულ პორტრეტთა რიგს, რადგან ამ მოსახსენიებელში გელათის ტაძრის შემწებლობაზეა საუბარი და არა გარეჯის მონასტრისადმი (ეკრძოდ, ნათლისმცემლის უდაბნოსათვის) გაწეული ღვაწლის შესახებ.

⁶⁵ დამიანე ბერად შემდგარი მეფის სახელად პლ. იოსელიანი ასახელებს: „ჰაჰნი დიმიტრიმ (მეფობდა 1125—1154) დაუტრევა მეფობა და მიიღო სახელად მონაზონებისა დამიანე და აღბერულა დავით გარეჯისა მონასტრისა“. წყობილი სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუშლისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოელისა საქართველოსა, ქ. თბილისი, 1853, გვ. 271.

⁶⁶ ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. იხ. ლ. დავლიანიძე, დავით V სომეხურ საისტორიო მწერლობაში, მაყენ, ისტორიის, არქეოლოგი-



ის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1977, გვ. 103—104; А. Г. Маргарян, Из истории и хронологии внутрикласовой борьбы в Грузии и Северной Армении в 30—50-х гг. XII в., კრებულში: «Кавказ и Византия», вып. I, Ереван, 1979, გვ. 62—66.

⁶⁷ ისტორიანი და აზნანი შარაენდედთან, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 3.

⁶⁸ ტექსტი, როგორც ვხედავთ, დემეტრე მეოთხეა დასახელებული და არა პირველი, ამასთან იგი XVII—XVIII სს. პოეტ-ჰიმნოგრაფთა რიგშია მოქცეული. ივ. ლომაშვილის მართებული მითითებით, დაუჭერებელია, რომ ანტონს არა სკოდნოდა დემეტრეს ეინობა, რადგან «წყობილისტყუაობაში» იგი ერთბაშად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ამ ნუგის შესახებ. ამგვარი შეცდომის საფუძველი დღეისათვის უცნობი რჩება (ანტონ ბაგრატიონი, წყობილისტყუაობა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დურთო ივ. ლომაშვილმა, თბ., 1980, გვ. 49).

⁶⁹ ანტონ პირველი, წყობილისტყუაობა, პლ. იოსელიანის გამოც., გვ. 271; წყობილისტყუაობის ტექსტის ახალი გამოცემისათვის იხ: ანტონ ბაგრატიონი, «წყობილისტყუაობა», წიგნი I, ტექსტა გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ, თბ., 1972, გვ. 182.

⁷⁰ წყობილისტყუაობა, პლ. იოსელიანის გამოც., გვ. 150.

⁷¹ გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.

⁷² კ. ეველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 372; მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965, გვ. 156, შენ. 310; სვირიდონს ანტონის მოძღვრად პლ. იოსელიანი იხსენიებს: «არხიმანდრიტი და წინამძღვარი დავით — გარეჯისა უდაბნოსი სვირიდონ, მიძემლევე მისი წმინდისა ემბაზით იყო მოძღვრად და მასწავლებლად მისსა მასვე მონასტერსა, სადაც ჰპრუნდნენ მისთჳს მიჩემებულნი მისდა ლალად... წყობილისტყუაობა, პლ. იოსელიანის გამოც., გვ. V; სპირიდონი წინამძღვრად გარეჯში, მ. ქავთარიას აზრით, 1720-39 წლებშია საგულებელი (ესაა ანტონის დაბადებისა და ბერად აღკვეცის თარიღები), ამ პერიოდში კი, კერძოდ 1733 წლამდე გარეჯის წინამძღვრად იწოდებოდა ჩანს, ხოლო 1736 წელს — თანე. ამას გარდა, მკვლევარის დაცირებებით, არცერთი დოკუმენტი არ ახსენებს სპირიდონს დავით გარეჯის წინამძღვრად (მ. ქავთარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 156).

⁷³ კ. ეველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 372.

⁷⁴ А. Хаханов, Жизнь и деятельность каталонца Грузии Антония I (доклад, читанный 10 августа 1899 г. в Киеве на XI Археологическом съезде), წიგნი: Летопись Грузии (изд. Б. С. Эсадзе), Тифлис, 1913, გვ. 105.

⁷⁵ ანტონ ბაგრატიონი, წყობილისტყუაობა, ივ. ლომაშვილის გამოც., გვ. 27,

⁷⁶ ა. შურავეიცი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 56—59. არქიმანდრიტი ტრასი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—59.

⁷⁷ გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი, გვ. 76.

⁷⁸ გ. ჩუბინაშვილი პირდაპირ არ მიუთითებს დავით აღმაშენებელზე, თუმცა მისი მსჯელობა სწორედ XII ს.-ში-გარეჯის მრავალმთის მონასტრითა სამეფო კართან დაკავშირების თაობაზე უდავოდ ამგვარად უნდა იქნას გაგებელი. იხ. მისი ზემოთ დასახ. ნაშრ. გვ. 69; ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124, 163.

⁷⁹ Д. Л. Мухелишвили, Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, გვ. 40—52.

⁸⁰ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 25.

⁸¹ ამის შესახებ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 160—161, 201—202, 206—207.

⁸² ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 563.

⁸³ ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321—322.

⁸⁴ იქვე, გვ. 320.

⁸⁵ თ. ჰაპეაშვილი, ჰერეთის იტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 226—227.

⁸⁶ კ. ეველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 318—322.

⁸⁷ კრებულის აღწერილობისათვის იხ. P. P. Орбели, Грузинские рукописи института востоковедения, вып. I, М.-Л., 1956, გვ. 90—92.

⁸⁸ ლასა წარწერის პირის შემსრულებელს, უთვოდ, ლასა სახელის ნაცვლად შეცდომათა გადმოუწერია.

⁸⁹ Г. В. Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957; მისივე, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ კ. თხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიწის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 22-24.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქაროვე-
ლოს მხატვართა კავშირი და საქარტველოს არქიტექტორ-
თა კავშირი

ატხადებენ ღია კონკურსს

„თავისუფლებიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში
1121 წელს ღიადგორის ვალზე ქართველ მეომართა მიერ მო-
კრეპებული ისტორიული გამარჯვების“ უკვდავსაქოვად
ასაგები ძეგლის პროექტზე.

ღია კონკურსის დებულება

1. საქარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მხატ-
ვართა და არქიტექტორთა კავშირების მიერ გამოცხა-
დებულ ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს
ყველა მსურველს.

2. ძეგლის ასაგებად გამოყოფილი ადგილის გეგმის
მიღება შეიძლება საქარტველოს არქიტექტორთა კავ-
შირში.

3. საქონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იქნას საავ-
ტორო კოლექტივის მიერ შერჩეული დევიზით აღნიშ-
ნული შემდეგი მასალა:

— გენერალური გეგმა მასშტაბით 1:500

— ძეგლის მკვეტი „ „ 1:500; 1:200

— სკულპტურული კომპოზიციის მოდელი სიმაღ-
ლით 50—100 სმ.

— ძეგლის პერსპექტივა.

— განმარტებითი ბარათი.

— იმავე დევიზით აღნიშნული დაბეჭდილი კონვერ-
ტი პროექტის ავტორთა გვარის, სახელის, მამის სახე-
ლის, მისამართის, ტელეფონის ნომრის და პროექტის
შექმნაში თვითულის მონაწილეობის პროცენტული
შეფარდების ჩვენებით.

კონკურსის პირობა

1. საქონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნას
არაუგვიანეს 1984 წლის 20 სექტემბრის 18 საათისა,
მისამართით ქ. თბილისი 38004, რუსთაველის პრ. № 7,
საქარტველოს მხატვართა კავშირში „დიდგორის ბრძო-
ლის გამართა ძეგლის პროექტის კონკურსი“ (აღნიშნით).

2. არათბილისელ ავტორებს შეუძლიათ საქონკურსო
მასალა გამოგზავნონ ფოსტით I პუნქტში მითითებული
მისამართით აღნიშნული ვადის გასვლამდე და მაშინვე
ტელეგრაფის საშუალებით აცნობონ საქარტველოს
მხატვართა კავშირს გამოგზავნოს თარიღი და ამანათის
ქვეთრის ნომერი.

3. არასრული სახით წარმოდგენილი საროექტო მა-
სალა ან ის პროექტები, რომლებიც დებულების და
პირობის დარღვევით შემოვა, კონკურსში მონაწილე-
ობას არ მიიღებს.

4. საქონკურსოდ მიღებული მასალა გამოიყენება
მხატვრის სახლში.

5. თორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოქ-
ვეუნდება პრესაში.

6. საქონკურსო პროექტებისათვის დადგენილია შემ-
დეგი პრემიები:

პირველი პრემია (ერთი) — 3 000 მანეთი

მეორე პრემია (ორი) — 2 000 მანეთი

მესამე პრემია (სამი) — 1 500 მანეთი

წამახალისებელი პრემია (ოთხი) — 1000 მანეთი

7. პირველი პრემიით აღნიშნული პროექტი რეკო-
მენდირებული იქნება განსახორციელებლად ან შემდგომი
დამუშავებისათვის.

8. პრემირებული პროექტები საქარტველოს სსრ კულ-
ტურის სამინისტროს განგებლობაში გადავა. სხვა პრო-
ექტები კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი
თვის მანძილზე ავტორებმა უნდა გაიტანონ. ამ ვადის
გასვლის შემდეგ საქარტველოს მხატვართა კავშირი არ
უზრუნველყოფს მათ შენახვას.

თბილისის აღმშენებლობის ურაგმენგები სხელწოდებებში*

თენგიზ კვიციანი

ბეჭდვას ბაღი — ამ სახელწოდებით აქვს აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილის კედლით შემოზღუდული ბაღი გართავაბარის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

XVII საუკუნის შუა ხანაში მეფე როსტომმა ზარაფთუხუცესობა უბოძა თბილისში მცხოვრებ მდიდარ ვაჭარს ზოჯა ბეჭუდას, ე. ი. იქართ გადასცა ზარაფხანა, ხოჯა ბეჭუდა ბებუთაშვილების გვარის დამაარსებელია. მასვე ეკუთვნოდა ავლაბარში სასაფლაო ეკლესიით (ე. წ. „ხოჯავანქში“). სასაფლოს გვერდზე ბებუთას ბაღი გაუშენებია. მის მოსარწყავად, მეფის თანხმობით, წყალი მახათის მთიდან გამოუყვანია. ბაღს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ლილოსკენ მიმავალი ზარაფხა ჩაუღვივდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ხევი საზღვრავდა.

ბეჭდვას ხილი — ბოლო დრომდე არსებობდა ხიდი მდინარე ვერეს ქვედა დინებაზე (გმირთა მოედანთან), რომელიც მეფე როსტომის ზარაფთუხუცესმა ზოჯა ბეჭუდამ ააშენა. ხიდი აშენდა მნიშვნელოვან საქარავნო გზაზე — „დიდის გზაზე“, რომელიც აწინდელი ლენინის ქუჩის ხაზზე გადიოდა. ხიდს იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი: „ვერასა ზედა არს ხიდი დიდი ქვითიკრისა“, იგი მოხსენებული აქვთ აკადემიკოსებს ი. გიულდენშტედტს (1771 წ.), გ. კლარკს (1807 წ.).

ოთხმალაჩი ხიდის სიგრძე 70 მეტრს, ხოლო სიგანე 5,7 მეტრს შეადგენდა. ღამაში პროპორციების მქონე ოთხპარკიანი მალაჩი სამს წაისრული მოზაულუობა მქონდა, მეოთხეს კი — ნახევარწრიული. ამასთან, შუალედი კამარა შედარებით მაღალი იყო. ხიდის საყრდენი ნაწილები ქვისა და აგურის წყობის შენაკვლებით იყო ამოყვანილი, ხოლო კამარები — ბრტყელი, კვადრატული ფორმის აგურით.

ბზის მოედანი — XIX საუკუნის თბილისში სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ვაჭრები გასაყიდად ჩამოტანილ საქონელს ქარვასლების საწყობებში აბინავებდნენ, ხოლო პირუტყვისათვის საგანგებო ადგილები იყო გამოყოფილი ქარვასლების სიახლოვეს. პირუტყვის სადგომ ვრცელ ადგილს წარმოადგენდა ე. წ. „ბზის (თივის) მოედანი“, ან „ბაზარი“ („Сенний рынок“). მოედანი მდებარეობდა შტკრის მარცხენა ნაპირზე რიუის სამხრეთ ნაწილში სირაჯხანის სიახლოვეს, ავლაბრის ხიდთან. ხიდის ორთავ ბოლოში ქარვასლები იდგა. მოედანზე გასაყიდად მომარაგებული იყო თივის ზვინები, რომელთაგანაც მომდინარეობს ადგილის სახელწოდება. ანალოგიური სახელწოდებებს ადგილები რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებშიც იყო, კერძოდ, პეტერბურგში.

ბნელი რიბი — („Темный ряд“) ძველი თბილისის ერთ-ერთი სავაჭრო ქუჩათაგანი იყო. რომელიც თათრის მოედანზე გადიოდა და მას სიონის ქუჩას აკავშირებდა. ერთ დროს ვიწრო ქუჩა გადახურული ჭოფილა და ამიტომ ერქვა „ბნელი“, მას „დახურულ ბაზარსაც“ უწოდებდნენ. დღეს აქ შარდენის ქუჩაა. გვიანფეოდალურ ხანაში აქ მექვაბეთა რიგი იყო, ხოლო XIX საუკუნეში ახალი ბაზაზხანა (ფართოებული მოვაჭრეთა დუქნების რიგები) განვითარდა. დახურული ბაზაზხანა — ბნელი რიგი XX საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა. ბაზაზხანა „...ცხლა ლომინი აურილია, აღარ არის დახურული“ (ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბ., 1918 წ.).

ბოშის უბანი — ფეოდალურ თბილისში ცალკეული უბნების სახელები უმეტესად ამ უბანში განლაგებული ეკლესიის სახელწოდებით (ანჩისხატო, სიონის უბნები). ან სარწმუნოებრივი ნიშნით (ურიათა უბანი, ფრანგთა უბანი), ან აქ მცხოვრებთა ვი-

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 10, 1983.

ნაობთ (ცოცხლანთ, ფირუღლანთ, მუხრან-ბატონის), XVIII საუკუნის და XIX საუკუნის დასაწყისის საბუთებში მოიხსენიება ბოშის უბანიც, ამასთან, ზოგჯერ, მითითებულია ამ უბანში განლაგებული სახლების მეპატრონეებიც: „ბოშის შვილი სოსია“ ან „ბოშა მურადანთ სახლი“ (მ. ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ. 1966 წ.). სხვადასხვა მინიშნების თანახმად, ბოშის უბნის მდებარეობა საგულისხმოა სიმღერონდელი თბილისის გარეთუბანში, დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე დიდი საცხოვრებელი სახლის აღგებზე.

ბანჯის პარი — თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კართაგანი მოწყობილი იყო ქალაქის გალავნის სამხრეთ ნაწილში, კლდის ძირას, რომელსაც ნარაიულას მასტრონები აგვირგვინებდნენ. განჯის კართან მდინარე წავისწყალი ჩადიოდა, რომელზედაც ხიდი იყო გადებული. შუა საუკუნეების ტრადიციით ქალაქის კარიბჭეს იმ გზის სახელს არქმევდნენ, რომელიც ამ კართან მთავრდებოდა. მნიშვნელოვან სავაჭრო გზას, რომელიც სამხრეთიდან მოემართებოდა და თბილისის აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა, „განჯის გზა“ ერქვა. ქალაქის ფარგლებში იგი აწინდელი გრიშაშვილის ქუჩის ხაზს მიჰყვებოდა თაბორის ციხის ქვეშ, შემდეგ აბანოების უბანს გარს უვლიდა სამხრეთიდან და განჯის კარის ხიდან წუდებოდა. განჯის გზას აბანოების უბნის მისასვლელთან განსტოება ჰქონდა. ეს უყანასენელი ქვეითი ეშვებოდა და „აბანოს კარამდე“ აღწევდა. განჯის კარს მომდგარ ვაჭრებს თუ მგზავრებს ქალაქში მოხვედრამდე საკმაოდ რთული ფორტიფიკაციული სისტემის გავლა უხდებოდათ. თვით განჯის კარი წავისწყლის პირას, ხიდის გვერდებზე აღმართული კვადრატული გეგმის მქონე ბურჯებს შორის იყო მოქცეული.


ბარათაშვილები — ასე ეწოდებოდა ავღაბრის იმ ნაწილს, რომელიც ძირითადი, გამაგრებული ნაწილის გარეთ მდებარეობდა. 1800 წლის გეგმაზე ამ ნაწილს „ავღაბრის უბანი“ ჰქვია. XVIII საუკუნის შუა ხანამდე გალავნით შემოფარგლული იყო მხოლოდ მცირე ნაწილი — ისანი, რომელიც მოქცეული იყო ამჟამინდელი მეტეხის აღმართსა და კლდის სწვრივს შორის. შეღარებით ვრცელი ნაწილი შაუმიანის ქუჩას, მუკუზანის შესახვევსა და მტკვრისგან მოქცეულ კლდეს შორის ჭერ კლდე არაბების ბატონობის დროს თბილით იყო შემოყოლებული. ვარეთავღაბარი ვრცელდებოდა ამ თბილისის გადაღმა პლატოზე, რომელიც დღეს დაახლოებით იფარგლება ბარათაშვილის აღმართით, მესხიშვილის ქუჩით და კობალინის ხევით. ამ საზღვრებში აქვს ნაჩვენები ვახუშტის ბარათაშვილის ეს უბანი თბილისის 1716 წლის გეგმაზე.

ერეკლე მეორის ზეობის ხანაში შიდა ავღაბარი, შაუმიანის ქუჩის ხაზზე, კოშეხიანი გალავნით შემოიფარგლა, ხოლო გარეთავღაბარი კვლავ გარეთუნდა დარჩა. თბილისის 1800 წლის გეგმა პირველად აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, მასზე მუქი ფერით გამოყოფილია სპარსელების მიერ დაწვრილი უბნები. გეგმაზე გარეთავღაბარი ერთიანად გადაბეჭდილი ჩანს. ამ უბანში მინიშნებულია ქართული და სომხური ორი ეკლესია. ქართულ ეკლესიასთან სისხფლაოც არის აღნიშნული. XIX საუკუნეში ეს უბანი ქაოტურად განაშენიანდა, თუმცა იყო ცდა გარეთავღაბრის დაგეგმარებისა. რეგულარული ხასიათი მხოლოდ მცირე ნაწილში მიიღო დღევანდელი ლომოურის ქუჩის სამხრეთ-დასავლეთით.

ბარათაშვილები — ფეოდალური თბილისის გალავნით შემოფარგლულ ძირითად ნაწილებს — კალას და ისანს — ავღაბარს გარს ერტყა გაუმაგრებელი ნაწილები, გარეუბნები: კალას სამხრეთ-აღმოსავლეთით

გოლოვინის პროსპექტი, სასტუმრო „როსია“





ერევანის მოედანი. მე-19 საუკუნის 50-იანი წლები.

— აბანოების უბანი და სეიდაბადი, ისინი ჩრდილოეთით — გარეთ ავლაბარი, კალას ჩრდილოეთით და დასავლეთით კი — გარეთუბანი.

გარეთუბანს ეკავა ტერიტორია, რომელიც დღეს მოქცეულია ლენინის მოედნის მიდამოებში. ბარათაშვილის ქუჩას, რუსთაველის პროსპექტს, კორჭიაშვილის ქუჩასა და მტკვარს შორის. გარეთუბანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქაშვიტის ეკლესია იდგა. დაახლოებით აწინდელი კორჭიაშვილის ქუჩის გადაღმა ვახუშტი „თათრის სასაფლაოს“ უჩვენებს. ვახუშტის გემბის მიხედვით გარეთუბანი მჭიდროდ უოფილა დასახლებული. აქ რამდენიმე ქართული და სომხური ეკლესია იდგა. მთგან დღეს მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი. წარჩინებულ პირთა სახლებს შორის გამოყოფილია ციციშვილის, არაგვის ერისთავის სახლები, „მეიდნის სასახლე“. სხვადასხვა ცნობებით XVIII საუკუნეში გარეთუბანში სახლები მქონიათ მუხრან-ბატონს, ამილახვარს, აბაშიძეს, ხერხეულიძეს, თუმანიშვილს, ოსმალთა შემოსევის შედეგად გარეთუბანი გაჩანაგდა. მოსახლეობამ ქალაქის გალავანს შეაფარა თავი. ამას 1770 წელს დაემატა შავი კირის ეკიდეშია. XVIII საუკუნის სამოკლდათიანი წლებიდან გარეთუბანი ეკლავ იწყებს აღორძინებას, მაგრამ აღა-მამამდ-ხანის შემოსევა ისევ ანადგურებს მას.

გარეთუბანის ვრცელი ტერიტორია დაუოფილი იყო შედარებით მცირე უბნებად. დღევანდელი პროსპექტის დასაწყისს, მუხუტუშს და კიხიკიველის ქუჩას შორის ქამანთ უბანი მდებარეობდა. ეკლდის შემოვლულული ქამანთ წმ. გიორგის სომხური ეკლესია მდებარეობდა ისტორიული მუხუტუშის მოპირდაპირე მხარეს, იქ, სადაც ახლა ნახევარწრიული ლოკიანი დიდი საცხოვრებელი სახლი დგას. ამავე უბანში იდგა ლამპარანთ ქარვასლა. გარეთუბანის უკლავზე ვრცელ ნაწილს კალოუბანი წარმოადგენდა აწინდელი რუსთაველის კინოთეატრის და ქაშვიტის ხაზიდან თითქმის ძნელადის ქუჩამდე. ამ უბანში სამი ქართული ეკლესია იდგა: ქაშვიტი, სამების და კალოუბანის წმ.

გიორგის. გარეთუბანის შუაში დიდი ნაწილი დასახლებული არ იყო. იგი სასაფლაოებს, ბაღებს და ასპარეზს ეკავა. ასპარეზს, მტკვარის ტოტხა და დღევანდელი მტკვარის ქუჩას შორის მოქცეული სამეფოხედის ფორმის გალავნით დაცული ტერიტორია ორბელიანების უბანს ეკავა. ამ უბანშივე მდგარა მცირე ეკლესია. თბრილის გადაღმა, რომელაც დღევანდელი მტკვარის ქუჩის ხაზზე გადაიოდა, იწყებოდა ვანქის მონასტრის გალავანი. მისი ფრაგმენტები დღემდე შემორჩენილია. მონასტრის, სომხურ სასაფლაოს (აწინდელი კოლმეურნეობის მოედანი) და დღევანდელ ბარათაშვილის ქუჩას შორის ტერიტორიაზე ვანქის უბანს მიკედლებული იყო მცირე ბოშის უბანი. ბარათაშვილის ქუჩის ჩრდილო-დასავლეთი მხარის დაახლოებით შუაწელზე იდგა ე. წ. „ოეკსამის“ ეკლესია. XVIII საუკუნეში მუხრან-ბატონის საგვარეულოს სახლებმა გალავანს გარეთ ტერიტორიის ათვისებაც დაიწყეს. მუხრანთუბანი ვიწრო ზოლად მიჰყებოდა გალავანს ავანთბუციის გასწვრივ.

გლდანი — სოფელი გლდანი ქართლის ქედის სამხრეთ ფერდობზე იყო განლაგებული. მდინარე გლდანის წყლის ნაპირზე. მდინარის კალაპოტი, რომელიც ზაფხულობით სრულიად გამშრალია, სოფელს ორ ნაწილად უოფდა — ძველ და ახალ გლდანად. ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაჩანდა.

გლდანს ადრე გრდანი ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით გლდანი (გრდანი) გარდაბნის მხარეს ეკუთვნოდა. შესაძლებელია, რომ „გრდანი“ ეწოდებოდა არა ერთ სოფელს, არამედ დასახლებათა ჯგუფს.

გლდანისკენ მიმართულ ერთ-ერთ მთის კალთაზე დგას მაღალი ეკლესია, რომელაც დასახლებიდან სამხრეთი ფასადით გამოდის, საეკიკლისტიკის აზრით, ეკლესია გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელზე IX-X საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. იგი წარმოადგენს გრძელ და მაღალ სათავსს,



რომელიც აღმოსავლეთ მხარეზე ახსილით მოვრ-
დება, ძირითად მოცულობას სამხრეთ მხარეზე ეკე-
დერი გაუყვება. ეკედერი (გვიან ხანაში) მოშენებუ-
ლია ჩრდილოეთ მხარეზე. შენობა ამოყვანილია
ფლეთილი კვით ხსნარზე. ეკლესიაში ბევრი გვი-
ანდელი დროის გადაკეთებას კვლი მოჩანს. საკურ-
თხევის საკმლის თავზე მოთავსებულია ფილა,
რომელზედც წრეში ჩახშული ჭვარია ამოყვანილი.
XIX საუკუნეში ეკლესია შეუღესავთ და შეუღებია-
თ. იგი ერთ დროს მაჰუტავახტად ყოფილა გამოყენე-
ბული.

თბილისის შემოგარენის ერთ-ერთი სოფლის ტე-
რიტორიის სიახლოვეს დღეს ქალაქის ინტენსიურად
შენებარე საცხოვრებელი რაიონია. მასივი შენ-
დება „თბილქალაქპროექტი“ დამუშავებული პრო-
ექტის საფუძველზე. საცხოვრებელი რაიონისათვის
განკუთვნილი ტერიტორია (750 ჰა) მდებარეობს
თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირა, იმ ხე-
ყებს შორის, სადაც პატარა მდინარეები — გლდანი
და ლეჭამარა მოედინებიან. ჩრდილო-დასავლეთით მას
თიანეთის გზატკეცილი ესაზღვრება. პროექტის მი-
ხედვით საცხოვრებელი მიკრორაიონები განლაგე-
ბულია ხაზობრივად განვითარებული საზოგადოებ-
რივი ცენტრის ორავე მხარეს. ცენტრის საგრძემ
2,5 კმ-ს აღწევს. პროექტში ფეხით მოსიარულეთა
და ტრანსპორტის ნაკადები სხვადასხვა დონეზეა ნა-
გულიანო. ტრანსპორტი გაივლის საგანგებო ტრან-
შეტში, რომელიც ტროტუარებთან შედარებით მ
მეტოით იქნებიან ჩაღრმავებული. სატრანსპორტო
არტერიებს უოველ 500 მეტრზე განსტობები ექნე-
ბათ, რომლებიც ტერიტორიას რვა მიკრორაიონედ
დაყოფენ. ამასთან, ტრანსპორტის ნაკადები ერთმა-
ნეთს არ გადაკვეთენ. ზედა დონე არქიტექტორთა
ჩანაფიქრით წარმოადგენს ტროტუარების, გადასას-
ვლებლების და ბოკერების (პატარა ხიდები) სისტე-
მას, რომელიც მთლიანად განკუთვნილია მოსახლე-
ობის მომსახურებისთვის.

საცხოვრებელი რაიონის განაპირას (ჩრდილო-აღ-
მოსავლეთით) არსებული ტბის ირგვლივ გათვალის-

წინებულია სერტო-საქალაქო მნიშვნელობის ვრცე-
ლი პარკის შექმნა.

ხსენებული რვა მიკრორაიონის გარდა, რომლე-
ბიც „აინჰოლი“ გრძივა ცენტრის გაყოლებით, გა-
თვალისწინებულია მეცხრე მიკრორაიონის შექმნაც
არსებული ორსართულიანი სახლების რეკონსტრუქ-
ციის ხარჯზე.

მიკრორაიონებს მოცულობრივად გასწავრებით
წიობა დაფუნებულია ვრცელი ეზოების გარშემო, სა-
ცხოვრებელი სახლების ჭრუფების სივრცითი ორგა-
ნიზაციის პრინციპზე. მიკრორაიონებს კვეთენ ხეი-
ვნები, რომლებიც გადასასვლელი ხიდების მეშვე-
ობით საცხოვრებელ ნაწილს საზოგადოებრივ ზო-
ნასთან აკავშირებენ. კომპოზიციურ აქცენტს 16-
სართულიანი სახლების მოცულობები შექმნიან.

დამარქტებული საცხოვრებელი რაიონი გათვა-
ლანწინებულია 147 ათას მაცხოვრებელზე.

გოლნიკინის პროსპექტი — სე ეწოდებოდა გა-
სულ საუკუნეში და ჩვენი საუკუნის დასაწყისში
თბილისის მთავარ ქუჩას — დღევანდელ რუსთავე-
ლის პროსპექტს.

პროსპექტის ნაირსახოვან არქიტექტურაში ად-
ვილად იკითხება მისი ჩამოყალიბების ძირითადი
ეტაპები.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის
1755 წლის გეგმაზე დღევანდელი პროსპექტის ხაზზე
დიდძის გზა გადიოდა, რომელიც ქალაქის გაღვივების
კარბიკესთან იწყებოდა. მხოლოდ ამ გზის აღმოსავ-
ლეთით, ფერდობზე აქვს აღნიშნული ვახუშტის დასა-
ხლებული უბანი ე. წ. „გარეთუბანი“. ეს უყანასწინე-
ლი ვრცელდებოდა დღევანდელი პროსპექტის, ლენინ-
ის მოედნის, კოლმურწუნობის მოედნისა და გორკია-
შვილის ქუჩას შორის. გზის გასწვრივ არსებულ დიდ
შენობათაგან ვახუშტი აღნიშნავს არაგვის ერისთავი
სასახლის და წმინდა გიორგის სახელზე აგებულ. გა-
ლაყვანებო შემოღულულ სამ ეკლესიას: სიბუსის
(ქაშოანთ), კალოუნისა და ქაშუთის. ქაშუთის
წმინდა გიორგის ეკლესია განაპირა ნაგებობა იყო გარ-
ეთუბანში. ქაშოანთ ეკლესიას აშუამინდელი საქართვე-
ლოს მუხუთუმის გვირდით მდებარე ტერიტორია ეკავა.
იქ, სადაც ახლა მასიური საცხოვრებელი სახლის კეთ-
ხეს მომრგვალებული, სვეტიცარაინი დოქია ქმნის. კა-
ლოუნის ეკლესიის ადგილას დღეს რუსთაველას
სახელობის კინოთეატრია. გზის გადაღმა კი ვახუშტის
გეგმაზე მხოლოდ ციციშვილების სახლია ნაჩვენებ
დასახლებობით ახლანდელი კავშირგაბმულობის სახლის
ადგილზე).

1800 წლის გეგმა ფაქტურად ასახავს გვიანფორ-
მული ხანის თბილისის განაშენიანებას. როგორც ირ-
კვევა, საუკუნის მანძილზე გართუბანში დიდი ცვლა-
ლებები არ მომხდარა. დიდძის გზის დასაწყისში კვლავ
სამი ეკლესია აღნიშნული. აქ, ვახუშტის გეგმი-
საგან განსხვავებით, დასავლეთ მხარეზე მეფის ბაღე-
ბია ნაჩვენებია (ამ პაღების მეტრე ნაწილია შემორჩე-
ნილი პიონერთა სასახლის მიდამოებში). საცხოვრე-
ბული უბნები კი გეგმის შედგენის დროისათვის თით-
ქმის მთლიანად დაწვრთული იყო აღა-მამამად-ხანის
მიერ.

შემდგომ, 1802 წლის გეგმაზე, მომავალი პროსპე-
ქტის დასაწყისში უყვე ნაჩვენებია დიდი ზომის ადმი-
ნისტრაციული ნაგებობა — Правительственные ме-

ცა“ (დღევანდელი პიონერთა სახაზლის ადგილას). იგი შიდა ეზოს პერიმეტრზე მდგარი ორი კორპუსისაგან შედგებოდა და რამდენიმე თვეში იყო აგებული ადგილობრივი ოსტატების მიერ. 1807 წელს ამ ადგილას მთავარსარდლის ახალი სახაზლის წმენდლობა დაიწყო. ამ დროს ქუჩის ოფიციალური დასახელება ჯერ არ გაჩნდა. მას „რუსეთისაგან მიმავალი გზა“ ეწოდებოდა. გზის ინტენსიური განაშენიანება გასული საუკუნის ათიან წლებში იწყება. სახაზლის მოპირდაპირე მხარეზე, ოდნავ ირბიან, სტამბის და მაუტკვავტის შენობა აიგო. სახაზლის გვერდით კი შემადგენაზე (მთავრობის სახლის ზედა კორპუსის ადგილას) არსენალის ნასიური კორპუსი შენდებოდა. 1828 წლის გეგმაზე ამ ადგილზედ ორი მოედანია გაყოფილი — ნიკოლოზისა და ალექსანდრის. პირველი მთავანი სახაზლის წინ იყო მოწყობილი. ამ მოედნის ნაწილი დღეს საქართველოს ისტორიულ მუზეუმს უკავია, ალექსანდრეს მოედანი კი ქუჩის ნიშნულის გაცილებით დაბლა იყო, იქ სადაც ახლა კომუნარების ბაღია გაშლილი. ნიკოლოზის მოედანი გასული საუკუნის ოციანი წლების ქალაქის მთავარ მოედანად ითვლებოდა. აქ სხვადასხვა სახის საზეიმო ცერემონიალები, არაღმებო, ფერადეკები, დოდი ეწყობოდა ხოლმე. რომელიაწან წლებშივე განაშენიანდა ფაქტიურად არ გაცდენია მაუტკვავტის შენობას და დიღმის გზა ხევეთი გადასერილ მიდამოებში მიემართებოდა. შიდანი წლების გამოკვეთილი მშენებლობის ტემპის ზრდის ტენდენცია ამ გზასაც შეეხო. 1837-1838 წლებში აშენდა ვაჟთა გიმნაზია. 1845-1847 წლებში არქიტექტორ სემიონოვის პროექტით ყოფილი მთავარსარდლის სახაზლის ადგილას რუსული კლასიციზმის ფორმებში ააგეს ახალი სახაზე, რომელიც მოგვიანებით (1865-1867 წლებში) ძირფესვიანად გადაკეთდა.

XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისათვის პროსპექტი ორივე ნაწილზე მოშენებული იყო ყოფილ მოსკოვის საგუშაგომდე (აწინდელი მოსკოვის ქუჩის დასაწყისი). ორმოცაიანი წლებიდან „რუსეთისაგან მიმავალ გზას“ მთავარმართებლის გოლოვინის სახელი უწოდეს.

მინის ნაკეთები გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ მხოლოდ მეფის ნაცლის განკარგულებით რიგებოდა. ეს წესი არ შეცვლილა ქალაქის თვითმართველობის დადგენის შემდეგაც. პროსპექტზე სახლებოდნენ მეფის მოხელეები, თავადაწაურბობა, სამხედრო პირები, პროსპექტის კეთილმოწყობა ორმოცაიანი წლების ბოლოს დაიწყეს.

1848 წელს დააფინეს ტროტუარები. გაშენდა ხეივანი. 1862 წელს გაიყვანეს წყალხაფენი. წყალს მტკვრიდან ქაჩავდნენ ორთქლის მანქანით.

პროსპექტის განაშენიანება მკვეთრად იცვლის სახე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. პროსპექტის გასწვრივ შენდებოდა მონუმენტური საზოგადოებრივი შენობები, რომლებიც ძირფესვიანად ცვლიან მოშენების მასშტაბს და ქუჩის მეტ იმპოზანტურობას ანიჭებენ. ამ შენობათა შორის აღსანიშნავია ორსართულიანი მუზეუმის შენობა პროსპექტის დასაწყისში, რომელიც 1910 წელს დაანგრის ახლანდელი მუზეუმის მშენებლობისათვის. ამ წლებში პროსპექტის ახვე მხარეს შენდებოდა „დიდების ტაძარი“ (ახლა — სამხატვრო გალერეა). სასტუმრო „მავესტია“ (სასტუმრო „თბილისა“), არტისტული საზოგადოების შენობა (რუსთაველის სახ.

თეატრი), სახაზინო თეატრი (ოპერის თეატრი), მოპირდაპირე მხარეზე გამოირჩეოდა მეფისნაცვლის სახაზეული (ახლა — პიონერთა სახაზლე), ესენი-საუკუნის კრეუკო“ (დღეს — ოფიცერთა სახლი). XIX საუკუნის დასასრულისათვის პროსპექტის სიგრძეში ბატონობდა, კავკასიის მხარის დასაწყისის აღსანიშნავად აგებული, ალექსანდრე ნეველის სახმედრო ტაძარი. შენობა იდგა გუნების დიდებულე, მონაწივეთე, რომელიც დღეს მთავრობის სახლის კორპუსებს უკავია, მისი მშენებლობა 1871 წელს დაიწყო და 1897 წელს დათავადდა. ნაგებობა: პროფესორ დ. გრომის პროექტით, იმდროინდელ რუსეთში გავრცელებული „ბერსნულ-ბიზანტიური სტილიში“ იყო განხორციელებული და საქმიად მონიტარული ფორმებისა და პროპორციებისა გახლდათ. პროსპექტზე აგებული შენობების ტიპისტური მრავალფეროვნება ნაშენდობები იყო იმ პერიოდისათვის პროსპექტზე და მის მიმდებარე უბნებში დასახლება დაიწყო წელსგამავრებული პერიუალის წარმომადგენლებმა. იმ დროის საცხოვრებელი სახლებიდან გამოიყოფოდა 1872 წელს არქიტექტორ ზაღმანის პროექტით აგებული ზუბალაშვილის სახლი პროსპექტისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში. სახლი, გადაკეთებული პირველი სართულით, შემონახულია. ასევე აღსანიშნავია საცხოვრებელი სახლი (1877 წ.), რომელიც დაანგრა კავშირგაბმულობის სახლის მშენებლობისას.

80-იან წლებში გოლოვინის პროსპექტზე ერევნის მოედნიდან ცენტისწეიანი რკინიგზა — ე. წ. „კონკა“ გამოიყვანეს, რომელიც მოსკოვის საგუშაგოსთან ვერ დაღმაროზე უხვევდა. 1905 წელს „კონკა“ ტრამვაიმ შეცვალა.

პროსპექტი იერს იცვლიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. რადიკალურ ღონისძიებებს მიმართეს მის კეთილმოწყობად. ოცდაათიან წლებში გაფართოვდა ყოფილი სახაზლის ქუჩა რომელიც ვიწრო უკლს ქმნიდა პროსპექტისა და ერევანისკის მოედნის შორის (პიონერთა სახაზლის ბაღიდან მოედნაზე). ამის შედეგად პროსპექტი უშუალოდ შეერთოდა მოედანს. ქუჩიდან აიღეს ტრამვის ხაზები კეთილმოწყობისა და გამწვანების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა 1965 წელს (არქ. ა. ბაქრაძე). პროსპექტის მასშტაბის და არქიტექტურული სახის ჩამოუაღიებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მონუმენტური შენობის აგებას, როგორცაა მთავრობის სახლი, მარქსისტულ-ნიშნის ინსტიტუტის ფილიალი, ტელეგრაფი, კავშირგაბმულობის სახლი, სასტუმრო „ვიქტორია“, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს პროსპექტის იერი.

ბრძეში ბზზარნი — გრძელ ბაზრის უწოდებს შარდენი (XVII საუკუნის 70-იანი წლები) სახლოსონებისა და სავაჭროების რიგებს, რომელთაც ქართული წყაროები რას ტაზარად იხსენიებენ, იგი მდებარეობდა დღევანდელი სიონისა და ერეკლეს ქუჩების ზაზუე და ბატონის მოედნთან კარბიით მთავრდებოდა. (იხ. რას ტაზარა). დბბბ (ლ) ბბბბ. შუა საუკუნეების თბილისში დაბადების (მეტყვეებას) საწარმოები განლაგებული იყო წყისისწყლის ქვედა დინებაზე, მის შესართავთან მტკვართან. დღეს წყარისის წყლის ქვეში წარმოიბოლებოდა მოცულობითი (გვარგასხლის მოედნის სახრეთ-აღმოსავლეთით, აბასოებ-



ვერის ხიდი

ის უბანში). დაბადები აქ ტყავს აღბობდნენ და გამოსაქნელად აშვადებდნენ. ტყავის წარმოება თბილისში უძველესი დროიდან მოდის. დაბადების რიგების ადგილმდებარეობის გამო წყვილისწყლის ქვემო წელს და მიმდებარე მცირე ტერიტორიას „დაბახანა“ უწოდეს.

დაბლაპარი — ასე უწოდებდნენ თბილისის გალავნის ჩრდილოეთის კედლის ერთ-ერთ კარიბჭეს. რომელიც მტკვართან უშუალო სიახლოვეს იყო განლაგებული, მას სხვა სახელებიც ჰქონდა: „წულისკარი“, „ქვემო კარი ხილით“ (ვახუშტი ბაგრატიონი). იგი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც დღეს შავთელის ქუჩა გადის ბარათაშვილის ქუჩაზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე მეორის ზეობის ხანაში, თბილისის ფორტიფიკაციული ნაგებობის შეკეთებისას კარიბჭე გააუქმეს. სახელწოდება აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი ამ მხარეს გამოსულ სხვა (მოედნის, დიდშის, კოჭრის) კარიბჭეებთან შედარებით დაბლა იმყოფებოდა.

დედნისი — ამ ტოპონიმის ძირის — „დედი“ მნიშვნელობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მას აზერბაიჯანულ სიტყვა „დედი“-სთან აკავშირებს, ზოგიერთი კი იმ აზრისაა, რომ (ვინაიდან ეს ტერიტორია ძველ დროს ტყით იყო დაფარული) შესაძლოა, ახლანდელი დასახელება „ძველისგან“ მოდიოდესო. სხვები ფიქრობენ, რომ იგი „მდელოსგან“ უნდა მომდინარეობდეს.

დიდუბე — ადგილის დასახლება წარმოებულია ორი სიტყვისაგან — „დიდი დუბე“. ეს უკანასკნელი ვაქე ადგილს ნიშნავდა. საბა ასე განმარტავს თავის

„სიტყვათა კონაში“: „დიდუბე — დაბალი ადგილი“. ქართლის ცხოვრებაში დიდუბე მოხსენებულია თამარ მეფის ქორწილთან დაკავშირებით (1189 წ.), რომელიც მან დიდუბის ქალაქკართა რეზიდენციაში გადაიხადა, თუმცა ეს დასახელება უფრო ადრინდელ — IX საუკუნის სიგელშიაც გვხვდება. შუა საუკუნეებში აქ არსებობდა დასახლება, სადაც განლაგებული იყო მეფის სასახლე, ეკლესია, ბაღები და სარწყავი არხი. საქართველოში მოგზაურობისას (1770-72 წწ.) რუსეთის აკადემიის აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა ნახა ნაწარმები ციხე-სიმაგრისა, რომელიც XVIII საუკუნის 40-იან წლებში უნდა იყოს აგებული ლეიტანან დასაცავად. დაახლოებით იქ, სადაც ახლა „დინამოს“ სტადიონია, სოფელი დიდუბე გაუფართოვებს იწყებს ვახუშტი საუკუნის შუა ხანიდან. ადგილი განსაკუთრებით ინტენსიურად იწყებს განაშენიანებას XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დიდუბე თბილისის შემოუერთეს. 90-იან წლებში დასახლებამ რკინიგზის გადართობა. საბჭოთა ზემოქმედების დამყარების დროისათვის დიდუბე განაშენიანებული იყო საცხოვრებელი სახლებით, საწარმოო შენობებით, შემოსავლიანი და ე. წ. „მეზილირებული სახლებით“. აქვე იყო ახალდროში, ჩვენამდე მოღწეული დიდუბის ეკლესია 1814 წელს არის აგებული, ადრე (XVII საუკუნიდან) არსებული და დანგრეული დევისმშობლის ეკლესიის ადგილზე.

ორჯონიძის სახელობის პარკს არსებობის საუკუნუნაზღვრისათვის ისტორია აქვს (იხ. „მუშტილი“). პარკის სიახლოვეს 1915 წელს აშენდა „დინამოს“ სტადი-


ონი, რომლის არქიტექტურა სახეობა არქიტექტურის ისტორიაში დამკვიდრდა როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი სპორტული ნაგებობა. 1967 წელს დაიწყო სტადიონის რეკონსტრუქცია, რაც ფაქტურად ძველის ახალი შეცვლით დამთავრდა (არქიტექტორები ა. ქურდიანი და გ. ქურდიანი). სტადიონის პირდაპირ, ტელმანის ქუჩისა და პლენაროვის პროსპექტის კუთხეზე მთელი კვარტალი უკავიათ ე. წ. „ტრამვაელთა საცხოვრებელ სახლებს“. რომლებიც 1926-1928 წლებში აშენდა და პრაქტიკულად პირველ საცხოვრებელ კომპლექსს შეადგენდნენ თბილისში (არქიტექტორი დ. ჩიხლიძე). დიდუბეში აგებულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია აგრეთვე დიდუბის ხიდი, რომელიც უკიდრის ბორის მოძრაობის ხაზზე გაშენდა 1953 წელს იენიერ ვ. დიდის და არქიტექტორ ა. ქურდიანის პროექტით. თავისი არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურით უწრადღებს იყრობს ლუდსანა (არქიტექტორები რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი, თ. მიქაშაიძე, გ. მებრეველი), დიდუბის ტერიტორიაზე გაშენებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა საგაოფერო პავილიონები.

დრინაშა — ძველი ობლისის ბაღებს შორის აღსანიშნავია დირსიქალაც (ზოგჯერ მას დარსიქალაც უწოდებდნენ). იგი გაშენებული იყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ორთაქალის მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ ქვევით. მტკვრის დინების მოპირთულებით. ამ ადგილზე მთიანი რელიეფი უკან იხევს მდინარის კალაპოტისაგან და მოგვრძო ზევს ქმნის. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როდესაც XIX საუკუნეში ქალაქში იწყო ზრდა ნათლულისაგან, დირსიქალის ბაღები ჩაღუბდნენ დარჩა. თბილისის 1844 წლის გეგმაზე ნათლულში განლაგებული სამხედრო დასახლება უშუალოდ მოუახლოვდა დირსიქალას, მაგრამ მიყვება ხევის პირს. სამხედრო დასახლება იმ დროს ჭრე კიდევ

არ იყო შერწყმული სოფელ ნათლულთან. დასახლება დირსიქალას ჩრდილოეთისაკენ ესაზღვრებოდა, ხოლო სოფელი ნათლული კი — აღმოსავლეთისაკენ. ასევე უფრო გვიან (ჩვენი საუკუნის დასაწყისში) შედგენილ თბილისის გეგმაზეც, სახელწოდების მეორე ნაწილი „ქალა“ ადგილის წყლის პირას მდებარეობას მითითებს, რაც შეეხება დასახლების პირველ ნაწილს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით (თეიმურაზ ბერიძე, „...და, აღმოცენდა თინდისი“. თბ., 1977 წ.) იგი ზევს უნდა მინიშნებდეს. ეტიმოლოგიის ამგვარი გაშიფვრა სავსებით შეესატყვისება ადგილმდებარეობის ხასიათს.

დიღმის ზღა — დიღმის ზღა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო თბილისის არსებობის მთელ მანძილზე. მისი მეშვეობით თბილისი უკავშირდებოდა საქართველოს მრავალ კუთხეს, ჩრდილოეთ კავკასიას. თბილისიდან დიღმისკენ ზღა ორ კარიბედიან მიემართებოდა. ერთი მთგანის საწყისი დიღმის კარი იყო (ამჟამინდელი პუშკინის და ვერცხლის ქუჩის გადაკვეთაზე), მეორე კი — კოკრის კარი (ახლანდელი ლესელიძის ქუჩის ლენინის მოედანთან შერწყმის ადგილზე). დიღმის კართან ზღა ავანაათ ხევეს გადებულ ხილზე გასვლით, დაახლოებით დღევანდელი ძნელაძის ქუჩის დასაწყისის ხაზს მისდევდა. ზემოდან უფილდასპარტეს (კომუნარების ბაღის ქვედა ბაქანს), აწინდელი გორგაშვილის ქუჩის სწვრივად ზევით უხვევდა რუსთაველის პროსპექტისაკენ და აქ (სასტუმრო „თბილისის“ სიაღვრეს) უერთდებოდა კოკრის კარიდან რუსთაველას პროსპექტის გაყოფებით წაროსულ ზღას. შემდეგ ზღა მიუყვებოდა დღევანდელ რუსთაველის პროსპექტის და ლენინის ქუჩის ხაზს, კვლავ რამდენიმე ხეებს, ხილით გადადიოდა მდინარე ვერაზე, კვლავ მიუყვებოდა ლენინის ქუჩას, შემდეგ სააკაძის მოედანთან,

გორონკოვის ძეგლი მიხეილის (გორონკოვის) ხიდის მისასვლელთან



მკვეთრად ჩაიღოდა მტკვრისკენ და აღმა მიყვებოდა მდინარის მარჯვენა ნაპირს. შემდგომში ეს გზა საქართველოს სამხედრო გზის ხაწილი გახდა.

დიღმის პარი — ქალაქის ეს კარიბჭე დღევანდელი ვერცხლის და პუშკინის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე მდებარეობდა. აქედან იწყებოდა დიღმის გზის ერთ-ერთი განშტოება. დიღმის კარი აკავშირებდა კალას გარეთბანთან (კალაობანთან, ვანკის უბანთან, ასპარჯთან). აქ იწყებოდა ძველი თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტერია. იგი მიყვებოდა ვერცხლის და ლესელიძის ქუჩების ხაზს. დიღმის კარი უკავშირდებოდა კოჭრის კარს კვირაცხოველების (აწინდელი ევლიაბოვის) ქუჩით და მიედინის ანუ მუზრანის კარს — დღევანდელი ნავსიძის ქუჩით.

დიღმინი — ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილთაგანია თბილისის შემოგარენში. 1970 წელს დიღმის მიდამოებში დაწებულმა გათხრებმა შეტად ხანტერესო მასალა მისცეს სეპიალიტების (გათხრები გრძელდება). დიღმისწყლის მარცხენა ნაპირზე მთის ძირას ნაპოვნია სხვადასხვა სახის კურკელი, ქვიზა და თიხის ნაკეთობანი, რომლებიც საშუალებას იძლევათ თვლით გვაადგენოთ ენოლოგიისა და ადრეპროტოზოის ხანის კულტურის შენაცვლება. გვიანპროტოზოის ხანის (II ათასწლეულის მეორე ნახევარი და პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარი) ვრცელი დასახლება წარმოადგენდა მთის სამხრეთ კალთაზე 1,5 კილომეტრის სიგრძეზე ტერასულად განლაგებულ განიშენიანებას. დიღმის მასივში აღმოჩენილი სამარხი ზრავალურიანი და რამდენიმე ათეული პეტტარი უკავია უშარბინჯაოს ხანის ურობანთან ერთად ნაპოვნია გროუნდის სამარხები ელინისტური და რომაული პერიოდებისა. იმ ფაქტს, რომ დიღმის ველი და მალღობი შემდგომ ეპოქებშიაც იყო დასახლებული, მოწმობს ადრეფეოდალური ეპოქის დასახლების ნაშთები და გვიანფეოდალური დროის სამარხები. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა იმას მოითხოვს, რომ ამ ადგილას, გვიანპროტოზოის ხანიდან დაწყებული, განუწყვეტლივ არსებობდა დიდი დასახლება.

დიღმი ძლიერ გამაგრებული პუნქტი უნდა ყოფილიყო მცხეთის მისასვლელთან. მას იხსენიებს ქართული მტკიცე. „ხოლო ვახტანგ განაძლიერნა ციხე ქალაქი, და ურჩუდუხეს მებრძოლნი ერისა მისიას ვითარ ასი ათასი მხედარი, და ასი ათასნი ქვეითნი იპურა მის თანა, და დაუბანაჲ მათ დიღმით ვიდრე ქართლის კარამდე“. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილებში ლაპარაკია ვახტანგ გორგასლის მზადებაზე სპარსელებთან საბრძოლველად. დიღმი აგრეთვე ნახსენებია ბაგრატ მეოთხის შესხედარის ცერემონიალის აღწერისას: „წარმართა ტფილისად, და მოეგებნენ ქალაქის ბერნი ტფილენი დარბაზისა ყმანი, ცხენოსანი დიღმის ველსა, და ყოველი ქუენით დაკაშული, და დიდთა სიძრავლე იყო მიედანს“. დიდი თურქობის დროს დიღმისა და ავკლასი იდგნენ მოთარეშეთა რაზმები. XIX საუკუნემდე დიღმი მეფის მამულად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ იგი მებრან-ბატონების ხელში გადავიდა.

თბილისის განაშენიანება თანდათან იპურებს დიღმის ველს. დიღმის საცხოვრებელი მასივის მშენებლო-

ბა 1960 წელს დაიწყო (არქიტექტორები კ. კობახიძე, ნ. შიქაძე, ი. მოსულიშვილი, ი. ჩხენკელი). დიღმის ხრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დადგობის ხილის ოდნავ მაღლა გამოიყო 270 მ. აქედან დაიწყო ქალაქის 150 მ. ეთმობა საცხოვრებელი უბნებს. ხოლო დანარჩენი — პარკს, სპორტულ ბაზარს, კინო-ქალაქს. მასივის კომპონიციურ დერის წარმოადგენს 50 მეტრი სიგრძის ხეივანი, რომლის ორთავ მხარეზე დაიპოქტდა 4 მიკრორაიონი და 2 კვარტალი. ორი ხეივანის შესაყარზე იკმნება საზოგადოებრივი ცენტრი.

სოფელ დიღმში და მის გარშემო რამდენიმე ეკლესიაა. სოფელში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს დგას დიღმის წმ. გიორგის ეკლესია. იგი X-XI საუკუნის ზღვარზეა აგებული, თუმცა გარე სახე გადაკეთებული უნდა იყოს XVI-XVIII საუკუნეებში. მცირე ზომის შენობა ოქანობიანი სახურავით არის დახურული. კედლები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. განსაკუთრებულ უურადღებას იპურებს გზისავე მიმართული სამხრეთის ფასადი, სადაც კედლის წყობაში დეტალიანი ორნამენტით და წარწერებით დაფარული ფილები.

დიღმში და მის ირგვლივ ასევე წმინდა გიორგის სახელზე აგებული სხვა ეკლესიებიცაა. ეკლესია „თეთრი გიორგი“, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულ მთას აკვირვინებს. XIX საუკუნეშია აშენებული. დიღმის მისადგომებთან, მცირე ხევის ნაპირზე დგას ონდრის წმ. გიორგის ძლიერ დაზარალებული მცირე ეკლესია. იგი X საუკუნით თარიღდება. ამავე საუკუნეშია აგებული ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას განლაგებულ სასფლაოზე. თვით სოფელში მდგომი კვირაცხოველის ეკლესია XIX საუკუნის ბოლოს აშენდა და რამე მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს.

მლიზის უბანი — ელია ამ ილია ქართულ ღვთაებათა პანთეონში განაგებდა წვიმას, სეტყვას, ქვიპქუხელს. პლატონ იოსელიანის ცნობით, ადრე მასათა მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელზე აშენებული სალოცავი იდგა. იგი შესწრებია ამ ეკლესიის ნაშთებს. მისივე ცნობით აქ 20 ივლისს წმინდა დღესასწაული იმართებოდა ხოლმე, ამ ეკლესიიდან უნდა მოილოდეს უბნის დასახლება. რომელიც განლაგებულია თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რკინიგზის გადაღმა, კიბაღჩიის ხევის აუცილებით;

მარშანდის მიწაღანი — თბილისის მთავარ მოედანს ადრეობით საუკუნუნსებრის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. გალავნის კედელი დაანოღებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთი მხარის განაშენიანების ზაზს გასცევდა (ოდნავ სიღრმეში, და პუშკინის ქუჩის მიმდებარის სწვრივად ეწეებოდა. იმ დღეებში კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერქმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი („კოჩის“) კარიბჭე იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი მთავანი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (აწინდელი რუსთაველის პარკიქების სახეზე), მეორე კი კოჭრისკენ — დღევანდელი კოროვის ქუჩის გაყოლებით. მინდორს სოლოლაკის (გვიან — ავანანთ) ხევი სვრავდა. ხევის სოლოლაკის ქედის ფე-

რღობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკრი-სკენ.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის პლაცონ იოსელიანის ცნობით, დევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმი, XVII საუკუნის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა. იგი საქმეოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე საღვრის მოცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას.

ვახუშტისა და XVIII საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თაღებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით აქ იყო მეფის, დედაფლის და მამასახლისის ბაღები, ხოლო პაშჩეივის 1735 წლის გეგმაზე მეფის და დედაფლის ბაღების გარდა გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბაგრატიონს ამ ადგილებზე ერთადერთი ქარვასლა აქვს ნახვებები, რომელსაც იგი „ბეიანოს ქარვასლას“ უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა, სადაც ქალაქის აღმასკომის შენობაა.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. დღევანდელი მოედნებ-ერთობრივ ნაგებობის გარდა, გასულ საუკუნეშია ჩამოყალიბებული და სტილისტურად საქმიოდ კრეული სურათი წარმოვადგება. აღინიშნულ შენობათაგან ჩვენამდე მიაღწია 1824 წელს აგებულმა კავსიის ორბუსის შტაბმა. შენობის არქიტექტურა რუსული კლასიციზმის ნიშნებს ატარებს. მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის სწვრივად ერთ-ორ სართულიანი სახლიც აშენდა, იმდროინდელი თბილისისათვის და-ბახიბათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აუტრული ორნამენტებით შემკობილი შეკიდული მოაჭი-რები და ტიშანები ამშვენებდა. ერთ ასეთ სახლი-ს, რომელიც ამჟამინდელი მეგობრობის მუზეუმის ადგი-ლის იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩრე-ბულა. ეს სახლები XIX საუკუნის შორე ნახევარში სხვა ნაგებობებმა შეცვალა, რომელთა დიდი ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია.

1825 წელს იაკობ ზუბალაშვილი თურქესტანშივი-ლისაგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე, მოედნის ჩრდი-ლოეთ მხარეს სასტუმროს აშენებს. მოგვიანებით, 1838 წელს, შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სა-სულიერო სემინარიისა და სინოდის განსაოავრებლად. დღეს ამ შენობაში ხელოვნების მუზეუმი. ეს შენო-ბაც რუსული კლასიციზმის ფორმებშია აგებული.

იმ ადგილას, სადაც ახლა მცირე სკვარია შემორჩე-ნილი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში და შემდგო-მშიაც გასაყიდად მოტანილი შემოთ დატვირთული ურ-ების გასაჩრებელი იყო. კვირაობით მოედანზე დიდი ბაზრობა იმართებოდა. 1885 წელს აქ ხეივანი გაშენ-და, რომლის ნაწილი დღესაც ამშვენებს აქაურობას. ალექსანდრე პუშკინის ბიუსტი კი ამ ხეივანში მოკან-დაურ. ზოდოროვიჩმა დაადა 1890 წელს.

1829 წელს რუსი გარის ბერ თურქეთთან ომში ერევნის ციხე-ქალაქის დალაშქრის აღსანიშნავად ქარის სარდალს პასკევიჩს ერევნის გრაფის წოდება უბოძეს. ხოლო თბილისის მოედანს „პასკევიჩ-ერევან-სკის“ სახელი უწოდეს. შემდგომში, სიმოქლისათვის

მოედანს „ერევანსკის“ სახელია შერჩა. ამის შემდეგ მოედანმა რამდენჯერმე იცვალა სახელწოდება.

გასული საუკუნის შენობათაგან, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრისა და ქარვასლის ნაგებობა. იგი საქმიოდ მო-ნუმენტური იყო და ბატონობდა მაშინდელი პასკევიჩ-ერევანსკის მოედნის სივრცეში. არქიტექტორ გოვან-სკედეიგის პროექტით თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1847 წელს. 1851 წლის 12 აპრილს იგი საზეიმოდ გახსნეს. შენობის დაგეგმარების თავისებურება მშენებ-ლობის სიძობებით იყო ნაქარახვევი. მეფის საზნა-უარს ამბობდა თეატრის მშენებლობისათვის საქირო სახსრების გაღებაზე. გამოსავალი მანძი მოიძებნა მიწარტის კერძო პირებს წინადადებით, რომ თეატრ-ის გარდა შენობის დიდ ნაწილში საეკრებო მითავა-სდებოდა. ამასთან, მალაზიები ამ პირების კერძო სა-კუთრებაში რჩებოდა, ხოლო თეატრი კი ქალაქს გა-დაეცემოდა.

ალექსანდრე დიუმე, რომელიც 1879 წელს ეწვია თბილისს, აღნიშნავდა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე მე თითქმის ყველა თეატრი მოვიჩანებულე. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება სილამაზით თბი-ლისის თეატრს“.

თეატრს არსებობის მეტად ხანმოკლე ისტორია აქვს — ოდესამე სეზონი. 1874 წლის 11 ოქტომბერს, როდესაც თეატრს ოპერა „ნორმა“ მიდგოდა, შენობას ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. 1875 წელსვე თეატრი აღარ აღდგენილა. შენობა მთლიანად დაეთმო ქარვა-სლას, რომელიც მოედნის შუაგულზე იდგა და მას რა-მდენიმე ქუჩად ყოფდა. ერთ-ერთ მათგანზე „კონის“ გაჩრებდა იყო.

მოედნის ერთი მხარე უკავია კოშკით დაგვირგვინე-ბულ თბილისის საბჭოს აღმასკომის შენობას. იგი აშე-ენდა გასული საუკუნის 30-იან წლებში და ამის შემდეგ რამდენჯერმე გადაკეთდა. 1875 წელსვე ამ შენო-ბაში ქალაქის უფროსი პოლიციმეისტრის კანცელარ-ია და პოლიციის განყოფილება იმყოფებოდა. 1878 წელს გამოცხადდა კონკურსი შენობის „საკლავო სახლად“ („Городской дом“) გადაკეთების პროექტზე.

გამიარკვა არქიტექტორ შტერნის პროექტმა. არ-ქიტექტურაში ასახულია იმ დროისათვის დამახასიათე-ბელი ტენდენცია ე. წ. „ეგზოტიკური“ სტილის შექმ-ნისა. 1910 წელს შენობა დააშენეს. ხოლო 1912 წელს გააფართოვეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოც-დაათიან წლებში დაიწყო მოედნის ძირფესვიანი რე-კონსტრუქცია. სამწუხაროდ, რეკონსტრუქციამ იმსხ-ვერპლა ქარვასლის მონუმენტური შენობა.

1935 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურაძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით; არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხერინაშვილი, შ. ყავლაშვილი).

შპპ — თბილისის ამ ვრცელმა უბანმა სახელწო-დება ადგილმდებარეობის ხასიათის გამო მიიღო „ვა-კე, ქუყყანა ბრტყელი“ (საბა). იგი იფარგლება სამხ-რეთ-აღმოსავლეთიდან ვარაზისხევით, ჩრდილოეთიდან მდინარე ვერეთი, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთი-დან მაღლობებით.

XX საუკუნის დასაწყისისათვის წყნეთის (აწინდელია მელიქიშვილის) ქუჩის განაშენიანებამ მიაღწია ვარა-



აელაბრისა და მეტეხის ხიდები. წინა პლანზე — ე. წ. „თივის ბაზარი“.

ხისხევს, რომელსაც მცირე ხიდი იყო გადაებული. თბილისის 1904 წლის გეგმაზე ხევის გაღმა ზოლიად სათავადაზნაურო კომანდოს შენობა აღნიშნული (ახლა — უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი). საუკუნის დასაწყისში გიმნაზიიდან დიდ მანძილზე შენდება სასულიერო სემინარია (გვიან აქ დიდი ხნის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო განთავსებული, ახლა — საავადმყოფო), ზოლო ნაკეთი, რომელიც ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტს უკავია; კადეტთა კორპუსისათვის გამოიყო. ვაკის უბანი თბილისის 1907 წელს შემოუერთეს.

ვაკის ინტენსიური გაშენება საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. დიდი ხნის განმავლობაში ეს ვრცელი უბანი თბილისის ცენტრის მხოლოდ მედიკო-ვილის ქუჩით უკავშირდებოდა. ახლა იგი გმირთა მოედანზე გადის უარყო ქუჩით, რომელიც ხევის შუესების ბარჯზე წარმოიშვა. დღეს ვაკე თბილისის ერთი დიდი საცხოვრებელი რაიონია. ამავე დროს აქ თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლები, კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულებები.

თბილისის გამწვანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო გამარჯვების პარკის მშენებლობა 1946 წელს. (არქიტექტორი გ. დგებუაძე, დირექტორი გ. ნ. ციციშვილი).

ვანკის მონასტარი — იხ. „ხოჯავანკი“.

ვანკის ზსკვლავი — სომხური სასაფლაო. რომელსაც დღევანდელი კოლმეურნეობის მოედნის

ტერიტორია ეკავა სომხურ მონასტრს (ვანკს). ვანკის უბანსა და ასპარუზს (აწინდელ კომუნარების ბაღის ქვედა ბაქანს) შორის.

ვანკის უბანი — უბანმა სახელწოდება მიიღო სომხური მონასტრის — „ვანკის“ გამო. ადგილი გარეთებუნში მდებარეობდა და ვანკს (იგივე „უაშა-ვანკს“), ეკვროდა. დაახლოებით ის უბანია, რომელიც დღეს ვრცელდება საკოლმეურნეო ბაზრის შენობას, პრესისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის. თბილისის 1800 წლის გეგმაზე იგი ციურით VII არის აღნიშნული («Предместье Ванკის Уბანი»).

ვარზაჩხეძი — თბილისში ბევრია ქუჩა. განსაკუთრებით მტკვრის განივად ვანლაგებული. რომლებიც ხეებებს ამოხეების შედეგად წარმოიშვა. მათ რიცხვს ვარაზისხევიც ეკუთვნის. ხევის ამოხეება 50-იან წლებში დაიწეს და აღმართი 1957 წელს ჩადა მწყობრში. მან უმოკლესი გზით დააკავშირა ვაკის ურცელი უბანი გმირთა მოედანს და მისი მეშვეობით ხაღურსა და სანაპიროებს.

ვარდისუბანი — ვერის უბანში მდებარე ადგილია ახლანდელი მედიკო-ვილის ქუჩასა და სემონოვიკის დასახლებას შორის. ადრე ერთ-ერთ ქუჩასაც (ამჟამინდელ განაშენის ქუჩას) ვარდისუბანისა ერქვა. ადრე აქ ამავე დასახლების სოფელი იყო. არსებული ცნობებით, ეს ტერიტორია ასეილის ბუჩქნაობით

ყოფილა ადგარული და ალბათ, სწორედ ამიტომ მიიღო ეს პოეტური დასახელება. ქალაქური განაშენიანება აქ გასულა საუკუნის 80-იან წლებში ისახება.

ვარდისუბანი ავლაბაშიც ყოფილა, რომელსაც ვერძან ძალღლითი უწერს მკვივა.

ზსულიჯპარი — ყოფილი სოფელი, დღეს თბილისის ერთ-ერთი მშენებარე უბანია. ახალშენს უკავია მიწის ფართობი 250 ჰექტარზე თბილისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონსა და სოფელ დილმის შორის. ჩრდილოეთიდან დიდუბისწყალი სასაზღვრავს, აღმოსავლეთიდან დასრუტებული რაიონი საქართველოს სამხედრო გზაზე ვაკრცილებდა, დასავლეთიდან მას ემეზობლება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიები. რაიონის დაგეგმარების პრინციპზე გადაწყვეტილი გავლენა იქონია ღრმა ხევიანი დასერილი ნაპირული განაშენიანება რელიეფში. ცენტრალური ზონა განუყოფელია დასვენების ზონისთვის და უკლებიერულ-საყოფაცხოვრებო მოსახურების დაწესებულებებისათვის. ტრასული განაშენიანების ფონზე ვერტაპულურ აქტივობას შექმნიან მდლივი უბნების ცაუფები. რომელიც ვაშლიჯვარი კი, რომელმაც სახელი მისცა ახალ საცხოვრებელ რაიონს, მის აღმოსავლეთ ნაწილში მოქცა.

ზერა (ზერა) — მდინარე ვერს ქვეა წელზე განლაგებული იყო სოფელი ვერე (ვერა) და გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით, ვერეს ადრე სვირეთი რქმევია: „ხოლო კოტის ჩრდილოეთ კერძ არს სვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე... დროთა განმავლობაში სვირეთი (სვირეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს ტერიტორიას მდინარე ვერეს ქვედა დინდთან თითქმის ელბაქის დაღმართამდე, ყოველ შემთხვევაში, ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ „ლურჯი მონასტერი“ ვერეს ფარგლებში იდგა. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნო გზა, რომელიც აწინდელ ხანათა მოედანთან ძველი ვერის ხიდით კვეთდა მდინარეს. ვერეს ფარგლებში ეს გზა აშენდებოდა ლერიანის ქუჩის ხაზს მიკვებოდა. ამ უბანში მეორე გზა — წყნეთის გზაც გადიოდა, რომელიც დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩის ტრასას იყო თანხვედრილი. ვერის ინტენსიური განაშენიანება გასულ საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და უკვე საუკუნის ბოლოს ქალაქურმა სახლებმა ვერის სასაზღვრავს (ვარაზისხევს) მიადწიეს.

ზერის ზსლი — ძველად ხეხილის ბაღები, ვენახები და ბოსტნები ვრცელდებოდა ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს მტკვართან შესართავამდე. უმეტესად ბაღების ნაწილი სასაფლაოს დაეთმო. 1895 წელს, როდესაც ქალაქურმა განაშენიანებამ დაიპყრო ვერისუბნის დიდი ნაწილი, ეგზარქოსის თანხმობით ქალაქის გამგებობამ სასაფლაო გააუქმა და ბაღის გაშენება დაიწყო (დღევანდელი კიროვის სახელობის პარკი).

ზერის ხიდი — გვირგვინი მოედნის რეკონსტრუქციამდე კარგად მოჩანდა უძველესი, ჩვენამდე მოღწეული თბილისის ხიდავანი. იგი XVII საუკუნის შუა ნაწილში ააშენა თბილისის ზარაფხუბუცისმა ზოგა ბეჭებუდამ. ამ ხიდს იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი: „ვერასა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტიკრისა“.

დაახლოებით 6 მეტრის სიგანის და 70 მეტრის სიგრძის ხიდი თანამდინარე იყო. ამასთან, მალევე სხვა-

დასხვა ზომისა იყო. უძველეს დიდი მალი შიშ მეთრას აღწევდა. ხიდი სიღამაზით გამოირჩეოდა მტკვრისპირის მხრიდან სამ მალს ისრისებური. მტკვრისპირის მალს ნახევარწილილი მოხაზულობა ჰქონდა. ხიდი ნაწილობრივ გადაკეტილი 1845 წელს. 1932 წელს მისი გვერდით ახალი განიერი სამშლიანი სახილო ნაგებობა ააგეს და უძველესი ვერის ხიდი ბუდის ამარა მიატოვეს. ვერის ხილს უწოდებდნენ აგრეთვე მტკვარზე გადებული ხიდს, რომელსაც შემდგომში ელბაქისისაც ეძახდნენ. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან საკრძობო გახდა ხიდების უსმარისობა მტკვარზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის ზრდით, მრეწველობის და ვაკრობის განვითარებით, რკინიგზის მშენებლობით, ახალი უბნების აღმოცენებით მდინარის ზედა დინდებაზე. არსებული რამდენიმე ხიდი კი საკმაოდ დიდი მანძილებით იყო დაკლებული. 1885 წელს გაიხსნა ახალი ვერის ხიდი (დღევანდელი ელბაქისის ხიდის ვილიზე), რომელიც წარმოადგენდა ქვის ბურჯებზე გადებულ ლითონის ფერმებზე მოწყობილ ფიცარფენებს. იგი დაპაროქტა ქალაქის არქიტექტორმა. ინჟინერმა უმანსემ, ხიდის მშენებლობას მოუვა ქალაქის საზოგადოებრიობის ვაცხოველებული კანთა. უმრავლესობას მიანდა, რომ პირველყოვლისა უნდა აგებულიყო მუხრანის ხიდი (იგი აშენდა მხოლოდ 1911 წელს). თვლიდნენ (როგორც ჩანს, სამართლიანადაც), რომ ვერის ხიდი უპირატესობა გააძლიერებული ყორღანოვისა და როტინოვის მეცადინეობით მიანიჭეს. ისინი ფლობდნენ ხიდის სახლოვეს გაშლავებულ მიწებს და, ცბადია, მათი ღირებულება მკვეთრად აიწვედა ხიდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ვერის ხიდის მნიშვნელობა განსაკუთრებით აიზარდა მის შემდეგ, რაც ახალი ქუჩა — ვერის (აწინდელი ელბაქისის) დაღმართი გაიჭრა. ამით უახლოესი კავშირი დამყარდა გოლოკონის პრესბიტერს, ვერის ვრცელი უბნის მარჯვენა ნაპირის უბნებს შორის და რკინიგზის სადგურთან.

ვერის ხიდი, რომლის სიგანე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ჩვენი დროს აღარ აშენდებოდა თანამედროვე მოთხოვნებს და 1911 წელს დაიწყო ახალი სამშლიანი ელბაქისის ხიდის მშენებლობა, რაც 1912 წელს დღევანდელი დამთავრდა (ინჟ. გ. ჩიმაშიძე აქ. მ. მელაია).

ზერის ხიდი — დასახელება ასახავს შუა საუკუნეების ქალაქის ტრადიციას ხელოსანთა დარგობრივ განლაგებაზე ქუჩებსა და უბნებში. ადრე ამ ქუჩაზე ნაპარკავებულ იყო ოქრომკედელთა რიგები („ზარგარხანის“) დიდი ნაწილი. ამასთან, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის ქუჩების ქსელში. იგი უშუალოდ აკავშირებდა დიღმის კარს შუა ბაზართან (დღევანდელი ლესელიძის ქუჩა).

ზვიძი — ვეფხის თბილისის ჩრდილო-დასავლეთ მიდებარე სოფლის სახელწოდებაა. როგორც ჩანს, ამ ადგილებში მთავრად თუ მალაზე წყლები იყო — „მოქმევი წყარო ბუნებით“ (საბა). სოფელი მდებარეობდა აწინდელი კანდელაკის ქუჩის მიდამოებში.

ზვიძინი — გლდანიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ნასოფლარი ვეფხის. „ვეფხისხევის“ სახელწოდებას ატარებს დიღველის მთამდე ვაკრცილებული ხევი და გარშემო მთები. ვეფხის მიდამოებში არსებული არქიტექტურული ძეგლები იმავე მიუთით-



ებენ, რომ ეს ადგილი დასახლებული იყო ადრე შუა-საუკუნეებში. გლდანში შემალეხულ ადგილს დღესაც ვეკინისუბანს უწოდებენ.

ვეკინის მიდამოებში რამდენიმე ძველია. ვეკინისბენის დასაწყისში, შოთის კალთაზე ძველი ნაგებობების ფრაგმენტებია, რომლებიც ცხებ-დარბაზის ნარჩენებს უნდა წარმოადგენდნენ. ხალხი მას „ცხებს“ უწოდებენ. დიდი დარბაზის კედლებიდან მთელ სიმაღლეზე შემორჩენილია კედლები ვიწრო მხარტზე. სამკუთხა ფრინტონები მოწმობენ, რომ ვადახურვა ოქანობიანი იყო. შემონახულია თლილი ქვებით ამოყვანილი სხვა კედლების ფრაგმენტებიც.

თლილი ქვებით უნდა ყოფილიყო მოპირკეთებული ინტერიერიც. რასაც მოწმობს მიწაზე დაკრებილი ნახევარწრიული კედლის ხეცების ნაწილები. შემორჩენილია კედლები დატანილი წყლისადენის კერამიკული მილები. მკვლევარები, ანლოგიებზე დაყრდნობით, სახალხეს VIII-IX საუკუნეებს აკუთვნებენ **Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, Окрестности Тбилиси, Тб. 1960**). ნანგრევების ახლოს დგას პატარა სახალხო-სეული ეკლესია. კედლები ორი მცირე ეკლესია დგას ოდნავ მოშორებით ტყეში. სახალიდან დაახლოებით 500 მეტრის დაცალკეობითაა ეკლესია, რომელსაც „ნახოფლანის საყდრის“ უწოდებენ. ინტერიერში უფრადლებას იკრძობს საკურთხეველთან წყობაში ჩაუდული ქოლები — რეზნაატორები ხმის გასაძლიერებლად.

პირის ხილი — მტკვრის ქვედა დინებაში ბოლო დრომდე არსებული ორთაქალის კუნძული ცნობილი იყო თავისი ხალებით, რომლებიც თბილისს ამარაგებდნენ ხილითა და ბოსტნეულით. სანაპიროების მშენებლობის შედეგად მტკვრის ტობი მოიხსრა და კუნძული აღარ არსებობს. ადრე კუნძულს მარჯვენა ნაპირთან აჯაშორებდა კოლონებზე შეუენებული ვიწრო ხის ხაღი. მას თბილისელებმა „ვირის ხილი“ შეაიქვეს, რადგან მასზე ხილით დატვირთული ვაჭრები სახედრეცს გადაჰქონდათ, შემდგომში ეს სახელწოდება გავრცელდა ძველ მეტეხის ხიდზე, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო.

პრონცენოვის ხილი — მთხედვად იმისა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისი საკრძოლობად გაიზარდა და ახალი ტერიტორიები ათვისებდა ჩქარი ტემპებით მიწინაწინადა, ქალაქში მხოლოდ ერთადერთი, მეტეხის ხიდი არსებობდა. რაც საკრძოლობად ართულებდა მტკვრის საწინააღმდეგო ნაპირების კავშირს. კუყა, ჩუღურეთი, ვერმანელთა დასახლება (დღევანდელი ჰუგენანოვის პროსპექტის მდებარეობა) მოწყვეტილი იყვნენ ქალაქის ცენტრალური უბნებისაგან და მათ შორის კავშირი დიდი ხნის მანძილზე გაწმომასხვეული გზებით ხორციელდებოდა. ორმოციან წლებში დღევანდელი კ. მარქსის ხიდის ხაზზე მცანგრები აშენდნენ დროებით ხის ხიდს, რომელსაც რეგულარულად იტაცებდა მტკვარი.

30-იანი წლების დასასრულს დამუშავდა კაპიტალური ხიდის პროექტი. პროექტი არ განხორციელდებულა. ვინაიდან მეფის მთავრობამ უარი თქვა ხიდის მშენებლობის ფინანსირებაზე. ორმოციან წლებში, კავკასიაში მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის დავალებით, ხიდის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ჯ. სკუდერი-

მა. ნაგებობა ორი დიდი და მცირე ხილებისგან შედგებოდა. მტკვრის ძირითად კალაპოტზე და მის მარჯვენა ტოტზე.

1848 წელს დაწყებული მშენებლობა, სხვადასხვა მიზეზით, ხშირად წუდებოდა (იყვლებოდნენ მოიჯარადრები, 1849 წელს ადიღებულმა წყალმა წაიღო ხის ხიდი, 1851 წელს ტაძრის მშენებლობისას დაიღუპა ხიდის ავტორი და სამუშაოთა ხელმძღვანელი არქიტექტორი სკუდერი). 1851 წელს დიდი ხიდის პროექტი გადაამუშავა ინჟინერმა ს. ბლკსმა, რომელმაც ხის მალეში ავტორის იმარბებით შეცვალა. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა პირველი ინჟინერ-პიდრავლიცოს ქართული შორის კ. ბაგრატიონი (**Багратион-Мухранский**). მიზეზის (დღევანდელი კ. მარქსის სახელობის) დიდი ხიდი საზემოად გაიხსნა 1853 წლის აპრილში.

მიზეზის ხიდი თბილისელებმა არაოფიციალურად ვორონცოვის სახელი შეარქვეს, ვინაიდან გენერალი მ. ვორონცოვი ქმედით მონაწილეობას აღებულა. დე მის მშენებლობაში. ამ სახელის დამკვიდრებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ დღევანდელ მარქსის მოედნის შუაგულში 1867 წლის 25 მარტს გააჩნა მიხედვით ვორონცოვის ძეგლი. ორ მეტრისი ფეხურა ბინიწარმო იყო ჩამოსხმული, ხოლო კვარცხლბეკი ალგეთის ქვით მოაპირკეთეს (პროექტის ავტორები პროფ. პიენოვი და მხატვარი კრეტიანი).

ხიდი იმდენად ვიწრო იყო, რომ უკვე 1884 წელს იგი გადაკეთდა: ტროტუარები გადართილი იქნა ლითონის კონსტრუქციებზე. ერთმანაინი, მცირე, ვორონცოვის ხიდი მტკვრის ტოტზე უფრო ადრე აიგო (1851 წ.). ამ ხიდის კონსტრუქცია თავის დროისთვის გარკვეულ ტექნიკურ ინტერესს წარმოადგენდა. 32 მეტრისა თაღისაში მალე თლილი ქვით არის ამოყვანილი დღესაც. ადგილ-ადგილ წყობა გამაგრებულია ლითონის რკინით — პირიქით. ხიდი ახლაც მოქმედებს. მის ქვეშ სანაპიროს ტრასა გადის.

ვორონცოვის დიდი ხიდი ძირფესვიანად შეიცვალა 1941 წელს (ინჟ. გ. ქარაჯავაძე, არქიტექტორები გ. მელქაძე, შ. ყვავაშვილი). ახალი, კ. მარქსის ხიდის მშენებლობისას გამოიყენეს ძველი ბურჯები და მან შეინარჩუნა ხუთმანაინი კონსტრუქცია და თაღების მოქვანილობა.

ზაბზარხანა — ახე ერქვა ოქრომჭედელთა რიგებს, თბილისში ოქრომჭედელთა რიგები აწინდელ ეტრცხლებს ქუჩაზე იყო განლაგებული, თუმცა, ოქრომჭედელთა ცალკეული სახლოსიობები სხვა უბნებშიც არსებობდა.

ზემელი — გასულ საუკუნეში და ამ საუკუნის დასაწყისში თბილისში გერმანელი პროფიზორების დიდი ჯგუფი მოღვაწეობდა (შონბერგი, შმიდტი, გიანი, ოტტენი და სხვები). მათ შორის იყო ვინმე ზემელიც, რომელსაც აფთიაქი ჰქონდა გახსნილი დღევანდელი რუსთაველის მოედნის ერთ-ერთ კუთხეში. ადგილის სახელწოდებაც აქედან მოდის.

ზემო უბანი — შუასაუკუნოვანი თბილისის ბირვს — კალას ორ დიდ უბნად, ზემო და ქვემო უბნად ყოფდა დღევანდელ ლესელიძის ქუჩას გაყოლებული ქუჩების სისტემა. ამ ქუჩების სწორივად განლაგებულ დღენებსა და სახელსიობებს სწორედ ამიტომ ერქვა „შუა ბაზარი“. ე. ი. ორ უბანს შუა განლაგებული ბაზარი.



„ზემო“ და „ქვემო უბანი“ შექმნილი იყო არა რელიგიის თავისებურების გამო, არამედ უბნების ურთიერთგანლაგების მიხედვით მტკვრის დინების მამართლებით. ზემო უბანი განლაგებული იყო ამჟამინდელი ლესელიძის, ბარათაშვილის ქუჩებსა და მტკვრის კალაპოტს შორის. ზემო უბანი განლაგებული იყო ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: დიდი ქარვასლები, ქართული ეკლესიები (სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, წმ. გიორგის სახაღისეული, ქრისტესშობის). მეფის და მეფის ოჯახის სასახლეა კომპლექსი, კათალიკოსის და ეპისკოპოსთა ადვალსამყოფელები, ქსნის ერისთავის, ციციშვილის, შედგენიძის, აბაშიას და სხვათა სახლები. ბატონის მოედნის სამხრეთით, გრძელი ბაზრის ქუჩაზე (რასტაბაზარზე) გამოდიოდა გამაჰმადიანებული მეფე რომ ტომის მიერ აგებული მინეთი. ამ უბნის ძირითად მონასტრობას ქართველები შეადგენდნენ. მაოლიკ XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა ერთადერთი სომხური ეკლესია — სურფინჯანი.

ზემო უბანში, მტკვრის პარალელურად გადიოდა თბილისის უმთავრესი ხაყაქრო და საზოგადოებრივი მაგისტრალი, რომლის შუაწელზე ბატონის მოედანი მდებარეობდა. ეს მაგისტრალი ემხოვევა აწინდელი სიონის, ერცელეს და შავთელის ქუჩების ხაზს.

ზღვიშაბანი — სახელწოდება ჩვენ დროში სულ ახლახანს წარმოიშვა და დაკავშირებულია ვრცელი წყალსატვის, ე. წ. „თბილისის ზღვის“ შექმნასთან. „ზღვის“ უშუალოდ მოადგა ქალაქის განაშენიანება.

დამუშავებულია პროექტი ლოტინის მთაზე არსებული დასახლების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი რაიონის შესაქმნელად (არქიტექტორები: ო. არველაძე, ი. სანაძე, გ. შვადია). ამ

უბანს არქიტექტორებმა „ზღვისუბანი“ უწოდეს და სახელი მოკლე დროში დამკვიდრდა თბილისელთა შორის. ზღვისუბნის ტერიტორია ჩრდილოეთიდან დასავლეთიდან შემოღარგულია მთების ფერდობებით, აღმოსავლეთით იგი ვრცელდება თბილისის ზღვის დასავლეთით. ზონაში, სამხრეთიდან მას ჩაუვლის თბილისის განკითარების გენერალური გეგმით გათვალისწინებული უწყვეტი მოძრაობის საქალაქო მაგისტრალი. განაშენიანებისათვის განკუთვნილი ტერიტორია (240 ჰა) ბორცვით ორად გაყოფილ მთის კალთა წარმოადგენს (საშუალო ენობი 12%-ია). მომავალი განაშენიანება შეაფარდ ალქმება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული უბნებიდან.

სამიდან ერთი მიკრორაიონი თავისუფალ ტერიტორიაზე განლაგდება, ორი კი — სარეკონსტრუქციო უბნებაში. განაშენიანების დიდ ნაწილს შეადგენს ცხრა-სართულიანი სახლები. გარდა ამისა, აშენდება თექვსმეტ სართულიანი და ე. წ. „ქასკადურ-ტერასული“ სახლებიც. სულ სამივე მიკრორაიონში 57 ათასი თბილისელი დასახლდება.

ადგილმდებარეობაზე გაბატონებული ბორცვი და ერთმონა საცხოვრებელი რაიონის სავაჭრო-საზოგადოებრივ ცენტრს. საზოგადოებრივი შენობები დაპროექტებულია ბორცვის ორთავ მხარეზე. ამ ორი ნაწილის ურთიერთკავშირი განხორციელდება მეტროს სადგურთან დაკავშირებული გვირაბის მეშვეობით.

საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება და კომპლექსიური წყობა ითვალისწინებს რელიეფის თავისებურებებს და უბნის მომავალ ადგილს თბილისის სილუეტში.

თაბორის ციხე — თბილისის ციხე-სიმაგრეები ერთიანდებოდნენ ზღვიშაბანით მოფიქრებულ სისტემაში, რომელიც იყენებდა მოაგორიანი რელიე-



გერმანული კირხე დღევანდელი მარჯანიშვილის მოედნის ტერიტორიაზე

ფის თავისებურებებს. ამ სისტემაში მეტად მნიშვნე-
ლოვანი როლი ენიჭებოდა თაბორის მთავრ ვანლაგე-
ბულ ციხეს (შოა თრიალეთის ქედის განსტროგება თაბო-
რისის სამხრეთით). ციხე ფორტიფიკაციული სისტემის
ფორფოსი იყო აღმოსავლეთის მხრიდან, საიდანაც
თავს ესმოდნენ ქალაქს მტრები. იგი „დაციდული“
იყო ზაფხის ვსის თავზე, უშუალოდ კალს სიახლო-
ვეს. თაბორის ციხე თავისი არსებობის გრძელ მან-
ძილზე არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა.
მის უძველესი დროიდან არსებობას „ქართლის ცხოვ-
რება“ მოწმობს. ბაგრატ IV-ის ქალაქში შემოსვლას
ამის აღწერისას უამთავაღმწერელი სხვათაშორის მოვ-
ციხობროს: „დაცა მეფე ბაგრატ სხუარავად. აღისუნა
კოშკნი კართანი თავის კაცთა. და აღილო ციხე ქალა-
ქისა დარაქული. და ორნივე კოშკნი წყალუნიისანი და
თაბორი. და დადციანა შიგან აღშქარის თვისანი და
ერისთავნი“. უკანასკნელად თაბორის ციხე დანაგრი-
ა ლა-მამადა-ხანმა და მას შემდეგ იგი აღარ განუაზ-
ღებიათ. პორუჩიკ ჩიულის შეუსწრაია მისი ნანგრევე-
სათვის და დაუტარანა თბილისს 1800 წლის კიგებაზე:
«Разарение укрепления Корча - Кала».

„ყოჩი-ყალა“ დატანილია თბილისის 1802 და 1809
წლების გეგმებზე. გვიანდელ გეგმებზე იგი აღარ ჩანს.
ციხეში ეკლესიაც მდგარა, პლატონ ოსტე-
ლიანის მოწმობით — „ღვთის ღირსიკათებისა“
(церковь Преображения Господня).
ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვით თაბორის
მთის სახელწოდების წარმოშობა. ისევე, როგორც „მთა-
წმინდა“, იგი დაკავშირებულია ქრისტიანულ „წმინდა“
ადგილებთან. იერუსალიმში, თაბორის მთაზე მომხდარა
ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთის
და ციხეში აგებული ეკლესიის სახელიც.

დღეს ეკლესიის და სახლების კაპილა წაშლილია. იგი
(ისევე როგორც ციხის ნაშთები) უკვე აღარ ჩანდა
პლატონ ოსტელიანის მიერ აღწერის ხანაში (1866 წ.).
1912 წელს არქეოლოგიური ძიებისას მიაკვლიეს ციხას
კვალს.

თაბისუფლავის მონადირე — რევოლუციის შემ-
დეგ პასეკიონ-იარვანსკის (აწინდელ ლენინის) მოედანს
თავისუფლების მოედანი უწოდეს. შემდგომში მას „წაქ-
ფედელიანისა“ დაარქვეს.

თაბორის მონადირე — თბილისის ჩვენ დრომ-
დე ასე ეწოდებოდა დღევანდელ გორგასლის მოედნის
ადგილზე მდებარე თბილისის ერთ-ერთ უძველეს
მოედანს. ვახუშტი ბაგრატიონის მას „ციხის მოედანს“,
ხოლო ვან შარდენის „სამხედრო მოედანს“ უწოდებდა
ორი უკანასკნელი სახელი ასახავდა მოედნის ადგილ-
მდებარეობას. მოედანი უშუალოდ ესაზღვრებოდა
ეკლესიას, რომელიც კალს გამოყოფდა ქვემო ციხისა-
გან. მოედანს სხვა სახელებიც ჰქონდა: „ქვემო მოედა-
ნი“, „შეთანაზარი“, „მედანი“. ამასთან გვიანფო-
დალურ ხანაში ეს სახელწოდებები პარალელურად
იხმარება. ციხეში საუწყებების მანძილზე დამსურბო-
ლები — სპარსელები და ოსმალები იდებდნენ ბინას.
შემდგომში ამ უბნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს
სპარსელები შეადგენდნენ. აქედან უნდა მოდიოდეს
ხალში მიღებული სპარსელებისა და ოსმალების გან-
ზოგადებული სახელის „თათრის“ გადატანა მოედნის
სახელწოდებაზე.

1809 წლის გვერით თუ ვიშკენლები, მოედანი სწო-

რი მართლაც ფორმისა იყო, გრძივი ღერძით ხა-
ნრთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. მო-
ედანზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მტრების შეტე-
ვებისას შემოდიოდა ვიწრო ქუჩის საერთოდ კი მოედან-
თან თავს იყრიდა მრავალი ქუჩა, რომლებიც მოე-
დანს აკავშირებდნენ აბანოს კართან, შუა ზაზართან,
ზარაფხანის უბანთან, რასტაპაზართან, კლდისუბანთან
და სხვ.

მოედანზე, ძირითადად, სურსათ-სანოვავით სავაქ-
როები იყო განლაგებული. მოედნის ჩრდილო-დასავლეთ-
ით მხარე ალაფხანას ეკავა. მოპირდაპირ მტრებს შე-
ხაშვების რიგა და სამეფო მცველებია (ე. ი. დუქნები)
რომლებიც მეფეს ეკუთვნოდა და იჭარით იყო
გაცემული სხვა პირებსზე. ამ რიგების უკან
ე. წ. ბერძენხანა ანუ ბერძენების უბანი იყო,
ბერძენული ეკლესიით მის ცენტრში. სამხრეთ-დასავ-
ლეთითადად მოედანზე გამოდიოდა ე. წ. ციხის ღიდა
საუდარი („სურფეგორკა“), რომლის წინ მენაბდეების
და მქუდელების დუქნები იყო განლაგებული. ამ მხა-
რეზე მოედანს ერწყმოდა ლილახანა (აწინდელი სა-
მეფო ქუჩა). ალაფების ვარდა მოედანზე იყვნენ გან-
ლაგებული ბაქლები, მეთევზეები, ყახებები (მოედნის
უშუალო სიახლოვეს, მტკვრის ნაპირზე იყო სასაუ-
ლო).

თათრის მოედანზე ვაქრობის ერთ-ერთ საინტერე-
სო წესს გადმოგვცემს ძველი თბილისის მცოდნე და
მოგროვალე ოსტე გრიშაშვილი: „თათრის მოედნის
შუაგულში გამართული იყო ყუფანი — დიდი სასწო-
რა. საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრ-
ურადგებდა“. „...სოფლიდან მოსული საქონელი ჭერ
ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ
ქორვაჭარებს. როცა ყუფანი ბიარალი იყო ამართული,
იმათ მცხოვრებლებს უნდა ევაქრათ. სრულ 12 საათ-
ზე ბიარალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ
ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფ-
ლელთა აღებ-მაცემობა“ (ი. გრიშაშვილი, ძველი ტფი-
ლისის ლიტერატურული ზოგითა. თბ., 1912 წ.).

დღეს მოედნის სახე სრულიად შეცვლილია. ერთ
დროს ყოველ მხრივ ჩაკეტილი, იგი სრულიად გახსნა-
ლია მტკვრის მხარეს. ძველ შენობათაგან მხოლოდ
ციხის დიდი ეკლესიაა შემორჩენილი. შერჩა ჩრდილო-
აღმოსავლეთის მხარის მომენტის ხასილა.

თბილელის ზღლი — თბილისის მრავალ ბაღ-
თაგან ერთ-ერთი თბილელს ეკუთვნოდა. იგი ვახუშტი
ბაგრატიონს თავის გეგმაზე აღნიშნული აქვს № 42-ით
და ნაჩვენებია „კურდის ჭილა“ (№ 68) მოსახვევზე
შექმნილ კუთხეზე. ეს ადგილი დღევანდელ კარკოკისა
და მხარაძის ქუჩების გადაკვეთას უნდა შეესაბამებო-
დეს.

თბილელის პარკისა — გვიანფოდალურ თბი-
ლისში ქალაქის უმთავრესი ქარვასლები აწინ-
დელი სიონის ქუჩის დასაწყისში, სიონის სიახლოვეს
იყო თვმოყრალი. სიონის მხარეზე, მის გვერდით ქარ-
კასალა 1650 წელს აღუენებია მიფე როსტომს და იგი
თბილისისათვის უბოძებია. ეს ქარვასლა ვახუშტი
ბაგრატიონს თავის თბილისის გეგმაზე № 12-ით აქვს
დატანილი. ქარვასლა აღნიშნულია თბილისის 1800
წლის ვეგმაზე. იგი ამ გეგმაზე კვადრატული მოზა-
ვლოვანია ჩანს. ვრცელი მოედანი ეუთობა. ამ ქარვასლის
ნანგრევებზე (ალა-მამადა-ხანის შემოსევის კიდევ ერთ-

თი მსხვერპლი) XIX საუკუნეში არწრუნის ქარვასლა აშენდა.

თაზიონის ზღვა — სახელწოდება სულ ახლახანს, ჩვენ დროში, წარმოაშვა და დაკავშირებულია ვრცელი წყალსატევას ნექნასთან.

წყალსატევი ნაყარადევი იყო ჯერ კიდევ თბილისის ენციკლოპედიის და რკონსტრუქციის 1934 წლის გეგმარალურ გეგმაში. წყალსატევი შეიქმნა მახათას მთის ვადალა და იკვებება მდინარე ივრის წყლით. სათავე საევიბოები გაშენდა სოფელ პაღლოსთან. ივრის წყლი 40 კმ-ს სივრცის ზღვა მაგისტრალური არხით ქვაბულშივე გამოუშვეს. გამოცდილდა სახარისი ელენი. მოიარეს 80 000 ჰექტარი. წარმოაშვა დაახლოებული, ვენახები, მეურნეობები, რომლებიც მეზობლურებას და მეხილეობას მისდევნენ. თბილისის ზღვის ნაპირზე შეიქმნა დასვენების ზონა. საფუძველი ჩაეყარა 1500 ჰექტარი ფართობის ჰქონე არხს, შეიქმნა კეთილმოწყობილი პლაჟები. საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“ დამუშავებულია თბილისის ზღვის ნაპირების შემდგომი ათვისების და კეთილმოწყობის პროექტები.

თაბატალური მოედანი — ერევანის (აწინდელ ლენინის) მოედნის შუაგულში განლაგებული შენობის დიდი ნაწილი თეატრს ეკავა. დანარჩენი — ქარავასა. შენობა მოედნის რაღდენიზე ნაწილად ყოფიდა. თეატრში შესასვლელი მოცულობა იყო სამხრეთ მხარეზე (დღევანდელი ალასკომის შენობისკენ). აქ წარმოქმნილ მოედანს ერთანს „თეატრალურს“ უწოდებდნენ.

თეატრალური მკვლევარი — სომხური ეკლესია გარეთუბანში იდგა. ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩის ქვედა ნაწილში, დაახლოებით მის სანაპიროსთან გადაკეთდა.

თეატრალური ქარვასლა — XVII საუკუნეში სიონის მოპირდაპირე მხარეზე მეფის (ბატონის) ფუნდუკი აშენდა. ალა-მამალ-ხანის შემოსევის შედეგად ღანჯრეული შენობის საძირკვლებზე ახალი, თიხურ ბატონიშვილის ქარვასლა გაშენდა.

თეატრალური — სრულად ახალი სახელწოდება დასახლების ღრმადილეთში, რომელიც თბილისის ელემენტარული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოიშვა. დასახლების სახელიც სწორედ ამ ნაწარმის დასახლების შემოღებდა.

თეატრალური — განლაგებული იყო ბატონის მოედნის დასავლეთ მხარეზე, აქვე იწყებოდა თოფხანის ქუჩა.

თეატრალური — სახელწოდება „ისანი“ არაბული წარმოშობისა და გამაგრებულ ადგილს, ციხეს ნიშნავს.

დღეს შეუქმნილია ისინი ციხის გეგმარების და საერთო სახის ზუსტი აღდგენა. ფორტიფიკაციული კომპლექსი, როგორც ჩანს, ორ დონეზე განლაგებული ნაწილებისაგან შედგებოდა. პირველი, მთავარი ნაწილი კლდის პლატოზე იყო აშენებული, მეორე კი მას დასავლეთითად ეყოფოდა. დამრეც რელიეფს ჩამოყვებოდა და ხილთან მოაგრდებოდა. კლდის ძირას ქვემო ხიდის უკლის ადგილზე შემორჩენილია კვადრატული კოშკის ნარჩენები (ისინი ისინთანაა ლოკურ მტკვრის დონის დაქვეშას). ასეთი კომპოზიციანა ნარჩენები ვახუშტი ბატონიშვილას 1735 წლის გეგმაზე, ისინი კარაბეკ აღმოსავლეთის მხრიდან გამოწეულ ნაწილში იყო გაქ-

რილი. მასთან იურიდენი თავს აკვალისა და ქარვასლა გზები. მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში შიდა აკლამარი გაღვივით შემოწოდებულ, ეს კარვასლა კაციული სისტემის შიგინი ამოწმდა.

ისანი მეთად მიუღვომელი ციხე-სიმაგრე უყოფილა. 1045 წელს თბილისელთა მოწვევით ქალაქში შემოვიდა მეფე ბაგრატ IV, რომელსაც მართვის თბილისის გასაღები. მან ხელთ იგდო მთელი თბილისი, მაგრამ ისანი არ დაწებებულა. „ხოლო ისინელთა ჩააგდეს ბილი და არა მოსცეს ისანი“ („ქართლის ცხოვრება“). ბაგრატო ნელი ზაფხულის განწავლობაში ამაოდ ცდილობდა ისინის დამორჩილებას, მიუხედავად იმისა, რომ „დაუღვეს ფლაკავანი და ბრძოლდეს ისინათ“.

ისინის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა VII-XIII საუკუნეებში, როდესაც აქ მდებარეობდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლე. ამ სასახლეში გაიგო თამარა მამის — მეფე გიორგის გარდაცვალების ამბავი, სასახლისეულ ეკლესიაში ლოცულობის იგი მტრზე გამარჯვებისათვის 1195 წელს. 1278-1283 წლებში მეფე დიმიტრი თავდადებულს. ეუენის კარვასლა გამგზავრებამდე, ისანი ღვთისმშობლის სახელზე აუგია ტაძარი. დაახლოებით ამ დროიდან ისანი, ჩნდება ახალი სახელი — მეტეხი. როგორც ჩანს, სახელწოდება „ისანიც“ საბოლოოდ არ გამოქრალა. მან მოწმობის თუნდიც ის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მეტეხის მიდამოებს ეკლავ ისანს უწოდებს: „ისნს არს კიდესა მტრუისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა“...

დღეს შირიად ისინის სახელწოდებას ვლავარის დიდ ფართობზე ავრცობდნენ, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფარდება. ისანი განსაზღვრული იყო დღევანდელი ღვინის აღმართით, შუამიანის ქუჩის დასაწყისით და მუყუნის შესახვევით.

აწინდელი მეტეხის ქუჩის სწორივად სანოვანის ნაზარი იყო. 1800 წლის გეგმაზე იგი № 88-ით არის აღნიშნული. ისანი მდებარეობდა ქარვასლები, აქვე იყო თოფხანის წამლის ქარხანა. 1800 წლის გეგმის მიხედვით ისინს ქუჩების ქსელი, კალახთან შედარებით, „რეგულარულ“ ხასიათს ატარებდა. შუახურობობრივმა ქსელმა ძირითადში დღემდე მოაღწია.

ტალა — ახე უწოდებოდა თბილისის გაღვივით შემოსაზღვრულ უძველეს ნაწილს, წაყისწყლის მარცხენა ნაპირზე, ნარყულას ქვევით. მტრად აღნიშნავს, რომ პიტახში მოვიდა „ტფილისად და კალა—ციხედ“. შეუქმნილია ეს სახელწოდება გავრცელდა თბილისის გაღვივით შემოზღვრულ ძირითად ნაწილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით გაღვივანი მიყვებოდა წაყისწყალს (მდინარის იმ ნაწილს, რომელიც დღეს მილეთში მიედინება) და შითან რელიეფზე განლაგებული რთული ფორტიფიკაციული სისტემის შემოვლით ნარყულას ბასტიონებს უერთდებოდა. ნარყულადან კედელი ტბილი ხაზით მიყვებოდა აღმოსავლეთისკენ სალაღაის ქედს. შტაბბტთან (ამ ბასტიონის ნარჩენები დღესაც დგას კომკავშირის ხეივანზე) გაღვივანი მყვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისკენ და საფეხურებად ეშვებოდა მთის ფერდობებზე, გასდევდა დღევანდელი ადღიანისა და პუშენის ქუჩების ხაზს. შემდგომ გადავიდა კვლავ მყვეთრად ციყლიდა მიმართულებას და მტკვრისკენ უხვევდა. გაღვივანი ამ ნაწილის ფრაგმენტები გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩის გაფართოებისა-

ნახ. სწორედ აქ, ქალაქის ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებს გადაკვეთაზე იყო მოწყობილი ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე — დიღმისა (სადაც ახლაც ვერცხლის ქუჩა იწყება). ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 175 წლის გეგმაზე ერთმანეთის სახალოვეს ორი კარიბჭე აქვს ნაჩვენებები: „შეიღნის კარი ხილით“ და „ქვემო კარი ხილით“. თბილისის შემდგომ გეგმებზე კი მხოლოდ პირველ მათგანს უჩვენებენ „მუხრანის კარის“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, „ქვემო კარი“ ამოაშენეს გასულ საუკუნეში ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი — კოკრისა („კოკრის კარი“) მდებარეობდა დასავლეთ კედელში, იქ სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის ლენინის მოედანს. ქალაქის გაღვაწიში კიდევ ორი კარიბჭე იყო საწინააღმდეგო მხარეზე: ამანოების კარი, რომელსაც ამანოების უბნიდან უშუალოდ კალაში მიყავდა და განჯის კარი, რომელიც სამხრეთით, ნარიალას ძირში იყო განლაგებული. ამგვარად, კალაში შემოსვლა შეიძლებოდა სამხრეთიდან განჯის, აღმოსავლეთიდან ამანოების, დასავლეთიდან კოკრის, ჩრდილო-დასავლეთიდან დიღმის და ბოლოს, ჩრდილოეთიდან მუხრანის კარიბჭეებით.

პირველ გრაფიკულ სახეებს, რომელიც ზუსტად გადმოკვეთს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა წარმოადგენს. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონი არ იძლევა ქუჩების ზუსტ ქსელს, მაგრამ იგი მაინც გამოყოფს ზოგიერთ ქუჩას. რომელთაც, როგორც ჩანს, პირველბარისიზაციის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. კალაში ორი მოედანი გამოიყოფა: ციხისა (თაბარისა) და ბატონისა (მეფისა). ბატონის მოედნის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც მეფე როსტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე (იხ. „ბატონის მოედანი“).

გვიანდელი ფეოდალური ხანის კალას ქუჩების ქსელის ხასიათზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა XVIII საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით 1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმაზე, რომელზეც მკვეთრად არის გამოხატული ქალაქის მთავარი მაგისტრალები. ერთ-ერთი მათგანი იწყებოდა დიღმის კართან, მიუკეობოდა დღევანდელ ვერცხლის ქუჩას და შემდეგ სიონის ქუჩით გადიოდა თაბარის (დღევანდელი გორგასლის) მოედანისკენ. მეორე ასეთი მაგისტრალს წარმოადგენდა გზა, რომელიც კოკრის კართან იწყებოდა. საუბარია აწინდელი ლესელიძის ქუჩის მოწყობაზე ლენინის მიუდინოდან ვერცხლის ქუჩასთან გადაკვეთამდე. სწორედ ეს გზა ჰყოფდა კალას ორ, „ზემო და ქვემო“, უბნად. სწორედ ამიტომ ერქვა მას „შუბაზარი“. „ზემო“ და „ქვემო“ უბანი შერქმეული იყო არა რელიეფის თავისებურებების გამო, არამედ უბნების ურთიერთგანლაგებით მტკვრის დინების მიმართულებით. ზემო უბანში იყო განლაგებული ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: სასახლეა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, ბიბლიის, მელოქის), ქართული ეკლესიები (სიონი, სათლისმცემელი, ანჩისხატი, კვიარახოველი, ქრისტეს-შობის და სხვა), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების (ამლახვარის, მუხრან-ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძის და სხვ.) სასლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდ-

ნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთადერთი სომხური ეკლესია — სურთინა. იქვე იყო უბანში ქართველების გარდა დიდძალი რაოდენობით სახლობდნენ სომხები და მუსლიმანები. ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მენიუების გარდა, კათოლიკური ეკლესიაც (ი. წ. „ფრანგთა საუღარი“) იყო. ქუჩას, რომელზეც კათოლიკური ეკლესია იდგა, „ფრანგთა ქუჩას“ ეძახდნენ. (აწინდელი პირველი მისის ქუჩა).

ზემო და ქვემო უბნები თბილისის ძირითადი რაიონები იყო. ისინი თავისთავად მრავალ მცირე უბნებად იყოფოდა. ამა თუ იმ უბნის დასახელება ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ეროვნულ შემადგენლობას („ქარაჯულთა უბანი“, „მოკვთა უბანი“, „ურთია უბანი“), ხელოსანთა საქმიანობას („მკვდელის უბანი“, „სამღებრის უბანი“, „სარიამის უბანი“), ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობებს („ანჩისხატის უბანი“, „ნორაშენის უბანი“, „სიონის უბანი“, „ციხის კარის უბანი“) ან უბანზე მცხოვრებლების ვინაობას („ციციშვილის უბანი“, „ფიარულაშვილის უბანი“, „ეკრძანაშვილის უბანი“, „ორბელიანის უბანი“).

აღსანიშნავია ურდოებმა კალას დიდი ნაწილი დაანგრია და გადაბურეს. თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს, კალას დღევანდელი განაშენიანება (საკრებებელი სახლები) მთლიანად XIX საუკუნეშია ჩამოყალიბებული, თუმცა, სარდაფები, ბევრ შემთხვევაში, აღინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენას ძველი საძირკვლების გამოყენებით აწარმოებდნენ „ბალოშხანი“ — ასე ეწოდებოდა თბილისის იმ ტერიტორიას, რომელაც დღევანდელი პიონერთა სასახლის, ისტორიული მუზეუმის გარშემო. პლატონ იოსელიანი გადმოკვების ლეგენდას, რომლის მიხედვით კალაზე თმურ-ლენის შემოსევას ბავშვება გაუთვლიათ ცხენებით, ზოგიერთის აზრით (დ. გვარტიშვილი, შ. ჰესხია — თბილისის ისტორია“ 1952), ეს სიტყვა „კალაუნიდან“, ე. ი. „კალას უბნიდან“ არის წარმოშობი. პლატონ იოსელიანი ამ დასახელებას სხვაგვარად განმარტავს. კალაუზნის ეკლესია უწინ მცხეთაშიც ყოფილა. იქ მოიხსენიებულ ხატზე გაკეთებული წარწერა მიუთითებს, რომ ეკლესია იმ ადგილზე იდგა, რომელიც შეფის კალის ეკვა. კალაუზნის სახელწოდება სხვაგვარად ყოფილა. ასე რომ, თბილისის უბნისა და ეკლესიის დასახელება ძველად ამ მიღებულ მოგონი განლაგებული კალაგან უნდა მოდიოდეს.

ბალოშხანის სხვა — ვახუშტი ბაგრატიონი № 77-ით ამ ეკლესიას ასე მიუთითებს: „ქართული ეკლესია კალაუზანი“. ეკლესია დღეს შემორჩენილია, თუმცა საკრძობილად გადაეთებული სახით. იგი გახსნილია ფურცელკამის ქუჩიდან.

პირატსმოქმედი — ფეოდალურ თბილისში ორი ეკლესია იყო კვირაცხოვლის სახელზე. ერთი მათგანი აწინდელ აკლესიის (აღრე კვირაცხოვლის) ქუჩაზე გადიოდა. მის ცკალს ახლახანს მიიგნენ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას. მეორე ეკლესია ჩუღურთში იდგა. იგი ვახუშტი ბაგრატიონს თავის თბილისის გეგმაზე № 64-ით აქვს აღნიშნული.

პირატსმოქმედის უბანი — უბნის დასახელება აქ მდგარი ეკლესიიდან მოდის. უბანი განლაგებული იყო დღევანდელი აკლესიის და ნაკაშიძის ქუჩებს შორის.



„პროგრესი“ — ასე უწოდებდნენ თბილისელები დღევანდელ მარკანიშვილის ქუჩას იმის გამო, რომ აქ (დღევანდელი მარკანიშვილის ქუჩისა და პეოხანოვის პროსპექტის გადაკვეთაზე) გერმანული ეკლესია „კრიხე“ იდგა.

კლდისუბანი — უბნის დასახელება ბუნებრივი პირობებიდან მოდის. იგი განლაგებულია მთადა დაარტყ რელიეფზე. უბანს საზღვრავენ კომკავშირის ხეივანი, აზიზბეკოვის ქუჩა, ფეოხანის უბანი. თბილისის მრავალი ადგილიდან ჩანს აქ მდგარი კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია.

კლდისუბნის წმ. გიორგის ქალაქი — კლდის უბანში, ფეოხანის აღმოსავლეთით, დგას მცირე ზომის ეკლესია, რომელიც 1600 წელს აუგია და XVIII საუკუნეში, სომურტ თემს შეუძენია.

კომპაქტურიანი ხეივანი — სალდაკის მთის ფერდობზე, კოჭრის გზიდან ქალაქის ძველი გალავნის გასწვრივ მდებარე ხეივანი ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გააშენეს თბილისელმა კომპაქტურლებმა და სახელწოდებაც მათი დეაწლის აღსანიშნავად დაერქვა.

კოჭრის გზა — გზა იწყებოდა კოჭრის (ვახუშტისეული „კოჯრის“) კართან, იქ სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის ლენინის მოედანს და თბილისის გარეუბნის ბაუდის შუა მიმართობოდა. ვახუშტი ბატონიშვილს ეს გზა № № 47, 78-ით აქვს აღნიშნული. ამ გზის დასაწყისს ტრასა იმ დროს (1733 წ.) ემთხვეოდა აწინდელ ანგელისს ქუჩას. თბილისის 1300 წლის გეგმაზე კი ამ გზის დასაწყისი დღევანდელ კოჯრის ქუჩას უთავსდება. როგორც ჩანს, კოჭრისაკენ მიმავალი გზები ჭრდოდა იყოფოდნენ, შემდეგ კი კვლავ ერთიანდებოდნენ დაახლოებით ამჟამინდელ კიროვისა და ხახარაძის ქუჩების გადაკვეთასთან.

კოჭრის ქარი — თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქარი — კოჭრის ქარი — განლაგებული იყო დასავლეთ კედელში, იქ, სადაც ლესელიძის ქუჩა უერთობდა ლენინის მოედანს.

კრწანისი — თბილისის სახრეთ შემოგარენში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელი კრწანისი დღეს უკვე ქალაქის გარეუბნად იქცა.

კრეტქტორებმა შეადგინეს კიდევ მისი განაშენიანების პროექტი.

კრწანისი თბილისის გარშემო მდებარე სოფელოვან ერთ-ერთი უძველესია. ჩვენამდე მოღწეულ საბურობა იგი პირველად XIV საუკუნის მიწურულს იხსენიება. კრწანისი ქართულ მეფეებს სერგიონიშვილისაოვის შეუწირავთ და, ამგვარად, იგი საკათალიკოსო მშაული იყო. (თ. ბერიძე... „და აღმოცენდა თბილისი“, თბ., 1977).

ამჟამად კრწანისის საზღვრები საგრძობლად შეცოცრებულია შუა საუკუნეებთან შედარებით. სოფლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ერთ დროს თაბორამდე იწოლიდა და თითქმის აბანოების უბანს ეჭირებოდა. ევანა შუა საუკუნეებში კრწანისის ნაწილი თბილისის გარეთუბანმა — სეიდაბადა (დღევანდელი ხარფუბის ბრატოვსკაი) დაიკავა, თუმცა კრწანისი მინც დიდ ოპორტუნს ფლობდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენულ თბილისის 1733 წლის გეგმაზე ორთაქალაქ კრწანისს არის მიკუთვნებული. ავტორი ორთაქალაქს კუნძულს „კრწანისის ბაღებს“ უწოდებს. კრწანისი

ოლითგანვე ხილით და ბოსტნეულით ამარგებდა ობილის.

დღეს ქალაქის განაშენიანება უშუალოდ მარკანიშვილს და შუა საუკუნეებთან შედარებით ძლიერ შემცირებულ კრწანისს. კრწანისის საცხოვრებელი რაიონი დარბიეტებულია ორი მთის ფერდობებს შორის. ტერიტორია თანდათან ჩამოიხსნა მტკვრისკენ (10%-იანი ქანობით). მასზე მკვეთრად არის გამოისახული ორი ტერასა. დაეგვიანება ასახავს რელიეფის თავისებურებას. განაშენიანება ორ ნაწილად იყოფა: ზედა და ქვედა კომპლექსად (არქიტექტორები მ. გოგიშვილი, ა. კოჩინევა, ი. ტალიაშვილი). გამოიყენება სახლების ორი ტიპი. კოჭურა 24-სართულიანი და გალერეიანი 12-სართულიანი სახლები. სახლზე დატყუებულია საპარკო ქუჩისკენ გახსნილი ეზოების გარშემო. ჭკადე ტერასაზე განლაგებული სახლები დაიყოფიან ცალკეულ ჭკაუფებად მათი რელიეფზე განლაგების მიხედვით. პირველადი მომსახურების დაწესებულებები განთავსებულია შენობების პირველ სართულებში, მეორეადი კი (კერძოდღე) — მთავარი ქუჩის ორივე მხარეზე, მესამე საფეხური (ეპიზოდური) — კომპლექსის ცენტრში. პროექტით კრწანისში იცხოვრებს 18,6 ათასი თბილისელი.

ქაშანი — დღევანდელი პელებანოვის პროსპექტის დასაწყისში, მარქისის მოედნის მიდამოებში ვახუშტი ბატონიშვილს თბილისის 1733 წლის გეგმაზე ნარკუნები აქვს მცირე დასახლება „ახალი სოფლის“ სახელწოდებით. იგივე სოფელი ნარკუნებია შედარებით გვიანდელ გეგმაზეზეც. ვიულისმეტედი (რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი) მას უკვე კუკის სახელით იხსენიებს (1772 წელი). მისივე მოწმობით, აქ ადრე ციხესიმაგრეც ყოფილა. იგი მის ნანგრევებს აღნიშნავს. სოფელი კუკია გალავანშემორტყმული ეკლესიითა და ვრცელი კერძო ბაღით ნარკუნებია თბილისის 1500 წლის გეგმაზეც. თეიმურაზ ბერიძის ვარაუდით „კუკია“ თრიალეთის სოფელი კუკიაა თბილიდან უნდა მოდიოდეს, საიდანაც მოხსალეობა თბილისის გარეუბანში გადმოსახლდა XVIII საუკუნის 40-იან წლებში. მისივე განმარტებით, „კუკიას“ ეტმოლოგიაური ასხნა უნდა ეკუთვნა ადამიანის გამოსახვეულ თოქონის სახელწოდებასან („კუკი“). თოქონას იუენდლმენ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებში. (თეიმურაზ ბერიძე „და აღმოცენდა თბილისი“, თბ., 1977 წ.) სოფელი კუკის საზღვრებს შეადგენდა მტკვარი, ხევი, რომელიც დღევანდელ მარკანიშვილის ქუჩის ხაზზე გადიოდა და ასეთივე ხევი „კვირაცხოველი“ მოპირდაპირე მხარეზე. 1823 წლისათვის კუკიაში უკვე 1000-მდე მცხოვრები იყო. ამ სოფელში ძირითადად სოფლის მეურნეობითა და ხელოვნობით იყვნენ დასაქმებული.

1824 წელს სოფელი კუკია თბილისს მიაწერეს. კუკის ფარგლებუ განსაკუთრებით გაფართოვდა გასული საუკუნის 40-იან წლებში და ავკალის გზა გადლახა. ამ დროს იხსენბა ე. წ. „ახალი კუკია“. ეს ის ტერიტორიაა, რომელსაც დღემდე შემორჩა კუკის სახელი.

1818 წელს კუკის ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვიუტენბერგიდან გამოსული გერმანული კოლონისტები სახლდებიან. მიდამო ბაღებითა და ზონტებით დაიფარა. გასული საუკუნის 30-იან წლებში

აქ არსებული ვარის გზა თანდათან ქუჩის სახეს ეღებულობს. 1951 წელს ამ მიდამოებზე ვრცელდება ქალაქური გაშენების წესები, ხოლო 1962 წელს იგი ჩართული იქნა ქალაქის ფარგლებში. მშენებლობის ტენდენციის განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ფერის ხიდი გაშენდა (დღევანდელი ელბაძის ხიდის ადგილზე). გასული საუკუნის მეორე ნახევარში კუ-ქაიზე, ნიკოლოზის (დღევანდელი კალინინის) ქუჩაზე მართლმადიდებლეთა და კათოლიკური ეკლესიები აშენდა (მათ დღემდე მოაღწევს).

დროთა განმავლობაში დღევანდელი პლენხანოვის პაროსნექტს მიეკედლებულ უბნებს ჩამოცილდა სახე-ლი „კუკია“ და იგი შემოირჩა ყოფილ „ახალ კუ-ქაის“ სახელოს ქუჩის ზემოთ.

ლილახანა — ძველ თბილისში ორი მდებავთა რიგი იყო. ერთი მათგანი განლაგებული იყო ქუჩაზე, რომელიც თათრის მოედანზე იწყებოდა ციხის დიდი ეკლესიის (სუფ-გურჯის) წინ, ბერძენხანის უკან გადიოდა და ახანის კარისკენ მიემართებოდა აწინდელი სამღებროს ქუჩაზე. მეორე ლილახანა იწყებოდა ბატონის მიედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და შუახანზე (დღევანდელი ლესელიძის ქუჩაზე) გადიოდა. პაშვიანის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წლის გეგმაზე იგი № 17-ით არის აღნიშნული და მას ამდებავთა ქუჩას“ უწოდებს.

ლილი — ის გარემოება, რომ თბილისის უბნების დასახელება ზოგჯერ ამ ადგილებში განლაგებული საწარმოების ხასიათიდან მიმდინარეობდა, ვგავტყობინებს, რომ ქალაქის ამ საგარეუბნო სოფელში ხაღებავის წარმოებას მისდევდნენ, რამაც დასახაში მისცა უბნის დასახელება.

ლინის ტბა — საბურთალოდან ჩრდილო-დასავლეთით 430 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან მდებარეობს 1000 მეტრის სიგრძისა და 600 მეტრის სიგანის ლისის ტბა. ბოლო წლებში აქ გაშენდა პარკი პარტიზანების ხსოვნის აღსანიშნავად, ტბა იკე-ებმა მონისქვეშა და ატმოსფერული წყლებით.

სახელწოდების წარმოშობას სხვადასხვაგვარად ხსნიან. ივ. ჭავჭავაძის თვლიდა, რომ „ლისი“ ხალისი და ქვიშის აღნიშვნელი სიტყვაა. იმერული და რაჭული წარმოშობის ასევე სილიხა და ქვიშის მნიშვნელობით განმარტავს „ლისი“-ს ვუკოლ ბერიძე. სხვა მოსაზრებებით (ი. მანისურაძე) „ლისი“ სიტყვა „ლი“ ან „ლია“-დან უნდა მოდიოდეს. სულხან-საბა ორბელიანი მას ასეთ განმარტებას აძლევს „ლია — საფლო-ბი ტალახი“. რაც ზემოთ მოყვანილ აზრს უახლოვ-დება. ზოგიერთის განმარტებით ტბის სახელი ტბეხასა და ქაობების მცენარეულის დასახელებით — „ლისით“ უნდა აიხსნას.

ლისის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე განლაგებულია სოფელი თხინვალი. სოფლის სიახლოვეს ნაკადულის მარცხენა კლდოვან ნაპირზე დგას წმ. გიორგის უცუმათო ეკლესია. ამ ადგილს საგაბაშვილოს უწოდებენ. ეკლესია აგებულია ღამაში ფუტურის ღია ფერის აგურით, განიერი ნაე-რებით. კარნიზა ქვისაა. სამხრეთის კედელში ჩატანე-ბულია ქვის ფილა, რომელზეც შვის საათია გამოხა-ხული, ასევე ქვაზეა ამოჭრილი ჭრის გამოხატულება აღმოსავლეთის ფასადზე. ეს ორი ქვის ფილა შეად-

გენს ეკლესიის გარე მორთულობას. გვიანფორმადიურ ხანას ეკუთვნის შეისრული თავებით გაჭრილი ამოყვანილი პარტიკი. დაშლილია მეორე სამხრეთის მხრიდან და ჩრდილოეთიდან მიეკედლებული ეკვდირი. ეკლესიის მალაქი მოცულობა გადახურე-ლია ისრული მოხაზულობის კამარით. ღრმა საეურ-თხევის გვერდებზე მოთავსებულია კამარით გადახუ-რული ნაქვეულო და სადაიკენი.

ლისის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ის მან-ძილზე განლაგებულია ორი სოფელი: ქვემო ლისი და ზემო ლისი, რომლებიც ბოლო ხანს ფაქტიურად გა-ერთიანდნენ. ქვემო ლისის ჩრდილო ნაპირას გაშლ-ებულ პატარა სასაფლაოზე დგას XIII-XIV საუკუნე-ების ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ასევე ნახევრად დანაგებულია ზემო ლისის წმ. გიორგის პა-ტარა ეკლესია.

ლიპინი — თბილისის განაშენიანება თანდათან იპურობს შორეულ და ახლო შემოგარენს. ქალაქის განვითარებას და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის მიხედვით ერთ-ერთ ვრცელ სამშენებლო ბაქ-ნად ახლო მომავალში ლიპინი იქცევა. პროექტის მი-ხედვით ახლად წარმოქმნილი საქალაქო უბანი 113 ბექტარ ტერიტორიას დაეკავებს შედინარე ლიპინის ხეც, კახეთის გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზს შო-რის. დღესდღეობით მხოლოდ 16 ჰა არის დაკავებული სამრეწველო ნაგებობებით, დანარჩენი ტერიტორია თავისუფალია.

დეტალური დაგეგმარების პროექტი (არქიტექტო-რები ო. არველაძე, გ. შავდია) ტერიტორიაზე ორ საცხოვრებელ კომპლექსს ითვალისწინებს, რომელია შორის საზოგადოებრივი ცენტრი განთავსდება. და-გეგმარებით სტრუქტურას გამჟღავნებ დაუკმა ვრცე-ლი ხეივანი, რომელიც გაერთიანებს დასახლების ძი-რითად ნაწილებს. ამ კომპლექსიური ღერძის მთელ სიგრძეზე განლაგდება საზოგადოებრივი ნაგებობები. დასაჯლების წონიერების თვისებებზეა განპირობებუ-ლია ხევის ვადასერილი ადგილმდებარეობის ხასია-თით. საცხოვრებელი კომპლექსები დაგეგმარებულია ამ ხევის ორთავ მხარეს, რომელიც მომავალი უბან-ში გათვალისწინებულია სასაქაქო მასშტაბის დასახ-ენებელი ჯონის მოწყობა. კავშირი თბილისთან ვან-ხორციელდება კახეთის გზატკეცილის მეშვეობით. რომელსაც საცხოვრებელი კომპლექსები დაუკავშირ-დებიან რაიონული მნიშვნელობის გარშემოსავლელი მაგისტრალებით.

განაშენიანება განხორციელდება, ძირითადად, მ-სართულიანი და, ნაწილობრივ, 16-18 სართულიანი სახ-ლებით.

(გაგრძელება იქნება)

ზრახვლია „ოტელოს“ იღუმალი აზრი

(დიდი დრამატული თეატრის დადგმის გამო)

ტრაბედი „ოტელოს“ ბევრი შექსპირის უსრულყოფილეს ქმნილებად თვლის. მას ზოგჯერ მსოფლიოში უსრულქმნილეს დრამატულ ნაწარმოებად მიიჩნევენ.

ამიტომ ხომ არ არის გავრცელებული აზრი, რომ ამ ტრაგედიაში არსებითად არაფერია ისეთი, რაც არ შეიძლება ნებისმიერ საუკუნეში, ნებისმიერ პირობებში, ნებისმიერ წრეში მომხდარიყო? არ ღირს ყურადღება გამახვილდეს ყველა ჩვენთაგანისთვის საყვარელ შექსპირიულ არქაიზმებზე, ვთქვათ, ისეთებზე, მოქმედი პირები რომელ ღმერთებს რომ ასხენებენ ხოლმე. ამისგან დამოუკიდებლად, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ტრაგედიის ფსიქოლოგიური ნახაზი იდეალურად ზუსტია, არაჩვეულებრივად მართალია; არ არის მოთხოვნილება იმისა, რომ რაიმე დააკლო ამ ნახაზს, ისევე, როგორც არ არის ამ ნახაზისათვის რაიმეს მიმატების საჭიროება იმისთვის, რომ იგი სხვა საუკუნეთა ადამიანებისათვის უფრო გასაგები და ახლობელი გახდეს.

გარკვეულ ეპოქებში, გარკვეულ ადამიანებში ეს ვნებები მოქმედებენ, ზედაპირზე დაუოკებელი ძალით იჩენენ თავს: სხვა ეპოქებსა და სხვა ადამიანებში ისინი თვლემენ, შესაძლოა, სულაც მიცხრნენ; მაგრამ ისინი უცვლელად ბუდობენ ადამიანებში და საკმარისია მათი გამოვლიძება, რომ ამოფრქვევა დაიწყო. მათი უარყოფა ცხოვრების უარყოფა იქნებოდა; ეს იქნებოდა ბუნებისეულ მოვლენათა უარყოფის მსგავსი რამ, ვთქვათ, რომ უარყოფთ ასეთი ფაქტი, — დედამიწის ზურგი ჭერ არ გამაგრებულა, დედამიწაზე არსებობს ლიკარატებიანი ვულკანები და ეს ვულკანები მოქმედებენ ხოლმე.

შექსპირის „ოტელო“ იმ დროს მოძველებდა, როცა ჩვენ შევიცვლებით; როცა ჩვენ მზისგან გაფრინდებით, როცა გაყინვას დაიწყო, როცა დედამიწაზე კვლავ დაი-

წყება სხვა, არა ჩვენი მოძრაობა — პოლუსიდან დაიძვრიან მომწვანო, მოხრაკუნე, მოჩხარუნე მასები მყინვარებისა.

რისთვის იყო საჭირო ადამიანის სულის მოძრაობის ასეთი ფოტოგრაფიული სიზუსტით, ასეთი საზარელი სიმართლით ასახვა? რა საჭიროა მაიმუნობა? ნუთუ მართალია აზრი — მხატვარი მხოლოდ ბუნების საწყალობელი მაიმუნია. Scimia delle natura? ნუთუ, ბოლოსდაბოლოს, ვითხოვლობთ, თავად არ გვეოფნის ჩვენი გადარეული წლებისა და დღეების შემაძრწუნებელი ამბები და კატასტროფები, რომ ეს ქაოსი ჩვენში ვალდევით სცენაზეც, ხელთ გვაჩეჩონ სარკე, რომელშიც დავინახავთ საკუთარ დამწვარ, დანახშრებულ, ტანჯვისაგან დაღმეკილ, დამახინჯებულ სახეს?

თუ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ შავბნელი ღამის წილ რაიმე შუქს დავინახავთ? ცხოვრების ღამის წილ ჩვენ ამ ნათელს ვერ ვხედავთ, ცხოვრება შეშლილია, მას სურს ჩვენც შეგვშალოს. თუ მხატვარი მას ბაძავს, წყეულიმც იყოს იგი! წყევლა და კრულვა უნიკო ექიმს, რომელიც სკალპელით ფოთი-ალობს ღია კრილობებში ავადმყოფსა, რომელიც მაინც განწირულია სასიცოცხლო!

თუ, ფაქტიურად, ეს ჩვენი წინაპარი შექსპირი არა მხოლოდ ბაძავს ცხოვრებას, არა მხოლოდ წარმოსახავს სინამდვილეს, არამედ რაღაცნაირად გარდასახავს ამ ცხოვრებას, გვიჩვენებს, რომ იგი, — შავბნელი, უაზრო, წყეული, — რაღაც იღუმალი, ფარული აზრითაა გაქლენილი?

„ოტელოზე“ მუშაობას რომ ვიწყებთ, ჩვენ ვეუბნებით ჩვენს ჰოს ადამიანის მხატვრული შემოქმედების ამ ძველ ქმნილებას. თუ ჩვენ მას ჰოს ვეუბნებით, თუ ვფიქრობთ, რომ საჭიროა იგი ახლა კვლავ ეკლავ გავაცნობიერებინოთ ადამიანებს, თუ ჩვენ მასში ვხედავთ ელვისმკვეთელ ჰავსს,

ელვისა, რომელსაც ძალუძს გამჟვალვა და გასხივონება ამ ბლაგვი, უღიმამო, დონდლო, დუნე სიბნელისა და წვეარამი ღრუბლებისა, რომლებიც ზარმაცი, ფუჭი, უღირსი რუსული სულის თავზე მოყრილა, — თუ ეს ასეა, მაშინ თვითონ ჩვენს თავს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩავაბაროთ ანგარიში — რისთვის, რა მიზნით ვაკეთებთ ამას და რისი იმედი გვაქვს?

ჩვენ თვალნათლივ უნდა ვაჩვენოთ, რომ მთელი ის საშინელება, რასაც გამოვსახავთ, უსაზღვრო და ნათელ სივრცეებს შლის. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ საზოგადოებრივი და სასაგებლო არაა მთელი ეს ამბავი შებერებული, უღამაზო მავრისა, რომელმაც მასზე განუზომლად უმცროსი, ყველა სიკეთემომადლებული, მშვენიერი ქალი, თითქმის გოგონა შეიყვარა, თუმცა, ქალი ამან ვერ იხსნა უაზრო და სასტიკი სიკვდილისაგან; საქმარისი იყო რომელიღაც უჯიშო გარეწარს ცილი და ეწამებინა მშვენიერი ქალისთვის — და, აი, იგი რბილ ბალიშებში მოაშთო გამხეცებული, ჭკუასგადაცდენელი სალდათის შებმა ხელებში; არამზადა ცილისმწამებელს ხელებს გაუთოკავენ და ჩამოახრჩობენ, მავრი თვითონ იკლავს თავს; „საზარელ საქმესა ვხედავთ“, — ამბობს ავტორი მის მიერ მოთხრობილი ამბის ბოლოს კუნძულ კვიპროსის წინანდელი განმგებლის მონტანოს პირით.

ჩვენ ამას ვკითხულობთ, ამაზე ვმსჯელობთ, ამ წუთას კი შესაძლოა სადღაც სწორედ ეს ხდებოდეს. ქვეყანაზე ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, აზრისგან დაცილილი მაგარმკლავიანი სალდათი, აგრეთვე, ცილისმწამებელი და გარეწარი, რომლებიც სულ მცირე მიზეზით, უფრო ხშირად „ხელოვნების გულისთვის“, ცილისმწამებლობენ და ჩადიან სისაძაგლეებს. ქვეყნად არც პატიოსანი და მშვენიერი ქალია ცოტა.

ასეთი იქნებოდა ტრაგედია „ოტელოსადმი“ ნატურალისტური მიდგომა. ტრაგედია ასეთ მიდგომასაც უშვებს, მაგრამ ჩვენ იგი არ გვჭირდება. — ჩვენ რომანტიკული მიდგომა გვჭირდება.

სიბილწე, რომელიც ახლა, ამ წუთას ხდება სადღაც, რატომღაც სიბილწე და სისხლის სამართლის დანაშაული და ის, რაზეც ჩვენ ვფიქრობთ, რატომ არაა სიბილწე და სისხლის სამართლის დანაშაული?

რა იოლია, რა საშინლად იოლია, მებრეცი, რა მაცდუნებლად იოლია მხატვრული ფიქვით! ერთის მეორისთვის მიმსგავსება! რამდენად რი მასალა აქვს საამისოდ ხელთ! დააკვირდით სისხლსაც კეკელტუჩა გამვლელს ქუჩაში და მის უპოვით ნიშნებს, რომლებიც ოტელოსაც ჰქონდა; დააკვირდით ცივ სახეს გამვლელისა, რომელიც თვალს თვალში არ გისწორებთ და თქვენ მასში იპოვით იაგონ ნიშნებს; დააკვირდით ვარდისფერ, ქერათმიან, ვასაოკრად ნათელივალვა ქალიშვილს და თქვენ გაგახსენდებათ დეზდემონა. მარადი, წარუვალი, განუშორებელი სამებაა.

რა იღუმალი აზრია ყოველივე ამასში? ამაზე მინდა მოვახსენოთ — მინდა გავიზიაროთ, როგორ აღვიქვამ მე ამას, რისი დანახვა მინდა სცენაზე.

ოტელომ დეზდემონა მხოლოდ იმიტომ როდი შეიყვარა, რომ მისმა ქერათმიანმა სილამაზემ ამჩქეტყარა მავრის შვიი სისხლი; არა იმიტომ, რომ რასობრივმა, გვაროვნულმა სისხლისმიერმა დაპირისპირებულობამ უბიძგა მისკენ; არა იმიტომ, რომ დეზდემონა ყოვლი მადლითაა აღსავსე — სიწმინდით, უცოდველობით, სიკეთით, კეთილშობილებით. აჯობებს ვთქვათ, რომ ყველა ეს მიზეზი იგულისხმება, მათი დაუნახაობა არ იქნება, ისინი ძალზე თვალნათლივ ჩანს საიმისოდ, რომ მათ იქით არ ვეძიოთ ერთი, მთავარი, პირველი მიზეზი. ეს მიზეზი ისაა, რომ ოტელომ დეზდემონაში იპოვა თავისი სული, პირველად იპოვა თავისი საკუთარი სული, მასთან ერთად, — პარმონია, წონასწორობა, წესრიგი, რომელთა გარეშეც იგი დაკარგული, უბედური ადამიანია. „...თვით ჯოჯოხეთმა შთანთქმას ეს სული, სულზედ მეტად თუ არ მიყვარდე; და როდესაც მომესპობა ეს სიყვარული, მაშინ ერთმანეთს აეშლება ცა და ქვეყანა!“ ოტელო იღვა იმ გზაზე, რომლის საბოლოო მიზანია მონახვა სულისა, მონახვა დეზდემონასი. მან თავისი ბობოქარი, „ცის ფრინველივით თავისუფალი სული“ „შეხუთა“ უცხო ხალხის სამსახურით: აბჯარში ჩაქედა თავისი ვენები, რომლებშიც განუსჯელი შავი სისხლი ჩქედდა. სტიქიური ვენების, თითქმის თავაწყვეტილ ძალთა ამ ხანგაძლივად მოთოკვის ჯილდო იყო სული, ჯილდო იყო დეზდემონა. უცდომელი, ერთის შეხებვით, რითიმე შე-

ულახავი ჯილდოა. დეზდემონამ გამოიტაცა ოტელო „ჯოჯოხეთური უფსკრულებისგან“, რომლებიც სხვაგვარად უეჭველად შთანთქმდნენ მას. მათი შეხვედრა უზენაესის ნებით იყო განპირობებული. შექსპირი მაშინ წარმოგვიდგენს ოტელოს, როდესაც იგი უკვე შეყრილია დეზდემონას, როდესაც უკვე მონახული აქვს თავისი სული. ამიტომ პირველივე წუთიდან ჩვენ გვინდა ოტელოს ვხვდავდეთ რალცანირი შარავანდით მოსილს, მიგნიდან რალც არაჩვეულებრივი შუქით მინათობებს და ამიტომ ჩვენს ირგვლივ მოტრიალვ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანებისაგან განსხვავებულს.

დეზდემონამ მავრი თავისი მამის სახლში გაიწო. მავრი უყვებოდა, ალბათ, აღმოსავლური მკვერმეტყველებით, მთელი მგზნებარებით, რაც კი ბუნებას მისთვის მიუნიჭებია, არაჩვეულებრივ ფათერაკებზე, რომლებიც მთელი მისი ხანგრძლივი, ნაჯფი, საბრძოლო ცხოვრების მანძილზე ფეხდაფეხ სდევდა. რასაკვირველია, მან მაშინვე, ქალური აღლითი ვაიფო და იგრძნო, რა იქნებოდა მისთვის ეს მავრი, რა იქნებოდა მავრისათვის თვითონ. ამიტომ უსმენდა ქალი მავრს ასეთი თანაღმობით, სწორედ ამიტომ ტროდა იგი. ქალი მაშინვე თანაელმო კაცს, სულწინდლად მოეფინა მას. ყველაფერი დანარჩენი აუცილებელი და მშვენიერი ფსიქოლოგიური დამატებაა უთქმელისა და აუხსნელისა, მისი სიყვარულის იმ ერთადერთი, პირველი და მთავარი მიზეზისა, რომელზეც თავად მან ასე გულმართლად და ზუსტად თქვა:

ჩემგან გამოვიღო ჰირთათვის მან მე შემიყვარა,
მე შევიყვარე ჩემთა ჰირთა თანაგრძნობისთვის!

ამიტომ არა სიწმიდე, არა ქალწულებრივი მომხიბვლელობა განასხვავებს დეზდემონას მის ირგვლივ მყოფთაგან; მას გამოარჩევს, უწინარეს ყოვლისა, ის არაჩვეულებრივი ციალი, რომლითაც მან თავისი საქმროც გაასხივოსნა. მე არას ვამბობ ამიტომ სათნოებებზე, რომლებითაც შეძკულია დეზდემონა. ის თავადაა სათნოება, ის სწორედ თავადაა ის გამოუთქმელი არსი, რომელიც გარდავიდა მავრში. დეზდემონა — ესაა სული, სულს კი არ შეუძლია არ იხსნას ქაოსი. დიდი ნებისყო-

ფის გამოჩენა და ძალისხმევა დასკირდა დეზდემონას იმისათვის, რომ წასულიყო მამიქის საგან, კვიპროსზე წაჰყოლოდა ოტელოსთან ა. შ., მაგრამ მას თავისი ნება-სურვილით არ შეუყვარებია მავრი და ესაა მთავარი, რაც უნდა ვაჩვენოთ იმისათვის, რომ ტრაგედიის ფარული, იდუმალი აზრი წარმოჩინდეს.

ტრაგედია ტრაგედია არ იქნებოდა, ის მისტერია იქნებოდა (აქ მისტერიის ყველა ელემენტია), მასში რომ არ მონაწილეობდეს მესამე, ინდენადვე აუცილებელი, როგორც პირველი ორი, პირი: ეს პირი იაგოა.

იაგოს შურს ოტელოსი? — დიახ, ეს ასეა. იაგოს სძულს ოტელო იმისათვის, რომ მას (იაგოს) მეთაურობს მასზე ნაკლებ ღირსეული კასიო? — დიახ, ასეა. იაგო ეკვობს, რომ მისი ცოლი ოტელოსთან ღალატობდა? — დიახ. იაგო შურს იძიებს? — უღაფოდ. უიღბლოა? — დიახ, ესეც არის.

რაც უფრო უეჭველია ყოველივე ეს, რაც უფრო ჰგავს ყოველივე ეს სინამდვილეს (ყველაფერი ეს კი შოშისმომგვრელად ჰგავს მას) — მით უფრო ცხადია, რომ მთავარი, ერთადერთი მიზეზი ავტორს ისევე არ მიუთითებია. მიზეზი იმაში იმალება, რომ იაგოს არ შეუძლია იმოქმედოს სხვაგვარად, ვიდრე მოქმედებს, რადგანაც იგი თავისი ნება-სურვილით არ მოქმედებს. ამ უიღბლოს იმიტომ სდევს ასეთი გასაოცარი წარმატება — წერილობრივად კი — ასეთი სისწრაფით იმიტომ ხორციელდება მთელი მისი ჯოჯოხეთური გეგმა, რომ ეს გეგმა ნამდვილად ჯოჯოხეთურია, იმიტომ, რომ იაგოს მოქმედებას ბნელი ძალები არა გადატანითი აზრით წარმართავენ; იმიტომ, რომ სამყარო ისეა აგებული, ბნელ ძალებს არ შეუძლიათ სცენაზე არ გამოვიდნენ იქ, სადაც იწყება მისტერია; იმიტომ, რომ ღვთისაგან განმზადებულ გზებზე არ შეიძლება არ დაიწყოს ეშმაკეული მუშაობა, რომლის უსაშინლესს ვერაფერს ჩაიდენს ვერა ძალა. ეშმაკს არ შეუძლია ქაოსი არ აღძრას.

აი, რატომაა, რომ იაგოში არ არის ეს განზრახი საძაგელი ნიშნები, მის გარეგნობაში არაფერია ისეთი საზოხლარი, რაც მკვეთრად მოხვედებოდა კაცს თვალში; ეს უბრალო არამზადა კი არაა, — „საყვარელი არამზადაა“. „პატიოსანი იაგო“, — ასე ეძახის მას ყველა, და ეს სიმართლეა, რომელიც ბოლომდე სიმართლედ რჩება, რად-



გან იავო პატიოსნად ადგას თავის შავზნელ და ეშმაკეულ გზას, პატიოსნად ემსახურება ეშმაკს, პატიოსნად ახარავს მას მთელ თავის არაჩვეულებრივ ვონებას და ტოლანტს. ამიტომ მინდა იავო ისევე არ ჰგავდეს მის გარშემო მოტრიალე ხალხს, როგორც ოტელიო და დეზდემონა არ ჰგვანან. ოღონდ, იავო შიგნით ანათებს სხვაგვარი, ბნელი ცეცხლით, რაღაც შავი ციალი აშუქებს მას და სულ გეჩვენება, რომ თუ მოულოდნელად დამე ფარანს მიანათებთ, კედელზე აცეკვდება არა პორტუჩო იავოს ჩრდილი, არამედ რაღაც სხვა, უსაშველოდ მახინჯი და საზარელი ლანდი.

აი, სამი მოქმედი პირი, რომლებიც წარმართავენ ტრაგედიას. ყველა დანარჩენი საოცრად ცოცხალი, ძალზე თავმომწონე, ძალზე საინტერესო — ერთნი მეტად, მეორენი ნაკლებად — ადამიანები ამ სამისაგან ძალზე შორს დგანან. ისინი დატრიალებული მოვლენების პასიური მსხვერპლნი არიან, ისინი ტრაგედიის არსში არ მონაწილეობენ, ისევე, როგორც ადამიანთა უმრავლესობა არ მონაწილეობს ცხოვრების არსში; ბოროტნი არიან

ისინი თუ კეთილნი, პატიოსანი თუ ცუდი ლუტნი — ისინი არავითარი შემთხვევით არიან განათებული, ისინი — ობიექტლები — ბევრი არიან, ესენი კი — მხოლოდ სამნი.

ჩვენ ჯეროვნულად თუ შევძლებდით ამ სამკუთხედის ამართვას, თუ შევძლებდით გახსნას იმ იდუმალი აზრისა, რომელსაც შექსპირის ტრაგედიიდან ვერ ამოვადებ, ვფიქრობ, ბევრს მივალწევდით და ჩვენი მიღწევები გადააჰარებდა უოველგვარ მოლოდინს.

შექსპირის ტრაგედიის იდუმალ, ფარულ აზრს თუ გამოვავლენთ, მივალწევთ იმ განწყობენას, იმ კათარსისს, რომელიც მოეთხოვება ტრაგედიას; მაშინ ახლებურად აქედენდება ჩვენთვის ტრაგედიის დამავიწყებელი სიტყვა „საზარელ საქმეზე“. თავზარი განათდება სევდიანი ღიმილით, როგორც ეს შექსპირს სწადა.

1919 წლის 12 ოქტომბერი.

სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „ეიზნ ისუსტვა“, 1919 წლის 19 და 21 ნოემბრის ნომერში. ა. ბლოკმა იგი დიდი დრამატული თეატრის მსახიობებს წაუთხოვა 1919 წლის 15 ოქტომბერს.

თარგმანი ჯ. თითხარიაშვილმა.

პანორამა

სამსი რეკლამაში

„ქართო უფლებების სამინისტროს“ ეგიდით 1988 წლის გაზაფხულს, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით, პარიზში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა რეკლამაში სექსუალური მოტივების გამოყენებას.

გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს წარმატება ერთგვარად განაპირობა ირონიისა და აღშფოთების იმ შერეულმა გრძნობამ, რომელიც ეუფლებდა აქ მოსულ მაყურებელს. ორმოცდარვა პანოზე თითქოსდა ორი სფეროა წარმოდგენილი: „სხეული-საგანი“, „სხეული-სამკაული“. „ბრილიანტების შთანთქმული“, ანდა პიროქტი — მორჩილი მუღღე, მომხიბლავი მდივანი — ეს არის „ქალი“. სპორტი, ზიფათი, ვაჟაკური შარში (ნებისმიერ ასაკში), მოქმედება, ძლიერი პიროვნება, სოციალური წარმატება — ეს „მამაკაცი“.

პრესკონფერენციამ მხოლოდ დაადასტურა და ფართო მასების წინაშე ცხადყო ფრანგ ხელოვანთა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაიმე კონკრეტული ღონისძიებანი მას არ დაუსაბავს, რადგან კულტურის მოღვაწენი კარგად გრძნობენ ამგვარ ღონისძიებათა უპერსპექტივობას.

ბშირად გამოსახვის ასეთი „ესთეტიზმი“ გაძლიერე-

ბულია უგემოვნო ტექსტით „კარგად ჩაცმული მამაკაცი — ეს იგივეა, რაც კარგად გახდილი ქალი“ და ა. შ.

გამოფენამ ცხადყო, რომ დღევანდელი რეკლამა დაუსრულებლად იმეორებს სექსუალურ სტერეოტიპებს. იგი მამაკაცსა და ქალს ისეთ „მხატვრულ სახეობაში“ წარმოადგენს, რომ ისინი საკუთარ თავს ვეღარ სცნობენ. „რეკლამა და სექსის“ ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ რეკლამის სამყაროში ამ გამოფენამ ვიღაც-ვიღაცეებს სირცხვილით ღოჯა უნდა აუწვას და ცოტათი მაინც მოიყვანოს გონს.

სექსის რეკლამაში გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო. მაგალითად, კანადაში უკვე ორი ოფიციალური პრიზი დააწესეს („დემერიტისი“ და „ემერიტისი“), რომლებსაც გადასცემენ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, ვინც აქტიურად იბრძოლებს რეკლამის მიერ სექსუალური მოტივების ასეთი ურცხვი ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

კაპერული მუსიკის ფესვივალი ბიჭვინთაში

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს რესპუბლიკაში საფუძველი ჩაეყარა კიდეც ერთ შესანიშნავ მუსიკალურ ტრადიციას — ბიჭვინთის უძველესი ტაძრის თაღებქვეშ პირველად ჩატარდა კაპერული მუსიკის ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მუსიკოსები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, საზღვარგარეთიდან.

ფესტივალის სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს სახელმწიფო კაპერული ორკესტრი და მისი მხატვრული ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების, რუსთაველისა და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი ლიანა ისაკაძე, რომელმაც გავვიზიარა თავისი აზრი ამ ფესტივალის თაობაზე: „ღამის სერენადები“ — თქვა ლ. ისაკაძემ — ჩავიფიქრე ამ წელიწადნახევრის წინ. მინდოდა გამოემქმენა საზაფხულო საკონცერტო სეზონისათვის შესაფერისი ფორმა, რათა ჩვენს მსმენელებს უფრო ღამაზად და შინაარსიანად გაეტარებინათ დასვენების დრო.

ამ იდეის განხორციელებაში ხელი შეგვიწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეწვია საუკეთესო შემსრულებლო ძალები — დირიჟორები, პიანისტები, მევიოლინეები, ჩასაბერ საკრავებზე დამკვრელები. საფესტივალო პროგრამაში შევიტანე ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც სიამოვნებას მინიჭებდნენ ფართო მსმენელსაც და მუსიკოსებსაც. კარგად ცნობილ თხზულებებთან ერთად შესრულდა ჩვენი მსმენელებისათვის უცნობი მუსიკაც. პირველ კონცერტზე დაეუყარით მოცარტის „ღამის სერენადა“ და სალიერის სერცო, რომელიც ჭერ არავის შეუსრულებია საბჭოთა კავშირში.

ძალიან მინდოდა, რომ ამ ფესტივალში საქვეყნოდ ცნობილ მუსიკოსებთან ერთად გამოსულიყვნენ საქართველოს კაპერული ორკესტრის მსახიობებიც. ეს ჩანაფიქრი განვახორციელე პირველსავე კონცერტზე, რომელზეც საქართველოს დამსახურებულ-

მა არტისტმა ვ. კონიაევმა და თ. ლომიძემ წარმატებით შესრულეს ბოკერინის დუეტი. ცოტა ხნის შემდეგ მე და ს. გონაშვილმა შევასრულეთ შნიტკენ კონცერტო-გროსო. დასკვნით კონცერტზე კი საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ს. გონაშვილმა და ვ. სიხარულიძემ კამერულ ორკესტრთან ერთად დაუკრეს მოცარტის „კონცერტანტის სიმფონია“. ეს ნაწარმოებიც პირველად შესრულდა საბჭოთა კავშირში. ფესტივალს უამრავი მსმენელი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ კონცერტები გვიან იწყებოდა (21 ს. 30 წ.). რამაც დამაწმუნა ამ შემოქმედებითი ღონისძიების ჩატარების აუცილებლობაში.

ფესტივალის წარმატებას ხელი შეუწყო ბიჭვინთის საკონცერტო დარბაზმა — ამ უძველესი და უღამაზესი ტაძრის ატმოსფეროში, მისმა ჩინებულმა აკუსტიკამ. მაღლობას მოვახსენებ აფხაზეთის ფილარმონიის მუშაკებს, რომლებმაც შესანიშნავად გვიმასპინძლეს“.

ბიჭვინთის ფესტივალზე დიდი წარმატებით გაიფიქრეს კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა. შესრულდა ბახის, ვივალდის, გლიუკის, ჰაინდის, მოცარტის, სალიერის, ალბინონის, შუბერტის, ი. შტრაუსის, გრიგის, სენ-სანსის, კომპენდის, ჯოლინის, შნიტკეს, ს. ნასიძისა და სხვათა მუსიკა.

მაღალი შეფასება მისცეს „ღამის სერენადებს“ ბიჭვინთის ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა. გთავაზობთ ცნობილი საბჭოთა მუსიკოსების შთაბეჭდილებებს:

სსრკ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტმეისტერი **ლ. მინაბიძე**: „შესაძლოა, ჩემი შთაბეჭდილებები სუბიექტურია, რადგან უშუალოდ ვმონაწილეობდი ამ შესანიშნავ ფესტივალში. საქართველოს კამერულ ორკესტრთან ერთად შევასრულე კომპენდის კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისათვის. შესანიშნავია ასეთი ფესტივალის ჩატარების იდეა, მაღალია მისი ორგანიზაციის დონე. ჩინებულად უკრავს საქართველოს კამერული ორკესტრი, რომელსაც ჭადკერული ოსტატობით ხელმძღვანელობს ჩვენი დროის გამოჩენილი მუსიკოსი ლიანა ისაკაძე. მისი წყალობით ამ კო-

ლექტივიმ ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს. ახალგაზრდა მუსიკოსები მუშაობენ დიდის გაცაცებითა და მღელღეარებით. სიმოვნება ასეთ ორკესტრთან თანამშრომლობა. საქართველოს კამერულ ორკესტრს დიდი მომავალი აქვს“.

სსრკ სახალხო არტისტი, ლიტვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დირიჟორი **საქული სონდუციანი**: „დედ პატივად ვთვლი ბიჭვინთის ფესტივალში მონაწილეობას. გამოჩენილმა მევიოლინემ **ლ. ისაკაძემ** შესანიშნავად განაზოცრციალ შავი ზღვის სანაპიროზე კამერული მუსიკის საღაშოების გამართვის ამოცანა. ფესტივალის ჩატარდა ძალიან მაღალ დონეზე. მასში მონაწილეობდნენ მაღალი კლასის ისეთი ავტორიტეტული მუსიკოსები, როგორებიც არიან თვით ლიანა ისაკაძე, ა. ლიუბიშოვი, დ. ალექსევი, ლ. მიხაილოვი და სხვები, რომლებიც ნებისმიერ საერ, თაშორისო ფესტივალს დაამშვენებდნენ. მათი წყალობით ბიჭვინთის „ღამის სერენადები“ იქცა საკავშირო მასშტაბის მოვლენად.“

ჩვენს ქვეყანაში საზაშორო საკონცერტო სეზონი კარგად არის ორგანიზებული. ზაფხულობით კი ვკარგავთ კონცერტს

მსმენელებთან, უყურადღებოდ გვაქვს მიტოვებული შრავალი შესანიშნავი კურორტი. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობას ვანიჭებთ ბიჭვინთის მუსიკალურ ზეიმს, რომელიც ტრადიციულ ღონისძიებად უნდა გადავაქციოთ.

მაზარტის საქართველოს კამერული ორკესტრის წინვლა და წარმატებები, მივესალმებო გამოჩენილი მევიოლინის **ლ. ისაკაძის** სადირიჟორო ხელოვნებას, რომელმაც მისი ბრწყინვალე ტალანტის ახალი მზარტები წარმოაჩინა.

მომავალ წელს ვილინუსში ჩავატარებთ კამერული მუსიკის ფესტივალს, რომელზეც მოვიწვევთ საქართველოს კამერულ ორკესტრს. გვინდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მსმენელებმაც გაიცნონ ეს შესანიშნავი კოლექტივი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. საბჭოთა კამერული მუსიკის შედეგად ვთვლი ს. ნასიძის კამერულ სიმფონიას, რომელსაც ბიჭვინთის ფესტივალზე დიდი სიმოვნებით ვუდირიჟორე. ს. ნასიძის კამერული სიმფონია ჩემი საუვარული ნაწარმოებია. იგი დაწერილია დიდის ნიჭიერებით, შთაგონებით, ოსტატობით. თანამედროვე მუსიკის ეს საუკეთესო ნიმუში, ამავე დროს, რიტმისა და კოლორი-

საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი



ტის მხრივ ღრმადეროვნული ქმნილებაა, ამიტომაც ისმენს მას მსმენელი ასეთი დიდი ინტერესით“.

გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ე. ბარბანდინი: „ძალიან მოხარული ვარ, რომ დავესწარი ბიკვინთის ფესტივალს, რომლის ორგანიზატორია ჩემი უსაუვარლესი მეგობარი ლიანა ისაკაძე. ამ გამოჩენილ მეგობარს თვალუფრის ვადევნებ ქერ კიდევ მისი სტუმრებობის წლებიდან. არ გამოვტოვებია მოსკოვში გამართული ლ. ისაკაძის არცერთი კონცერტი. ვერ წარმოადგენთ, რა ინტერესი ველოდი საქართველოს კამერულ ორკესტრს მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ლიანა ისაკაძე. ეს დღეც დადგა და ჩემი შთაბეჭდილებები გამოვხატე უფროსად „მუსიკალნაია უიზნის“ ფურცლებზე. მოხარული ვარ, რომ საქართველოს კამერულ ორკესტრს ხელმძღვანელობს ასეთი დიდი მუსიკოსი, რომელსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი კოლეგებისა და მსმენელებისათვის. ლ. ისაკაძის უზარმაზარი არტისტული ტალანტი, მისი ტემპერამენტი, მსოფლშეგრძნება ამდიდრებს ორკესტრებსაც, აუდიტორიასაც, ნებისმიერი რანგისა და კატეგორიის მუსიკოსებსაც. ამაში დავკარწმუნა ბიკვინთის ფესტივალშიც, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. შეუძლებელია არ აღფრთოვანდეს, როცა ზედიზედ უსმენ ისეთი მაღალი კლასის დირიჟორებს, როგორც ეს არიან ს. სანდუციის, ე. ვლასი, ე. სეროვი, ლ. ისაკაძე... როცა მათთან ერთად უყრავენ გამოჩენილი ინსტრუმენტალისტები.

ბიკვინთის ფესტივალში, როველიც აღბეჭდილი იყო ერთგნული მრავალფეროვნებით, წარმოქმნა მუსიკალური შთაბეჭდილების უმიდირესი პანორამა“.

მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, დირიჟორი პ. მემშანინოვი: გამოჩენილი მუსიკოსის ლ. ისაკაძისა და საქართველოს კამერული ორკესტრის პედიერა ვარ, რადგან მათ

მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანეს ჩემს მიერ გაორკესტრებული ბაზის გენიალური ქმნილება „ფუფის ხელოვნება“, მით უფრო, რომ სულ მალე 300 წელი სრულდება ამ უდიდესი კომპოზიტორის დაბადებიდან.

კლასიკური და თანამედროვე მუსიკა იცნობს ბაზის ამ ქმნილების გაორკესტრების მრავალფეროვნებას. თუ როგორ გავართავთ თავი ამ ამოცანას — ამაზე სხვაზე უნდა იმჯელონ. მე კი ჩემს სამუშაოს განვიხილავ როგორც ექსპერიმენტს, რომელიც დახმარებულია ქართული და მსოფრველი მუსიკოსების ერთობლივი ძალით. ეს ნაწარმოები საქართველოს კამერულ ორკესტრთან ერთად შეასრულა სსკპ სახელმწიფო აკადემიური სიმფონიური ორკესტრის კლარნეტისტების ჯგუფში. ორგანზე უყრავდა საქართველი ორკესტრის სოლისტი ვ. კონიაევი.

ბიკვინთის ფესტივალის შესანიშნავი გამოწყობა, ლ. ისაკაძის პირმშაო, საქართველოს ფილარმონიის მონაპოვარია. მეკრა, რომ დე ტრადიციულიც გახდება და მოიპოვებს საერთაშორისო ელერაბობასაც“.

ესტონეთის სახალხო არტისტი დირიჟორი ე. კლასნი: „უაღრესად დიდი ბიკვინთის ფესტივალის რთლი და მნიშვნელობა მან საშუალება მოგვცა გაგვეღრმავებინა მუსიკოსთა შორის ინტერაციონალური შემოქმედებითი კავშირები, უფრო ახლოს გავვეცნო მოძმე ერების მუსიკალური კულტურა. ამ ამოცანის განხორციელებაში დიდი ბიკვინთის ფესტივალის სულსჩამდგამელი ლიანა ისაკაძის დახმარებია. ამ შესანიშნავმა მუსიკოსმა საშუალება მოგვცა გავვემართა კონცერტები საქართველოს ამ უღამაზეს კუთხეში, ბიკვინთის შესანიშნავ ტაძარში, რამაც გაამდიდრა ფესტივალზე მონაწილე მუსიკოსების სულიერი სამყარო. ცხადია, ჩვენი წარმატება განაპირობა საქართველოს კამერულმა ორკესტრმა, რომელმაც ლ. ისაკაძის ხელმძღვანელობით შესრულა სხვადასხვა ეპოქისა და

სტილის მუსიკა, მსმენელთა წინაშე წარსდგა მრავალფეროვანი და მდიდარი რეპერტორით, რომელიც ამ შესანიშნავმა კოლექტივმა სამ წელიწადში მოამზადა. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტავა ფესტივალის მონაწილეებზე, სტუმრებზე, მსმენელებზე იმ სიბოძმე და მაღალმა შემოქმედებითმა წულმა, რომელიც ლ. ისაკაძის წყალობით სუფევდა ყოველ კონცერტში“...

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. სანანკი: „აღფრთოვანებული ვარ ლ. ისაკაძის მრავალმხრივი ტალანტით. ამკერად მან მოგვაცადა არა მარტო თავისი ვირტუოზული ოსტატობით, თავისი მაღალი სავილი, ინი და სადირიჟორო ხელოვნებით, არამედ ორგანიზატორული ტალანტითაც, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა ასეთი მასშტაბური და მრავალსახოვანი მუსიკალური ზეიმის გამართვა. უაღრესად ფართო იყო ფესტივალის ესთეტიკური დიაპაზონი — ბაზისა და ვიკილის მუსიკიდან მოყოლებული, შნიტკესა და ს. ნასიძის ნაწარმოებებით დამთავრებული.“

შევეცადე ჩემი წვლილი შემეტანა მუსიკის ამ მსვენეირ დღე-სასწაულში, რომლისთვისაც შევარჩიე სენ-სანსის ვალს-კაპრისი „საქორწილო ღვეტილი“. ჩემის აზრით, ეს ნაწარმოებიც კარგად ჩაიწერა ბიკვინთის ფესტივალის მუსიკალურ პანორამაში.

დიდ მომავალს ვუსურვებ ამ შესანიშნავ ღონისძიებას, რომელიც პასუხობს ისეთ პოეტურ სახელწოდებას, როგორცაა „ღამის სერენადები“...

მასალა დასაბეჭდად მოამზადა
ლ. პ. ბაზუნინმა.

საბჭოთა № 11. საქართველო 1983 წ.

თეიმურაზ მალაზფერიძე

მეხსელის ყვავილები

პირველი ნაწილი

გვანცა

მოლოდინი წამებად იქცა. უკვე მესამეჯერ გადაზომ-გადმოზომა ხარკვის სადგურის ვრცელი ბაქანი. ჩაუქრად პაპიროსზე ახალს უკიდებს, გაზეთებს ყიდულობს, ზერტულად ათვალიერებს და იქვე, ურნაში ტენის, ჩიხურთან ლუდს გემოგაუგებლად სვამს. მერე ისევ დადის, დადის წინ და უკან, აფუფთუთებულ, აზიმზიმებულ ადამიანებში, რომლებიც ჩემოდნებითა და მაფრაშებით უსასრულოდ მიიჩქარიან სადღაც. დროდადრო, გულის ჩიბიდან დეკემას იღებს და ვინ აცის მერამდენედ, კითხულობს: „მევემგზავრები მოსკოვს, ვიქნები ხარკოვში 15 ივნისს, ვაგონი № 3, დამხვდი, გვანცა“.

ფესხაკმლის მწმენდავ ბებერ სომებს ჩექმებს აპრიალებინებს — ლიუბოვ ორლოვასა და ლეონიდ უტიოსკოვის სურათებით მორთულ ჩიხურში, თან, პატარა სარკეში ითვალიერებს სახეს. გამხდარია, მწედაკრული, „პილოტკა“ ოდნავ გვერდზე მოუქცევია. „პეტლიცებზე“ ერთი სამკუთხედი აქვს მიმაგრებული;

უცებ, დიდი სადგურის აურზაურში მკაფიოდ გამოიყოფა მშობლიური, მწუბორი სიმღერა:

ვაიმე, ჩემო, ვაიმე, ჩემო ვენახო,

შვიდ წელიწადს, შვიდ წელიწადს ვერ განბო...
ნაჩქარევად შეაჩჩებებს ბებერ სომებს ფულს, გამოვა, ბაქანს მოათვალიერებს, ხედავს: გრძელი, მწვანე ეშელონია ჩამომდგარი, ფანჩრებში გადახობტილი თავები გამოუყვით შავტუბა ბიჭებს და თვალეში ნალველჩამდგარი, აგუფუნებენ:

ვაიმე, ჩემო, ვაიმე, ჩემო ვენახო...

1 მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სცენარი მირზა გელოვანის პროზაული ფრაგმენტებისა, პირადი წერილებისა და მირზას მეგობრების ჩანაწერების მიხედვით დაიწერა, მასში ავტორის მხატვრული ფანტაზია მეტრია, ვიდრე დოკუმენტური მასალა. (რედ.)

იგი მიჰყვება აგუფუნებულ ვაგონის ფანჩრებს და ექვლში მდღეღვარების ბურთმოცობილი, ძლივსდა ახერხებს ამოძახებას:

— გამარჯობათ, ბიჭებო! სადაური ხართ? საით მიდიხართ?

— აუ, ქართველი ქე არ ყოფილა?

— გაგიმარჯოს.. გაგიმარჯოს..

— საჩხერე... ყვარელი... ზუგდიდი... ზესტაფონი... სამტრედია... ახალციხე...

— შენ თვითონ საიდან?

— თიანეთი ვარ, მირზა გელოვანი. აქ ვავდივარ სასახურს.

— რაა ატუბ, ომი თუ იქნება, ამხანაგო ლეიტენანტო? — უყვირის ერთი. მირზა უმზერს მათ ხანგრძლივად, დაკვირვებით, თითქო თვითუღლის დამახსოვრება უნდაო.

— ომი? იქნება, ალბათ, — ამბობს ჩამწყდარი ხმით.

— კი ნუგეშია, შენ ნუ მომიკვდები, — ხარხარეინ ბიჭები და ამასობაში ეშელონიც დაიძვრება. გაცურდება მწვანე ვაგონები და კვლავ აგუფუნდება სამშობლოსაგან მოწყვეტილთა გულსაკლავი სიმღერა:

ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები,

შორს მივდივარ, შორს მივდივარ,

მშვიდობით!

და დავს მირზა თვალკრემლიანი, სადგურის რადიო გამოაფხიზლებს: „თბილისი — მოსკოვის“ პირველ ლინადაგზე შემოსვლას იუწყება მონოტონური ხმა.

ხოლო როცა მატარებელი ჩამოდგა და ვაგონის კიბეზე თეთრებში გამოწყობილი, გრძელნაწნავებიანი გვანცა გამოჩნდა, როცა მირზა გულამოვარდნილი გაქანდა მისკენ და პირისპირ დადგნენ, ორივე დამუნდა. უყურებდნენ ერთმანეთს და ხმას ვერ იღებდნენ. აი, ეს თვალები — განუხსაღვრელი სიყვარულით აღსავსე,



ეს ტურნები — ღიმილის დროს ორ ქათვათა ეპილს რომ გამოავლევებს ხოლმე, მსხვილი, ქერა ნაწვევები... იქნებ სინზარია ყოველივე? არა, სინზარია არაა, რადგან ცხადადა ხედავს და გრძნობს: ქალი თითოთ ეხება მის შუბლს, ცხვირს, ნიკას, ყელს და სიცლით ამბობს:

— როგორ გამოვსტერდით! გამარჯობა, მირზა!
— გვანცა...

მერმე განრგვიდან იტყობენ, რომ მომდევნო მატარებელი მოსკოვისაკენ ღამის თერთმეტზე მიდის, მათ განარგულდებაში მთელი დღეა თურმე, ხელბარგს შემნახველ საქანში აბარებენ.

— სად წავიდეთ?

— განა სტუმარს ამის ეკითხებიან? — იცინის გვანცა, — სადაც მასპინძელი წამიყვანს.

სწორედ ამ დროს, ბაქანზე საგარეუბნო მატარებელი ჩამოდგება. მირზა ბევრს აღარ ფიქრობს, გვანცას ხელს წაუვლებს და სირბილით აცვივლებიან მოღიავებულ ვაგონში. ხალხს ბევრია, უმეტესად ტომრებიანი, კალათებიანი, დიდულვაშია გლეხკაცები და ფაშფაშა დედაკაცები. ისმის მსუეე უკრაინული. მირზა და გვანცა, სივიწროვის გამო მჭიდროდ არიან მიხუტებულინი. მირზა სახით ელაციცება ქალის თმებს, ყურს, ლაწებს, ტანში მთენთავი ვრუნტავი უღვსის.

მატარებელი კი მიდის, მარჯაგაგებს უკრაინის სტეპებზე. ველები, ველები, მერმე თურადა შეუღესილი „ხატები“, ხილის ბაღები და აქოჩირილი აღვის ხეები, ხოლო ცის დასალიერტე წამოშართულან ქარის წისქვილები.

პაწაწინა თეთრი ბაქანი. ჩამოვიდნენ. ჩამოლაგდნენ კალათებიანი ფაშფაშა დედაკაცები — უყაწინთა და ხორხოციო. ბაქანს უკან დაღმართი იწყება, მდინარისაკენ იშვება და სოფლისაკენ მიემართება, მარჯვნივ კი, ბილიკი, ხეხილნარისაკენ მიდის. წითლად დღვივის ალუბლის ბაღი. აქა-იქ, აღერდის მომცრო ზვიგნები დგას, ცოტა სიარულის შემდეგ, მავკილვანის მიღმა, მეველის ქოსსაც წააწყდებიან. ჩამოსხდნენ.

— შიამებ თბილისზე, გვანცა.

— შინაც, რა ვიამბო?

— რაც გინდა, უველაფერი მაინტერესებს.

— მე კი არაფერი მაინტერესებს შენთან ყოფნის მერო, — იცინის გვანცა.

მერმე მისი ქერა თმის ვარკები ტალღებდა დაფიენება ბალახს და იგი ხედავს, ქვემოდან ხედავს მზეს, მწიფე ალუბლებს, მირზას ცასავით ლურჯ თვალებს..

სხედან ერთმანეთს მჭიდროდ მიხუტებულინი და მირზა კითხულობს: „ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი, გემთა მღეწავი და გამირიყავი, როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი და დამნაშავე ჩვენ არ ვიყავით... როცა აუფდნენ პაუბიკები და ზღვაში შვიი ჩაწყნენ ნაღმები... გულის წამებდა და სრდიდნენ დრუბლები, გრიზალაოცად და გულიწაღებო. იფდა ჩრდილებში სიკვდილის სვეტი და შრისხანებას სცდდა ეკლისას, ოცდაცხრამეტი, ოცდაცხრამეტი, ბევრს აიწონის შემდეგ წელიწადს. ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი, გადაურეწილი ცეცხლსა და დემონს, როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი — სამარადისო წამება ჩემო, როცა წამოღდა ზმორებით ქარი და დასავლეთში ფრთები გაშალა, როცა ჩამოპრკენ ბძმობების ზარი და ომის ღმერთებს შეხსენს ავშარა, თვალით სინჯადნენ კრებს ერები, სიჩუემ სცემდა გარუჯულ ძარღვემწიფე გნე მღურტი კრებისერები, ზღვა გააპეს და სუქმანს ნაღმებს. ტუვიაც ეძებდა სისხლიან წერტილს, ცაც ჩამოწვა და სისხლი წაიციხო... ასე დამთავრდა ოცდაცხრამეტი და მეორეოც ასე დაიწყო“.

გვანცა უსმენს გაფართოებული, ცრემლებჩამდგარი თვალებით.

— ღმერთო ჩემო, მე მაშინებს ეს ლექსი, თითქო რაღაც ავმა წინათგანწიხამ დაგაწერინა...

— კი, ეგრეა, გვანცა.

პაუზა. ქალს აშარად არ უნდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება.

— მომიყევი შენზე, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ?

— ვარ ისე, როგორც ქარისკაცს შეეფერება. მენტარები, მენდანები და ჩემი წარსული ახალგაზრდობა მენანება. „ჩქარა, თორემ წასულა ჩვენი ახალგაზრდობა“, — ვიმორბე ხოლმე, მაგრამ სიჩქარე არსად წავიყვანს, დროს ჩავუბღუჯივართ და არ გვიშვებს. ვერც გაასწრებ დროს. მით უფრო, ვერ ჩამორჩები. თანაც, მე ხომ მარტო არა ვარ! ათასები არიან ჩემს მდგომარეობაში და ეს მანუგებელი.

— მეგობრების წერილები თუ მოგდის?

— მომიღის. თუმცა ზოგს დავაიწყული, მაგრამ არა უშავს. ვისაც უნდოდეს — დამიწიყოს, მე კი არაფერი მიავიწყდება — არც სიკეთე და არც სიავი და როცა იქნება, უველას თვისს მივუღღავ!

— ის თუ ვაიყე, შენ და ლადო ასათიანი რომ გაგაპირტიკეს, დეკადენტურ ლექსებს წერენო?

— ერთი იმათი ნამუხიც შევარცხვინე! თუ ომი არ დაიწყო და ცოცხალი დავრჩი, ბევრს შევახსენებ ჩემ თავს. ესეც იცოდე, ჩემთვის არ არსებობს კრიტიკოსთა იჩილო-ბიჩილო, ჩემთვის სამშობლო არსებობს და იგი თბოულობს ჩემგან უველაფერს, რაკიადა მებრძოლი ვარ. მე სამშობლოს ვიცავ და ეს ისე მამაყუებს, რომ შეიცნება კიდევაც კრიტიკოსთა მიეთ-მოეთზე.

გვანცა ნაზად ეფერება მის თმებს. მირზა განაგრძობს ჩაფიქრებული: — მაგრამ მე არასოდეს ვიცოდე საკუთარი თავის ფასი, გვანცა, და უყოველთვის უარნარვე ღიმილით ვხვდებოდი იმას, რასაც სხვები ხელებით, კბილებით ეჭიდებოდნენ და გაქვიროდნენ — მოგვეციო, ჩვენიო. თუკი პოეზიაც კი, ეს ერთობლივი ჩემი საყვარელი საქმე, მე მქონდა, როგორც რაღაც განსართობი, თავშესაქვევი რამ. არასოდეს მიფიქრია საკუთარ ადგილზე, რომელსაც სჭირდება ბძმობა. მეგობრს უველაფერი თავისი მოვდიოდა, მაგრამ ვაი, რომ ასე არ ყოფილა.

რამდენ ხანს არიან ერთად? დრო თითქოს გაჩერდა და გაიყინა, მხოლოდ შრის მხურვალე ბორჩაღალი მიგორავს დასავლეთ. მირზა ნებიერად გაშლართული ბალახზე, თავქვემ გვანცას ბარძაყებსა გრძნობს, ასე ქერის მის სახეს, ნაწნავებზე ეფერება და ბედნიერია უსახდვროდ.

უტებ, შრის სხივებზე აბრწყინებულ ცელის ვარვარა პირს მოპყრავს თვალს ალუბლის ტრტებს შორის და მერმე კაცსაც გაღანდავს. წამოიწევს. შეკრთება გვანცა, კაბის კალთაზე ჩაიკრავს ხელს. კაცი ხეთა შორის გამოაბობებს, ქობთან აისვენება მხარზე ცელადე-



ბული. მუხის კორპივით ჩადგმულია და ჩაფხვლი, მაქის სიმსხო წითელი უღვაშები ნიკაიის ქვემოთ ჩამოუგრძელდება, გაბურტანული, ვრუბელის „პანივიო“ კამკამა თვალებით იმზირება, ილიმება ფართოდ, კეთილად და ხალამს ამბობს.

მაღლ გამოხატვის საერთო ენა. კაცი მივიღ-მოვიღის, პაწია კალთა შწიფე ალუბლით აავსებს და გვანცას მიაბრუნებს მოკრძალებით:

— წამობრძანდით ჩემთან, „ხბატაში“, ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ თაფლით, რძითა და ახლადამომცხვარი პურით გიმასპინძლებთ.

გვანცა და მირზა ერთმანეთს გადაებდავენ, ცდუნება ძლიერია, მაგრამ მიიწე უარს ამბობენ, რადგან მზე იწურება და ხარკოვში დაბრუნდება საკირო.

— გმადლობთ, ბატო!

სანამ წავიდოდეს, დეკავია შეკითხვას აძლევს მირზას:

— ამხანაგო ლეიტენანტო, რა ისმის, ომი თუ იქნება?

მირზას სახე მოექუფრა:

— იქნება, ბატო, როგორც ჩანს, იქნება. არ მოისვენებს პიტლერი.

— მერე და რად გვიინდა ომი, ამხანაგო ლეიტენანტო? შეხედეთ, რა ღამაზია ირვვლივ ყველაფერი. შენი „ბარბანცა“ რა ღამაზია. განა მოვლა არ უნდა ამ სიღამაზე? ხად გვცალია ჩვენ საომრად, ამხანაგო ლეიტენანტო? ემ!

ხელს ჩაიქნევს და წავა.

— დღეს მეორეკერ მკითხეს ომი თუ იქნებაო, — ამბობს მირზა, — თითქოს მე ვიყო მეგ საქმის ავან-

ჩაზანი და განმგებელი.

— მეორეკერ?

— მო, შენ ჩამოსვლამდე ქართველი წვევადლებზე ვნახე. ეშელონი იყო ჩამომდგარი სადგურზე და იურბოდნენ ფანჭებიდან, გალიაში ჩამყვდელი ბელურბავით... (მირზა კვლავ ხედავს უყვე ნანაი სურათს, სიმღერაც ჩაესმის), ჩემი თავი ჩანდავას, გვანცა, მე მათზე ვფიქრობ ახლა, ამ შუადით დაზრდილ შვებუბა ბიუბზე. შენაწება მათი უვაკაცოდ დატოვებული ოკაბები და მინდა მთელი ხმით ვიყვირო, რომ დაუბრუნონ ისინი საქართველოს მიწას. ოღონდ ისინი დაუბრუნონ და, დე, პირველმა ტყვიამ მიმსხვერპლოს მე!

— ნუ ამბობ, მირზა, შეშინია, ასე მგონია, ხელუნდა დაიწყოს ომი. დავბრუნდეთ ხარკოვში, ძალიან გობოვ!

მიპქრის მატარებელი მოსკოვისაკენ. ზამბურში, კიბესთან, მარზა და გვანცა ეხვევიან ერთმანეთს. დროა განფორებისა, მაგრამ არ ეთმობათ ეს წუთი და ქალი განწირული ვინით ეხებუბა ვაეს. ბოლოს, მირზა უკანასკნელად მკოცნის ცრემლებით დამბალ ტურეში, კიბის სახელურს ხელებს უშვებს და ბნელში მიმქროლავს ჩაესმის ქალის უსასოო კვილი. ენარცება, მიგრაავს. მატარებლის ბორბლები დაგდავებს, დაგდავებს... მირზა ადგია ბნელში, ქვებზე, დაჩეკებული. ჩაიარა მატარებელმა, ახლა მხოლოდ სამი ალუბლისფერი წერტილი ჩანს, ერთი ზემოთ, ორიც — ქვემოთ. მერმე ეს წერტილებიც შთანქვა წვევადამა.

მირზამ სახე ჩარგო ხრეშში და ხმამალა, კვითინით ატირდა.

ნაწილი მერტი

უკან დანხმვა

კოკისპირულად წვიმს. ალაფული, ტალახის ფაფადქვეული შარა ნისლიდან გამოდის და ნისლიან შორეთში ითქმება. მოდის, ტალღებივით მოგორავს ლტოლვით დამონათა ნიაღვარი. გაღუმპული, შეცივებული, ნაწამები ქალები, ბავშვები და მოხუცები დამაბული დღეშილით მიაბრუნებენ მუხლამდე ტალახში. რის წამოდებაც მოუსწრაით — შეუკრავთ მაფარსებად, დაუყრითაო ურბიკებზე, ამოურჩიათ ილიაში, ანდა ზურგზე მოუკიდონათ და მიდიან, მიღახლახებენ უწყვეტ, მღვრიე ნაკადად.

დროდადრო დაკრულ-დასახჩრებული ჭარისკაცებო სავხე ფურგონები და მანქანები გამოჩნდებიან, ისედაც ამოლაფულ ლტოლვილებს ტალახს შეაშეფებენ და ჩაივლიან.

საღლაც, ზურგსუან, არც თუ შორიდან, განუწყვეტლად ისმის ქვეშებების ბათქა, ტყვიამფრქვევების კაკანი და ავტომატების წვეტილი ჭერის ხმა.

ფრონტი ახლოა.

ლტოლვილებს ჭარის ნაწილი მიჰყვება ფებდაფებ ბუნებრივ საფარს უქმნის. და იხვევენ უან, მოსკოვისაკენ. მათ შორისაა მირზას ოცულიც: აწოწილი, სათვალაინი არონ გურჯიანი — ზურგჩათიდან ვილიონის ფუტლიარი რომ ამასჩრია, ჭუჭა უირგიზი — ვაუტ იზმოლოვი, სხვები... ყველა მათგანის თვალბში ზის მრისხანება და თავმოყვარეობის ძალაუნებური შეღაპვა.

იხვევენ, მაგრამ ეს არაა ბრძოლიდან გაქცევა — გატეხილსა და დამარცხებულის... ესაა უან დახევა ვეფხის, რომელიც ემზადება ნახტომისათვის.

მირზა შესაძრევად კოკლობს, ტალახსა და თავსხმაში ძლივს მიათრევს მარცხენას, მაგრამ იცის, რომ მთელი ოცული სასოებით, იმედითა და რწმენით შესტკების მას, როგორც მეთაურს და ამიტომაცაა, რომ მათთან ერთად მიაბრუნებს ტკივილებისაგან სულშეხუთული, მთელი არსებით ცდილობს არაფერი შეიზნოს, ცალი ხელი ჭუჭა ვაუტისათვის გადაუხვევია და ასე მიკელანაობს.

ნისლიდან ტანკების კოლონა გამოდის გრუბუნით. ფრთხილად უვლის გვერდს ლტოლვილებს. ერთ-ერთის კოშკურიდან ლეიტენანტი ამომართულა. დაინახავს კოკლონით მიმავალ მირზას.

— ეი, გელოვანი! რა მოგვსლია?

მირზას თითქო უკვირს მისი ღიმილი.

— არაფერი... ისე... ვიტკინე...

ლეიტენანტი ხელს უქნევს და ყვირის:

— ცოტაც მოითმინეთ, ბიუბებო! ცოტაც! მერე ვნახავთ!

კოლონა მიეფარა მოსახვევს. გრუბუნებენ, გუგუნებენ ფოლადის ტანკები..

ცხირზე სათვალეწამოდგმული დედა სახლის კაბეზე

ჩამოშვარა და წერილს კითხულობს. იქვე, ბერიკაცი წის — თუმარქუდიანი, შავლუწიანი, დიდებულმა-ბუხლო და უბრანგო ბიჰს თეთრი ცხენი დასადავე-ბული უპირას. ეტყობა, მან მოიტანა წერილი.

დედის ხმა: „უკვე მოასწრეს ასეულმა, ათასეულმა ვაჟაკებმა სიკვდილი და მათი სისხლი მაქვსებს ბრძო-ლისაყენ. მჭერა: ამ ომიდან დავბრუნდები გამარჯვე-ბული და ვახვარსოვლებ ჩემს დიდ ლიტერატურულ მიწებს. ანგაზრდა ვარ და იმედია. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდი-ბოდა“...

მამა ცდილობს მღვდლად დაფაროს, მაგრამ ვერ ახერხებს. უღვაშებზე ხელს გადაისვამს და მისი მოწულიანებული მზერა, უნებლიედ, იქვე ჩაცუცულ ნაგავზე ჩერდება:

— გესმის, რას იწერება, ჯერჯერ, ჰა?

ძალი კუდს აბათქუნებს მიწზე.

დედა განაგრძობს კითხვას ათორღებულ ხმით:

— „ეს არის უვლანე დიდი ომი, რაც კი ყოფილა ოდესმე დედამიწის ზურგზე. არც მანიალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები შეედრებოდა ამ ომის სიდიდეს. არც სამდე ისეთი დიდი გული ყო-ფილა ქვეყნად, როგორც მაქვს ახლა, როგორც აქვს უყელა ჩემს ამხანაგს. მე მწამს გამარჯვება და სიცოც-ხლე...“

დედა უსიტყვოდ დგება. შუშანდნე შედის, მალევე ბრუნდება და ფეხშიშველ ბიჰს ნუგზარ რადაცებს აჩერებს.

— არ მინდა, ევა ძალო, არა! — ინაზება ბიკი.

— აიღე, შვილო და წადი, აგრემც გაიხარებ! — ლოცავს დედა.

მერმე ცოლ-ქმარი მარტონი ჩრებიან. სხედან კიბზე გვერდიგვერდ. სდუმან. დედა თავშლის ყურით იწმენდს ცრემლებს. წერილს ჰკიცხს და უბეში ინახავს. ძალი ჯავრია ჩუმად წამოტუნებს.

ჩაიარა პროვინატი დატვირთულმა ფურგონმა, გუ-ბურაში შერახრახდა, კუნთებდაძაგრულმა, გაწუწულმა ცხენებმა ვეღარ შეძლეს ამოთრევა და შედგნენ. ამაო გამოდგა შოტლის ვაჟაყუბი, გზა ჩაიხრება და სანამ მიიჩნა ბიჭებმა მხარი არ შეუდგეს და ცხენებს არ შეევედნენ. მოძრაობის ტალღა შეფერხდა. მიიჩნა ხედავს: ფურგონზე ბატალიონის მომარაგების უფროსი წის — პუხოვი.

— საით გაიწვევია, — უძახის ვილაც.

— პრიჩისტისკენ გვიპირავს, არწივებო, — იცინის პუხოვი.

ფურგონი ღვთაობითა ნაკადში გაიარა, ძლივსდა მიიკლვებს გზას. მიიჩნა ხედავს: სათვლიან, ინტელი-გენტ მოხუცს წიგნების შეკრა ამოურჩია ილიაში, მეორეში კი დიდი, ანტიკვარული საათი. მოხდენილ, ასე ოცდაათი წლის ქალს მხოლოდ რედიკული უპირ-რავს, ბერტი გვერდულად დაუბურავს და ისეთი ნარ-ნარი რჩევით მიიბიჭებს გაწუწული და გლავული, თითქმე პაემანზე მიდიოდეს. პატარა გოგონას გულზე სათამაშო თეთრი დათვი მიუხუტებია, მეორე ხელით დედის კალთა ჩაუბურავს და სლუკუნით, გათავებ-ლად იმეორებს ერთიდაიგივეს:

— დედიკო, როდის წავალთ სახლში? დედიკო, რო-დის წავალთ სახლში?

მიიჩნა უყურებს და ტანჯით ხუკავს თვალებს. სად-დაც, შიგნით ჩნდება მხარე, სულის შემჭრეტელი სტრუ-ქონება: „ბავშვი ეკითხება დედას: — რუდს ქრეფულუ სახლში? ღრუბლები არ ჰკავდნენ ღამურებს, ღრუბ-ლებს შეეკამათ ცა. და მტირალი ბავშვი, როგორც მოლაღური, ეკითხებოდა ხმას საყუთარს: როდის წა-ვალთ სახლში?“

იმ დღეს მზის გარდა არაფერს ეძინა. — გვიშველეთ, გვიშველეთ! — ჰკიოდა გრიგალი, — გვიშველეთ! ხე-ვება შეიბებს ფეხებს, რომ როგორც კინებება იქროლონ ცაში! — არ გესმით? როგორც ბალახის ჩურჩული, კითხულობს ხმა: — როდის წავალ სახლში?“

წვიმს, კოკისპირულად წვიმს. გზის პირას დგანან ყვილიად აბრიალებული, დაწვარ-დახეთქილი ნეკერჩ-ხლის ხეები.

მიიჩნა ფურგონიდან ჩამოფოხვდა. და უცებ, ნის-ლიდან გრუხუნით გამოცურდებოდა მტრის თვითმფრი-ნავები. უკიდურესად ჩახერგილი გზა შესანიშნავი სა-მიხნავა.

— დაწვიეთ! — ღრიალებს ვილაც და ადამიანები ტუპატუპით ცვივიან ფაფასავით ტლაპოში.

ყუმბარამ წაშლი გააქრო გრძელი, დაბალი შენობა გზის გაყოლებზე. ნამსხვრევებმა წვილიდან გადაიარა. პატარო ატეორცინელი მიწის მძიმე ბელტები თავზე ეყურებოთ. მიიჩნა წამოიწივს.

— ვაუტ, სადა ხარ?

— იწვიეთ! — უყვრის ვაუტ, — აქა ვარ, აქ.

წვიმს, წვიმს უსაშველოდ. ცვივა ბოშებში კიკილიო, გრუხუნით, ზათით. თვითმფრინავებმა კამარა შექარეს და როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ, ისევე სწრა-ფად გაუჩინარდნენ ნისლეულში. დატოვეს გახულებილი, აბოლებული ნეკერჩხლები, გადათხრალი მიწა და გვა-მები, გავამბო...

ხედავენ მიიჩნა და ვაუტ: ფურგონი გადაბრუნებულა გამოფარტულ, ერთმანეთზე გადახვლანტულ ცხენებს ფეხში ზეცისაკენ აღუფერიათ. იქვე, ტალახში ყრია აგურის ფორმის შავი პურები და ზედ დაკვდომია უსუხოვი.

დაღლილ-დაქანცულმა ბატალიონმა პატარა სოფელმა მიადწია და კაპიტანმა სობოლმა ღამის სათვეად და-ბანაკების ბრძანება გასცა.

მოჩნას ხაზის გუმბათიანი ეკლესია, სამრეკლო, დაბალი, თეთრი კიბები — ბებერი, ფორთხედაცვე-ნილი ცაცხვებით, თივის ზვინებით, სკებით, თიქმტო უვავილებით. სოფლის განაკიდეს ვაუთოლებული ტყეა. მის ნაიჩრე დივანა ბატალიონმა. ჯარისკაცები მიდი-მოლადა, კარვებს დგამენ, ეწყობიან ღამის გასათვად-უსიტყვოდ ირქებიან, უბეზე კუნთებდაბერებლებს თვა-ლებში ნალველი და ბოლმა ჩატბორვიათ.

მიიჩნა, ვაუტ და არის გურვიჩი პაწია. თეთრი კიხის კიშპარს მიადგნენ. ეხოში მოხუცი ქალი ძროხის წვე-ლას მოჩნა და ხბო ჩქიანზე მიუშვა. ბოჩოლა ბურჯნის ცურს, ძროხა ზმულის სიამოვნებით.

მიიჩნა იღიმება, ახსენდება რაღაც მშობლიური...

დედას ცხელი რძე შემოაქვს, ჰაბუყებს, მიიჩნას და ლაღო ასაიანს, მათლაფებზე უსხამს. იხინც პურს ჩამატკრევენ, ჩააბუბუბუბენ და მადანად შეეცვივან ხის კოჭებით. ფანქრიდან მოჩანს ალუბლის ტოტი.



რომელზედაც ჩიტი ზის, სტვენს და თან ირწყვია. დედა, საქსოვით ხელში ფარული სიყვარულით შესცქერის. როგორ სვლემენ ბიჭები რძეს. შავი კნუტი ონვარად ეთამაშება ძაფის გორგალს...

— ხრისტიანი ხრისტიანა! — იძახის მოხუცი. ქობიდან 17-18 წლის მკვრივი, წვივმაღალი გოგო გამოდის, მესხის მიღმა საღვთების დაინახავს და ბევის რაღაცას უჩურჩულებს. დედაბერმა რძიანი ვედრო გადასცა, ხელები წინსაფარზე შეიწმინდა და ქიშკრისაკენ წვიდა.

— რაო, რა გინდათ? — ჰკითხავს პირქუშად. — დამის გასათვის ვეძებთ, დედილო, — ეუბნება მირზა, — იქნება შეგვიფაროთ, ა? — ეს უბრალო საღვთო არ გეგონოს, ლიტენანტია. თანაც, ქართული! — ვაუტ ცერს აჩვენებს, — აი, ასეთი ბიჭია, აი! ქართველის სხენება დედაბერზე ქაღალსავით კრის მეგობრებს ღარიბულ. სუთთა ქოხში შეუძლებვა და რკინის საწოლებზე მიუთითებს, რომლებზედაც ფუმფულა ბალიშებია აკოკოლავებული. კუთხეში ხატი ჰქვია — ჩამწვარი სანთლითა და ბზის მტკრიანა ტოტო.

— დაისვენეთ! — ამბობს დედაბერი და გადის. დია კარებში ახლა ხრისტიანა გამოჩნდება, დაუფარავი ცნობისწაღებით უმხერს ქარისკაცებს დიდი, ლორჯი თვალებით. ამ ოთახში ყოველივე მისი ნახელსაქმარია: ქაღალისწებები, წერო, რომელსაც შიშველი ასული ელაპარაკება, მტკრიალი ალიონუშკა... იქვე მერა პიჯორ-დის, დუგლას ფერბუნესისა და იგორ ილინსკის სურათებიც. კამოზე: „გრაფ მონტე-კრისტოს“ ყდაშემოცევი-თილი ტოტო.

როგორი სიმშვიდეა ირგვლივ, სიმუდრეოვ, სიწყნარე... ვაუტ ვეღარ ითმენს, გაუხდელი წება რბილ საწოლზე, თვალებს ხუჭავს და ჩურჩულებს: — ო, აღლამ! სიწმარია, თუ ცხადია?

ხოლო არის გურჯიანი — უსებშესებებული, გაუპარსავი, მოღვეთილი, განუყრელ ვიოლინოს იღებს და უკრავს წყნარად, სულისშემძვრელად...

საღამოა. ოთახში სინათლე არ ანთია, ბუზარა გურ-გურებს და მისი შუკი ათასგვარ ფანტასტიურ ჩრდილებად თამაშობს კედლებზე. დედას ნათვინია გიტარა უკირავს, ნიავეით ელაშუენება სიმებს და წყნარი, ტკიბილი ხმით მღერის. მის მუხლებთან მოკალათებული გოგონა ბავშვურ, წყრილა პირველს გაუხედავად აკო-ლდის დედის ხმას. მამა ტახტზე წვის, ფოჩიან მთელქ-ზე მისვენებულს მუხლი მუხლზე შემოუდვია, გულზე პაწია ბიჭუნა მიუხუტებია და დაბალი ბანით ავარაუებს ცოლ-შვილის სიმღერას. ტახტთან, პირდაპირ იატაკზე, ბიჭი და გოგო სხედან. გოგოს დედაბერივით შემოუხ-ვევია შალი, ხოლო ბიჭს ლურჯ თვალეში ნეტარი გარინდება აქვს ჩამდგარი...

ეს გელოვანიანთ ოჯახი გახლავთ შორეულ, აწ ვარ-დასულ დროს.

ამასობაში ქოხი ივსება სტუმრებით. მოდიან ბერის-კაცები და დედაბერები, თავს მდაბლად უკრავენ მირ-

ზას, ვაუტს და არონს, დინჯად სხდებიან და დაბაბული ინტერესით ათვალეობენ ცოტა არ იყოს მისი ბიჭებს. მათ მხერაში ეუდად მიჩქმალული და სიმაართის გაგების წურავლი ჩანს.

— ახლოს არიან ძალღისშვილები? — არღვევს სი-ჩუმებს მოხუცი, რომელიც ძველ რუსულ ფრესკას ჰგავს და მქერდზე პირველი მსოფლიო ომისდროინდე-ლი გიორგის ქვარა ჰქვია.

— აი, ბაბუ, ახლოს არიან. — შეგარცხენიათ ღმერთმა! — მოხუცი აღშფოთ-და, — ჩვენ სხვანაირად ვოძობდით, დაბა! სამშობლო გაკუმეთ, სამშობლო გასმეთ, ადამიანებად გზრდით, თქვენ კი, ეს ქან-ღონის სავსე მუტრელები, კურდღლუ-ბივით დამფრთხალი გარბიხართ. სანტერქსოა, როდე-მდე! ფუ!

მოხუცმა ყვარჩენი ბოღმით დაჰკრა იატაკს. მირზა, არონ და ვაუტ თვაჩაქინდული სხედან. ნეტავ კი მიწა გასადეს, პირს უზამდეს მათ და ამ ტანჯული ყოფი-საგან განათავისუფლებდნენ...

ხოლო, ქოხში სიწყნარე დავიანებს. ისმის მხოლოდ არონ გურჯიანისა და ვაუტის ფშვინვა და ხატის წინ დაჩოქილი დედაბერის გულის მომწყველი, ცრემლნა-რევი პუტუნე.

ძილგამკრთალი მირზა თვალეგახელილი მიშტერე-ბა ბნელს. უცებ, მის საწოლთან თეთრი ლანდი გაკ-რთება.

— ამხანაგო ლიტენანტო... — ამბობს ჩურჩულით. — ხრისტიანა?

— ზო, მე ვარ, წამიყვანეთ თქვენთან, ამხანაგო ლეი-ტენანტო. გივედრებით, წამიყვანეთ თქვენთან! დღეს-ხვალ აქ ფაშისტები მოვლენ და დაიკლუები.

ვიცი მე, წამიყვანეთ, გემუდარებით...

— ხრისტიანა... მე...

— არ მითხრა უარი! არ მითხრათ!

— კარგი, ხვალ მოველაპარაკებო კაპიტანს.

— ო, გმადლობთ! — ხრისტიანა სწრაფად ჰკონცის ტუტებში მირზას და ლანდით ქრება ბნელში.

ჩაიწებული მირზა ხედავს სიწმარის:

თავი დედის კალთაში უღვევს და დედაც ეალერსება პატოხიანი, ნაჭფო, დაშარფული ხელებით. ნეტარები-საგან განახული მირზა ჩურჩულებს: „როდესაც ვწვეარ-ცივ სანჯარში და ბრძოლა დამდლოს, მოდის თქვენი ხმა, როგორც კენესა საყოთარი ძვლების და თქვენ რომ არა, თქვენი ლოცვა, მე ჩვილი ბაღლი, ამ სასტიკ გრიგალს ვერ გავუძლებდა“...

მერმე, შავ ცხენზე ამხედრებული, ტრიალ მინდორზე მიჰქრის თვაგამეტებით. ველი ათასფერადი ყვავილებით არის მოჩოქილი. მიჰქრის მხედარი, გაშიშვლებული მახვილი უკირავს და მახვილი ლაპლაპებს შემწარებ-ლად, მაგრამ უძერაღად წამოიქცა ცხენი და შორს გას-ტურცუნა მხედარი...

თვარი ვაახილა მირზამ. გვირილებში იწვა, დიდი ქადრის ქვეშ. ტოტზე ეულად შემომგდარაყო ბერის ქედანი და ლულუნებდა.

ნელადა ამოვიდა დიდი წითელი მწე. მირზამ ვერ გაუძლო მისი სიხეების ბრწყინვალეებას, თავი მკლავებ-ში ჩარგო, მიიღულა.

ყვავილებით მოჩოქულ მინდორზე მისკენ მავალი შოსიანი, მგლოვიარე დედა გამოჩნდა...



— ამხანაგო ლეიტენანტო! ამხანაგო ლეიტენანტო! —
 ეს ვაუტოა.
 მირზა ფეთიანავით წამოვარდება, რვეილვერს მისწ-
 ვდება მამონე. ფანჩრის მინები წვიმის ძაღვითაა
 დაქსელილი.
 — რა ამბავია?
 — ფრცხები!
 ისმის გაფთრებული სროლა, არტილერიის ბათქმა

თეთრ ეკლესიას თითქო სული შეუბერესო, ისე წაყა-
 ლა გუმბათო.
 ქობის კარგში დედაბერი და ხრისტიანული გუმბათი
 ბიან, — მშვიდობით, ხრისტიანო... დედო, მშვიდო-
 ბით...
 მოხუცი ქალი პირვარს სწერს სამივეს. ხრისტიანს
 თვალეში ცერმელია და საყვედური.
 ვაუტ, მირზა და არონ გარბიან ტყისაკენ. მათ უკან
 ქობის ნამსხვრევები ბუმბულივით განაბნია ყუმბარამ
 პაერში.

ნაწილი მესამე

მოსკოვის დაცვა

დგას 1941 წლის გვიანი შემოდგომა. მოსკოვს დას-
 წოლია შიმში, რუხი ცა. წარღვალ თოვს. ფაშბტები
 გააფთრებით უტევენ ქალაქს. ვითარება უკიდურესად
 დამაბულია. ქუჩები თავშესაფრებისთვისაა გადახრილი-
 დი, დგას ტანსაცმელადმდეგო ხირხალები, აღმურათვთ
 სილის ტომრების კედლები, მწყობრად მიაბიჭებს მხა-
 რზე ნიჩაბგადებული მოხალისეთა რაზმი, დროდადრო
 ისმის ქუჩის რადიოს ავისმარეყვებელი, შრისხანე ხმა:

— მოქალაქენო, საპაერო განგაში! — რასაც მომ-
 ყვება ბომბების საზარელი წული, სკდომა, გრუხუნი,
 ფანჩრების ლაწალუწი და სახლების ნგრევა. დაზაფ-
 რული ადამიანები კისრისტებით გარბიან თავშესაფ-
 რისაკენ...

მეტრი ძალიან ახლოსაა, დაუკავებია ლენინგრადის
 გზატკეცილი და თითქმის „ბიჰიკამდე“ მოუღწევია. და
 სწორედ აქ, მოსკოვის კარიბჭესთან აღიმართა ადამიან-
 თა შრისხანე თავგანწირვა, როგორც არდანებების გარ-
 დეუკალი კედელი.

ჭარისკაცები ყველა ჭაჭვარედინზე თხრიან სანგ-
 რებს, აწუნებენ ბლინდაებს, ნაღმავენ მინდვრებს. აქა-
 ი, სახლთა სახურავებზე დგას შენიღბული საწინტო
 ტუვიამჭრქვევი.

ერთიან აღმდგარა ეს უშველებელი ქალაქი და
 ეშხადება თავდაცვისათვის.

* * * * *

არონ გურვიჩი და მირზა „ნიკიტის კეისრის“ მი-
 დამოებში მიაბიჭებენ. აქ ყოველივე ძველი მოსკოვის
 განუქორებელი კოლორიტით არის აღბეჭდილი: თეთრი
 ეკლესიებ. მიხვეულ-მოღვეული ქვაფენილიანი ქუ-
 ჩები, შოთხისა და ცაცხვის ხეებით ჩაბურული, პატარა
 ეზოები, ერთსართულიანი მორბიბთ ნაგები სახლები...

არონ გურვიჩისათვის ეს მიდამოები განუწომლად
 მშობლარია და ძვირფასი. აქ, ამ ქუჩებში, გაიარა
 მისმა ბავშვობამ და ურმობამ. ადღევებული, აფორია-
 ქებული მიუძღვება მირზას და უამბობს, უამბობს
 გაუთავებლად.

— აი, ამ ეკლესიას ხედავ? თუ მიხვდები, რითია
 შესანიშნავი?

— აბა როგორ უნდა მიხვდე? — იღიშება მირზა.

— ამ ეკლესიაში პუშკინმა ნატალია გონჩაროვაზე
 დაიწერა ჭვარი — 1831 წელს, 18 თებერვალს.

— ოი!

— ხომ წარმოგიდგენია, რა ამბავი იქნებოდა? ჭარე-
 ბის გუგუნი, სანთლები, გალობა, კარტები, შამპანუ-

რების ბათქაბუტო... მაგრამ სადღაც წამიკითხვს,
 კორწოლის წინ, პუშკინი თურმე ბომბთან ქვიფობდა
 და ჭვრისწერისას საზარლად იყო გაფთრებული,
 რადგან ბომბმა ავხელითი რამ უწინასწარმეტყველესო.

— აი აუხდა კიდევ?!

მაგრამ არონ გურვიჩი ახლა სხვა აზრმა გაიტაცა:

— საოცარია, როგორ მოიხილეს მოსკოვის აობრება
 და გადაწვა 1812 წელს? ა? დმერთო ჩემო, მე ვერ
 გადავიტან ამას! მიჩვენია ახლავე, ამ წუთსავე დავი-
 ლუკო! — ივარა უტე, მირზას ხელი ჩავლო და შეა-
 ჩერა: — თქვი, როგორ გგონია: შემოვლენ მოსკოვში?
 გამომცდელად შეხედეს ერთმანეთს.

— მე ვიბრძობლე, არონ... სისხლის უკანასკნელ
 წვეთამდე ვიბრძობლე! დარწმუნებული ვარ, ასე
 იბრძობლეს უკელა. დანარჩენი — ვნახოთ!

— გმადლობ. — ჩაბუტბუტა არონმა, — გმადლობ,
 მეგობარო!

ნისლიანი დღე ცირდა თოვლს და ტანების კოლონა
 მოსაბვეცს ეფარებოდა. გრუხუნებდნენ, გუგუნებდნენ
 ფოლადის მანქანები და მათი ხმაური ბიჭების გულში
 იჭრებოდა, როგორც რწმენა და იმედი.

— გახსოვს, რა ვეითობა ერთმა ბერიკაცმა რომელი-
 ლაც მიყურებულ სოფელში? თუ გინდათ, რომ მებრს
 აქობოთ და მისი ძალა დათარგუნოთ, არ უნდა იცახცა-
 ხოთ საკუთარი სიცოცხლის გამოო. ჰოდა, აი, მე
 მთელი მოსკოვის გასაგონად ვამბობ: გაუმარჯოს სიყ-
 დილშიაც არ დანებებას!

— სიყვილიშიაც არ დანებება! — იმეორებს არონ —
 მხოლოდ ეს გავიშვების ჩვენ!

— ამ ლაპარაკით გადესურეს ქუჩა და შესასვლელს
 მიაღწენ. „Salve“ აწერია აქველი ძველებური სადარბაზოს
 იატაკს. აჰყვენ ფართო, მარმარილოს კიბეებს...

* * * * *

პატარა, მაგრამ ფაქიხად დასუფთავებულ ბინაში
 კედლებზე დოსტოევსკის, შოპენისა და ბლოკის სუ-
 რათებია. ჭერამდე აწვდილი თაროებზე — წიგნები,
 წიგნები... მირზა მოქადობულივით დადის. ათვლიე-
 რებს სურათებს, ფურცლავს წიგნებს და აღარ იცის.
 რომელ ერთს მოჰკიდოს ხელი.

კუბეში შავად ლაქალებს ფორტეპიანო.

— მშვენიერი ბიბლიოთეკა გქონია, გურვიჩ. რას არ
 მივცემდი, ილონად ხელახლა გადამიტოხა ეს წიგნები, —
 მირზამ საწულად შეხედა არონს. — როდისღა დავუბ-



რუნდებით ჩვენ ნორმალურ ცოვრებას? ან, დავუბრუნდებით კი საერთოდ?

— ეს ბიბლიოთეკა ერთადერთია, რაც მშობლებისაგან შემოგვარჩა. — ამბობს არონ.

სამზარეულოში ასე 25-27 წლის ქალიშვილი ფუსფუსებს. დიდრონი, ნაღვლიანი, სემიტური თვალები აქვს, ბატანივით ხუტუქი თმა და სქელი ტუჩები...

ოთახიდან ესმის არონის ხმა:

— სულ პატარები დავრჩით მოლად. არავინ გვყავდა პატრონი და ჩემი და რომ არ უყოფილიყო... ვერ წარმოადგენ, რა აღამიანია! გამზარდა, კაცად მაქცია. ესა ჩემი დღეა, მაამც... საერთოდ უველაფერია!

ქალიშვილს ცრემლები ნაუტბორდა თვალებში. კვლავ არონის ხმა:

— ძალიან უნდოდა ნამდვილი მუსიკოსი გამოვსულეყავი. უველაფერს იკლებდა, ოღონდ მე მესწავლა, თითქოს კარგი პირიკ მიჩანდა, მაგრამ ომმა... უმ!

ქალიშვილი გამოვიდა სამზარეულოდან, მაგიდაზე მცირეოდენი საჭმელი და ბოთლით არაუი დააწყო.

— რა ცხვირი ჩამოგიშვიათ? ომი მუდამ ხომ არ იქნება, გათავდება ბოლოს და ბოლოს. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და, დამიჭერ, არონ, მართლაც გახდება დიდი მუსიკოსი — მთელი მსოფლიო დაგიკრავს ტაშს. ოცდართი წლისა ხარ, მეტი ხომ არა? უველაფერი წინა გაქვს!

არონ დამნაშავესვით აფახულებს ბეც თვალებს.

— ღმერთმა ქნას, ლინა, ღმერთმა ქნას.

მირზა ხან ეროს შესცქერის, ხან მეორებს.

.....

ამხედრებულ და-ძმას ივრის გაშლილ ქალაში ნელი ნაბიჯით მიჰყავთ დასადავებული ცხენები. რუსუდანი ფშურ ტალავარშია გამოწყოლილი, მირზას ეტყობა: შორეულ გზაზე ამგზავრებულა.

— ვნანობ უველა დაკარგულ საათზე, — ამბობს იგი, — უველა დაუწერელ სტრაქონზე, რომელთაც ველარაფერი დაბარუნებს და რომელთაც ვითომაც მოუცლელივით ვერ ვიჭერდი, მაგრამ იქნებ ახლაც არ იყოს გვიან და მე უველაფერს ვილონებ, რომ შენთან არ მრცხვენოდეს, რომ შენ არ შეგარცხვებს ჩემს გამო, როცა დაიწყება საუბარი პოეზიაზე, მწერლობაზე.

— გული აგრე რად გიკენის, ძმაო? შენი გზა ახლა იწყება. უველაფერს მოესწრებო.

— ცუდი წინათგანმობა მაქვს, რუსულან. თუ ომი ატუდა... — მირზა დისკენ იხრება და სევდიანი ღიმილით ეუბნება — დაცვიანი დღეები, გავილის დაბინდება, ტანტატევილი დღეები ისევ აბინდდება, ცა რომ გადობარდება, მწვერვალს გაღვნიქება, მაშინ ქარი ჩადგება და აღარც მე ვიქნები...

რუსულანმა საუვედურით შეხედა, უნებლიედ ცრემლები მოაწვა და სხვა ვერაფერი მოახერხა — გაშეტბით სტიკა მათრახი ცხენს, გააქენა.

მირზა გაედევნა. კარგა ხანს აქუნეს. ზოლო როცა ცხენები კვლავ დაიურვეს, ციცაბოზე ამაველი ბილიკი გამოჩნდა.

ძუნწი სიტყვებით ეთხოვებთან ერთმანეთს:

— თავს გაუფრთხილდი, ბუკო!

— მშობლებს მიხედე, რუსულან!

ცხენი გააბრუნა და ჩრთით აუყვა აღმართს. რუსულანი სიუვარულით გასცქერის, თან თვალები ცრემლდ.

ბით ეცნება. აღმართის ბოლოში მირზა გააჩერებს ცხენს, უსანგებზე შეიშარტება და იძახის:

— ევე — ზეი, რუსულან, მშვიდობით, მშვიდობით! მთები და ხეობები ურუ ექოდ იმეორებენ მის ხილს.

.....

სამიწენი, ლინა, არონ და მირზა მაგიდას უხხედან და მწირ ულულუს შეეცქვიან. ლინა დაუფარავ ინტერესით აკვირდება მირზას. მოულოდნელად, ძმას ეტყვის: — იცი, არონ, შენი მეგობარი პოეტი ესენის ჩამოგავს იერიით.

— ოპ, ლინოჩკა...

იგი ახლა მირზას მიუბრუნდა:

— გიუვართ ესენინი?

— ოამდე მის ლექსებს ქართულად ვთარგმნილი. ისე, ჩემთვის...

— კიდევ ვინ გიუვართ რუსული პოეზიიდან?

მირზას გაეღმა.

— უველაფერი მიყვარს, რაც ნამდვილია. რუსულ პოეზიაში კი ნამდვილი, მაღლობა ღმერთს, ბევრია ძალიან.

— უველაფერი ნამდვილი... ჰმ, საინტერესოა! გინდათ, ჩემ საყვარელ ლექსს წაგიკითხავთ და თქვენ გამოიყნით ვისია.

— ლინამ შუელი რუსული პოეზია ზეპირად იცის. — არონ განუსაზღვრელი სიუვარულით შესცქერის დას.

— რომ ვერ გამოვიცნო?

— თქვენ ხომ უველაფერი გიუვართ, რაც ნამდვილია?

— დაწმუნებული ხართ, რომ მართლაც ნამდვილს წამიკითხავთ?

— აბსოლუტურად!

— მაშინ, გისმენთ.

და ლინა ათხოვლობს, ნაღვლიანად, დაფიქრებით:

О, вещая душа моя!
О, сердце полное тревоги,
О, как ты бнешся на пороге
Как бы двойного бытия!..
Так, ты жилица двух миров,
Твой день — болезненный и страстный,
Твой сон — пророчески-неясный,
Как откровение духов...
Пуškai страдальческому груди
Волнуют страсти роковые —
Душа готова, как Мария,
К ногам Христа навек прильнуть.

— ო, ეს კი მართლაც ნამდვილია! — აღმოხდა მირზას, — ავტორი?

— აი, ვერ გამოიყნით, — ლინას მსხვილ ტუჩებზე მაცდური ღიმილი გაერთა, — გაპატივით, მხოლოდ ერთი პირობით: წამიკითხეთ თქვენი ლექსები.

— ჭერ ავტორი მითხარით.

— ტიუტჩევ, ფეოდორ ივანოვიჩ.

— ემ, კიდევ რამდენი რამის წაკითხვა და ცოდნა საჭიროა. — გულდაწუვებით ამბობს მირზა, — რაც შეეხება ჩემს ლექსებს, აუტოვებლად წაგიკითხავთ. როცა კვლავ შეგვხვდებით ერთმანეთს.

ლინამ წუენით დაბუსხა ტუჩები.

— ნება თქვენია! — არაუი დაისხა, — და მაინც

თქვენს პოეზიას გაუმარჯოს. მე მჭერა, რომ იგი თქვენს სავით ნამდვილი იქნება.

მირზამ მხრები აიწურა.

— ეს ომი ან სხვათა დროსა მისი პოეზიის სახსენებელს, ანდა ისეთ პოეზიას შობს, რომელსაც ქარბად ექნება დენთისა და სისხლის სუნი, — ამბობს არან.

— არ გვინდა ფილოსოფია! — მოკრის უცებ მირზა. — ახლა ომია, ომში კი მარტივი კანონი მოქმედებს: უნდა მოკლა, რათა არ მოკლან. პოეზიაზე მაშინ ვილაპარაკოთ, თუ ცოცხალი დავრჩით. მანამდე კი, ღიწმ, იქნებ დაგეტროს რამე? არონს ხშირად უთქვამს: ჩემი და მშვენივალ უკრავსო.

ღიწმ უსიტყვოდ მივა ფორტიანოსთან, აკრძებს აიღებს და მოსკოვის მოქუფრულ ცახ, ეკლესიის გუმბათებს, დაქუცულ სახლებს და გადათხრილ ქუჩებს ეფინება მშაფრი. ტრაგიკული მუსიკა. ამ მუსიკის ფონზე ისმის რადიო დიქტორის ავბღღითი ზმა:

— მოქალაქეო, საპაერო განგაში! მოქალაქეო, საპაერო განგაში!

უშოიან სირენები. უშოიან... უშოიან...

და უცებ სამარისებური სიჩუმე. წითელი შოღანი. წვრილად თოვს. მწყობრში დგანან ქარის ნაწილები და სულგანაბული უსმენენ რუხმზარაინი, შრისხანე კაცის სიტყვას, ღღინის მავჯოღლებიდან წარმოთქმულს:

— დაი, ამ ომში თქვენ აღგაფრთხილებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალქსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუშმა შინისის, დიმიტრი პოეარსკის, ალექსანდრე სვუპროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაკურა სახეები. დაი, გზარავდეთ თქვენ დიდი ღღინის ძლევაშოსილი დროში!

ღვას მირზა თავის ოცუელთან ერთად. აგერ ვაუტ, არონ, სხევი ყველანი თვალებად და სმენად არაან გადაქცეული.

— ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ! — ამთავრებს რუხმზარაინი კაცი და მერმე ქარის ნაწილები მწყობრად გადასვრავენ წითელ მოედანს.

— ნამდვილი ომი ახლა იწყება, ვაუტ! — გაღელვარაქებს მირზა მეგობარს.

მიბაიჭებენ ფეხშეწყობით თოვლსა და ყინვას. მიბაიჭებენ პირდაპირ ფრონტისაკენ.

დათოვლილ ხანგარში ჩაცუქული სხედან თოვლის ბაბუებს დამგვანებული ქარისაკები, ორთქლავენ და ნენტობთან ჭირხილი მიპყინვიათ.

არტილერიის უმბარები გლვას არემარეს, ცეცხლი წეშის, ცეცხლი თოვს.

მირზა დიდი წვალებით მიფროთხავს მოღუნული.

— გამატრე, — ეუბნება ქარისკაცს, მაგრამ იგი არ ინძვრება, დათრთვილი თვალებით იციქრება და დღმს. მოუკლავთ. მირზა როგორც იქნა გადაბოხდა, სანგრძიდან ამოძვრა და მოკუწულმა, სირბილით გასწია სამზარეულოსაკენ, რომელიც თოვლიანი ნაძვარის პირას ღვას.

მიღებოდან ორთქლი ამოდის, ქვაბებში წყალი თუხ-თუხებს. ერთი ბორბალი მომჭრალი აქვს ორთვალას, ხეწვა მიყრდნობილი. სითბოსაგან ყინული გამდნარა, ტლაბი და თოვლი აწელილა. ღუმელის ღია კართან, კენჭზე ზის მზარეული, ნაკერჩხალს აბრუნებს ბიშ-ტით.

— გაიყინე, ძმაო, გამათბე ცოტა! — აღმოხდა მირზას.

— მოდი! — თობრა მზარეულმა და ხელითაც ანიშნა. მირზამ დაკარჩხული თითები ცეცხლის ელვას ეჭოჭოჭვირა. მზარეული ადგა, ქვაბს თავი ახადდა, წინაშე დასა და ისევ დაქდა.

— ვინა ხარ? სადური?

— ქართველი ვარ.

— ქართველი... იმეორებს მზარეული, — გაიხადე ფეხზე, გაიშრე.

მირზა იხდის ჩექმებს, კმაყოფილი და მაღლიერი. სახეზე ღიმილი ეფინება.

— რა ახალგაზრდა ხარ. ცოლი გყავს?

— საცოლე. — მირზა რის ვაივავლობით მოიძევს გვანცას სურაოს და გაუწოდებს, — აი! მზარეული აღტაცებით დაპურებს.

— ოო... რა ლამაზია.

ახლა მირზა დასცქერის ძვირფას სახეს.

თოვს წაუღია რუსთაველის პროსპექტი. ბარდის. ბოძებზე დამაგრებული ელექტრონათურებიდან მკვეთრ წრედ ეშვება შუქი. აზიდულა ქაშვეთის უნაწესი სილუეტი — დაფიქვული მირაიდი თეთრი პეპლებით გვანცა და მირზა სიცილით გარბიან, გუნდებს ესვრიან ერთმანეთს. მერმე მირზა ბოძთან შედგა, თავი გადასწია. ზეცის უყნდიან გზაბნეულივით იჭრებთან სინათლის წრეში თოვლის ფიფქები და დაბორბლებულნი ფარფატით ეფინებთან მიწას.

გვანცა მივიდა, წინ გაუჩერდა, მირზამ ფროთხილად ჩამოუსვა მის სივლი ნაწივნებს თითები და აჩურჩულდა. „დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით, თეთრი კარავებს დამეგვანე ატეზილი მიწები. მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით, ახლაც მინდა შენი ნახვა, ახლაც მენატრები. ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქართლში, სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა. მომავინდა შენს ღოყაზე პაწაწინა ხალი და თუ შენი ღიმილი მსურს, შენი გულიც მინდა“.

აი, მე კი ხუთი შვილის მამა ვარ, მაგრამ ახლა ისეთი ძალღერძი დროა, კაცმა არ იცის, რა ჭობია, ცოლ-შვილი თუ მარტობლობა. რას იტყვი, ქართველო?

— ყველაფერს სითბო ჭობია, — საწყულად იღიმება მირზა, — სითბო.

ამხოსაში ფეხებიც შეშურა. იხვევს ტოლადებს, მზარეული უცქერის, მაგრამ რაღაც არ მოსწონს. მერკრეს დახვევა რომ დაიწყო, ვეღარ მოითმინა, ადგა, შემოუარა და ოსტატურად დაახვია.

— ტოლადი კარგად თუ არ დაიხვიე, მოგვამა პირი ფეხმა. ლეიტენანტი ხარ და არ იცი?

მზარეული ის იყო გაიმართა და უცებ. მთელი სიძვი-მით დაეშო მირზას ზემოდან. ორივენი მიწას დაენარცხნენ. მირზა რის ვაი-ვავლობით წამოფროთხდა და ხედავს: მზარეულს როგორც ტყვია მოხვედრია. სისხლს ანთხვებს პირიდან. ხელი ღუმელის ღია კარზე დარჩენია. კვარითი იწვის ხელი.



საჩქაროდ ჩაიცვა მეორე ჩექმაც. აბრიალებული ხელი ცეცხლს მოაშორა.

გარეთ ისევ თოვს და ყუშმარები გლუკენ მიწას. მირზა წელში მოზრილი ცარბის სანჯარისაკენ. ბრძოლის ველი მოფენილია დაბოლოვდა გვაშებით და წააგავს ნანადირევით სავსე მინდორს, სადაც ადამიანები ნადირობენ ადამიანებზე. ბევრი გულშემწარავი სურათი ზვდება თვალს და მათი სიძრავლის გამო ყურადღების ვერც ერთზე ვერ აჩერებს, მაგრამ იმის შეუმჩინელობა, რაც უცებ დაიწახა, შეუძლებელია:

... ყუშმარის ძალას ელექტრომაგვთულებზე შეედგომო კაცო, ეკიდა. საცოდავად ირწუროდა და თოქო ივედრებოდა — მიწაზე დაედგათ მისი პაერში ნაწამები, პაერში გაცივებული ხეუღლი. მირზამ პისტოლეთი ამოიღო. შესამე გასროლაზე მავთული გაწყდა და გვაში ღრმამ თოვლში ჩაესვენა. სულ ახლაგაჩრდა იყო, თით-

ქმის ბავშვი. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, თითქო გულის ძილში იყო წახული. მირზამ აიტატა, იარა, დაბარდნილი ნაძვის ძირას მიიტანა და ფრთხილად დაეწვივნენ. აღარ თოვდა. ცაზე ირეოდნენ, ერთმანეთს ეხლარობოდნენ. უცნაურად იწლებოდნენ რუხი ღრუბლები. მირზა დიდხანს უყურებდა ღრუბლებს სრბოლას, დაიოვლდა ნაძვებსაც დიდხანს უყურებდა, და [ელენელა, ჩურჩულით უხმანდებოდა სტრეკონება: „თოვლით დაფარული ნაძვების ახლოს ის იწვა ერთი და უცქეროდა ღრუბლების მადლობს თვალებით თერთით... არც ზმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის არ ეგლო სადმე, მოლოდ შემხმარი, მოშავო სისხლი შევინოდა წარბებს. ამ სისხლს ხსოვნისთვის გულზე წაიცებებ, მეგრადო დაიცავს, გმობობას მისას არ დაივიწყებს რუსეთის მიწა“.

ნაწილი მეოთხე

პ I 6

ყორნები იჩაოს აკეთებენ, ყრანტლებენ შემაზარებულად.

— მეშინის, კენესის დაპირილი, — მეშინის, მაგ წყუღუღების. აგრე შგონავ, დამაქდებთან და თვალებს წამოკვენ.

მირზა უძრავად ვაშხლართული დაპირილისაკენ დაიხრება, მხარზე ხელს მოუთათუნებს, აღერსით ეტყვის: — აბა, რას ამბობ, შე აქ არა ვარ? — ჰო, კი...

დუმილი. მირზას თვალები ებლიტება, თავის კანტურით ყვინთავს. ადრეული განაფხულის უფერული, ცივი დღეა, ნოტიო, მძიმე ზეცა დაბლა დაწეულა.

— ძმიალაჲ! — კენესის დაპირილი, — ძმიალაჲ, სად წაველ?

მირზა წამსვე გამოფხიზლდება. — რა იყო? მოგიარა ტკივილმა? მიმთვლილმა, ეს ოხერი.

— ვიფიქრე, წავიდ-მეთოქი. — არა გრცხენია? შენ თავს დაგანებებ? მხოლოდ ეგაა, სამი დღე-ღამე თვალი არ მომიხუტენია და ქუთოთოები თავისით ეწებება ერთმანეთს.

— მეც გაგიხდ რაღა, საპატრონოდ, — ზენეშის დაპირილი.

— პირიქით, მადლობა უნდა გითხრა, მგონი ორი წელიც იქნება, ქართულად არავის დავლაპარაკებია.

— ჰო, კარგი...

პაუზა.

— მეგებლა, ვიწვი მგონი. ნეტა წყალში ჩამაწვინ, გავგრძიდებოდ.

— იქნებ ცოტა წავიძინა, ჰა, ილო?

— არ მინდ ძილ! გავიპარები ძილჩი. ფხიზლად უნდა შევხვედ სიკვდილს.

— რას ამბობ, კაცო, რა დროს სიკვდილია?

— ძმობამ, ხელ მაშეც. აგრე გეპირას...

გვერდით გზა ჩაუდით. კიდით-კიდებდა არავინ ჭანკნებს მასზე. გზა გორაკებზე გადის, და ტყეში იპარება. შორიდან მოისმის ქვეშეხების დაბშული გუგუნის.

- დიდი ხანია, წავიდნენ?
- სამი საათი იქნება, ილო.
- რა თქო კაიტანმა, როდის მაგაკითხავენო?
- საღამომდე უშეკვლადო.
- რა ვერ გვაიოვნან?
- გზის პირას ვართ, ილო, ნუ გეშინია.
- რის უნდ მეშინოდეს? ყორნების თუ? — დაპირილი ტურჩების გრეხით იღიმება, — შენ ეგ მითხარ...
- ჰო.
- როგორა გგონავ, ეს ოხერ ნაქრეც საშინია?
- არა, კაცო!
- ექიმმა რაო? თუ, არ გკითხავ?
- როგორ არა, ვკითხე. ვუთხარი — ჩემი ამხანაგია, ერთი კუთხიდან ვართ-მეთქი. ეს რა გიქნია, ილო. შე ძველო, ა? ორ ტანს ეხუმრები? იქნებ გმობობაზეც წარგადგინო.
- ებ, რაღა ბედენა...

- დუმილი.
- რა სთქვი? ერთი კუთხიდანო? — გამოცოცხლდა უცებ დაპირილი, — თუ მომეყურა?
- ჰო, განა თიანელი არა ხარ?
- შენა? შენა? — დაპირილმა მარჯა გადაიძრო, წამოწია.
- მეც თიანეთიდანა ვარ. მირზა გელოვანი, იქნებ გაგეგონოს კიდევ.
- ილო დაიხეზებით აცქერებდა.
- არა, ვერა გცნობ, — ამბობს სინანულით.
- მე კი გიცნობ. აონის ხატი ხომ იცი? შენ იქ ერთხელ დედო-ზარს თოფი დაპარო. გახსოვს? დაპირილმა თვალები მილულა.
- მახსოვს. ბრიუც ვიყავ, ბრიუც! — თქვა ჩუმად.
- ჰოდა, აი, იქიდან გიცნობ. როგორც კი დაგინახე, იმ წამსვე გამახხენდი და აღარ შეგატოვ.
- ბრიუც ვიყავ, აჰამი. აღარც დღემთ გვიდნისო, აღარც ხატ, აგრე უხმობდიან სკოლაში. ავეყვ ფეხის ხმას, დახელთილი. ამა და, მიწია ბეჩავს აონის ცოდომ.
- ხომ იცი, ზევისბერმა ზვისისომ თაი მოიკლა მანა.

— მაიკლა, შო, მაიკლა.

— მერმე, მოგვიანებით, მე სოვემა დაწვერე მაგ თემაზე, ხედავ, როგორი ახლობლები ვყოფილვართ მე და შენ, ილო? — მირზა იღიმება.

— ახლობლები... ეკ... რა ყისმათ გადამამე შენ თავ?

სამლოცველო: სიბებიო ნაგები ნიში. ირმისა და ჭხვის რქები. უზარმაზარი ქვაბი ლუღისა. დიდ, ლიტაო ცაცხვის ხეზე ზარები ჰკიდა. ეს ხე ხატისა და ხელს ვერავინ შეხებეს, ნაჯახს ვერავინ დაუღერებს. ყველაზე გამორჩეულ, პირფართო ზართან ხევსურის როყოი ბიჭი, ილო მიმდგარა და დამარცვლით კითხულობს მასზე ამოტიფრულ ჩახლართულ მხედრულს: „იონ: პირქუშ ლვთის მონაწილევ: ბარისა და მთის მფარველო: ესე ზარი შემოგვირე მე: იონან ბეჰაურმა: ჩ... წელსა: მიშველევ, აონ“.

— რა შველა შეუძლიან ზარსა? — ხარხარებს როყოი ბიჭი, თოფს გადმოიგდებს, ზარს ვასციოდება და ტყვიას დაახლის.

ზარი წვილით აისლეტს ტყვიას.

ბიჭი ხარხარებს.

— აბა და პა! რატო არაფერს მიშვრება? ხეთისო, პა, ხეთისო! აიო ვაგაქვავებსო?

ეუღერდიან წვერგაბურძენული ბერი გამოძვრა. ჭერ ბიჭს შეხედა. მერე ზარს, სახე შეეშალა და აერია, აღარ იცის რა მოიმოქმედოს. ქვას დასწვდება, ბიჭს ესვრის. ბიჭი ხარხართ უღანებს. მოხუცი ბოღმით მიაფურთხებს მის კვალს და გაჩქარებული ძუნძულით დაეშვება ციკაბო, ქვა-ღორღიან თავქვეზე.

ქვეითი, სულ ქვეითი, უფსურულში ხვიილითა და ზოქით მიედინება იორი.

მთის პატარა, ზრიოკი სოფელი — აქოთებული საქონლის სუნით. ბანაინი, მიწური სახლები. ერთ-ერთზე ლოზუნგი: „მივეთ სამშობლოს მერე რძე, ერბო და ზორცი“. სიღარიბე უკიდურესი. მამაკაცებს — ხნირებსა და ქველებს საფხვინზე მოუყრიათ თავი. სხედან ყოტბივით, მოგლეჩილ ლოდებსა ჰგვანან და საუბრობენ დიჩაად.

გივიტი შევარდება მათში თმა-წვერბურდული ხეთისო. ოფხს იწმენდს, ხენშის, სოფლებებს ათვალიერებს გადმოკარკლული თვალებით.

— აღუდას ვემა ზარი დათოფა — იყვირებს ბოლოს, — ხალხმა უნდა ვასჯოს სასჯელი მისი! სადაღან თემი, ან ადათობა? მთლად წაიბიღვა საყუდარ ხეთისი!

იყვირა და გაჩუმდა. მოიკუნტა, დაპატარავდა ხალხის ნათქვამის მოლოდინში.

დუმილი.

დგანან ახლოგარდები. უსიტუვოდ უშერერნ ერთმანეთს და თვალბეში დიმილი დაურბით. აქა-იქ ჩაიღიმებენ. ზოგი ვეღარ იკავებს თავს და იცინის კიდევ.

— სხვა დრო დაგვიდგა, ხეთისო, ახალი... აღარავის უნდარის ხატი, — დიჩაად ამბობს ერთი.

ახალიო?

— მურტალი ხარ, ხალხო! — იღრიალა ხეთისომ, — წყუღობილ იყავით აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

გარკილდა და სირბილით, ხენშით კვლავ შეუდგა ციკაბო ბილიქს.

... ბინდდება, მზე კრუხივით ეშვება თებში. ცა ფორტობა ნელ-ნელა, ქარი ძლიერობს. მთვარე იხე ილტვა; ისე პატარავდება... იძენება ნახევარსაშუაქი ჩნდება აიხის, იქ, აონის სალოცავში, მტრის კეხიდან გაისმის...

ზარები ჩამომარჩვალევივით ჰკიდიან ცაცხვის ტოტებს. ხეთისო მიბარბადა ხესთან, ჩამოჭდა, მიწას იღებს, მკერდზე იხუტებს, ოხრავს და ჩუმად ბუტბუტებს:

— ვინ დაანგრია დიდ ხანს ნაშენი? თუკი გაძარცვეს, ვინდა შემოსავს?! აონ, დიდება რა იქნა შენი? აონ, ნათელი რატომ არ მოჩანს? მე მიჭირს სუნთქვა... გატბილია შავი კარები... ძლიერი იყავ და აწი ნუ გქნა! მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები! (ტირის) გამხმარხარ, ჩემო ცხოვრების ხეო, შენი სიმწვანე ყინვამ მოლია... ძალიც შეგმეშინო ცას: მიშველეო, მაგრამ საშველი მაინც შორია...

წამოვარდა, მოსწია თოკებს პატარა ზართა, გაისმარტა: გვიშველევ ცაო! ვაყურდა ეხო და ვაიზარდა — აონ! აონ! აონ!

გარკილი სწწწდა ღრუბელთა ხვეულს. ქუხდა და ელვა ანთება ხანძარს. მთებს მახლობლად ჩამოქრეს კვები. დაეცა მუხას მუხი ტალი, ხეობას გაჰყვა წვილით, კვანისთ ზართა რტკვა და კაცის ღრიალი:

— რად არ მიუღღავ მტერს, თუ გაქვს სული? შელანდა ნიში, ხატიც ჩაწიხა!

გამოიტანა ქოხიდან ტული და ნაჯახის ხმა ისმოდა დიდ ხანს. დაეცა ცაცხვი... ხეებში ჩადგა ზართა საცოდავი ტრიალი...

იგი ვარბოდა მოსახვევებში, იგი გიფი და თვალუინელიანი. თითქმის მისდევდა დაქრილი ზარი, მისდევდა ზარი და მიპიოდა.

წინ გადაუდგა მორბენალს ხევი და კლდეებს შერჩაო ჩიხის ნახევი.

მოკრე დღეს იორმა ჩამოატარა თავგაჩხილი კაცის ცხედარი.

სალმოვდება, ციკა, ყინავს. მირზა ვალიგვებულ ხელებს ერთმანეთზე უხახუნებს.

— წყალი! — ამოიახხებს უცებ დაქრილი.

— გამიშვი, — ეუბნება მირზა ილოს, რომელიც მაზარის კალთაში ჩაშფერნია, — გამიშვი და მოგიტან წყალს. აქვეა, ადაად.

დაქრილი პირს დააღებს, წუთით ასე პირდაღებული რჩება, ისევ დამუწავს და სისხლის სქელი ქაფი ნიკაზე ჩამოიღინდება.

— ტალიმ ყორნები, თვალბებს წამოვივენ.

— ამ წუთას აქ ვიქნები, ილო. ფურგონი თუ მოვიდეს, დააცდევინე. გაიქცა თავქვეზე.

დაღმართის ბოლოში სამი უსახური, წაგრძელებული შენობა შემუყურებს ერთმანეთს! საბედი, ფერმა და საკინიბო. სამივე ხანახვეროდ დაქცეულია. რაღაც რბილს დაადგა ფეხი. შეერთა. მოკლული ძალი აღმოჩნდა. იქვე გღია შიგენულგამოყრილი ლეიბი. საბძლის მახლობლად წულის ჩხრიალი ისმის. წყალი როფში ჩაედინება. ირგველი, ტალახში, ადამანთა და პირუტყვის კვლი ერთმანეთშია აქოქნილი.

ღამდება. რუხი, ცივი დღე უფრთდება ღამეს.

მირზა მათარას აესებს. მერე ვერ უძლებს ცდუნე-

ბას და იქვე, კედელთან მიყრდნულ თვალებს დაიმუხლებს: მონოტონურიად ესმის წულის ჩხრალი. თვალწინ ეშლება: ქარისკაცები და ქვემეხები, დამტრეფელი ფორნები, აქტივინებული ცხენები, მოგრუბუნე ტანკები და გზის გაყოლებაზე უპატრონოდ დაყრილი, რუმბივით გასიებული მკვდრები...

— ღმერთო, როდემდის შეიძლება ამის გაძლება? — ჩაბურტყუნა თავისთვის და ძლიერმა შემოტევამ ძილისამ ჩალაზე უმწყოად გააგორა.

და ნახა სიწმარო: ნილიანი ცა მჭურავს მიწას. ჩამოქნებული ხეები ზანტად ირხევიან ქარის შემობერავზე. აბურტყნული ყვანალა მოწყენილი ზის ტოტზე და ფრთებს იჩიქინებს. ქარი არხვეს ტოტს და ყვანალა ქანაობს, როგორც სივრცეში დავიდული. შორს ისმის აფუტქების ხმა, ყრუ გრუბუნე.

შავხვსტიკიანები შესევნიან ისანაა პოლიანას და ბილწავენ დიდი მოხუცის წმინდა სამყოფელს. ჩამოგდეს მისი სურათი, ტალახიანი ფეხი დაადგეს შუბლზე და შეინძრა მისი სამარე — ფოთლებით დაფარული პაწია გორაკი. აღსდგა ტოლსტოი. მოდის იგი, თავი აუწევია, ჯოს დაყრდნობა, ქარი არხვეს მის ვეება წვესს, როგორც პურის ყანას. ფეხშიშველად დიდი ბერიკაცი. დაღვარტუნულ თითებს ქანგებივით ასობს მიწაში და მოდის.

მოხუცს წინ შემოხვდა სანიტარული მანქანა დაქრილ-დასახიჩრებულებით სავსე. იგი შედგა, ნელვლიანი თვალეხი გააყოლა გასისხლიანებულ კაბუტებს და მოიღუშა, ჩამოაყარა წარბები.

გზას განაგრძობს ნელა, სვენებ-სვენებით. ერთხანად ცაში გამაყრუებელი გრუბუნე გაისმა. აიხედა: უცნაური, სვასტიკიანი ფრინველი დასტრიალებდა გადაბუტულ, მიწასთან გასწორებულ სოფლებს. ისევ განაგრძობ გზა.

ქარი გაძლიერდა. ჩამოქნებულმა ხეებმა უმატეს რხევას. ყვანალა აქანავდა და აპყვა ქარს, გაფრინდა. შემწარავი ყრანტლით გადაურა დაქრილ-დახოცილებით მოფენილ ველს.

ტოლსტოი დგას უთვალავი ჭვრებით მოფენილ ველზე. სისხლი და სიკვდილი არ სიკლდება თვალს. აკანკალდა მოხუცი, მრისხანედ დაქარა ყვარჩენი მიწას...

ღამე, ცივა. მთავრე ანათებს. უცნაური სიწმარო აფორიაქებული მირზა გივივით წამოვარდება და მამინვე წყლიან მათარას მოუფათურებს ხელს. — ჩამოინებია... ფუჰ!

გარბის აღმართზე, დაბალ, დაგვარჯულ ნუშების ქვეშ დაეძებს დაქრილს.

— ილო! ილო! სადა ხარ? — იყვირებს ხასოწარკვეთილი.

იქვე, ახლოდან შემოიქმსა: — მოხველ, თიანელო?

— აი, წყალი მოგიტანე! დამაგვიანდა... მამაკიო...

თავქვეშ მკლავს შეუყოფს, ფრთხილად წამოსწევს და წყლიან მათარას მიაყუდებს. გასისხლიანებული ტურნები მხეცივით დაეძვრება მათარას, კბილებს ჩაავლებს და ხარბად, ქოშინითა და ხიხინით სვამს.

— გაიხარე...

სული მოითქვა, დაშვიდდა.

— თიანელო!

— გისმენ, ილო.

— დაიწი, საოქმელი რამე მაქვ, მირზა დაიხრება.

— უური მივდე! თუ ამ ჭოჭობის მშვილობით გადავურჩით, სტუმრად უნდა მოხვიდე ჩემთან, ღუღუღლებში. თიანეთიდან ღუღუღლებში ჩამოსვლას რა უნდა, ორი ნაბიჯია, ვინც გინდოდეს, რამდენიც გინდოდეს, წამოიყვანე. შუა სოფელში ვისვარობ — მე და დედაჩემი. ისეც მამა მყავს, არც დედამისიშვილი. ორნი ვართ, ეგრე. ძალიან მშრომელი ქალია — მთელი ოჯახი იმის უჭირავს — კოლექტივი გინდა, სახლის საქმე გინდა... თან, ძალიან პურმარტილიანია, ისეთი სუფრა გაგაშალო, ისეთი, როგორც ჩემი რამე მამაგადადებს: მწვადი, ივრის კალმები, დამახალი ხაქო, პანტის არაყი ხომ რაღა... ჩემ მძაყაცხვსაც დაგიაპიებებ, შაუშვიდროთ, ვიკაფიოთ, გული გავიხაროთ...

მირზამ ძლივ გადაუღია ელში მოცული ცრემლიანი ბურთი.

— ჰო, ილო, შენ კარგად იყავი და ჩამოვალ, მაშ არ ჩამოვალ?

დაქრილი მოჰქანცა ლაპარაკმა. მიიღულა. დუმილი.

— შაურებთან უორნები, არ გაირევენ ძერასხო, კაცი ვერხაით წაუვა თავის ბედსა და წერასხო. არ მოვიდენ წაუყვანად. მოგვტოვებს. მე რა, მე მაინც მალე... შენ რა უნდა ქანა?

— ილო!

— ო!

მირზამ სხვა კალაპოტში გადაუგდო საუბარი. — რა მოთხარი, სად ჩამოდიო? ჰო, ღუღუღლებში... იცილდე, მართლა ჩამოვალ და ნახე როგორ დაგარბო. აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო...

გორაკის მიდმა, მოულოდნელად, თვალისმოპყრული შუქი განათებს. ერთხანს ციმციმებს ალი. მერე ჩაქრება და კვლავ წყვდიადი.

— მძალია!

— გისმენ, ილო!

— ვითომ მართლა მოვალის ფურგონ?

— მოვა. გტკივა?

— რა ვუკაცის საქმეა ტკივილზე უზნობა? მძალია!

— ჰო, ილო,

— იტყობდი რასმე.

— რას?

— რაიც გინდოდის. ისაუბრებდი პატარა ხანს.

მირზა მის გვერდით მიწვევა, მთელი ტანით მიიხუტებს, ფრთხილად უაღერსებს ტკივილისაგან გასავთებულებს.

— გინდა, ლექსი გითხრა?

— მოთხარ, მძალია, მოთხარ.

მირზა სვენებ-სვენებით კითხულობს, თითქოს ყოველ სტრიქონს აქანდაკესო: „ჩემს მიწურ კოხში შემოდის სხივი და კუთხებში აყენებს ჩრდილებს. და ჩემი გულის განწირულ ყივილს თავისებურად ხმას აუჩივლებს. ო, რა თქმა უნდა, შენმა ოცნებამ არ შეუძლია წარმოადგინოს, — მაქვს მინდი-სებრ ბრძინის მოთხენა, სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი. მაქვს სიყვარული — იების სუნთქვა, სხვას კი, ძვირფასო, არც ვინატრებდი. ვარ ერთი ვინმე, ცასავით სუსთა



და ცაზე ვრცელი გულის პატრონი. ვარ გათენება მთაზე ასული, მზე — დაფენილი ყვითელ ახოებს, როგორც ოცნება, როგორც წარსული, ბედი გავსორებს და გვახლოებს. და შენზე ფიქრი მინათებს სისხლში უჩინარ ბილიებს და ნაბიჯს გვიანს, ხსნა თუა სადმე, შენ ერთი ისინი, რასაც გული და ბავშვობა მკვია".

დუმილი.

— მმ, ლექსი... შენ დაწერე?

— მე.

— ვიზე დაწერე?

— როგორ გიხარა... ჩემზე, შენზე, ყველაზე, ვინაც ელოდებიან და ვინც ელოდებათ.

— კი ვაჟი ხარ. რომელმა ცოდვიანმა გამოგაგაზუნა აქა? რა შენა საქმეა ომი და კაცის კვლა?

— ეა, რას იზამ, ილო, გავუძლებ როგორმე.

— რომ მაგვლან?

— ვერ მომიკლავენ. მაგნარი ტყვია ქერ არ ჩამოუხსნამთ ფაშისტებს.

— თუ აგრეა, თხოვნა შეამისრულ ერთი: ომს რა მორჩება, აონის ხატში ადი, კლავატარ ადვანტუჟეში სულის მოსახსენებელ. ხატს უთხარ, ბრწყინ-ბრწყინ კინკარაული ილო, თოფი რა დაგიღერა-თქო, იმიტომაც სხვის მიწაში დაიმარხა-თქო, ცოდვიანი. ახლა მაინც აპატიე-თქო, ზერავს... შეამისრულებ?

— ილო...

— შეამისრულებ?

— კი.

— გაიხარე...

— ილო, ცუდადა ხარ?

— კარგად ორ, ვაჟო, კარგად.

მირზამ უცებ იგრძნო, როგორ გაუშეშდა დაკრილს ხეხული. გაუშეშდა და გაუცვიდა. შიშის ელდამ თმა აუბურტუნა. წამოვარდა. სწრაფად მოუფათურა ხელი. გამოთიერთებული თვალები დაინახა... მკლავები დასცვივდა.

— მოკვდა, — თქვა ჩუმად, — მოკვდა...

ნაწილი ემხუთი

ლიტბინანტ მირზა ბელოვანის დაგაბევის დღე

თოვს. ქარი ხვეტს ნაშქერს და ხანგრძლივი კიდეში უყარის თავს, როგორც მქანარ ფოთლებს შემოდგომაზე. თეთრი ფანტელები შრიალით ცვივიან ქვეშების ტუჩზე, დაჩეხილი ხეების ტოტებზე, ატალახებულ მიწაზე — თითქოს აპრილის პელები იყვნენ.

ლამდება.

შორიდან ისმის გრუხუნი ყრუდ, მღორედ. წინ აობრებული ტყეა, ველი და გადაბურებული ფურგონის ბორბლები.

მიწურში, გაურანდავი მორებით შეკრულ კედელზე, გლაკტიონის და ვაჟა-ფშაველას სურათებია. ვეფას თავი დღობანდით წაურავს, გული გაუღვლია, ხელში კი რალაც ახალნერგ უჭირავს. ეტყობა, ის-ისაა დასარგველად ემზადებოდა და მაშინ გადაუღვს.

ქერდაბალი მიწური ქარისაკებითაა გამოტენილი. ზოგი ნარზე ჩამომჯდარა, ზოგი თვითნაკეთ მაგიდას უწის, ზოგსაც პირდაპირ სოხანზე მოურთხამს. მაგრამ უცნაური ისაა, რომ თვითულ მათგანს ხელში ანთებული საშთელი უყავია.

ყვითლად ლიცილიკებენ, პარპალებენ სანთლები და ანთებენ ქარისაკეთა მოღლილ გაუპარსავ სახეებს.

მირზა ფიქრიანი მზერით შესცქერის გლაკტიონის სურათს.

— გამარჯობათ. ბატონო გლაკტიონი! — ეს მირზაა. გლაკტიონმა შეხედა, იცნო, გაუღიმა აღერსით.

— ოო... ნორჩ კალმოსანს ვახლავარ! ჩემი ოქრო ბუკი, ჩემი ქორთა პოეტი! სად უყოფილხარ? რა გინახავს? ვკითხულობ შენს ლექსებს, მომწონს... ერთომ საინტერესოა!

ხელი შეუშვია წვიმის წვეთებს, მუქში მოიგროვა...

— წვიმს და წვიმს გაუთავებლად, — ჩაილაპარაკა სვედიანად, — რა ხანია შეინვარწვერისათვის არ მომიკრავს თვალი, სულ ნისლი აქვს მოხვეული.

მსრები შეიმშუშა, ცალი თვანი მოხუტა, მარცხენა ლოყა ისე შეათამაშა და აცახცახა, თითქოს მთელ ტანში წვიმის სიგრილემ ფრცოლა დაუარაო და ხმის კანკალთ თქვა:

— ლექსი... ლექსი... წერე კარგი ლექსები! სულის ამოხდომამდე წერე და წერე! მთავარია, სათქმელი არ დაგვლდის და გქონდეს საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ემგავნება ნამდვილს, მაგრამ რეალური კი იქნება...

ერთხანს დუმდა თავაწეული. თვალებს ახამხამებდა და რაღაცას ჩურჩულებდა. მერმე იღუმელი ხმით ჩაეთხა მირზას:

— გასოცარია, არა? ნუთუ არ გაოცებს მუდამ ერთ ადგილას ზდგომარე ხე, შეუჩერებლად მიმსრბოლი მდინარე, მოსიარულე ცხოველი, მოლაპარაკე ადამიანი, ვარსკვლავებიანი ცა და კიდევ რამდენი რამ? ხე სულ დავს, მდინარე სულ მიდის... ხე უფრო ეგოისტია თუ მდინარე?

მირზამ არ იცის რა უპასუხოს.

გლაკტიონმა მკლავში გამოსდო ხელი დაბნულ ახალგაზრდას, გაიყოლა. — წამოდი, გავყვეთ, რატომ ჩამოვრჩით? რომ იყოდე, ვის ახალგავებენ ახლა! პოეზიას, ძამიო, ხე, ხე, ხე, პოეზიას! კი, ნამდვილად!

ძლიერი წვიმა. ქურაზე სამგლოვიარო პროცესია მიმართება. გამცილებლებს ქოლგები გაუშლიათ და ამ სასტიკ თავსხმაში აუჩქარებელი ნაბიჯით მიბყუებიან ოთარ, ხრიხანტემებით სავზე კუბოს. ერთმანეთზე მჭიდროდ გადახმული, წვიმისაგან გაკრაილებული, უამრავი შავი ქოლგა, ტორტმანთა და ტატიო მიიზლანება და უჩვეულო სანახოებს ქმნის.

პროცესიას მაღალი, მთლად გაწუწული კაცი გამოეყო, ხის ძირს შეეფარა, ხელი მოხვია მის ტანს, ფოთლებს ახებდა.



მაგიაღზე მცირედენი სანოვავე აწევია და ალუ-
მინის ტოლჩით დგას არაჟი. უვითლად პარპალეზენ სა-
ნოლები.

— რაღაც არ მოძვრებთან ფრიცები, ნეტავ რაშია
საქმე? — ამბობს ერთი ქარისკაცი.

— აღბათ გააგებს, რომ ლეიტენანტ გელოვანის და-
ბადების დღეა, — როზროზობის მეორე და არაყს „კრუ-
შკაში“ ასხამს, — გაუმარჯოს, ძმებო, ჩვენს იუბი-
ლას.

წალკით სვამს. „კრუშკა“ ხელიდან ხელში გადადის.
მირზას აქეთ-იქიდან აურიან შეკითხვებს:

— რამდენი წლისა გახდით?

— ოცდაშვიდის.

— აქედან, ოთხი წელი ფრონტზე ხომ?

— კი, ორიც ისე ვიმსახურე არმიოში.

— ცოტაც მოითმინეთ და ბერლინიც იქნება.

— მოვითმენ, ბიჭებო, ნუ გედარდებათ, — იცინის
მირზა.

ვაუტ პაწია, მახინჯ ჩიბუხს ამოიღებს, გამართავს
და გააბოლებს. ეს ჩიბუხი მას მოხუც გნომს ამგვა-
ნებს.

— ომი რომ გათავდება, — ამბობს წყოს ბოლში
გახვეული, — დავბრუნდები ჩემს აულში და ქიაზიმ-
უიში თუ მანამდე მომიცადა, ხელს მოვაწერთ. აი,
მამსი კი უნდა მეწვიოთ სრუმრად, ამხანაგო ლეიტე-
ნანტო! კვიცის ხორცსა და ფლავს არ მოგაკლებთ.
სანადიროდ წაიყვანთ, გათევწავებთ კიდევ.

— გიყვარს ნადირობა, ვაუტ?

— მე, გიყვარს? სულ ზეპირად ვიცი — სად დათ-
ვები ბინდრობენ, ან კიდევ ფუთიანი ზუთხის ამოთ-
რევა სად შეიძლება. ოო, რა ღამაზია ჩემი უირგი-
ზეთი, რომ იცოდეთ?!

თოფოსანმა მირზამ როგორც იქნა აათავა გრძელი,
მომქანცველი აღმართი. თან, მღერის. გამოჩნდა პა-
ტარა სოფელი. გორმახის კინკრისოზე — ციხის ნაშა-
ლი.

ოქროს მზე იწურება მათა ორწონებოიდან.

მირზა შედგა, მოიჩრდილა ხელით. ციდან ჩამოსუ-
ლი ნათელი გარეგია მიწას. გაურკვეველი, ყოვლიზივი-
ლიანი ხმები ისმის ირგვლივ — ხმები ცინცხალი დი-
ლისა. და მირზას უცებ მოეჩვენა, რომ ბუმბერაზ
სვანებს ფერხული ჰქონდათ ჩამხული ნამით აციაგე-
ბულ მინდორზე და მქუხარე ხმებით უმღეროდნენ
მზეს:

ოო, ლილე!

დიდება შენდა, მზეო! დიდება შენდა!

თავვე ვირი მიუძვება პატარა, სახრიან ბიჭს. თან
მაქვთ ბოსლის თბილი სუნი და მაწვნით სავც ქი-
ლები.

შკლავები გაშალა მირზამ. გააღვლილ მკერდზე უღი-
ტინებს გრილი ნიავი.

მღერიან ბუმბერაზი წინარები და უფროსნი
ხუღს.

წმანება გაქრა.

გზის პირას პატარა ბოსტანია. ხახვის კვლებს შო-
რის დგას ახლგაზრდა, ამ დილასავით მწყაზარი, ფე-
შისვეული ქალი. თუთრი მანდილი წაუტრავს თავზე.

— დილა მშვიდობისა! — მირზა ღობეს მიეყუდა, —
ადრე გამოსულხარ სამუშაოდ. ან იქნებ შე მეღოღე-
ბი?

ქალი იცინის. მოსწონს ვაჟის სითამამე და განათე-
ბული იერით ეუბნება:

— თქვენა მღეროდით წედან? ამ დილაადრიან რა
დროს ხიმდერაა, ნეტა ვიცოდე?

— სიმღერა დილით უნდა, ქალო! დამბადებულს ვუმ-
ღეროდი მადლობას და შენს კოცნაზე ვოცნებობდი,
შენთან მოვდიოდი. აჰი მეღოღეები კიდევ!

— იმ, მუხი კი დაგაყარე — კისკისებს ქალი. — ქმა-
რი მეაყვს, შენისთანას ხისას გასთლის! — და ხელით
ანიშნა.

კვლებს შორის მოაბოტებს თუშურქულიანი, შავ-
ხალათიანი, შავტუხა ბიჭი. მოდის და მოუსტვენს უდა-
რდელად. შენიშნა მირზა. სტვენა შეწვევით, მისხალ-
მა:

— დილა მშვიდობისა!

— იცოცხლებ.

— შოლდა, ეს ვაფი მთხოვს, მაკოცეო, რას იტყვი?

— კეკელუცობს ქალი.

— მერედა, აკოცებდი, შე კაი ქალო, ამნაირ დი-
ლით კოცნას რა გობია?

იცინიან.

— საით გაიწვივია, ძმობილო?

— თქვენთან მოვედი.

— სტუმარი ხვთისაა. მობრძანდი.

— არა, სტუმრობა მერე იყოს. გერ უნდა წამომე-
ვი და მოკლული დათვი ამომატანინო. დილია, ტა-
ლი, მარტოკამ ვერაფერი მოვუხერხე.

— ბიუს?! მავარი მონადირე ყოფილხარ! — გულწ-
რფლად უკვირს შიოლას, — ღმერთმა ხელი მოგიმა-
როთს.

— რა ვიცი... ჩემზე უარესს ვაგობებ აღბათ.

— წავიდეთ! სახინკლე ცოში მოზაღე, დედაკაციო! —
გადაუდგებს შიოლა კოლს და მესერს ჩაუქად გადაე-
ვლება, ქალი იღიმება. მზეც იღიმება პატარა ბოსტან-
ში.

— ომის შემდეგ რა საქმეს მოეკიდები, ვაუტ? —
ეკითხება წმანებიდან გამორკვეული მირზა.

— მმ, მაგას კითხვა უნდა? შეფუტკრეობას! ავაგებ
პატარა ქობს, ქიაზიმ-უიზი გამიჩინეს ბევრ შვილებს და
ვიცხოვრებ წუნარად. უხმაუროდ, არავის შევაწუხებთ.
აღამიანი თუ კეთილია, სულ უნდა იღიმებოდეს, არა-
ფერი უკვირდეს, იყოს თავისთვის...

არონ გურვიჩი ჩუმად ზის, მთელი საღამო რატომ-
ღაც ხმას არ იღებს, დასცქერის ანთებულ სანთელს,
სათვალის მიღმა აფხულებს ბეც თვალებს და უსმენს
ამხანავის ლაპარაკს.



ვაუტის ჩიბუხი გადადის ხელიდან ხელში. ხვარცი-
ლად აბოლებენ ქარისკაცები.

— აი, დამთავრდება ეს წყეული ომი, ყველანი თავ-
თავის სახლებში წვალით და აღარ ვიცო, როგორ გავ-
ძლებ უთქვენოდ, ამხანაგო ლეიტენანტო? ემ! უნდა
ჩამოვდეთ საქართველოში!

— ჩამოდი, ვაუტ. ჩამოდი! შევხვებით ცხენზე, ვი-
აროთ სოფელ-სოფელ, ვთქვათ ლექსები და თუ მად-
ლიანი ხალხი რასმენ მოგაწვდის, ვირჩინოთ თავი, —
ილიმბე მირზა.

— ო, აღამა! — სიამოვნებით იხმორება ვაუტ. — რა
სჯობია ასეთ ცხოვრებას?

— მართალია, ამხანაგო ლეიტენანტო, პოეტიაო,
თქვენზე რომ ამბობენ? — დაინტერესდა ქარისკაცი.

— პოეტი არ ვიცი, მაგრამ ლექსებს კი ვწერ.

— გაგიყვება შეიძლება! დაქდეობი, აიღებ ქალაღს,
ფანჯარს და წერ, არც სადმე წიგნში ჩაიხედავ, არც
ვინმეს შეეკითხები? რითმეცოც იხე, თავისთვის მოდის?

მირზა არონ გუფრის გადახედვის, მრავალმნიშვნე-
ლოვნად შეღიმიებენ ერთმანეთს.

— მოდის, კი;

— საკვირველია, დემრთმანი!

რა არის საკვირველი, ბრატუო, ხალხური მოქმედე-
ბი, „მანასის“ ვეპახით ჩვენებურად, სულ ზეპირად
ამბობენ უზარმაზარ პოემებს, — ჩაერევა ვაუტ.

— თუ გაკვირვებ საქმე შენი „მანასჩებიო“, დვთის გუ-
ლისსათვის, ამხანაგო ლეიტენანტო, გვთხარი რამე
ლექსი, ა? — შეემუდარა ერთი ქარისკაცი.

— მე ხომ რუსულად არა ვწერ!

— რა უშავს შერე, იუს ქართულად.

მირზა ნარზე ზის. მის ზემოთ, თავთან, გალაქტიო-
ნის და ვეპას სურათებია. ნელა იწყებს, ხმის ოდნავი
ცახცახით. სანთლების ყვითელ შუქზე უცნაურად უე-
ლავს თვალები და მის წინ ვიწუაღურად ცოცხლდე-
ბა წარმოთქმული ლექსის სტიქიონები!

„სახეში გვაოვს, მტერი არა ჩანს, სიყვდილის ნა-
ტვრა გამიხდა დარდად. დღეგვარ სხვებივით, სველი
ფარაქა არაფერს მაძლევს, სიცოვის გარდა.

რა სასტიკია, რა სატიარლი სხვის ქვეყანაში თოვლი
პირველი...

...მე ვხედავ თოვლზე დაურილ ნაფოტებს, მეზობ-
ლის ბივი ამზადებს მარხილს. ბაღში ჩემი ძმა დაბერ-
ტუავს ტოტებს, თოვლის სიმძიმით მიწაზე დაბრილს.
გულგუზებს, ოზრავს ჩვენი ბუხარს, ფანჯრის მახლობ-
ლად ქუევის ბელურა. და მაშაჩემი — კარგი, კეთილი.
შრომობს ჩემი და გულდაკეტილი. მინდა იქ ვიყო:
გაუინდოს, დადილოს, მათობედეს ბუტრის მახლობ-
ლად წოლა. მესმოდეს ყუფა მეზობლის ძაღლის და
უნებურად მივლადეს ტრუოლა. ან ვიყო ბავშვი, ტბი-
ლი ფიქრებით ბელურებივით ვაგებდე ბინას, ან ვუც-
ქროდე; თოვლის ფიფქები როგორ აღდება ფანჯარის
მიწას. მაგრამ ომი, დღენი წავლიან, მე კი ვერ ვიგრ-
ძნობ მშობლიურ სიბოძს! იქ, ჩვენს ეჭოში ძალი
ჩავრია ჩავრობს, უშუის და ეს მე ვარ თითქოს“...

უნებლიედ ხმა გაეზარა, ამ ორიოდ წამის გან-
მავლობაში თითქოს მთელმა განვლილმა ცხოვრებამ
გაუბრინა თვალწინ და მიღულულა ქუთუთოებიდან
წყველმა კურცხალმა გამოიყოლა.

ყვილიად ლიცილიცებენ სანთლები. ქარისკაცები
შეაკრთო მეთაურის მოულოდნელმა ცრემლმა. დუმან.

მირზა სწორედ ამ დუმილმა გამოარკვია, დამნაშავენი-
ვით გაიღმა და წამოდა.

— მაატეთ, ძმებო... დამისხით არაყი!

და როცა „კრუშკა“ მიაწოდეს, თქვა:

— ერთი აფხაზური ანდაზა მაგონდება ახლა: „მე-
გობარს, როგორც ხანჯალს, ორი ბასრი აქვს და მას
მტერი ვერ შეიკრება“... ჩვენი მეგობარმა სწორედ
იმ ხანჯალსა ჰგავს და აბა გაბედოს მტერმა, მოგ-
ვიახლოვდეს!

განსაკუთრებული, ნანატრი დრო დაგვიდგა, ძმებო,
უპეგ დავიწყეთ მტრის განდევნა ჩვენი მიწა-წყლიდან
და მოდი, ერთად ავწიოთ თასი საბოლოო გამარჯვები-
სა!

ჩვენ ყველანი ომმა დაგვაახლოვა, ასეთი მეგობრო-
ბა კი მთლამ მტკიცე საფუძველზეა დამყარებული, იგი
არამც და არამც არა ჰგავს მშენებელ სოლნესის კი-
ბებს (არონ, შენ იცი, ვისზეც ვლანარკობს). სხვათა
შორის, ისინიც აქვს ნათქვამი: „რაც უნდა ბნელი
იუოს ღამე, მას მულდა შესცვლის მზიანი დღია!“ და
ეს მზიანი დღია ახლათა, მეგობრებო!

ომმა საბოლოოდ განკურნა ჩემი ნერვები. ჩემს
ლექსებში უხვად იუო სინაზე და მე მჩვეოდა სველია-
ნი დღილი, მაგრამ გადავტყვი დღილის და მხოლოდ
მზიანი, როცა მტერი გარბის ჩვენი ცეცხლის ქვეშ,
როცა მათი გვაშების ცივი გამოხედვა მხედება წინ
მიმავალს, ვიცი: ჩემს ბაგეზედ დარბის დღილი. დღი-
ლი კაცის, რომელიც ვაშმაგა შურისძიების წყურვი-
ლმა!

ამბობენ „ძმა!“ მე არ ვიცი რა არის „ძმა“. ჩვენი
ძმა ის არის, დატროლს რომ მოგვეფერება, მკლავს შე-
გვიხვევს და ჩვენი სისხლის წვეთებისათვის დაღვრის
მტრის სისხლს!

ჩვენი სისხლი და ხორცი ის არის, დადილოს რომ
მოგვიღებდა გვერდით, გვიამბობს საკუთარ ოცნებაზე,
გამარჯვება რომ უქსოვს რწმენას.

ჩვენი ძმა ის არის, ვინც ვაზნებს გვიშადადებს თავ-
დახრილი, ან კაბინეტში ჩაკეტილი მუშაობს! მ-
ჩავს ჩავშნის სიმაგრეს, იგონებს იარაღს, რათა ჩვენ
მოგაწოდოს. ძმა ის არის, ჩვენი გამარჯვება ვისაც
სწამს!

და ამ მიწურ ქოხში, ნამღევა სანთლების შუქზე
ნათქვამი ეს სიტყვები მინდა მისწვდის საქართველოს
მთებს. მინდა ყველას, ვის გულშიც სცემს სიცოცხლე,
გადაედება მტრისადმი ზილო, რომელიც ასე მწვევა
მე!

მე ახლა შორს ვარ საქართველოს მთებიდან. მაგრამ
თუ აქ, რუსეთის თოვლიან ველებში მომხედება მტრის
აშური ტყვია, იცოდნენ მთებმა, რომ მე მათ ვიცავდი
აქ!

მირზამ არაყი გადაპკრა.

პაუზა.

— დემტრო ჩემო, რა მშვენივრად შეგიძლიათ აწრე-
ბის სიტყვივრად გამოთქმა... — აღმოხდება არან გურ-
ვიჩის, — მე მინდა, რომ გაუმოთო და გადარჩეთ
ამ საზიოლარ ომს... რომ აღამიანებს უყვარდეთ ერთ-
მანეთი!

უცებ დაირცხვინა:

— სულ არ მეხერხება ღამარაკი. ჭობია დავუკრავ!
ვიოლინოს გადასწვდა, ყელთან მიიბჩინა და ზემით
ფრთხილად შეეხო სიმებს.

— რა დავებია!

— რამე მზიარული, გულს რომ მოეკიდოს! — წამოიძახა რომელიღაცამ.

მზიარულიო? და არონ გურჯიანი დასცხვს ცეცხლოვან „ნარდას“! ამ სიუჟეტში მაინც წამოხტა ჯარისკაცი, თავისი სანთელი მეორეს მიაჩნა და რაღაც უცნაური ილეთების კეთება დაიწყო. აპყვა ვაუტრიც...

მირზა უყურებს მათ, უყურებს განუხაზღვრელი სიყვარულით.

მაგრამ აი, გახურებული ცეცხლა და ფუნდრუის ფაშა, მოულოდნელად, მეკავშირე შემოდის მიწურში და იძახის!

— უფროსი დეიტენანტი მირზა გელოვანი კაპიტან სობოლოვან!

ვიოლინო დადუმდა. გურჯიანმა შალითა შემოახვია და ავისმაუწყებულ სინურეში ყველას გახავონად თქვა:

— ეს ჩემი უკანასკნელი დავებია, ბატონებო! სანთლებმა ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით იწყეს ქრობა.

მიწურში, თვითნაკეთ მაგიდაზე კაპიტანი სობოლო დახრილა. რუკას ჩაბყურებს. ადიუტანტი თუნუქის ღუმელთან მიმჭდარა და ავტომატის წმენდიითა გართულია. შემოდის მირზა.

— ამხანაგო კაპიტანო, გამოცხადდი თქვენი ბრძანებები!

კაპიტანი უძილო, შეხიბული თვალებით აკვირდება მოსულს. დუმობი.

— ჰო, კარგი, თავისუფლად. მოდი, დაჯექი, — კაპიტანს დადლილი ხმა აქვს, — დაჯექი, შვილო.

ამ „შვილომ“ და უჩვეულოდ აღერსიანმა ტონმა, მირზას აგრძობინა, რომ რაღაც სერიოზული და სახიფათო დავალება მოელოდა. არც შემცდარა.

...საქირო იყო მტრის მოტყუება, მისი ყურადღების გაფანტვა, რათა გათენებისას საყოველთაო შეტევა დაწყებულიყო.

ამიტომ.

...ოცეული გადაივლის დანაშაულ ველს, გადახერავს ხეებს, მარჯვნიდან მოუვლის მაღლობს, რომელიც მტრის მეავტომატეებითა და ტყვიამჭრქვევებით არის გამაგრებული და სროლას ასტეხს. მტრის ბრძოლაში გამოიწვევს, ხოლო როცა მთლიანად მიაჭკავებს მის ყურადღებას, აი, მაშინ დაიწყება დიდი შეტევა! ერთი სიტყვით, პირველად მირზას ოცეულმა უნდა შეუშვაროს ცეცხლის წვიმას თავი.

გარეთ თოვლია, ქარი და ყინვა. გუშაგები დააბიჯებენ ღამეში წინ და უკან. იორთქლავენ ხელებს, ახალუებენ ფეხებს. პატრულები ზევირევენ ფაშას, რომელიც მიდის ტყიდან. ვიღაც ფარაქის სახელოში მალულად წევს წეოსი. გარეთ თოვლია, ქარი, ყინვა და მებრძოლები. ისინი წვანან მეწინავე ხაზზე, უთვალთვალენ მტრის ბლინდებებს...

კაპიტანმა დაამთვრა. მირზა წამოდგა.

— ნება მომეცით, შევასრულო ბრძანება!

კაპიტანი კვლავ ჩაკეტილი უყურებს მირზას, მერმე თვითონაც დგება, უახლოვდება და მაგრად ართმევს ხელს. ერთი წამი, როგორც მძიმე ლოდი, ისე დააწვა გულს.

— აბა თქვენ იცით, შვილო, გისურვებთ წარმატებას!

მეტი არაფერი. მირზა გავიდა.

მთავრე გამოძვრა ღრუბლებიდან, გადაიარა ტყენი და ჩრდილები ჩამოყარა. ქარი ქრის, თოვლს ხეტის და ცრის ბუჩქებში მშრალ, ცივ ფიფქებს. ისე ხმაურობს, თითქო ხმელ ფოთლებზე დადის ვინმეო. შრი-ალებს, ციციანებს, გაყინული, წვრილი ფიფქი. მირზამ ოცეული ახშიზინა ვაუტს.

რატეის ბურთი ავარდა მაღლა, მერმე ერთბაშად დაქანდა, გაანათა თოვლიანი მიწა, შიშველი ხეები და კარ დადებულცივ არ იყო, მაღლობიდან მოისმა ავტომატების ხმა. მტრის ძლიერი ცეცხლი დააცხრა მარჯვენა ფლანგზე ჩაწოლილ მირზას ოცეულს.

ნაღმსატორცნიბი ზუიან, წვიან, აირია ყველაფერი და ამ ქოკიხეთური სროლის დრის რა ხდება, არავინ იცის, არც რამის გარჩევა შეიძლება.

ბოლოს, როგორც იქნა გაისმა შეტევაზე გადასულთა ყვირინა და ოცეულმა შევებით ამოისუნთქა.

... * * * * *
...ინათა. თოფის წამლის კვამლი ზანტად მიაქვს ბორიოს. აღარ ისმის სროლა. მაღლობი დაკავებულია. პირველი დახმარების განაწევე პუნქტზე მოწყალეების დამ მოიყვანა დპკრილი. ქალი ძლივს სუნთქავს, ოფენ წურწურით ჩამოსდის სახეზე. ხოლო დაპკრილი მის ზურგზე მომკვდარა.

დააწვიანეს.

სათვალის ცალი შუშა ჩამსხვრევიდა და უყურებს მღვრიეს ცას, გაკვიებული თვალებით. მოაძრეს სათვალე, თვალები დაუხუტეს...

მოლასლასდა გატალახული, სისხლში ამოსვრილი მირზა, ადამიანის სახე აღარ ადევს. თვალების მაგივრად კაის ნატებარი უწყვიდა. წარბშეკრით დახედავს გურჯიანს ცხედარს და გაუხმინდება მისი ნათქვამი:

— ეს ჩემი უკანასკნელი დავებია, ბატონებო!

მოაქვთ და მოაქვთ დპკრილითა და დაბოცილითა გვაგები. მებრძოლები უხმოდ თბრინა საფლავს. ნიადაგი გაყინულია და ქვიანი, არ ემორჩილება ბარს, ვიღაცამ მოიგონა ტანსაწინააღმდეგო ყუმბარა, ააფეთქა, ბუჩქი შეტრიალდა მაერში, დაეცა გვერდით ისევე აფეთქება, სამწო საფლავი მზადაა. ვიღერ გურჯიანს ჩაასვენებენ, მირზამ რაღაც გადაულაპარაკა ვაუტს. იგი გაიქცა, მალე დაბრუნდა და ვიოლინო მოიტანა თან. მირზამ ფრთხილად დაალო გურჯიანს მკერდზე და ცემებლების ულაპკით მოუღწე ეპშობარა.

ისმის სამეგრე გასროლა ნაღმსატორცნიდან. სამეგრე — ავტომატდენ. ქვიანი, თოვლიანი მიწა აცვივით სამწო საფლავში მწოლიარეთ.

— ეს ჩემი უკანასკნელი დავებია, ბატონებო! — ცხადად ჩახსენა მირზას და ხედავს, აშკარად ხედავს:

...მზით აბრქვეალიებულ, უპიდეგანო თოვლიან ველზე ნელა მიაბიჯებს არონ გურჯიანი და უკანა თოვლიანოს მიდის, მიდის და თქმება შორეთში.

თოვას იწყებს და ახლადგახორბლი საფლავი მალე თიორდება. მირზა დგას გაქვავებული და ისმის მისი გაბმული ჩურჩული:

...თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი, სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა. მგონია მოხვალ, შენ მოხვალ ერთი



და თოვლის სეტყე კუბოს მომიტან. დამარბე თოვ-
 ლში, დამარბე ქარში, თორემ მომბერდა მიწა ბო-
 როტი. იჩქარე, ვიდრე თოვლივით წავალი შენზე ფი-
 ქრებს და შენზე მოლოდინს. წახვედი როდის, ბრუ-
 ნდები როდის — დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი,
 ჩემკენ, ო, ჩქარა, გზაც აქეთ მიდის — თოვლი, თოვ-
 ლი, თოვლი...

მათოვდა წუხელ, ავად ვარ ახლა და თვალზე ბი-

ნდი ჩამორხეულა. ამდენი ვნება, ამდენი დაღლა ვიქ
 აიტანოს ჩვილმა სხეულმა! თოვლი მოსულა მისთვის
 მხარეში, სად გიღამდება დღე თოვლნარევი. — დავრჩი
 მზისა და თოვლის გარეშე, ამ თოვლზე უფრო ნატი-
 არღვი. წახვედი როდის, ბრუნდები როდის — და-
 მწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი... წამოდი ჩემთან,
 გზაც აქეთ მიდის...

თოვლი, თოვლი, თოვლი...

ნ ა წ ი ლ ი მ ე ი ძ მ ს ო

ლ ი ნ ა

მუზეუმის დიდ, ნათელ დარბაზებში ხალვათობაა.
 მხოლოდ აქა-იქ, ამა თუ იმ სურათთან, ეულად დგა-
 ნან დამთავალიერებლები და ტუბებიან მანქს, რენუა-
 რის, ვან გოგისა და სენაის თუ სხვათა ხელოვნე-
 ბით. მათ შორისაა მირზაც. კარგად მორგებული საშ-
 ხედრო ფორმა შეენის — ახოვანს, ტანქნარს, აჩენს.
 ქერა და ცისფერთვალემა, თითქო რაინდულ ძალსა
 და სიციეთს ასხივებს ირგვლივ და ამის სანაცვლოდ
 ფრანგი მხატვრებიც უხვად სთავაზობენ ცინცხალ მკ-
 ერს, ათსნაირ ფერთა ლივლივს, სრულ თავისუფლე-
 ბას ხედვისას... ეს ნამდვილი დღესასწაულია, დიდ
 ადამიანურ შესაძლებლობათა დღესასწაული და მირ-
 ზა სუნთქვავერული, თვალბეში სხივიამდგარი, მთე-
 ლი არსებით მონაწილეობს ფერების ამ უშველებელ
 შექლისში...

ჩამოიარა ნოხით მოგებული კიბეები, გამოვიდა გა-
 რეთ, კიდევ ერთხელ მოავლო თვლი პუშკინის მუ-
 ზეუმის დიდ, სვეტიბიან შენობას, თითქო საბოლო-
 დ უნდა დამახსოვროსო და გაჟევა „მანეთისაქენ“
 მიშავალ ქუჩას.

მშვენიერი იყო 1944 წლის მაისი მოსკოვში. ახ-
 ლად გამოფენილი კვირტები საამოდ ფშვენდნენ,
 დამავალი მზის შუქზე ლალაქებდნენ ოქროსფერი
 გუმბათები თიბრი ტაძრებისა. კულტურული ცხოვ-
 რება გამოცოცხლებულიყო ქალაქში. ერთხანს ევა-
 კურიბული თეატრები ევლავ თავის ადგელსამყოფ-
 ნებს დაბრუნებოდნენ და სრული ანშლიაგით იძლიე-
 დნენ სექტაკლებს. კინოთეატრებთანაც გრძელი „კუ-
 დები“ იყო გაბარული. ერთი სიტყვით, მოსკოვი
 სწრაფად იშუშებდა ომის კრილობებს და ახლა ფრო-
 ნტულ წარმატებებს ქვეყნთა ზალბითა და ნაირფე-
 რი შუშუნების ფრქვევით ხვდებოდა. რასაც თან
 ერთოვდა ბავშვების მხარეული თეილი-ხივლი.

...ორი ქუჩის შესაყარში ახალგაზრდა პოეტებს სა-
 ხელდახელო ტრიბუნა მოეწყო და ლექსებს კითხუ-
 ლობდნენ. ლექსებში, რალა თქმა უნდა, გამარჯვება-
 ზე, სიყვარულზე, მოშავლის დიდ რწმენაზე იყო ლა-
 პარაი. გამვლელები ჩერდებოდნენ და ხალხით უს-
 მენდნენ.

მათ ხულს სწყუროდა, ენატრებოდა პოეზია...

სიხარული...
 შეჩერდა მირზაც. უშერს ახალგაზრდა პოეტებს,
 უსმენს და თვითონაც ბუბუტუბებს თვისთვის: „ადა-
 მინებო, უცნობო მეგობრებო, თქვენ იცით, რომ მე
 დაჰამარცხე ომი? რომ მე გავიმარჯვე ამ საშინელ
 უარობაზე? იცით თქვენ ეს? იცით, რომ „იქ, სად-

აც სხეები კვებს დემშგავსნენ — სისხლის წვიმებში,
 ტუყების ჩქერში, მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემ-
 სას, რომელიც ოდეს გიყვარდათ ჩემში? და სასიკვდი-
 ლო ტუყების ფარფაცს, ღამეში გაწვილილ ცეცხლის
 ენებად, მე ვუცქეროდი, როგორც სანაზავს, როგორც
 უცოდველ მშვენიერებას? ხანძრებს, ღამთა კალი-
 აზე გაშლილთ, გზებზე ჩახერგილ ღამთა ლოდებს,
 მე ვუცქეროდი თვალბით ბავშვის, რომელიც ასე
 გიყვარდათ ოდეს?“..

გარინდებიდან მკაცრმა ხმამ გამოიყვანა:

— თქვენი საბუთები!

შეუმჩნევლად პატრული წამოსდგომოდა. მაიორი,
 ავტობატანი ქარისკაცების თანხლებით. მირზა შეი-
 მუნხა, უსიტყვოდ ამოიღო ქაღალდები გულისჩიბი-
 ან. გადასცა. მაიორი გულდასმით ეცნობა. ბოლოს,
 ნელ-ნელა იღიმება:

— ენა იგი, მთლიანებით?

— დიახ.

— საიდან?

— ბელორუსიიდან.

უკანად გაუწოდა საბუთები.

— იწებო. რა ამბებია ფრონტზე?

— უკვე ერთი თვის წამოსული ვარ, ასე რომ...

— ერთი თვის? — დაინტერესდა მაიორი, — ზურგ-

ში დატოვებს?

— დიახ, ამზანავო მაიორო. აქ უფრო საჭირო ხარო

— მერე? დათანხმდით?

— რას იზამ, ბრძანება — ბრძანება.

— მართალია. გისურვებთ წარმატებას.

ხელი აუღეს და წავიდნენ. მირზამ ცოტა გაიარა
 და ბებერი, სათვალისანი მუსიკოსი დაინახა. ებრაელი
 იყო, წინ ქუდი დაედო და ვიოლინოზე ნაღვლიანად
 უკრავდა ვალს „მანჭურის გორაკები“. იყო რალა-
 ცა სული მომწუკელი ამ აწოწილ კაცში, მის და-
 კვარაშიც და მირზას უნებლიედ არც გურჯინი გა-
 ახსენდა. გაახსენდა, როგორ უკრავდა ცეცხლოვან
 „ჩარდაშს“ მისი დაბადების დღეზე, როგორ შეინახა
 ვიოლინი და როგორ თქვა:

— ეს ჩემი უკანასკნელი დავკრავ, ბატონებო!

გახსენდა, როგორ გაუთხარეს სამარე და ვიო-
 ლინოც თან ჩაატანეს. გაახსენდა თოვლი — ირიბი,
 ალმაცერი...

გახსენდა არც გურჯინის და — ლინა, ტანყენა-
 რი, ბატკანივით ხუტუქთმინი, სქელტურება, სევლია-
 ნი ქალიშვილი... მისი წყნარი ბინა და იქ უოფნა უკა-
 ნასწენლად არონთან ერთად...



აი, ერთი თვეა მოსკოვშია და ჭერაც არ მისულა ლინასთან. რომ მივიდეს — რა უთხრას? რა?

მირზამ ხურდა ფული ჩაუყარა მუსიკოსს ქულში, მკვეთრად მოტრიალდა — ეტყობოდა რაღაც გაღაწყვეტილება მიიღო და ჩქარა ნაზივით წავიდა საწინააღმდეგო მიმართულებით.

ჩანებლებული, ხალხით გაქვდილი დარბაზი. მიმდინარეობს კალმანის „სილვას“ წარმოდგენა. ქანდარაზე, პირველ რიგში, მოაჯირთან, მირზა ზის, მაგრამ ამის მაგივრად, რომ სცენას უყუროს, თვალს არ აშორებს ორკესტრანტების ნივარას. იქ, მართლად განათებულ კუთხეში, როიალთან, ჩვენთვის ნაცნობი ქალის სილუეტო ილანდება. ეს ლინა გურჯიანი. იგი როიალის პარტიას ასრულებს.

სექტაკლი ფინალისკენა მიდრეკილი, სცენაზე ოპერატული ვნებები მოუპოვებს, მირზას კი ლინა გურჯიანისთვის ვერ მოუშორებია თვალი, როგორღაც ბეჭებში მოხრილი, დაპატარავებული თუ გაღუული ეჩვენება. მიიღო მძის დაღუპვის ცნობა? არ მიიღო? და საერთოდ, როგორ მოქიციე მირზა — გამოეცხადოს ლინას და უველაფერია წერილად უამბოს, თუ თვალთაყვარელი არ დაენახოს? ან იქნებ უთხრას — შენი მძა მართლმართა და უვნებელი?

იქნებ? ფარდა ეშვება, არის ტაშისყვრა და „ბრაგოს“ ძახილი, სილვას როლის შემსრულებელი, ხანში შესული პრიმადონა, ორივე ხელით კოცნას უგზავნის დარბაზს, გრიმით გათხუანული, მომხიბლავად იღვრებას უყვლს.

მირზა აერამულეზულ ხალხს შერევა, გასასვლელისკენ გასწევს და ცოტა ხნის შემდეგ ვხვდეთ, რომ უპაციელ, ცუდად განათებულ ქუჩაზე, თეატრის უკანა შესასვლელთან, სცემს ბოლთას. პაპიროსი ამოიღებს, გააბოლებს, მერმე სტინდზე გამოკრულ აფიშებს ათვალიერებს.

მოხუცი დარაჯი განათებულ აბრას ცვლის, „სილვას“ ნაცვლად ხვალის პროგრამას — „ბოშათა ბარონს“ დგამს.

ამსობაში, ლინაც გამოჩნდება. ისე მიაბიჯებს, თითქო მხრებით ფუთიანი ტვირთი მიაქვს. წამსვე მიხვდება, რომ ამ ადამიანს რაღაც გაუძლიის უბედურება დატყდომია თავს. აშკარაა, შიღებული აქვს მძის დაღუპვის ცნობა.

მირზა მოშორებით აედევნება ხეებით ჩარიგებულ ტრაქტარზე. ერთი ფიქრით არის შეპყრობილი: „როგორ მოვიქცე? როგორ მოვიქცე?“ და უცებ, თითქო თავისდაუნებურად აღმოხდება ძახილი: — ლინა!

ქალი ელდანაცემი შედგა და მერე ნელა მოტრიალდა. ხედავს: მისკენ მოისწრაფის სახგვამადრული ახალგაზრდა ოფიცერი. მივიდა, ხელი მოჰკიდა, შუბლზე აკოცა.

— ლინა! ლინოჩკა! გამარჯობათ, ვერ მოციანით? — მირზა... ეს თქვენა ხართ? თქვენ? ღმერთო ჩემო...

ქალმა მერღვე მიახუტა თავი და მამინ მირზამ თვა ფარა, რომელიც შემდეგ სიცოცხლის ფასად დაუჭდა:

— ძმისაგან მოციბუბა!

ქალი შეტბა. — ა? რა? როგორ?

— წერილი გამომატანა, მაგრამ სიჩქარეში წაღდა! მივაკარე. კარგად არის და დამავალა შუბლზე შეკოცნა თქვენთვის. აი, ასე! — მირზა მეორეეტი ემთხება.

— როგორ, — ყურებს არ უჩერებს ქალი, — როგორ... მამ, ის ცნობა...

— რა ცნობა, ლინოჩკა? — გაიკვირა მირზამ.

— არონის დაღუპვის ცნობა...

— რა დაღუპვა, რის დაღუპვა, ხომ არ გაგიღეღეღე? — მირზა იცინის, თქვენი მძა მშვენიერად არის;

— ესე იგი... ის...

— რა თქმა უნდა, სისულელეა, ლინოჩკა.

— წერილები? წერილები რატომ არ მომიღიდა?

— საგანგებო ვითარებაში ვიყავით, წერილი კი არა, თავი არ ვახსოვდა.

— ახლა კარგად?

— ძალიან კარგად.

ლინამ თითქო გადაიგდო მხრიდან ფუთიანი ტვირთი, წელით გასწორდა, მსხვილ ტურბზე ნაცნობი, მომხიბლავი დამიბი გაღაფერინა, კვლავ მიეხუტა მერღვე მირზას და ატირდა შვების ცრემლებით.

თან, ერთიდაგივეს იმეორებდა გაუთავებლად: — ბედნიერი ვარ, ბედნიერი... ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ...

მირზა დაფასდა გაშვებული, დამეხილი. გვიანი დამეა, მისის მთავარ მიცურავს უზარმაზარი ქალაქის თავანზე.

— სხვა რა დაგაბარათ არონმა? ღმერთო ჩემო, რა უმოწყულო ხართ, ძლივს იმეტებთ სიტყვებს...

— სხვა.. თავს მოუფრთხილდესო. ომი, როგორც ეტყობა, მალე დამთავრდება და ჩამოვალა.

— მე მოვუფრთხილდე? მე რა მოფრთხილება მინდა? — თვალმომსახურე უსასოო მუდარა გაურთა, — ღვთის გულისათვის, მითხარით, ხომ არ მატყუებთ? გამხნეების მიზნით ხომ არ... ა?

ეს უველაზე ძნელი წუთი იყო.

— არა, ლინა, არა! — სიცილით, უდარდელი სიცილით ამბობს მირზა, — არა!

— აი, ახლა კი მერა! — აღმოხდა ლინას და დაუმატა, — ნეტა რას მივწებებივართ ამ ადგილს? წავიდეთ ჩემთან, დაწერილებით მიახმობ, როგორ ომობთ, როგორ ცხოვრობთ, რას წერთ...

მირზა შეტრბა. — არა, ლინა. მე...

— უარს არ ვღებულობ! ტყუილია, არსად გაგიშვებთ! არონის ხელახლა დაბადება ხომ უნდა აღვიშინოთ? არა, მე ნამდვილად სიზმარში ვარ. ნუთუ ეს სინამდვილეა?

— სინამდვილეა, ლინა.

— ხოდა, მამინ წავიდეთ! გახსოვთ, ერთხელ დამპირდით, რომ თქვენს ლეკებს წამოიკითხავდით და მითარგმნიდით.

ამის გაძლბა მართლაც შეუძლებელი იყო. მირზამ სწრაფად დაიხედა საათზე და მოსტრა:

— სხვა დროს, ლინა. ახლა, ზუსტად თერთმეტზე კომენდანტთან უნდა გამოვცხადდე.

— სხვა დროს როდის? — გულდაწაყვეტილ ჩაილაპარაკა ლინამ.

— იქნება საშუალება. მე ხომ..., — მირზა წა-



ბორძიდა, მაგრამ მაინც დააბოლოვა, — მე ზურ-
გში გადმომიყვანეს და ფრონტზე აღარ მომიწევს წას-
ვლა. ასე რომ...

ლიანს სახე გაუნათდა:

— მართლა? რა ბედნიერება! მართლაც! თქვენ
უკვე საქმარისად იომით. ახლა პოეზიასაც ხომ უნ-
და უყურადღებო? ოო, არონიც რომ სადმე უზოფათო
ადგილას მეგულებოდეს... მაგრამ რას იზამ...

— უზოფათო ადგილას..., — ჩამწყდარი ხმით იმე-
ორებდა მირზა, — რას იზამ...

უცებ გამოურკვა:

— მე წავიდე, ლინა. შაპატოე... გნახავთ, შეგ-
ხვდებით...

გაოცებული ქალი შიტოვა და ჩქარი ნაბიჯით
წავიდა, ხოლო როგორც კი მოსახვევს მიეფარა, მო-
წინა ადგილის და შურდულლივით გაიქცა. მირზის,
მირზის, თან მდულარე კურცხლებს იწმინდს.

შინაგანი ხმა:

„შაპატოე, ლინა... არ შემშლო სხვანირად... ახალ-
გაზრდა ხარ და ცხოვრება გინდა, ნუგეში და იმედი
გინდა. შაპატოე, არონ, ძმარ... შენ ახლა ვედარაფერს
გრძნობ, აღარაფერი გეხმის, მაგრამ სიცოცხლე ხომ
უნდა გაგრძელდეს ამ ტანჯულ მიწაზე? ხომ უნდა
გაგრძელდეს? თქვი, ხომ უნდა გაგრძელდეს? ტყუი-
ლი — ცოდვა, დიდი ცოდვა, მაგრამ ამ ცოდვას
იმით გამოვისყიდო, რომ უარს ვიტყვი მოსკოვში
დარჩენაზე და კვლავ ფრონტზე წავალ. ვიბრძობე,
სანამ პირში სული მივდას.. რა უყუთო, ომში ბე-
რი წახულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება!...“

გარბის მირზა, გარბის, კურცხლებს იწმინდს და
გარბის.

.....

მიპქრის მატარებელი. ვაკონი გაქვილია ქარის-
ცაცებით. დაბალ ხმაზე მღერიან გაგრძელებულ, ნაღ-
ვლიან სიმღერას:

...მივდივართ ჩვენ. გზა შორია, უცნობი და სის-
ხლიანი. დამეარგა ცოლი, ბავშვი წაიყვანა სხვამ —
ღამე იყო და თავისი ეგონა. მივდივართ ჩვენ, შუ-
რისძიების წყურვილით აღვსილინი. რჩება გადამწვარი
პურის უანები და მივდივართ შორს, უკუნეთში. მაგ-
რამ ჩვენ დაბრუნდებით და დალილები, გემულ-
ნი კვლავ მივაგნებთ ერთმანეთს.

გაქვილი ვაკონში ჩაივლის პოლიტხელი. ესმის
სიმღერა, დაღვრემილია, არაფერს ამბობს. მომღე-
რლებსაც და მსმენელებსაც ცრემლი უბრწყინავთ
თვალებზე.

მიპქრის მატარებელი მაისით გაღვიძებულ ბელო-
რუსიის მიწაზე. მირზას ზემო თარო უკავია, თან-
ჯრიდან იცქირება.

შინაგანი ხმა:

.....

„ბელორუსიის ტყეებში და ქაობებში შედის სი-
ცოცხლე. გაზაფხული შედის მიწის გულში და ა-

ღვრევს სისხლს მიწისას. მზიანი გაზაფხულის დღეა...
და ჩემი სული სავსეა კეთილი სიხარულით. ჩემი
ჩასულა ჩემში და ისე თავისუფალი ვარ და უზრუნ-
ველი, თითქოს ბავშვობა მოსულიყოს ჩემთან. ოცდა-
შვიდი წლის ბავშვი ვარ დღეს...“

მინდვრებში რუბაღ წავიდა წყალი, გალღვა მი-
წაზე დაფენილი ყინულის ქუჩები, პაერში დაღდა
სიახლის სუნი, და მე მაგონდება თბილისი გაზაფხუ-
ლის რომელიღაც დღეს. ვიდექი ოპერის თეატრის კუ-
თხეში და ვუცქეროდი, როგორი მზრუნველობით ტყი-
რა იის კონები ვიოდე შეახლის გლენჯაცს და როცა
ახალგაზრდა წყვილი მიუახლოვდებოდა, უზრუნველი
ხმით სთავაზობდა მათ: — ია... ია... ია...

დღეს სწორედ ისეთი დღეა, როგორც მაშინ.
ღრუბლის ქულაც ისე დგას ჩრილოეთის ცაზე, რო-
გორც მაშინ, ცაზე თბილისის. მზეს გაუშლია ოქროს
ფუნჯები და მსუბუქი, როგორც სანის მოელვარე
ბურთულა, იწვევს მაღლა, სულ მაღლა და მე ველო-
დები: გასკდება მზე, ჩამოიშლება მიწაზე ოქროს
წვეთებად, როგორც სანახობა უდიდესი!..

და მირზას თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით
მიცურავენ:

აუვაკებული ნუშის ბეები, ცის ლურჯ გუმბათში
შექრული თეთრი მთაწმინდა, ყვავილებით მოჩითულ-
კაბიანი გავცა — ნუშის ბეებს შორის მიმსრბოლი.
კლდეზე ამაყად გადმომდგრი მეტეხის ტაძარი და
მის ქვეშ მღვრიე, ბობოქარი მტკვარი. ღონივრად,
მსუყედ მოხსული მიწა, რომელშიც ფეხშიშველი
მთხსვლნი დააბიჯებენ და ხორბლის მარცვლებს
აბნევენ.

შინაგანი ხმა:

„ნუ მწერ რომ ბაღში აუვაკდა ნუში, რომ მთა-
წმინდაზე ცა დაწვა თითქოს. რომ საქართველო ამ
გაზაფხულში, როგორც ყოველთვის წააგავს ხვი-
თოს. რომ ორთაქალამ ჩაიკვა თეთრი. რომ შენც
ჩაიკვი კაბა ყვავილის. რომ მტკვარი ოხრავს,
როგორც ყოველთვის, როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის...“

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურავანს და სა-
შინელი ბრძოლების ნისლში მე მომეჩვენა, საღდაც
ჩვენს უკან, აღლევებული იღვა თბილისი. ორთაქა-
ლში ჰყვავდა ნუში. მთაწმინდას მხრებზე მზე აწვა
თითქოს და შენ ძვირფასო. ამ გაზაფხულში, როგორც
ყოველთვის მოგავდი ხვითოს. ნუ მწერ.. ისეც ვიცი,
რავარი ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა. რომ ვი-
ლაც დაღის მინდვრებში ღამით და დილისათვის ამ-
წვანებს ნახვას. მე ისეც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულები საამო ფეთქვა და თუ ბოლომდე ტყვია
დამინდობს, თუ გაზაფხულებს შეგვხვდებით ერთად. —
გეტყვი, რომ მოველ ბრძოლა ნახული და სიკვდილამ
დე შენთან დავრჩები, რომ ღამაზია მზე გაზაფხუ-
ლის, ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების!..“

მიპქრის მატარებელი ბელორუსიის გაღვიძებულ
მიწაზე. ლეიტენანტი მირზა გელოვანი ფრონტს უბ-
რუნდება.

დიქტორის ხმა:

დადგა 1944 წლის ზაფხული. რა ხდება ამ დროს ფრონტზე? მთავარ ბანაკში და გენშტაბში მუშავდება უზარმაზარი მასშტაბის ოპერაცია „ბაგრატიონი“, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა მიწაწულის მთლიანად გაწმენდას ფაშისტებისაგან და საომარი მოქმედების მტრის ტერიტორიაზე გადატანას. სადაცაა გაიხსნება მეორე ფრონტი, ამერიკა და ინგლისი ჯარებს გადასხამენ იტალიასა და ჩრდილო საფრანგეთში, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს ნაცისტების საბოლოო კრახს.

28 ივნისს ბელორუსიაში გაჩაღდა გიგანტური ბრძოლა: შეტევაზე გადავიდნენ ბალტიისპირეთის პირველი, ბელორუსიის მეორე, მესამე, და პირველი ფრონტის ჯარები მხედართმთავრების — ბაგრატიონის, ჩრდილოეთის, ზახაროვისა და როკოსოვსკის სარდლობით.

საბჭოთა შენაერთები უტევდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე მდინარე დასავლეთ დვინიდან — პრიპიატამდე (1000 კილომეტრის რადიუსით!). გარდვიცის მტრის მძლავრი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა და 6 დღეში 150 კილომეტრით წაიწიეს წინ. 29 ივნისისათვის ვიტებსკისა და ბობრუსკის რაიონებში გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა გერმანელთა 10 დივიზია.

მაგრამ ამ ბრძოლაში ლეიტენანტი მირზა გელოვანი უკვე აღარ მონაწილეობდა, იგი დაიღუპა მდინარე დასავლეთ დვინის გადალახვის ეპოქაში — 1944 წლის 19 ივნისს...

[დიქტორის ტექსტს უნდა ახლდეს სათანადო დოკუმენტური კადრები].

თბილისის ქუჩაში მიმავალს გვანცა შემოხვდა მოულოდნელად, ლურჯოვლებიანი, თეთრი, უსახელო-ნოვა კაბა ეცვა, გაუყვარდა მირზას მოულოდნელი ნახვა. აღტაცებული ეხვეოდა, ნახვად ჰკიცნდა, მერმე ერთად წავიდნენ დედაბოძიან გლეხურ სახლში. დედაბერი დაუხვდათ. მასაც უხაროდა მირზას დაბრუნება. დატრიალდა, რადაცის შვადზე დაიწყო, თან ჩიფჩიფებდა, დმურთს მადლობას სწირავდა.

მერმე ხის ხონჩით ხინჯალი მოიტანა ტაბლასთან. — ქართული საჭმელია. დასუსტებული ხარ, შვილო. ჰკე, ჰკე, ჰკე შეგმეტებს.

მირზამ აიღო ხინჯალი, ეცხელა, ისევ დადო და სული შეუბერა. მოხუცმა ახლა ღვიწი მოართვა ხარის რქით.

ქართული ღვინოა, მამა-პაპის დაუღლეი სისხლით არის გაჭერებული. შენ დაღლილი ხარ, დაღიე, დაგასვენებს.

მირზა მართლაც დაღლილი იყო. მან ფეხით გაიარა ათასობით კილომეტრები. გზაყვარდენებზე ზედმედად წარწერები, „აქეთ ბრძოლაა, იქითაც — ბრძოლა!“ და ის მიდიოდა ბრძოლაში ამაყი და წარბეზებული, როგორც ბავშვი, რომელსაც მახვილი

სათამაშო ჰქონია. იგი იბრძოდა. მის გვერდით სკდებოდნენ ტონიანი უმბარები და სმენა შუბლით განესვენებოდა, თვალები — სისხლიანი სურათებით. მის სულში ჩასახლებენ გზები, უმბარების კვამლი და ცივი, სამინელი თოვლი.

ასწია ღვიწი და დალია. იგრძნო ერთგული სისხლში, გახალისდა, მაგრამ გული დაფრფულილი იყო, რა მოარჩენდა გულს?

გვანცა გვერდით მიუჯდა, შუბლზე აღერსით გადაუსვა ხელი.

— თმები რა უყავი, მირზა? კარგი თმები გქონდა.

— ყინვამ დაამურყვინა, გვანცა.

გვანცამ გაიშალა ნაწნავები და გადააფარა.

— ამა, გქონდეს ჩემი თმა.

ისევ მოხვია, ქარკაშიდან დანა ამოიღო, გაიჭრა მკერდი, ასწია გული და ვაჟს ეუბნება:

— შენი გული დაიღალა მირზა, ველარ მუშაობს, ამა, გქონდეს ჩემი სეტკაი გული.

შეშინებულს გამოეღვიძა. რა იყო, რას ნიშნავდა ეს სიზმარი? ცდილობდა არ ეფიქრა ნანახზე, დიდხანს ტრიალებდა, აღარ მოეკიდა ძილი. ირგვლივ სძინავთ დაღლილ-დაქანცულ მებრძოლებს. ადგა, მიწურვიდან გამოვიდა, ვარსკვლავებით მოჭაბუხებულ ზეცას ახვდა, ხარბად შეისუნთქა ღამის გრილი, ნოტიო ჰაერი. მთავარის შუქზე ჩანს სოფლის მრუმე სილუეტები და მდინარის მქისედ მოლაღალაე რიოები. ისმის ქრტილების გაუთავებელი კრუალი, რათაც კიდევ უფრო საგრძნობია მყუდროება. მირზა მარტოა, სრულიად მარტო, სძინავთ მებრძოლებს, სძინავთ ქვეშეხებს და ტანებებს, მტერს, რომელიც ღვიწის გაღმა ჩასაფრებული, მადლობი უკავია და ზემოდან დასცქერიან მდინარის ნაპირს.

მაიაზებდა უხეში, ეკლოვანი ბალახით დაფარულ ველზე, შპკურება გაბადრულ მთვარეს და უნებლეთ თავაწინ უტრიალებდა ნაირნაირი სურათები აწ ჩავლილი ცხოვრებისა: ხან თიანეთში იყო — მშობლიურ სახლში, ხან თბილისში მწერალთა კლუბში ტრიბუნაზე იდგა და ლექსებს კითხულობდა, ხან შოში — გვანცასთან ერთად და ხან კიდევ სად... ღამეა. მთვარე ჩასასვლელად მიდრეკილია.

შინაგანი ხმა:

საით გაგვივცა, მირზა გელოვანო? რატომ ასე მძაფრად ჩაგვებობა წინათგრძნობის ავებდითი განცდა? ო, რა სულმწარედ მწუწრია კვლავ ნახვა საქართველოსი, დაღლილ-დაქანცული თავის მშობლების მკერდზე მიხუტება, დების აღერსი, ივრის ტალღებში ბანაობა და ცხრაპარას ციხის ნაკვეთა ქვეშ ჯდომა... ზოგი იმით მაინცაა ბედნიერი, რომ თავის სამშობლოში კვდება და მშობლიური მიწა ეყრება გულზე. შენ კი...

და გამოეცხადა ძველთაძველი წინაპარი თავისი, ბერულ ჩოხით მოსილი, უხამური და თმა-წვერმო-შვებული — გელოვანი ანტონ. ხელს მოჰკიდებს თა-

ვის ნაშვირს, დამავალი მთვარისაკენ უნაშის პირს და ბრძანებით ეტყვის:

— იარე, შვილო ჩემო!

მირზა დემოჩიჩილა მის ბრძანებას, მიწურში დაბრუნდება და სანთლის ნაწვევზე დასწერს უკანასკნელ ლექსს: „შენ არ მოდიხარ, დიდება მიცდის, ვითელი საათებს, უვითელ უწყებებს... ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებდი“ გაზნაურულ სხივებს, ამართულ ზელებს, საღამოს, დღეში — თრთოლვას, ძიებას, ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს ჩემი ლექსები — ვით პატივმა! შეგობართ ჩრდილებს, შეგობართ წვებას, ტრფობას დამოყრის, არ გამოჩენის, როგორც სიყვდილში არ დავიწყება, არ დაივიწყებს ლექსები ჩემი!“

დაწერს ამ ლექსს, სამკუთხედად დაეცეკვას და ნიავს გააგანს საქართველოსაკენ. თეთრი ბარათი აფრინდება მაღლა, მაღლა, შეითამაშებს მტრედივით მოყოფრულ ცაში და გასწევს შორ გზაზე, რათა უკანასკნელი საღამო ჩაიტანოს იქ, საქართველოში.

სალამი მირზა გელოვანისა...

მწვანე, უსიამო დღე გათენდა. ჭარის ნაწილი რკინიგზის გაუქმებულ ლიანდაგზე გადადის. შლაგ-ბაუმი უწყმარას მოუდღღვია. დილის ნისლი. ღმერ გამოჩნდება, მერე სხივებზე მბრწყინავი კოსიტი, შემდეგ ფართოდ გაშლილი ველი. მარცხნივ, დანაცრებელი სოფელი ხრჩოლავს.

მოჩანს თვალისმოპკრედად ალალაპებული მდინარე დევნა. მის მერე ნაპირზე მტრია გამაგრებული. განუწყვეტლად ბომბავენ აქეთა ნაპირს...

მირზა, თავისი თორმეტი მებრძოლით, ტირიფნარში ჩაწოლილი. ელიან ნიშნას, რომ მტრებს დაიწყონ. ვეება, მწითორ სიზოვი არ ისვენებს, სათითაოდ ეკითხება ჭარისკაცებს:

— ბრძოლის წინ შენი ნატვრა? თქვი, ჩქარა!

— ცოცხალი მინდა დავრჩე, აი, ესაა ჩემი ნატვრა!

— შენი?

— აბაზანაში ბანაობა — სურნელოვანი სანით და მერმე გადუღუნებულ ლოგინში ძილი, ძილი გაუთავებლად, ისე, რომ ტილები არ მაწუხებდნენ.

— შენი?

— ცივი ღუღი, დიდი კაბოთი. ჰუმ, რას დავლევდი!

— შენი, ვაუტ?

— ქიანი-უიჩი მენატრება უსაშველოდ. იმისი პატარა ძძუძუები. ხარხარებენ.

თქვენი, ამხანაგო ლეიტენანტო?

მეგამ ვიდრე მირზა უპასუხებდეს, ცაში ავარდება შუშხუნა. წრეს მოხაზავს და წანტად დაქანდება ქვევით. ტირიფებიდან გამოდიან მსროლელთა შემბიდროლები რაზმები, სიბილით მიაშურებენ ნაპირს და რუხინის ნავებს შეაუტრებენ წყალში.

— აბა, ძმებო, ჩვენი დროც მოვიდა! — ამბობს მირზა, სათითაოდ ათვლიერებს თორმეტი მებრძოლის დაქანცულ, გაწამებულ სახებს და იღიმება ალალი: — იმიდა, საღამოს უყვლანი ერთად ვიქნებით და ჩემს ნატვრასაც მაშინ გაგიმხელთ. მოწყევით!

შეახტნენ ნავებს. მზე საშინლად აქერს.

სწრაფად უსვამენ ნიჩბებს, მათ გარშემო დუღს

და ქაქაქაებს წყალი. ისვრიან თვითონაც, მაგრამ ეს უმისამართო სროლაა. მტერი მშვენიერად უპასუხობს და უზღვევია სროლიად. უნაშვილოდ

— სასკალოზე გავავაზუნეს! — უყირის მირზა, — გამაგრე, ვაუტ!

ცეცხლის ნიაღვარი დაუნდობლად ამეჩხრებს მათ რიგებს. ვარდება წყალში ერთი, მეორე, მესამე...

როგორც იქნა, უწყის ნაპირს. ზტვობან მკერდამდე წყალში. ავტომატები თავჯემით უჭირავს. გადიან. ცეცხლის ურავანს ახვედრებს მტერი. იძულეზუნდი არიან გაეკრან შლამსა და რიყს.

ვეება, მწითორი სიზოვი წამოიწევს, წინ გაავრდნას ლამობს.

— დაწევი! — ღრიალებს მირზა, მაგრამ გვიანდაა. ძლიერი დარტყმა ჭერ ზევით ააგდებს, მერმე ძირს დაანარცხებს სიზოვს. მოვარჯიშესავით შლის სისხლით შეღებულ კმათავებს. და ხედავს შლამს ჩახუტებული მირზა: მკედარს შუბლზე დააქდა პეკედა. დააქდა და უდარდელად არხევს ქრელ ფრთებს, სულაც არ ჩქარობს გაფრენას...

— წინის ურაა! — ისმის ჩახლანწული ხმა.

და ხედავს მირზა: ვაუტ გულზე იტაცებს ხელს. ფრაგატებილი ქედანივით ევეება მიწაზე.

— მომიჯიბრე ამბობს ჩუმიად. — იი, როგორ არ მინდა...

— ვაუტ! — უყირის მირზა, — ვაუტ, არ გაბედო! მუხლებზე ევეება მის წინ, ცდილობს გადმოაბრუნოს და ამ დროს მოცეკვავს კიდევ ტყვიამურქვევის ჭრია.

...რატომ ეჩვენება მირზას, რომ შავ ცხენება ამხვედრებულა? კისრისკენ გადაწოლილა და მიპჭრის, მიპჭრის, დოლის რიტმული, სახეიმო ბაუნებით ხლებული. ქორწილიაა ქვარწილი! „მოცეკვარო, მოცეკვარო, ბიჭებო, მოცეკვავს წითელი ზოხობი“, — ისმის ფიცქმული მაკრული, რომელსაც თითქმის გაყინულ ვაკუუმში შემოკრილი, დაძაბული ჩურჩული ენაცულება: „ოცნებს ავემცვანები მუდამ ლადი და იოლი, რატომ არ ჩემი წნორები, რატომ არ ჩემი იორი? ჩემი ძვირფასი გორები. ძნები — კაცები ყვითლები, თიანეთი და სწორები, თიანეთი და ფიქრები. მეზობლის ბიჭის ქორწილი, ღვინო, ეჭიბი, მაყარო... ურჩი ვაჟაკის ბორკილი — თმა მხრებზე გადანაყარი, იო, რანარ გეშებდი, ქალშავავ, შავის თმებითა, ვინც მკლავილი, ვინც მახარებდი გაურთი და შერიგებითა. იი, დღეებო ბავშვობის, არასდროს დამიბრუნდებო, დამტოვე, ჩუმიად დამშორდი და როგორც მტრე დთა გუნდები — ცას გადაუღლით ბრძოლებით და დამალონებო იოლად.

...რატომ არ ჩემი სწორები, რატომ არ ჩემი იორი?“

თვალთა მიმტერებია მწით გაჩაჩახებულ ცას, უამრავი შავი მტრედი რომ დფარულა. მერმე ხედავს: გაზაფხულით აფერადებულ თბილისში, თქირის თეატრთან დავს შუახნის გლხეკაი და უწრუნველად იძახის:

— ია... ია... ია...

მირზა და გვაცა მიირბენენ, ყველა კონას გამოართმევენ სიცილით და ფანტავენ გზადაგზა...

ავტომობის ტანზე მოკერილი თითები ნელა გაიხსენება და გაშუშდება.

დასასრულში

ქ რ ო ნ ი კ ა

● ახლახან გამოცემულმა „ხელოვნებაში“ გამოცა ნუნუ გამარათელის ილუსტრირებული მონოგრაფია „ჩოხატაურის თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან“.

ავტორს გულმოდგინებით შეუგროვებია პატარა რაიონის თეატრალური ცხოვრების ამსახველი და ქრონოლოგიის სრული დაცვით გადმოგვცემს რაიონის თეატრალურ ცხოვრებას მისი პირველი სექტაკლებიდან (1885) დღემდე. ჩოხატაურელებს პირველ წარმოდგენად გ. ერისთავს „გაყრა“ უჩვენებიათ. მათი თეატრალური რეპერტუარი თანდათან იზრდებოდა და მდიდრდებოდა გ. ერისთავის, ა. წერეთლის, ა. ცაგარლის, ვ. გუნიას, ვ. აბაშიძის პიესებით. წიგნი ნათლად ახსული ჩოხატაურელთა დიდი სიყვარული თეატრისადმი, რაიონის ინტელიგენციას, სცენისმოყვარეები მიუხედავად მძიმე საფუძო პირობებისა (მათ არ ჰქონდათ არც შენობა და არც არავითარი სახსრები), ხან სკოლის შენობაში, ხან სცენისმოყვარეთა ოჯახებში და ხანაც ღია ცის ქვეშ მართავდნენ წარმოდგენებს, აარსებდნენ სამკითხველოს, წარმოდგენის შემოსავალს კი სკოლებსა და სამკითხველოს ამარაღდნენ. სცენისმოყვარეებს მალე მუდმივი დასიც შეუქმნიათ.

წიგნი ადწერილია ჩოხატაურელ სცენისმოყვარეებში თუ რაოდენ აქტიური გამოხმაურება ჰქონდა 1905 წლის რევოლუციამ.

ამ წიგნის საშუალებით მკითხველი გაეცნობა აგრეთვე რაიონის ხალხური სანახაობის ტრადიციებს, კერძოდ, ახალგაზრდობა ხშირად აწყობდა ალეგრო-საღამოებს. მართავდა ბერიკაობა-ყენობას, რომელიც 1909 წელს კინოფირზედაც კი აღუბეჭდავთ.


ახლანაშნავია ისიც, რომ 1913 წელს ჩოხატაურში გაიხსნა სახალხო სახლი, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის დიდი მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა და სახლისთვისაც ლ. მესხიშვილის სახელი მიუნიჭებიათ. იმ დღეს იუბილარს რაიონის მშრომელები დიდი არტისტიკით, თავისი არაჩვეულებრივი ღამაში ხშირად და მისთვის ჩვეული მგზნებარებით მოუხიბლავს.

სახალხო სახლის გახსნას დიდი გამოცოცხლება მოჰყოლია ჩოხატაურის კულტურულ ცხოვრებაში. იღმებოდა გ. ერისთავის, ა. ცაგარლის, რ. ერისთავის, ი. გრიშაშვილის, მოგვიანებით კი პ. კაკაბაძის, გ. ბერიქენიშვილის, გ. შატერაშვილის, ალ. ყაზბეგის, ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებები.

ჩოხატაურში სხვადასხვა დროს საგასტროლოდ ჩაიღოდნენ თბილისისა და რესპუბლიკის ქალაქების თეატრალური დასები, ოპერატორისა და ხელოვნების სასწავლებლის წარმომადგენლები. გ. ქუჩიშვილი, ალ. წუწუნავა, ვ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, ავ. ხორავა, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ა. ყორყოლიანი, ც. ამირეჯიბი და სხვები. რაიონის ინტელიგენცია, სცენისმოყვარეები ხშირად აწყობდნენ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკების საიუბილეო საღამოებს.

1936 წელს დაბის თვითმომკმედი დასი სახელმწიფო თეატრად გადაკეთებულა.

30-იანი წლებიდან მოყოლებული ჩოხატაურის თეატრი ხშირად



მოწაწილებოდა თეატრების რესპუბლიკურ დოვალიერებაში და არც თუ იშვიათად წარმატებულად აღწევდა.

ოპის მძიმე წლებმა დაღი დაასვა ჩოხატაურის თეატრსაც. დასიდან სამშობლოს დასაცავად თექვსმეტი მსახიობი წავიდა, რომელთაგან ბევრი ბრძოლის ველზე დაეცა, მიუხედავად ამისა, შინ დარჩენილები ტრადიციისამებრ დაბასა და შორეულ სოფლებშიც, ყოველგვარ ამინდსა და პირობებში მართავდნენ სექტაკლებს, შემოსულ თანხას კი წითელარმიელებს უგზავნიდნენ, დედათა და ბავშვთა დახმარების ფონდს ურიცხვავდნენ.

1958 წლიდან მონოგრაფიაში ნათლად არის წარმოჩენილი რეჟისორების შ. ჭალაღანას, რ. ყენიასა და სხვათა ღვაწლი დაბის თეატრალური ხელოვნების საქმეში.

მკითხველი გაეცნობა სახელებს, რომელთა დიდმა სიყვარულმა ხელოვნებისადმი, დაუღალავმა და უანგარო შრომამ შექმნა რაიონის თეატრის ისტორია.

გ. გამულაშვილი

● სპარტაქლოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელსაც ცნობილი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ჭანსუღ კახიძე ხელმძღვანელობს, ახალი სეზონი ტრადიციისამებრ სიმფონიური კონცერტების ციკლით გახსნა.

უკვე კარგა ხანია ქ. კახიძე ინვითარებს რეპერტუარის განახლებისა და გაფართოებისაკენ აღებული გეზს, რისი წყალობითაც საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო პროგრამებში თანაარსებობენ სხვადასხვა ეპოქებისა და ესთეტიკის ნაწარმოებები — კლასიკური

მუსიკის შედევრები და თანამედროვე ავტორთა თხზულებები. ტრადიციად იქცა ქართველი მსმენელებისათვის უცნობი თხზულებების პრემიერებიც.

ამჯერადაც, ქ. კახიძემ საკონცერტო ციკლში შეიტანა კლასიკური სიმფონიური მუსიკის ისეთი შესანიშნავი ნიმუშები, როგორიცაა ჩაიკოვსკის მეზუთე სიმფონია და შაღერის სიმფონია № 5, რომელიც პირველად აქედრდა ჩვენს დედაქალაქში. შესრულდა კლასიკოსთა ცნობილი ინსტრუმენტული კონცერტებიც: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ეთერ ანჯაფარიძემ საქართველოს სიმფონიურ ორკეს-

ტრთან ერთად დაუკრა ბეთოვენის მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი, თბილისში გასტროლებზე მუოფი პიანისტი ნიკოლოს პეტრიავი კი წარსდგა მოცარტის 27-ე კონცერტით და რახმანინოვის „რაფსოდით პაგანინის თემაზე“.

გაიმართა კიდევ ორი პრემიერა — ქართველი მსმენელნი გაეცნენ ცნობილი მოსკოველი კომპოზიტორის ა. შნიტკის შესამე სიმფონიას და ახალგაზრდა ავტორის ვახტანგ კახიძის „კონცერტს ორკესტრისათვის“.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტები წარმატებით ჩატარდა.

«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 11, 1983

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ
ГРУЗИНСКОЙ ССР

В журнале опубликован указ Президиума Верховного Совета СССР о награждении Грузинской ССР Орденом Ленина, а также приветствие Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР и Совета Министров СССР Центральному Комитету Компартии Грузии, Президиуму Верховного Совета ГССР и Совету Министров республики в ознаменование 200-летия дружественного Георгиевского договора между Россией и Грузией (стр. 2).

ВЕЛИКИЙ ПРАЗДНИК ДРУЖБЫ И БРАТСТВА

В номере печатается доклад кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК Компартии Грузии товарища Э. А. Шезариадзе, посвященный 200-летию дружественного Георгиевского договора между Россией и Грузией (стр. 4).

В номере печатается речь члена Политбюро ЦК КПСС, первого секретаря Московского горкома партии товарища В. В. Гришина на торжественном заседании ЦК Компартии Грузии и Верховного Совета Грузинской ССР, по священному 200-летию дружественного Георгиевского договора между Россией и Грузией (стр. 36).

Нодар Гурабанидзе

КИНОЭПОПЕЯ

Печатается рецензия на новый грузинский пятисерийный художественный фильм «Клятвенная запись» (автор сценария — А. Салугадзе, режиссер-постановщик — Г. Лордкипанидзе), посвященного 200-летию Георгиевского трактата (стр. 40).

Ия Хурцидзе

У ИСТОКОВ СОВРЕМЕННОЙ БОЛГАРСКОЙ КОМПОЗИТОРСКОЙ ШКОЛЫ

В статье на фоне творческого наследия выдающегося композитора Панчо Владигерова прослеживается процесс становления национальной композиторской школы Болгарии. (стр. 55).

Этери Шавгулидзе

ЖИЗНЬ В ИСКУССТВЕ

Статья посвящается творчеству двух художников — Геворка Григоряна и Дианы Уклеба, произведения которых недавно были экспонированы в Доме художника. Оба живописца — уроженцы Тбилиси, здесь прошла почти вся творческая жизнь Г. Григоряна, очень интересного, самобытного художника, а Д. Уклеба — супруга художника — в последние годы занялась живописью и создала много полотен также отмеченных индивидуальностью творческого почерка (стр. 62).

Мзия Яшвили

РУССКО-ГРУЗИНСКИЕ ИСТОЧНИКИ XVIII ВЕКА ОБ ОДНОМ ДРЕВНЕМ ГРУЗИНСКОМ ОБЫЧАЕ

В статье рассматривается погребальный ритуал зафиксированный в фундаментальном труде академика П. Г. Буткова «Материалы для новой истории Кавказа с 1722 года по 1803 год», в котором описаны похороны царя Ираклия II (стр. 66).

ПАНОРАМА

Под рубрикой «Панорама» журнал продолжает освещать кризисные явления культуры и искусства Запада (стр. 75).

Л. Табукашвили

НЕРУКОТВОРНЫЙ ПАМЯТНИК РОДНОМУ ЯЗЫКУ

Недавно в Тбилиси в торжественной обстановке был открыт памятник родному грузинскому языку. Авторы величественного памятника скульптор Э. Амашукели и архитектор Н. Мгалоблишвили. (стр. 76).

зискому языку. Авторы величественного памятника скульптор Э. Амашукели и архитектор Н. Мгалоблишвили. (стр. 76).

Ирина Мерабшвили

ВЫРАЗИТЕЛЬНЫЙ ЯЗЫК ЦВЕТА И ЛИНИИ

Статья о творчестве талантливого живописца и графика Элгуджи Бердзенишвили. Пейзажные, портретные, жанровые произведения, книжно-журнальная графика принесли художнику заслуженное признание широкой общественности (стр. 78).

Родион Щедрин

ПАМЯТИ ДРУГА

Светлой памяти замечательного композитора Ремаза Лагидзе посвящается воспоминание Р. Щедрина. (стр. 81).

Юрий Плашкин

КОМПЛЕКСНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ — «ГОРОД И ТРАНСПОРТ»: СИСТЕМНО- ДИАЛЕКТИЧЕСКИЙ ПОДХОД

В статье анализируется на теоретико-методологическом уровне комплекс проблем городского транспортного обеспечения и всеобщей массовой автомобилизации. Приводятся результаты общетеоретического исследования — системного синтеза постдисциплинарного знания, осуществленного с позиций специальной системной методологии, — основы теории организации общегородской комплексной транспортной системы. На диалектико-системной основе раскрываются основополагающие свойства этой целесообразной в экологическом отношении полифункциональной системы многоцелевого назначения как принципиально новой мультисистемы, не имеющей прямых аналогов в мировой транспортно-градостроительной практике. (стр. 85).

Заза Схиртладзе

ЦАРСКИЙ КТИТОРСКИЙ ПОРТРЕТ
В ГЛАВНОМ ХРАМЕ МОНАСТЫРЯ
НАТЛИСМЦЕМЕЛИ

В статье излагаются результаты изучения фрагментарно сохранившихся портретов грузинских царей в росписи главного храма пещерного монастыря Натлисмцемели (Давид-Гареджи). Путем исследования фресковых изображений, при сопоставлении фактического материала, сопроводительных надписей, а также сведений, имеющих в исторических нарративных источниках и научной литературе, констатируется наличие целой галереи выдающихся представителей царского двора Грузии XI—XII вв., в частности, портретов Баграта IV, Давида Строителя, Димитрия I, Георгия III, царицы Тамар и ее супруга — Давида Сослана, а также юного царевича Георгия-Лаша. (стр. 96).

Тенгиз Квиციелia

ФРАГМЕНТЫ ГРАДОСТРОИТЕЛЬСТВА
ТБИЛИСИ В НАЗВАНИЯХ



В статье алфавитном порядке даются исторические названия отдельных частей, зданий Тбилиси, толкование названий, источники их возникновения и краткие исторические справки об этих районах, улицах, зданиях города (стр. 112).

Ал. Блок

СКРЫТЫЙ СМЫСЛ ТРАГЕДИИ
«ОТЕЛЛО»

Статья Ал. Блока, касающаяся постановки «Отелло» Шекспира на сцене Ленинградского большого драматического театра, впервые была опубликована в журнале «Жизнь искусства». На грузинский язык перевел ее Дж. Титмерия. (стр. 129).

Лали Габуния

ФЕСТИВАЛЬ КАМЕРНОЙ МУЗЫКИ
В ПИЦУНДЕ

Летом в Пицунде состоялся фестиваль камерной музыки, в котором участвовал Государственный камерный оркестр Грузии под управлением народной артистки ГССР, лауреата премий Руставели, Палашвили, международных конкурсов Ляны Исакадзе. В фестивале принимали участие известные советские исполнители, впечатления которых печатаются на страницах нашего журнала. (стр. 133).

Теймураз Маглаперидзе

ОГНЕННЫЕ ЦВЕТЫ

Печатается кинорассказ писателя Т. Маглаперидзе «Огненные цветы» (стр. 136).

გადაეცა წარმოებას 20. 09. 83 წ.
ხელმოწერილია დასაბუქდად 15. 11. 83 წ.
საბეჭდი ქალაქი 5,25
ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 10,5
სააღრიტხო-საგამომცემლო თაბახი 19,75
შეკეთა № 2219, უე 00468, ტირაჟი 6000.

ჟურნალში დაბეჭდილია შ. შაბოვის,
პ. შვეციენკოს ი. კვაპანტიანიის ფოტოები.



1203

1 806. 70 353

0 6 1 5 2 1 1
2 1 2 3 1 1 1 1 1 1



0 5 9 0 6 6 0 3 8 1 2 7